ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურაბ ნაგერვაძე

ხელმძღვანელი

ემერიტუსი ბიჭიკო დიასამიძე ■

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი

მაჭახლის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტები

ვარ რა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად გადაცემულ თუ დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ჩემს ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზურაბ ნაგერვაძე

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ხეობის, მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსული. განსაკუთრებით დეტალურადაა შესწავლილი და ნათლადაა გაშუქებული მეოცე საუკუნის მოვლენები - პირველი ვიზიტორები მაჭახლის ხეობაში, პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული სიძნელეები, საბჭოთა წყობილების დამყარება და კოლექტივიზაცია, აღმშენებლობის პერიოდი და მეოცე საუკუნის 90-იანი წლების სირთულეები, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟი.

მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევა და წარმოჩენა ერთობ მნიშვნელოვანი და ამავდროულად საინტერესოცაა, რადგანაც დეტალურად მისი მეცნიერული შესწავლა აქამდე არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით პროფესორ ნოდარ კახიძის მიერ 1974 წელს გამოცემულ წიგნს „მაჭახლის ხეობა“. საბჭოთა პერიოდში ხეობის მეცნიერულ შესწავლას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, არ ტარდებოდა ექსპედიციები, ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური კვლევები ისტორიულ ძეგლებზე, ეს პრობლემა წლების განმავლობაში მივიწყებული იყო.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დისერტანტის მიერ, საკითხთა კვლევის ფარგლებში, შემოტანილია ფართო სამეცნიერო წრეებისათვის ნაკლებად ცნობილი, რიგ შემთხვევაში უშუალოდ დისერტანტის მიერ მოპოვებული საგაზეთო სტატიები, საარქივო მასალები, თუ ნარატიული ცნობები.

ნაშრომში კარგად არის ასახული ხეობის გმირული ისტორიული წარსული, მაჭახლელთა ყოფა-ცხოვრება, მუჰაჯირობის მძიმე ხვედრი, სწრაფვა განათლებისაკენ. ამავდროულად კარგად ჩანს ქართველი საზოგადოების ჩართულობა და თანადგომა, მაჭახლელთა გასაჭირის წინააღმდეგ დარაზმვა და მათი ხვედრის გაზიარება.

აქვე ნაშრომში წარმოდგენილია და კულტურულ-ეკონომიკურ კონტექსტში განხილულია ის ისტორიული მოვლენები, რომლებიც მაჭახლის ხეობამ ეტაპობრივად განვლო ცარიზმის ეპოქიდან ვარდების რევოლუციის ჩათვლით.

სარჩევი:

შესავალი: საკვალიფიკაციო თემის შესწავლის მდგომარეობა, თემის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები.---------- 7-12

წყაროები და ლიტერატურა, ზეპირი გადმოცემები.---------- 13-14

I. მაჭახლის ხეობის გეოგრაფიის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ძეგლების მოკლე მიმოხილვა.

1. **მაჭახლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული გეოგრაფია, საზღვრები, ურთიერთობა მეზობელ მხარეებთან (აჭარა, შავშეთი).**

ა. მაჭახლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა.---------- 15-16

ბ. ისტორიული გეოგრაფია, საზღვრები, ურთიერთობა მეზობელ მხარეებთან (აჭარა, შავშეთი).---------- 17-25

2. **მაჭახლის ხეობის უძველესი დასახლებები, ტოპონიმები, ხეობის ძველმოსახლეთა გვარები.**

ა. მაჭახლის ხეობის უძველესი დასახლებები.---------- 25-30

ბ. ტოპონიმები.---------- 30-32

გ. ხეობის ძველმოსახლეთა გვარები.---------- 33-36

3. **ხეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, კომუნიკაციის საშუალებები და მატერიალური კულტურის ძეგლები.**

ა.ხეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.---------- 36-53

ბ.კომუნიკაციის საშუალებები და მატერიალური კულტურის ძეგლები.

1. გზები.----------53-57

2. ქვის თაღოვანი ხიდები.---------- 57-61

3. ციხეები:

ა. გვარას (კისერა) ციხე.----------62

ბ. ჩხუტუნეთის (ყალივაკე) ციხე.----------62-64

გ. სინდიეთის (წულუკიძეების) ციხე.----------64

4. საკულტო ნაგებობები.----------64-69

5. საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.----------69-72

4. **მაჭახლის ხეობაში წარმოებული ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევები და აღმოჩენები.**----------72-98

II. მაჭახლის ხეობა XX საუკუნის დასაწყისში.

1. **მაჭახლის ხეობის სოფლები და მოსახლეობა XX საუკუნის დასაწყისში.** ---------- 98-120
2. **I მსოფლიო ომი და მაჭახელი.**---------- 120-145

III. მაჭახლის ხეობა საბჭოთა პერიოდში.

1. **საბჭოთა წყობილების დამყარება.** ----------145-179
2. **II მსოფლიო ომი და მაჭახლის ხეობა.** ---------- 179-190
3. **აღმშენებლობითი საქმიანობა - გზები, ხიდები, კოლექტივიზაცია, ელექტროფიკაცია, სამედიცინო დაწესებულებები.**

ა. გზები, ხიდები.---------- 191-197

ბ. კოლექტივიზაცია.----------198-205

გ. ელექტროფიკაცია და საფოსტო მომსახურება.---------- 205-207

დ. მედ. პუნქტები და საავადმყოფო.---------- 207-211

4. **მაჭახლის ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები - სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, მიღწევები მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროში.**----------211-213

ა. პირველი მედრესეები და სწავლება-სწავლის ფორმები ოსმალთა ბატონობის პერიოდში.----------213-218

ბ. პირველი ქართული წიგნები და სკოლები მაჭახლის ხეობაში.---------219-229

გ. სწავლა-განათლება საბჭოთა წყობილების დროს.----------230-242

დ. მაჭახლის ხეობის სკოლები----------242

1. ნავანევის დაწყებითი სკოლა.---------- 243
2. ცხემლარის დაწყებითი სკოლა.----------243-244

3. ქოქოლეთის დაწყებითი სკოლა.---------- 244-245
4. ქვ. ქოქოლეთის დაწყებითი სკოლა.---------- 245
5. ვაკეს დაწყებითი სკოლა.----------245
6. აჭარისაღმართის 9 წლიანი სკოლა.---------- 245-249
7. ზედა ჩხუტუნეთის 9 წლიანი სკოლა.----------249-251
8. ქედქედის 12 წლიანი სკოლა.---------- 251-252
9. ქვედა ჩხუტუნეთის 12 წლიანი სკოლა.----------252-255
10. ჩიქუნეთის 12 წლიანი სკოლა.----------255-257

ე. მეცნიერება.----------257-259
ვ. ქოხ-სამკითხველოები და ბიბლიოთეკები.----------259-263
ზ. კლუბები.----------263-264
თ. მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.----------265

IV. მაჭახლის ხეობა XX საუკუნის ბოლოს.

1. საბჭოთა წყობილების რღვევის პროცესი.---------- 266-271
2. 90-იანი წლების დასაწყისი, გარდამავალი პერიოდის სირთულეები.---- 271-275
3. მაჭახელი XXI საუკუნის გარიჟრაჟზე.----------276-278
დასკვნა.----------278-282
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.----------283-291

შესავალი

საკვალიფიკაციო თემის შესწავლის მდგომარეობა, თემის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები

„ ეს პატარა მაჭახელი არის

ცოცხალი ისტორია საქართველოსი“

დავით წერეთელი

საქართველო, ჩვენი სამშობლო, მდიდარია თავისი კულტურითა და ისტორიით. კულტურათა ნაირფეროვნება და სიმდიდრე საქართველოს კუთხეთა სიმრავლითაც არის განპირობებული. ყოველ კუთხეს თავისი თვითმყოფადი კულტურა, ტრადიცია თუ წესჩვეულებები გააჩნია. თითოეულმა კუთხემ დიდი ღვაწლი დასდო და თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში. საქართველოს რელიეფი ასევე გამოირჩევა მდინარეთა სიმრავლით. ოდითგანვე საქართველოს კუთხეები თავის მხრივ ხევებად და ხეობებად იყოფოდა. თითოეული ხეობის კომპლექსური შესწავლა მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვლება. მის გარეშე წარმოუდგენელია ერის მთლიანი ისტორიის სრული წარმოჩენა.

კუთხეებისა თუ მხარეების ხევებად დაყოფა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს მთიანი რეგიონისათვის, რაც განპირობებულია გეოგრაფიული თავისებურებებით. მთიან ქვეყნებში საცხოვრებლად ვარგისი მიწების მეტი ნაწილი და შესაბამისად დასახლებანი უპირატესად ხეობების მიხედვითაა წარმოდგენილი. საქართველო ასეთ ხეობათა ცოცხალი კრებულია. თითოეული ხეობა სამეურნეო-ყოფითი თავისებურებებით ხასიათდება. ცალკეული კუთხეების, პირველ რიგში, ცალკეული ხეობების, შესწავლის გარეშე შეუძლებელია საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების სრულყოფილი მეცნიერული შესწავლა. ერთ-ერთ ასეთ ხეობას წარმოადგენს მაჭახლის ხეობა, რომელმაც არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიაში. მაჭახლის ისტორია არის გმირების ისტორია, რომელმაც ოსმალთა ბატონობის პირობებში დიდის რუდუნებით შეინახა თავისი წარსული, ენა, კულტურა, ტრადიცია, სტუმარ-მასპინძლობა, არ დაკარგა ეს დიდი განძი და გადასცა მომავალ თაობას. თითოეული მაჭახლელი ამაყობს თავისი ხეობის

წარსულით, წინაპართა გმირობით და ამაყად დგას თავისი ხეობის, თავისი ქვეყნის მშვიდობის დამცველ გუშაგად.

მაჭახლის ხეობა აჭარის ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. იგი უშუალოდ ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკას. ხეობა XVI საუკუნიდან ოსმალთა მფლობელობაში იყო, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ მაჭახელი რუსეთის იმპერიის იურისდიქციაში მოექცა, მაგრამ უგზოობისა და მკაცრი რელიეფის გამო ხეობა შეუსწავლელი დარჩა. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იწყება ხეობის ათვისება: გაიყვანეს გზები, იხსნება კოლექტივები, სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, მაგრამ ხეობის დეტალურად ისტორიული შესწავლა დღემდე არ მომხდარა (თუ არ ჩავთვლით პროფესორ ნოდარ კახიძის წიგნს „მაჭახლის ხეობა“).

მაჭახლის ხეობა მდიდარია ტრადიციებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, ფოლკლორით, სოციალური ურთიერთობით, სულიერი კულტურითა და ლოკალური თვისებებით. ამ ყოველივეს ნათლად გამოხატავს ის მატერიალური კულტურული ძეგლები, რომელიც მრავლად არის შემორჩენილი ხეობაში. ამ ძეგლებმა საუკუნეების ქარიშხალს გაუძლო და თითოეული ცხადად ასახავს იმ დიდ წარსულს, რომელიც ჩვენმა მაჭახლელმა წინაპრებმა განვლეს. ამ ძეგლებში აისახა მაჭახლელი ხელოსნების დიდი ნიჭი და ოსტატობა. ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხეები, ქვის თაღოვანი ხიდები, საწნახელები, მარნები, საცეხველები, ნაეკლესიარები, მეჩეთები) აუცილებელ შესწავლას საჭიროებს.

მაჭახლის ხეობის მეცნიერულ დონეზე შესწავლა ისტორიული თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია. საბჭოთა პერიოდში ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ხეობის გმირული ისტორიული წარსული ყველასათვის მივიწყებული იყო, დეტალურ შესწავლას საჭიროებდა ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, წერილობითი წყაროები თუ საარქივო მასალები. არ იყო სათანადოდ შეფასებული და შესწავლილი ხეობის ეკონომიკური პოტენციალი.

მაჭახლის ხეობის შესწავლა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში განახორციელა ხეობის ადგილობრივმა მკვიდრმა, პროფესორმა ნოდარ კახიძემ. მოგვიანებით ხეობის ისტორიული წარსულის

შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ, რომელმაც სტამბულის სახელმწიფო არქივში მუშაობისას არაერთი მნიშვნელოვანი წყარო მოიპოვა ხეობის წარსულის შესახებ.

მაჭახლის ხეობა, თავისი ისტორიული წარსულით, თვითმყოფადი კულტურითა და ტრადიციით, მატერიალური კულტურის ძეგლებით უძველესი დროიდან ითვლება „ქუეყანა აჭარის“ შემადგენელ ნაწილად ***(დიასამიძე, 2017:53)*** და წარმოადგენდა კოლხური კულტურის მძლავრ კერას. მართალია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მაჭახელი განსხვავებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთიანდებოდა, მაგრამ ის თავისი კულტურით, ტრადიციებით, ხასიათით უფრო ახლოს დგას ქვემო აჭარასთან, ვიდრე სხვა რომელიმე მხარესთან.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მეოცე საუკუნეს, თუმცა, გარკვეული ადგილი უჭირავს მაჭახლის ხეობის ისტორიულ წარსულის შესწავლას - XVI-XIX სს, ისტორიულ საზღვრებს, მეზობელ მხარეებს, მტერიალური კულტურის ძეგლებს, ხეობის სოფლებსა და გვარებს, ტოპონიმებს, რადგანაც ასე დეტალურად ერთიან კონტექსტში აქამდე გაშუქებული არ ყოფილა.

მაჭახლის ხეობის ისტორიაში მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრძოლას თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ. მაჭახლელთა თავგანწირვა და ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ქრისტიანული რელიგიისათვის მრავლად აისახა წყაროებსა თუ ხალხურ გადმოცემებში. მაჭახლელთა ბრძოლისუნარიანობისა და დაუმორჩილებელი ბუნების გამო ამ ხეობაში ოსმალთა ბატონობა ისეთი მკაცრი არ ყოფილა, როგორც სხვა მხარეში. მაჭახლელთა ვალდებულებას, თავიანთი უნარებიდან გამომდინარე, მხოლოდ სამხედრო ბეგარა წარმოადგენდა. მაჭახლის ხეობის რელიეფმა, მისმა მიუვალმა ადგილმდებარეობამ გარკვეული როლი ითამაშა ოსმალეთთან ბრძოლის დროს.

XIX ს-ის ბოლო და XXს-ის დასაწყისი არის პერიოდი როდესაც ჩნდება საგაზეთო სტატიები მაჭახლის ხეობის შესახებ. გაზდეთები - „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „საქართველო“ „кавкази“ გვაწვდის საინტერესო ცნობებს ხეობის სოფლებისა და მოსახლეობის შესახებ. იწყება მაჭახლის ხეობის, როგორც სამოგზაურო

თვალსაზრისით საინტერესო ხეობის გაშუქება. აქვე შუქდება ის მტკივნეული საკითხები, რომელიც იმ დროის მაჭახლში საკმაოდ მრავლად იყო.

XX ს-ის დასაწყისი სირთულეებით აღსავსე პერიოდია მაჭახლის ისტორიაში, მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, უგზოობა, განათლების პრობლემა. ამას დაემატა ის დიდი უბედურება, რაც I მსოფლიო ომმა გამოიწვია - გადაიწვა სოფლები, განადგურდა წლობით ნაკოწიწები დოვლათი, ადგილობრივი მოსახლეობა ლტოლვილად იქცა. წლები დასჭირდა, რომ მაჭახლის ხეობა ჩვეულ ცხოვრებისეულ რიტმს დაბრუნებოდა.

საბჭოთა წყობილების დამყარება მაჭახლის ხეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. ხეობაში იწყება აღმშენებლობის პერიოდი - გაჰყავთ გზები, იგება ახალი ხიდები, შენდება სამხედრო დასახლებები, თავდაცვითი ნაგებობები, მაჭახლის ხეობა განსაკუთრებულ სასაზღვრო ზონად ცხადდება. ხეობაში იხსნება სკოლები, შრომისა და სალიკვიდაციო სკოლები, კლუბები ბიბლიოთეკები, აშენდა საავადმყოფო, გაიხსნა მაღაზიები, სასადილოები, შენდება ჰესი, იწყება სოფლების ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია, რაიონთან მყარდება სატელეფონო კავშირი. კოლექტივიზაციის დამყარებამ მაჭახელში მეურნეობის ახალი დარგების გაჩენა გამოიწვია, საფუძველი ეყრება მეთამბაქოეობასა და მეჩაიეობას, დაბლარ მევენახეობას, იქმნება მეცხოველეობის ფერმები, სათბურები, ფარდულები, საწყობები და კოლექტიური მეურნეობებისათვის საჭირო სხვა შენობა-ნაგებობები. ხეობაში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობის ხანა, ხის სახლები ქვის სახლებმა შეცვალა, შეიცვალა მოსახლეობის ცხოვრების დონე. მაჭახლის ხეობამ თანდათანობით კულტურულად და ეკონომიკურად იწყო მოძლიერება.

საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესმა მაჭახლის ხეობაში ყველა იმ სტრუქტურის მოშლა გამოიწვია რაც კი შექმნილი იყო საბჭოთა წყობილების დროს. ლიკვიდაცია განიცადა კოლექტიურმა მეურნეობებმა, ფერმებმა, გაჩერდა წარმოება დაწესებულებები, გაუქმდა საავადმყოფო, შეჩერდა დაგეგმილი პროექტები, მოიშალა კომუნიკაციის საშუალებები - რადიო, ტელევიზია, სატელეფონი კავშირი. განადგურდა უპატრონოდ მიტოვებული სახელმწიფო ქონება. დედა ბუნებასაც დიდი ზარალი მიადგა - უკანონო ჭრის შედეგად გაიჩეხა ხის უნიკალური ჯიშები,

ბარბაროსული ხერხებით წარმოებულმა უკანონო თევზჭერამ საფრთხე შეუქმნა მდინარეში თევზის ფონდს, საფრთხის წინაშე დადგა მდინარის კალმახის არსებობის საკითხი. XX საუკუნის 90-იანი წლები ზოგადად საქართველოს ისტორიაში უკუსვლასთან და სიბნელესთან ასოცირდება. ეს იყო საყოველთაო გაჭირვების პერიოდი, რომელმაც იმ პერიოდის თაობას მძიმე დაღი დაასვა - 9 აპრილი და სიმწრით მოპოვებული დამოუკიდებლობა, ლეგიტიმური ხელისუფლების მარცხი და სამოქალაქო ომი, უკანონო სამხედრო ფორმირებების თუ ბანდ-ფორმირებების ბოგინი და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, გამეფებული კორუფცია მძიმე ვითარებაში აგდებდა ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველივე მაჭახლის ხეობას უშუალოდ არ განუცდია, ყოველივე ეს გარკვეულწილად მაინც თავისებურ გავლენას ახდენდა ხეობაზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ვარდების რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა ვითარება მაჭახლის ხეობაში. ხეობა კვლავ დაუბრუნდა მშენებლობის პერიოდს, მოასფალტდა გზები, ყურადღება მიექცა განათლებასა და კულტურას, კაპიტალურად გარემონტდა სკოლები, კლუბები, აშენდა საბავშვო ბაღები, საოჯახო სასტუმროები, ტურიზმი ხეობის წამყვან ეკონომიკურ დარგად იქცა. შეიქმნა ეროვნული პარკი, რომელმაც წერტილი დაუსვა მოსახლეობის ბრაკონიერულ ქმედებებს. მაჭახლის ხეობა თუ აქამდე საზოგადოებისათვის უცნობი იყო, თავისი ტურისტული პოტენციალით ცნობად ხეობად გადაიქცა, სადაც არაერთი ახალი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. ინფრასტრუქტურის განვითარებამ მაჭახლის ხეობა ტურისტებისა თუ ვიზიტორებისათვის უფრო მიმზიდველ ხეობად აქცია.

XXI საუკუნეში საქართველოში მომხდარმა ცვლილებებმა - ქვეყნის განვითარებამ, ევროპასთან დაახლოებამ, ტურიზმის განვითარებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა მაჭახლის ხეობის მიმართ დაინტერესება. ხეობას სეზონურად მრავალი ტურისტი, თუ დამსვენებელი სტუმრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ხეობის ისტორია და მატერიალური კულტურის ძეგლები მთავარ პროდუქტს წარმოადგენს და აუცილებელი ატრიბუტია ტურიზმის განვითარებისათვის, რომელიც მაჭახლის ხეობის ძირითადი შემოსავლის წყაროა.

ჩვენი მიზანია სრულად იქნეს შესწავლილი მაჭახლის ხეობის ისტორია და დაინტერესებულ პირებისათვის ნათლად იქნეს წარმოჩენილი. ამისათვის აუცილებელია მაჭახლის ხეობის წარსულის დეტალური შესწავლა და კომპლექსური დახასიათება.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მაჭახლის ხეობის ისტორიული გეოგრაფია, ურთიერთობა მეზობელ მხარეებთან, ამავდროულად მოკლედაა მიმოხილული ხეობის ისტორიული წარსული, ნათლად არის წარმოჩენილი ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, დასახლებები, ტოპონიმები, სამიმოსვლო გზები, მოსახლეთა გვარები, განსაკუთრებით ნათლად არის გაშუქებული საბჭოთა პერიოდი, კოლექტივიზაცია, გზების, განათლებისა და კულტურის კერების აღმშენებლობა. ნაშრომში შევეხებით ზოგიერთ ისეთ საკითხს, რომლის შესახებაც სხვა პუბლიკაციებიდან ვერ მივიღებთ ინფორმაციას. საცნობარო ხასიათის მონაცემებთან ერთად ნაშრომში წარმოვადგენთ ისეთ მნიშვნელოვან მასალებს, როგორიცაა მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობა, დიდი ადგილი დაეთმობა ხეობის განათლების სისტემის ჩამოყალიბებასა და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან მოვლინებული მასწავლებლების დამსახურების წარმოჩენას.

ჩვენი მიზანია ნაშრომის წერისას დაცული იქნეს მემკვიდრეობითობის პრინციპი, ხალხის ემპირიული გამოცდილებით შემუშავებული ცოდნისადმი სიყვარული და პატივისცემა. ისტორიული მოვლენები ასახულ იქნეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

წყაროები და ლიტერატურა, ზეპირი გადმოცემები

წყაროების სახით ნაშრომში გამოყენებული იქნება როგორც სხვადასხვა მეცნიერთა და მკვლევართა მიერ მოპოვებული მასალები, ასევე აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტები, სკოლებში დაცული ხელნაწერები და მოსახლეობის ზეპირი გადმოცემები.

მაჭახლის ხეობის წარსულის შესწავლისას მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს XII-XVII საუკუნეების ხელნაწერი „ტბეთის სულთა მატიანე“, რომელშიც წარმოდგენილია მაჭახლის ხეობის მოსახლეთა სულთა მატიანე, რომლებმაც შესაწირავი შესწირეს ტბეთის ტაძარს. მატიანეში საინტერესო ცნობებია დაცული მაჭახლის ხეობის გვარების შესახებ.

აჭარა-მაჭახლისა და შავშეთ-იმერხევის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გიორგი ყაზბეგი, რომელმაც სადაზვერვო მისიით 1874 წელს მოიარა აღნიშნული ტერიტორიები.

საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მაჭახლის ხეობის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე და აპოლონ წულაძე. მათ აღწერილი აქვთ მაჭახლის ხეობის სოფლები, მოსახლეობა, სამიმოსვლო გზები, მოსახლეობის სწრაფვა განათლებისაკენ, აპოლონ წულაძე გვაწვდის ცნობებს პირველი სკოლის დაარსების შესახებ.

მაჭახლის ხეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით წერეთელი, აკაკი წერეთლის უფროსი ძმა, რომელიც მაჭახლის ხეობის უჩასტკის უფროსად მსახურობდა 1878-1881 წლებში. დავით წერეთელი მაჭახლის ხეობის შესახებ პერიოდულად ცნობებს უგზავნიდა გაზეთ „დროება“-სა და „ივერია“-ს გამომცემლობებს.

ყურადღების ღირსია სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის ცნობები მაჭახლელთა შესახებ. მას საკმაოდ კარგად აქვს დახასიათებული მაჭახლელთა გარეგნობა, ბუნება და საქმიანობა.

მაჭახლის ხეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმ პერიოდის პრესა: „დროება“, „ივერია“, „Кавказ“, „საქართველო“.

მაჭახლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მეფის რუსეთის დროინდელი სახელმწიფო მოხელეები: უილიამ ჯიფორდ პალგრევი, ალექსანდრე ფრენკელი და ვალერიან ლისოვსკი. მათ მიერ წარმოდგენილი ცნობები ფრიად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XIX ს-ის მაჭახლის ხეობის შესახებ.

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ვლადიმერ ჯაველიძის ჩანაწერები, რომელიც 1932 წლიდან მუშაობდა აჭარისაღმართის სასოფლო თემის რაისკოლის გამგედ.

მაჭახლის ხეობის შესწავლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარქივო დოკუმენტაცია, სადაც არის დაცული 1921-1990 წლების აღმასკომის, კოლექტივის, პარტიული და განათლების მასალები ოქმების სახით.

დიდი წვლილი შეიტანეს მაჭახლის ხეობის წარსულის შესწავლაში პროფესორებმა: ნოდარ კახიძემ, ბიჭიკო დიასამიძე, ზაზა შაშიკაძემ, ოთარ თურმანიძემ და როინ მალაყმაძემ, მათ მიერ გამოცემული ნაშრომები საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მაჭახლის ხეობის შესწავლაში.

ამავდროულად საინტერესოა მოსახლეობის ზეპირი გადმოცემები, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ხეობის შესახებ.

I მაჭახლის ხეობის გეოგრაფიის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ძეგლების მოკლე მიმოხილვა.

1. მაჭახლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული გეოგრაფია, საზღვრები, ურთიერთობა მეზობელ მხარეებთან (აჭარა, შავშეთი).

ა. გეოგრაფიული მდებარეობა.

მაჭახლის ხეობა მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მაჭახელას ხეობის გასწვრივ. ადმინისტრაციულად მაჭახლის თემი მიეკუთვნება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც თავის მხრივ შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაჭახლის ხეობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ქედის მუნიციპალიტეტი, ხოლო მისი სამხრეთი საზღვარი კი თანხვდება საქართველოს სახელმწიფო საზღვარს თურქეთის რესპუბლიკასთან.

მაჭახლის ხეობა იწყება სოფელ მაჭახლისპირიდან და მიჰყვება მდინარე მაჭახელას. ხეობა 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე ორად არის გაყოფილი, საკმაოდ დიდი ნაწილი ხეობისა 6 სოფლით (ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ქვაბითავი, ზედვაკე, ეფრატი) თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია დარჩენილი. მანძილი სოფელ მაჭახლისპირიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე (მთელი სიგრძე საქართველოს იურისდიქციაში დარჩენილი მაჭახლის ხეობისა) 16 კილომეტრია.

მაჭახლის თემი შედგება 10 სოფლისაგან. ეს სოფლებია: სინდიეთი, ქედქედი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ქოქოლეთი და ქვედა ქოქოლეთი.

თემის მთლიანი ტერიტორია მოიცავს 10600 ჰექტარს (106 კვ.კმ.), აქედან 2015 წელს ჩატარებული დემარკაციის მიხედვით, 7333,18 ჰექტარი მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრებშია მოქცეული **(ტექნიკური რეგლამენტი მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა. თავი II. გვ.2)** მაჭახელას თემის ცენტრს წარმოადგენს სოფელი

აჭარისაღმართი, რომელიც მდებარეობს მდინარე მაჭახელას ორივე ნაპირზე, ზღვის დონიდან საშუალოდ 300 მ სიმაღლეზე.

თემის ტერიტორია რაიონული ცენტრიდან (დაბა ხელვაჩაური) საშუალოდ 18 კილომეტრით არის დაშორებული. გზა მოასფალტებულია და მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს, გამონაკლისს წარმოადგენს უხვთოვლიანი ზამთარი, რომლის პირობებშიც შესაძლებელია მოძრაობა შეფერხდეს 1-2 დღით. სოფლებიდან ქალაქ ბათუმის მიმართულებით მოძრაობენ სამარშრუტო მიკროავტობუსები.

მაჭახლის ხეობის ტერიტორია რთული გეოლოგიური აგებულებით ხასიათდება. იგი მდებარეობს შავშეთის ქედის სამხრეთ განშტოებაზე. ოროგრაფიულად იგი გამოირჩევა საკმაოდ რთული და დანაწევრებული რელიეფით. ლანდშაფტი აქ გამოხატულია საშუალო მთიანეთის ქედების სახით. ეს ტიპური მთიან-დანაოჭებული რელიეფია, რომელიც ინტენსიურად არის დანაწევრებული მდ. მაჭახელას და აჭარისწყლის გვერდითი შენაკადების ვიწრო და ღრმა ხეობებით. უმეტეს შემთხვევაში ხეობათა ფერდობები ციცაბოა (40°-70°), ზემო და შუა დინებაში მდ. მაჭახელას ხეობა ვიწროა და უმთავრესად V-სებრი მოხაზულობა აქვს. აბსოლუტური სიმაღლის მაჩვენებელი ვარირებს 50 მ-დან (სოფელი ქედქედი) 2000 მეტრის ფარგლებში. ტერიტორიის ასეთი ფართო განფენილობა აბსოლუტური სიმაღლეების მიხედვით განაპირობებს, ბუნებრივი პირობების მთელი რიგი კომპონენტების მრავალფეროვნება **(CENN. რესურსების ინტეგრირებული მართვა.2008 წ. გეგმა. გვ. 7)**.

ადგილობრივი კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და რელიეფის ხასიათზე. ამასთან კლიმატის ჩამოყალიბებაში განსაზღვრულ როლს ასრულებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობა, როგორიც შავი ზღვაა. საშუალო წლიური ტემპერატურა აქ +16° — +18°-ია. ზამთარი რბილია და ნალექიანი, მინიმალური ტემპერატურა აქ -10°-ია, ზაფხული ცხელი, მაქსიმალური ტემპერატურა +40°-ს აღწევს. ნალექების წლიური რაოდენობა საკმაოდ მაღალია და 2000 მმ-ს აღწევს **(CENN. იქვე. გვ.8)** .

ბ. ისტორიული გეოგრაფია, საზღვრები, ურთიერთობა მეზობელ მხარეებთან (შავშეთი, აჭარა).

მაჭახლის სახელწოდების წარმომავლობა დღემდე მეცნიერულად სათანადოდ დადგენილი არ არის. ჩვენი აზრით, იგი უნდა მომდინარეობდეს ამავე სახელწოდების ტომის სახელიდან და ამდენად იგი სატომო სახელს უნდა უკავშირდებოდეს *(ჯახიძე, 2007:20).* ანალოგიურია მეზობელი შავშეთის, კლარჯეთის სახელწოდებები, რომლებიც აქ მცხოვრები შავში და კლარჯი ტომების სახელიდანაა მიღებული. „მიჭიხიანის“ სახელითაა მოხსენიებული მაჭახელი „სამცხე საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების აღწერაში“*(იქვე)*. მიჭიხიანი მტბევარის (ტბეთის) სამწყსოს შემადგენლობაში შედიოდა*(იქვე)*. რუსი ოფიცერი პეტრე იურჩენკო, რომელიც მაჭახელში მოგზაურობისას ახლდა გუბერნატორ კომაროვს, რუსულ გაზეთ „კავკაზის“ 1881 წლის ერთ-ერთ ნომერში წერდა: **„იშვიათია სადმე ნახო მთის ბუნების ისეთი ულამაზესი სურათი, რომელიც აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდება, საჭიროა შენი თვალით ნახო, რომ დარწმუნდე ამ კუთხის მშვენიერებაში“** *(იქვე)*.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მაჭახელი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში. საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა ხეობის საზღვრებიც, მაჭახელი, პერიოდულად ხან აჭარის, ხანაც შავშეთის იურისდიქციაში ექცეოდა, რომელიც თავის მხრივ ხან დიაოხისა თუ კოლხეთის, ლაზეთისა თუ იბერიის შემადგენლობაში შედიოდა. ამიტომაც საკმაოდ რთულია ხეობის ისტორიული გეოგრაფიის ზუსტი დადგენა. მიუხედავად ამისა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცდებით მეტ-ნაკლები სიზუსტით აღვწეროთ ის საზღვრები, რომელშიც მაჭახელი იყო მოქცეული საუკუნეების განმავლობაში.

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში დღევანდელი აჭარის ტერიტორია შესაძლებელია ერთ მთლიან ეკონომიკურ რეგიონად წარმოვიდგინოთ, რომელიც ცალკეულ ხევთა შერწყმის შედეგად წარმოიქმნა. თუ გავიხსენებთ ძვ.წ. IX და VIII საუკუნის პირველ ნახევარში ურარტულ წარწერებში მოხსენიებულ „ქვეყანა შავშეთისა“ (შავშეთი) და „ქვეყანა ზაბახისა“ (ჯავახეთი) რომელიც „ქვეყანა დიაოხის“ (ტაო) მოკავშირეები არიან, საფიქრებელია მაჭახელიც ამ ქართული ქვეყნების გაერთიანებაში უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა ქართლის (იბერიის) სამეფო, რომლის შემადგენლობაშიც საფიქრებელია, რომ მაჭახლის ხეობაც შედიოდა. „ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ საუბრისას გადმოგვცემს, რომ მან ერისთავთა განწესების დროს „ერთი გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტისთავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“*(ქც. 2008:44)*.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ანდრია პირველწოდებულის პირველი შემოსვლა საქართველოში: წმინდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“*(ქ.ც. I, 1897:54)* . პირველ ყოვლისა, წყაროს ცნობიდან ყურადღებას იპყრობს „ქუეყანა ქართლისა დიდაჭარა“, რომელიც, ცხადია, მთლიანად აჭარისწყლის ხეობას უნდა გულისხმობდეს. ამდენად, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს გამოთქმული ვარაუდი, რომ „მცირე აჭარა“ ზღვისპირა დაბლობს ეწოდებოდა *(სდსინ აჭარა, I, 2007:91)*. საინტერესოა, მაჭახლის ხეობა რომელი მათგანის შემადგენლობა შედიოდა, „დიდაჭარაში“ - რომელიც ქართლის შემადგენლობაში შედიოდა, თუ „მცირე აჭარაში“, რომელიც ეგრისის შემადგენელი ნაწილი იყო. როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასლის პერიოდში და შემდეგაც, მოგვიანებით VII საუკუნეში მაჭახელი ქართლის შემადგენლობაშია, ამას ადასტურებს ვახუშტის მიერ შედგენილი ისტორიული რუკები და VII საუკუნის სომხური წერილობითი წყარო „აშხარაცუიცის“ რედაქციიდან. ამ წყაროს მიხედვით, „ჭოროხი მოედინება სპერიდან, თუხარისის ციხესთან შედის კლარჯეთში, ხოლო აქედან ეგრისში, ნიგალის, მურღულის და მრიტის (მირვეთის) ხევების გავლით-პონტოს ზღვაში“*(სდსინ, 2007:92)*. წყაროდან აშკარად ჩანს რომ აქ მოყვანილია ჭოროხის მარცხენა სანაპიროს სოფელი მირვეთი, რომელიც ეგრისს ეკუთვნოდა. ეგრისშივე შედიოდა აჭარაც. რაც შეეხება მარჯვენა სანაპიროს სოფლებს აქ არ არის ნახსენები. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მაჭახლის ხეობა ქართლის შემადგენელი ნაწილი იყო.

VIII საუკუნიდან მაჭახელი კლარჯეთის საერისთაოშია, ხოლო X საუკუნიდან აჭარის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ქართლის ერთ-ერთი საერისთავოა და რომლის შესახებაც ცნობას კონსტანტინე პორფიროგენეტი გვაწვდის *(„გეორგიკა“, IV, 1941:276,277,291)*.

XI საუკუნიდან მაჭახელი აბუსერისძეთა სამფლობელოების გამგებლობაში ჩანს და ერთიანი საქართველოს შემადგენელი ნაწილია. როგორც „მატიანე ქართლისაი“ გვატყობინებს - „...აბუსერი, ერისთავი არტანუჯისაჲ, და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყუერისა ციხის პატრონი“*(ქ.ც. 2008:284)*. ამ ამონაწერიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აბუსერი არა მხოლოდ არტანუჯის, არამედ ხიხათა და ციხისჯუარის ერისთავიცაა. ამას გვაფიქრებინებს მისი ჩამომავლობის მოხსენიება ერისთავთ-ერისთავებად *(აბუსერისძე ტბელი, თბ. 1941:20,66,67,69)*. თუ ეს ასეა, მაშინ აბუსერი, ფაქტობრივად, აჭარის ერისთავიც უნდა ყოფილიყო.

XI-XIII საუკუნეებში მაჭახლის ხეობა ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და აბუსერისძეთა სამფლობელოს წარმოადგენს.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მაჭახელი სამცხის სპასალარების (შემდეგ ათაბაგების) შემადგენლობაშია: „ამათ ჟამთა შინ განდიდდა სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა... მაშინ ბექამან დაიპყრა ქვეყანა ტასისკარითგან კარნუ-ქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისხევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტაანნი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“ *(ქ.ც. 2008:612-613)*. ამ პერიოდში ზღვისპირეთი ბათუმით გურიელის სამფლობელოს წარმოადგენდა, რომლის შესახებაც ტრაპეზუნტელი ქრონისტი მიქელ პანარეტოსი გვატყობინებს *(მიქელ პანარეტოსი, 1960:40,81,82)*.

XV-XVI საუკუნეებისათვის აჭარის, როგორც ზღვისპირა ასევე მთიან ტერიტორიებზე გურიელი აცხადებს პრეტენზიას, აღნიშნული ტერიტორიები მუდმივ სადაო საგანს წარმოადგენს გურიელსა და ათაბაგს შორის.

1550 წლის 8 დეკემბერს ტრაპიზონის ბეგლარბეგის მუსტაფა ფაშას მეორე ლაშქრობის (რომელიც გონიოს ლაშქრობის სახელწოდებითაა ცნობილი) დროს მაჭახლის ხეობა ოსმალთა მფლობელობაში აღმოჩნდა *(შამიკაძე, 2007:28)*. ხარიტონ ახვლედიანი 1552 წლით ათარიღებს მაჭახლის ხეობის აღებას *(ახვლედიანი, 1956:18)*. მას აქვე მოყვანილი ყავს სამცხე-საათაბაგოს მთელი ტერიტორია, რომელიც დაყოფილია სანჯაყებად. ერთ-ერთ სანჯაყს მაჭახელი წარმოადგენს *(ახვლედიანი, 1956:27-28)*. 1556

წლიდან მაჭახელის სანჯაყი არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენელი ნაწილია *(შაშიკაძე, იქვე)*.

1579 წლის 25 ივლისს სულთანმა დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო და პირველ ბეგლარბეგად გამაჰმადიანებული მანუჩარი, ახლა უკვე მუსტაფა ფაშა დანიშნა. როგორც ჩანს, ქართული პროვინციები ძირითადად ჩილდირის საბეგლარბეგოში იქნა გაერთიანებული. 1609-1631 წლებში მაჭახლის სანჯაყიც იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით ჩილდირის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში იყო *(იქვე)*. ამასვე ადასტურებს ევლია ჩელების მიერ მოყვანილი წყარო ჩილდირის ვილაიეთის შესახებ, სადაც მოყვანილი 13 სანჯაყიდან ერთ-ერთი მაჭახელია *(ევლია ჩელები, I, 1971:299)*.

ვახუშტი ბაგრატიონი, თავის აღწერაში, ეხება რა საქართველოს ყველა რეგიონს, მაჭახლისა და იმერხევის ხეობები მას ცალკე არ აქვს აღწერილი და შავშეთის ფარგლებში აქცევს: „და ზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მასზედა გზანი ერუშეთს, ფოცხოვის ხეობას დაზარზმა-ყულს. სამხრით ზღვრისკლდე არტანუჯისა და შავშეთს შორის, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კნინღა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა ვითარცა კარი, და თვინუერ მისისა არა არს გზა; დასავლეთით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი, ჩრდილო მთა, არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი...“ *(ვახუშტი, 1973:679-680).*

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ ახალციხის საფაშო 24 სანჯაყად იყოფოდა, სადაც ერთ-ერთ სანჯაყად მაჭახლის ხეობაცაა მოხსენიებული.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, მაჭახლის ხეობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. მისი საზღვრებისა და სოფლების შემადგენლობაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან დავით წერეთელი და ზაქარია ჭიჭინაძე.

დავით წერეთელის აღწერაში ვკითხულობთ: „მაჭახელი მდებარეობს ორ წყალ შუა, აჭარისწყალი შეუერთდება ჭოროხს და იწყება მაჭახელი. მარცხნით ჭოროხი, , სადაც გაღმა სახლობენ მცხოვრებლები მარადისა - 30 სოფელი; მარჯვნივ აჭარისწყალი, რომელიც გაყოფს მაჭახელას აჭარასაგან. თვით მაჭახელი იყოფა ორ

ქედად და შუაში ჩამოდის მაჭახელის წყალი. ორივე მხრით მთებში დგანან ხალხი, რომელიც შესდგება 26 სოფლისაგან, სოფლები რომ გათავდება, იწყება უდაბური ტყე. ამ ტყეს ეწეოდება მარჯვენა მხარეს კორდა და მარცხენა მხარეს ლეკობანი. ეს ტყე და მაჭახელა გათავდება შავშეთის საზღვარზე“ ***(წერეთელი, 1878:8)***.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით - „ბათუმიდამ მაჭახლის უკანასკნელ სოფელ ეფრატამდე სამოცდაათი ვერსი (74.2 კმ) ითვლება, ოცდაათი ვერსი ცხენით სავლელი და დანარჩენი ფეხით, რადგან გზა ძლიერ ვიწრო კლდიან ალაგას გადადის და ამიტომ ერთ კაცსაც უჭირს გავლა. მაჭახელს აღმოსავლეთით უძევს აჭარა, დასავლეთით - ლივანა, სამხრეთით - არტანუჯი და დიდებული კარჩხლის მთები და ჩრდილოეთით -ჭანეთი“ ***(ჭიჭინაძე, 1913:187, ჭიჭინაძე, 1893:3)***.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის არმიის მთავარმართებელ გენერალ-ფელდმარშალ მიხეილის მიერ დამტკიცებულ იქნა ბათუმის ოლქის მმართველობის დროებითი დებულება. ამის მიხედვით ბათუმის ოლქი იყოფოდა 4 ადმინისტრაციულ ერთეულად: ბათუმის სანავსადგურო ქალაქად და სამ ოკრუგად, რომელიც შედგებოდა უბნებისაგან:

1. ბათუმის ოკრუგი: თვით ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უბნებისაგან.
2. ართვინის ოკრუგი: ართვინის, არტაანისა და შავშეთ-იმერხევის უბნებისაგან.
3. აჭარის ოკრუგი: ზემო აჭარის, ქვემო აჭარისა და მაჭახლის უბნებისაგან ***(ახვლედიანი, 1978:165)***.

როგორც ვხადავთ მაჭახლის ხეობა XIX საუკუნის ბოლოსათვის აჭარის ოკრუგის შემადგენელი ნაწილია და მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს.

მაჭახელს ოდითგანვე მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა მეზობელ მხარეებთან. ყოველივე ამას ნათლად ასახავს მაჭახლის ხეობაზე გამავალი გზების მნიშვნელობა და თაღოვანი ხიდების სიმრავლე. თავისი დროისათვის მაჭახლის ხეობით უკავშირდებოდა შავშეთის მოსახლეობა ბათუმს. მაჭახელზე გამავალი გზა უმოკლესი იყო იმ გზებს შორის, რომელიც შავშეთიდან ბათუმისაკენ მიემართებოდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს იყო რთული გზა, ხიფათით აღსავსე, ჯერ თავისი რელიეფითა და ვიწრო გზებით და ამავდროულად, ძარცვითა და ყაჩაღობით

ცნობილი მაჭახლელი ავაზაკებით, რომლებიც უმოწყალოდ უსწორდებოდნენ საცოდავ მგზავრებს *(ყაზბეგი, 1995:92. წერეთელი, 1878:8)*.

ასევე მაჭახლის ხეობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც ზემო, ასევე ქვემო აჭარასთან (ბათუმის ზღვისპირეთთან). მაჭახელი ქვემო აჭარასთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვიდრე სხვა მეზობელ მხარეებთან (ზემო აჭარა, შავშეთი, იმერხევი).

ისტორიკოსებს შორის დავის საგანია თუ რომელ მხარეს ეკუთვნოდა და ვის შემადგენლობაში შედიოდა ისტორიული მაჭახელი. პავლე ინოროყვა მაჭახლის ხეობას შავშეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა *(ინგოროყვა, 1954:96)*, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ მაჭახელი, წერილობითი წყაროებით ტბეთის ეპარქიის შემადგენელ ნაწილად ჩანს. ემერიტუს პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე თვლის, რომ: თუ ამ მიდგომით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ აჭარაც შავშეთის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს, რადგან „განგება დარბაზობისა“, რომლის ძირითადი ნაწილი XII-XIII ს-ის დასაწყისის ქრონოლოგიურ ჩარჩოს მოიცავს, შავშეთისა და აჭარის ტერიტორიებზე მხოლოდ ტბეთის ეპარქიას ასახელებს და ითვლება, რომ მის სამწყსოში შედიოდა შავშეთი და აჭარა *(დიასამიძე, 2017:18)*. მოგვიანებით ტბელის სამწყსოში მოგვიანებით სხვა ტერიტორიებიც შედიოდა, ასე რომ ქვეყნის ეპარქიული დაყოფა არ შეიძლება ყოველთვის ემთხვეოდეს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას.

დავით წერეთელი, რომელიც 1878-1881 წლებში მაჭახლის ხეობის საპოლიციო უბნის უფროსად მუშაობდა, მაჭახლელებს საერთოდ გურულებთან აიგივებდა: „მაჭახელში იქნება 2 500 მოსახლემდინ. მცხოვრებნი არიან წმინდა გურულები. ცხოვრობენ მტაცებლობით. ესენი ცარცვავენ შავშეთლებს, აჭარლებს და მეტადრე მარადიდლებს, რომლებიც უმეტესი ნაწილი ვაჭრები არიან *(წერეთელი, 1878:8),* თუმცა, მოგვიანებით, ის აზრს იცვლის და ამბობს: „თუმცა წინეთ ვთსქვი, მაჭახლელები წმინდა გურულები არიან-მეთქი, მაგრამ შემცდარი ვარ: გურულებს უფრო ქობულეთლები გვანან, მაჭახელი კი იმერელს ჰგავს ლაპარაკით, მოქმედებით და თითქმის ყოველი ხასიათით“ *(წერეთელი, 1879:3).* ტიპობრივად და ენით გურულებთან აიგივებს მაჭახლელებს რუსი სამხედრო პირი, გენერალური შტაბის ოფიცერი

ვალერიან ლისოვსკიც *(ლისოვსკი, 2015:70-71)* ეს არც არის გასაკვირი, რადგან სწორედ გურულებთან შეეძლოთ მათი შედარება.

ასევე საინტერესო და გასათვალისწინებელია დავით წერეთლის აზრი მაჭახლელთა წარმომავლობის შესახებ: „მაჭახელა არ ჰგავს არც ქობულეთს, არც აჭარას, არც შავშეთს, არც მარადიდს, არც ჯანეთს (ჭანეთს) და არც ლივანას. როგორც ხასიათით, ისე ადგილის მდებარეობით და ისტორიული ცხოვრებით ის განსხვავდება ამ ქვეყნებისაგან; განსხვავდება და შეადგენს სრულიად განსაკუთრებულ ხალხს და საინტერესოსაც მრავალს ვიპოვნით მათ ცხოვრებაში“ *(წერეთელი, 1878:2)*.

მაჭახლელთა ბუნებისა და ხასიათის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი: „მაჭახლელები არიან მარდები და ლამაზნი. იარაღი თითქოს იმათის ტანის ერთი რამ ბუნებით კუთვნილებააო... მაჭახელი მშიერი დარჩება, თავს მოიკლავს, მაგრამ იარაღს ვერ მოიშორებს. შურის და სისხლის ძიება ამათთვის წმინდა საქმეა. მაჭახლელების საზრდოს წყარო - მტაცებლობაა, დავლაა... *(ასლანიშვილი-ბავრელი, 1879:78)*.

მოყვანილ წყაროებს თუ დავუკვიდრებით მაჭახელს და მაჭახლელებს შავშეთთან ვერაფრით დავაკავშირებთ. პირველყოვლისა - ზემოთ მოყვანილი წყაროს მიხედვით ლამაზ და მარდ მაჭახლელებს, რომლებსაც სისხლში აქვთ გამჯდარი იარაღისადმი სიყვარული, ახასიათებთ, მებრძოლი ხასიათი, შურისძიება და მტაცებლობა, არაფრით არ შეიძლება შევადაროთ შავშებს, რომლებიც მაჭახლელებისაგან განსხვავებით „მსხვილნი და დაბალის ტანისანი არიან, ამასთან ყველანი დამუნჯებულნი დადიან. ოც კაცში რომ მოგიხდეთ მგზავრობა, საღამომდის ორ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ. თუ ჰკითხეთ რამე, იშვიათად ეღირსებით პასუხს. თუმცა ქართული ენა იციან, მაგრამ ლაპარაკი ძალიან ეზარებათ. იმათ სახეზე ვერაფრით მწუხარებასა და სიხარულს ვერ გამოიწვევთ *(გორგაძე, 1902:3)*.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას გვაწვდის ჯიფორდ პალგრევი. იგი აღნიშნავს: „ზოგადი თვისებებით მაჭახელი ემსგავსება ქვემო აჭარას, ხალხი ლამაზი და კარგი აგებულებისაა, ნაკლებად მუყაითი, ვიდრე ქვემო აჭარაში. მიწის დამუშავების მიხედვით მაჭახელი ნაწილობრივ ზემო აჭარას, ნაწილობრივ ქვემო აჭარას ემსგავსება *(პალგრევი, 2012:96-97)*.

პალგრევი მაჭახელზე საუბრისას მის მეზობელ მხარეებსაც (ფოცხოვი, ჩილდირი, შავშეთი) ახასიათებს და უნდა აღინიშნოს, რომ ის ფოცხოვს, შავშეთსა და ჩილდირს მათი კლიმატისა და საქმიანობის მიხედვით ერთ ოლქში აერთიანებს, ხოლო მაჭახლის ხეობას აჭარაში ათავსებს *(პალგრევი, 2012:93)*.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნში „ქართველ მუჰაჯირთ შთამომავლები თურქეთში“ ვკითხულობთ - „მიუხედავად იმისა, რომ იმერხევსა და მაჭახლის ხეობას შორის ბუნებრივი ზღუდე საკმაოდ დიდია (კარჩხალის მთაზე, კოტელას გადასასვლელით უკავშირდება იმერხევი მაჭახელს), შავშეთ-იმერხევი და მაჭახელი ოდითგანვე ერთ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა“ *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:7-8).*

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, ის გარემოება, რომ მაჭახელი რელიეფურად, ქვემო აჭარასთა უფრო ახლოსაა, ვიდრე შავშეთი, რომელიც 4-5 თვის განმავლობაში დიდთოვლობის შედეგად საერთოდ მოწყვეტილია ბათუმთან კავშირს *(გორგაძე, იქვე)*, და ამავდროულად, მაჭახლის ხეობის როგორც ბუნებრივი პირობები, ასევე მეურნეობრივი განვითარება თითქმის იდენტურია აჭარასთან. სწორედ ეს მაჩვენებლები, აკად. ბერძენიშვილის აზრით, უდევს საფუძვლად ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას, რომელსაც ასევე ითვალისწინებს ემერიტუს ფროფესორი ბიჭიკო დიასამიძე და თვლის, რომ ლოკალური განსხვავების მიუხედავად, მაჭახლის ხეობის დასახლების ფორმები, სამეურნეო საქმიანობა, ჩაცმულობა, სამზარეულო, მეტყველების ფორმები ახლოს დგას აჭარასთან (მაჭახლური მეტყველება მსგავსებას ამჟღავნებს, ერთი მხრივ იმერხეულთან, მეორე მხრივ კი ქვემო აჭარულთან)*(დიასამიძე, 2017:19)*.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ და შევაჯერებთ, აქედან გამომდინარე შეგვიძლი დავდოთ ჩვენეული არგუმენტირებული დასკვნა და ვთქვათ, რომ მაჭახლის ხეობა თავისი ტრადიციითა და კულტურით, მცხოვრებთა აღნაგობით, ჩაცმულობით, ცხოვრების წესით, მიწის დამუშავების კულტურით, ეთნოგრაფიულად უფრო აჭარის შემადგენელი ნაწილია, ვიდრე სხვა რომელიმე მხარისა, მიუხედავად სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ამ ხეობის მათთან ადმინისტრაციულად მიერთებისა.

ამავდროულად უნდა დავამატო, რომ ასლანიშვილ-ბავრელის ცნობა, რომელშიც მეტ-ნაკლებად უარყოფითად არიან დახასიათებული მაჭახლელები, სადაც ბავრელი საუბრობს მათ მტაცებლობასა და ცხოვრების ყაჩაღურ წესსზე არ შეიძლება სანდოდ მივიჩნიოთ. შეიძლება იყო მსგავსი რამოდენიმე შემთხვევა, გვაქვს ნარატიული ცნობები ბათუმიდან შავშეთს მიმავალი შავშების გაძარცვისა და დაყაჩაღების შესახებ (ნაგერვაძე.ჯ), მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია და ამით მაჭახლის ხეობის ყველა მოსახლეს ვერ დავადანაშაულებთ მტაცებლობაში. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაჭახელი იმ დროისათვის მიუვალი და ყაჩაღთათვის კარგი თავშესაფარი იყო, სადაც სხვადასხვა ჯურის მძარცველები თუ ავაზაკები აფარებდნენ თავს, ამის არაერთი მაგალითი არსებობს, როდესაც ყაჩაღები თვით მაჭახლის სოფლებსაც დასხმიან თავს და დაუტაცნიათ წლობით ნაგროვები ქონება და დოვლათი (საქ.15, ფურც.206). ასე, რომ ერთი ხელის მოსმით მაჭახლელთა ყაჩაღ-მტაცებლებად მოხსენიება არ არის გამართლებული და მიუღებელია.

2. მაჭახლის ხეობის უძველესი დასახლებები, ტოპონიმები ხეობის ძველმოსახლეთა გვარები.

ა. მაჭახლის ხეობის უძველესი დასახლებები.

მაჭახლის ხეობა ოდითგანვე მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. მოსახლეობა უმთავრესად მთიან ზოლში ყოფილა დასახლებული, ამას ცხადლივ მოწმობს ის ნასახლარები, რომელიც მრავლად არის ნაპოვნი მჭახლის ხეობაში (სკურდიდი, აჭარისაღმართი, სინდიეთი).

მაჭახლის ხეობის დასახლებებთან დაკავშირებით საინტერესო წყაროს გვაწვდის „ტბეთის სულთა მატიანე“, სადაც დაცულია ცნობები იმ შემომწირველთა შესახებ, რომლებმაც მოილოცეს ტბეთის ტაძარი და შესაწირავი გაიღეს ტბეტის ტაძრისათვის. მატიანეში მოყვანილია შემომწირველთა გვარები, სოფლები, ადგილთა სახელები (ტოპონიმები), რომელიც საინტერესო წყაროს წარმოადგენს ჩვენთვის.

„ტბეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებული გეოგრაფიული ადგილების დიდი ნაწილი მაჭახლის ხეობაში მდებარეობს. მაჭახლის ხეობა ამჟამად ორადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი , წოდებული ზედა მაჭახელად, მოქცეულია თურქეთის ფარგლებში. მასში შედის სოფლები: ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ქვაბითავი, ზედვაკე და ეფრატი (ევფრატი). ზედვაკე - „ყოველთა ზედვაკით შემომწირველთა...“*(ტსმ 1977, მოსახ.32)*, ევფრატი - „ყოველთა ევფრატით შემომწირველთა...“ *(181)*, ჩიქუნეთი - „ყოველთა ჩიქუნეთით შემომწირველთა...“ *(46)*, ჩხუტუნეთი - „ყოველთა ჩხუტუნეთით შემომწირველთა...“ *(119)*, ხერთვისი - „ყოველთა ხერთვისით შემომწირველთა...“*(ტ186)*, აკრია - „...ჯოისძის ნანასასა და მისისა მეუღლესა აკრიელისა შეუნდვენ ღმერთმა“ *(ტ7)*, კილნათი - „სულსა კილნათელისა თათნასძისა მიქაელის შეუნდვენ ღმერთმან“ *(581)*. მატიანეში მოხსენიებული სოფელი კილნათი (კირნათი), მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე მაჭახლის ხეობის ნაწილი იყო, როგორც სხვა დანარჩენი სოფლები: ქვედა ხერთვისი, მაჭახლისპირი, მილისი, ნამლისევი, უჩხითი, გვარა, მაღლაკონი, ჭალახმელა.

მატიანეში მოხსენიებულ ზოგიერთ გეოგრაფიულ ადგილებში ამჟამად ვხვდებით ტოპონიმებსა და მიკროტოპონიმებს (უმთავრესად სოფლის ცალკეულ უბნებს), რომლებიც წარმოდგენილია ძეგლის მოსახსენიებლებში აღნიშნული გვარებიდან. ასეთებია:

სოფ. ზედა ჩხუტუნეთის უბნრბი: გვიანეთი - გვარიდან გვიანეთი, გუიანისძე *(394,473)*, დავითეთი - გვარიდან დავითისძე, დავითაძე *(56,505)*, ძნელიეთი - გვარიდან ძნელასძე *(284)*, ცხადიეთი - გვარიდან ცხადაეთი *(386)*.

ხერთვისის უბნები: თევთიეთი - გვარიდან თევთიეთი, თევთისძე *(202, 214, 580)*, ქავთარეთი - გვარიდან ქავთარასშვილი *(25)*.

სოფ. ჩიქუნეთის უბნები: ბასილეთი - გვარიდან ბასილისძე *(98)*, კირკიტეთი - გვარიდან კირკიტული *(156, 164)*, სიკალეთი - გვარიდან სიკალაეთი *(242, 243)*, ქოქოლეთი - გვარიდან ქოქოლაური *(350)*, ხინკილეთი - გვარიდან ხინკილასძე *(45)*.

ზედა მაჭახელში, სოფელ ევფრატში, რომელიც ხეობის უკიდურესი სოფელია და ესაზღვრება შავშეთს, გადმოცემით ამ სოფელთან ახლოს ყოფილა ადგილი,

რომელსაც ნაქალაქარს ეძახდნენ. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ჯარდენისძეები, ამ გვარის პირები მოხსენიებულნი არიან „ტბეთის სულთა მატიანეში“.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის მაჭახლის კაზაში შედიოდა 26 სოფელი, 1313 მოსახლე 4485 მცხოვრებით. მაჭახლის კაზას გააჩნდა 29 ჯამე, 32 მექთებე, 2 საყავე, 21 დუქანი, 99 წყლის წისქვილი *(კომახიძე, 2003:14).*

წყაროდან ირკვევა, რომ 1835 წლის ბოლოსათვის მაჭახლის სანჯაყში შედის 23 სოფელი, სადაც 1146 კომლია და 3831 მამაკაცი (ოსმალები მხოლოდ მამაკაცებს აღრიცხავდნენ) ცხოვრობს. ციფრებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან დოკუმენტი შედგენილია ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ადგილზე მოვლენილი სპეციალური კომისიის მიერ. მეტნაკლები სიზუსტით შესაძლებელია დადგინდეს მაჭახლის ხეობის მოსახლეობის სრული რაოდენობაც, თუ ვივარაუდებთ, რომ რამდენი მამაკაციცაა მოყვანილი აღწერაში, შესაძლებელია იმდენივე ქალი ყოფილიყო, მაშინ მაჭახლის მოსახელობის სრული რაოდენობა დაახლოებით 7 500 ან შესაძლებელია ცოტა მეტიც ყოფილიყო *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:21).*

თანზიმათის შემდგომ მაჭახელში, რომელიც არჰავეს საკაიმაკამოს მთავარ დასახლებას წარმოადგენდა, შედიოდა 25 სოფელი 9500 მცხოვრებით *(კომახიძე, 2003:15)*, ხოლო 1875 წლისათვის, ესე იგი აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან შეერთებამდე სამი წლისთ ადრე, მაჭახელში მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა 9060 სულს *(გაზ. „დროება“, 1875).* ამავე გაზეთის 1879 წლის მონაცემებით მაჭახლის უბანში ფიქსირდება 1400 კომლი *(გაზ. „დროება“ 1879).*

მაჭახლის ხეობის სოფლებისა და დასახლებების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მაჭახლის ხეობის საპოლიციო უბნის უფროსი დავით წერეთელი:

„მაჭახელა მდებარეობს ორ წყალ შუა აჭარის წყალი შეუერთდება ჭოროხს და იწყება მაჭახელი. მარცხნით ჭოროხი, სადაც გაღმა სახლობენ მცხოვრებლები მარადისა - 30 სოფელი; მარჯვნივ აჭარის წყალი, რომელიც გაყოფს მაჭახელას აჭარასაგან. თვით მაჭახელი იყოფა ორ ქედათ და შუაში ჩამოდის მაჭახელის წყალი. ორივე მხრით მთებში დგანან ხალხი, რომელიც შესდგება 26 სოფლიდგან.

აი სახელი მაჭახლის სოფლების: 1) მაჭახლისპირი, 2) სინდიეთი, 3) აჭარის-აღმართი, 4) ცხამლალა, 5) ჩიკუნელი (ჩიქუნეთი), 6) ხერთვისი, 7) მინდიეთი, 8) აკრია, ესენი არიან მაჭახელას წყლის მარჯვენა ქედზედ. მარცხენა ქედზედ: 9) კობალეთი, 10) კინათი, 11) გვარა, 12) ქედ-ქედი, 13) ჭანევრი, 14) ქვედა ჩხუტუნეთი, 15) ზედა ჩხუტუნეთი, 16) გორგაზეთი, 17) საფუთკრეთი, 18) ზედა-ვაკე, 19) ეფრატი, 20) ქვაბის თავი. მეორე გვერდზე მარჯვენა ქედისა აჭარის წყლისკენ: 21) ქვედა-ხერთვისი, 22) მაღლა-კონი, 23) ჭალახმელა, 24) უჩხეტი, 25) მელესი და 26) ნამელისევი *(წერეთელი, 1878:8)*.

დ. წერეთლის ინფორმაციით, 1878 წლის სექტემბრის ბოლოსათვის მაჭახლის ხეობის სოფლებში სულ 1409 კომლი ყოფილა. ცოტა მოგვიანებით, გაზეთ „დროების“ 1878 წლის 21 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - „მაჭახელა (ერთი თვალის გადავლებით)’ დ. წერეთელს მის დაქვემდებარებაში მყოფ მაჭახლის საპოლიციო უბანში მცხოვრებ კომლთა (მოსახლეთა) რაოდენობა გაზრდილი აქვს.

სოფლების მიხედვით ეს კომლები შემდეგნაირად ყოფილა განაწილებული:

1. მაჭახლისპირი - 50, 2. სინდიეთი - 46, 3. აჭარისაღმართი - 80, 4. ცხამლარა - 80, 5. ჩიქუნეთი - 103, 6. ხერთვისი - 80, 7. მინდიეთი - 120, 8. აკრია - 60, 9. ქვედა ხერთვისი - 30, 10. მაღლაკონი - 40, 11. ჭალახმელა - 30, 12. უჩხითი, 13. ეფრატი - 70, 14. მილისი - 30, 15. ნამლისევი - 25, 16. კობალეთი - 30, 17. კირნათი - 60, 18. გვარა - 35, 19. ქედქედი - 70, 20. ჭანივრი - 45, 21. ქვ. ჩხუტუნეთი - 80, 22. ზ. ჩხუტუნეთი - 70, 23. გორგაძეთი - 20, 24. საფუტკრეთი - 25, 25. ზედვაკე - 80, 26. ქვაბითავი - 30 *(ნიკოლეიშვილი, 2011:31).*

სოფლების გაზრდილ რაოდენობას ასახელებს ზაქარია ჭიჭინაძე. მას თავის ჩანაწერებში 35-დე სოფელი აქვს მოყვანილი: 1. გვარა, 2. ქედ-ქედი, 3. ჭანივრი, 4. აჭარის-აღმურთი, 5. ცხამლანი, 6. ჩუკუნეთი, 7. ჩხუტუნეთი, 8. ხერთვისი, 9. პატარა ხერთვისი, 10. მინდიეთი, 11. აგრია, 12. ევფრატი, 13. ქვაბის თავი, 14. ზედა ვაკე, 15. გორგაძეთი, 16. საფუტკრეთი, 17. სინდიეთი, 18. მაჭახლის პირი, 19. კირნათი, 20. მაღლაკონი, 21. ჭალახმელა, 22. უჩახითი, 23. მილისი, 24. ძნელიეთი, 25. ბაზარეთი, 26. კახიეთი, 27. სალიბაური, 28. ნაქალაქევი, 29. ოჯიბაური, 30. გოშპარეთი, 31. კეჟერეთი, 32. ხინკალეთი, 33. კირკიტეთი, 34. საყანური, 35. გვიანეთი. უნდა ითქვას, რომ მის

მიერ მოყვანილ წყაროში ბევრ შეცდომას ვნახულობთ - რიგი სოფლები მაჭახელს არ ეკუთვნის (სალიბაური, რაც შეეხება ტოპონიმს საყანური საერთოდ ვერ დავადგინეთ მისი სადაურობა), ხოლო ნაწილი მათგანი უბნების სახელებია (ძნელიეთი, ბაზარეთი, კახიეთი, ოჯიბაური, გოშპარეთი, კეჟერეთა, ხინკილეთი, კირკიტეთი, გვიანეთი) ***(ჭიჭინაძე, 1893:3, 1913:194-195-196)***.

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თედო სახოკია, რომელიც 1895 წლისათვის დეტალურად აღწერს მაჭახლის სოფლებს, კომლთა რაოდენობას, მოსახლეობის რაოდენობას სქესის მიხედვით ***(სახოკია, 1985:208)***:

სოფლები	**კომლი**	**მდედრობითი**	**მამრობითი**	**სულ**
1. უჩხითი	56	134	163	297
2. მილისი	28	71	76	147
3. ნამლისევი	19	54	70	124
4. მაჭახლისპირი	14	40	49	89
5. ქვ.ხერთვისი	18	42	54	96
6. აჭარისაღმართი	39	83	122	205
7. სინდიეთი	11	15	20	35
8. ქედქედი	17	35	43	78
9. ჭანივრი	17	41	35	76
10. ჩხუტუნეთი	72	127	150	277
11. გორგაძეთი	16	35	41	76
12. საფუტკრეთი	11	31	35	66
13. ჩიქუნეთი	66	209	208	417
14. ცხემლარა	9	24	17	41
15. ზ. ხერთვისი	45	84	77	161
16. ზედვაკე	25	57	59	116
17. ეფრატი	17	47	53	110
18. ქვაბითავი	11	31	45	76
19. მინდიეთი	73	137	162	304
20. აკრია	32	63	82	145

ჯიფორდ პალგრევი მაჭახლის ხეობაში 26 სოფელს ასახელებს, 1 908 კომლით. მისი ცნობით მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7 910 სულს შეადგენდა.

1873 წლის სტატისტიკური მონაცემებით მაჭახლის კაზაში ირიცხებოდა 4 785 სული *(გაზეთი „კვალი“, N36, 1898).*

ბ. ტოპონიმები.

მაჭახლის ხეობა მდიდარია ტოპონიმებით, სოფლები, რომლებიც მაჭახლის ხეობაში შედის იყოფა უბნებად, ხოლო უბნები სხვადასხვა დასახელების ადგილებად (ტოპონიმებად და მიკროტოპონიმებად).

აქაურ ტოპონიმებთან დაკავშირებით, თავისი დროისათვის საკმაოდ ნაყოფიერი შრომა ჩაატარეს პროფესორებმა იური სიხარულიძემ და რამაზ სურმანიძემ. რამაზ სურმანიძეს ძირითადად ყურადღება გამახვილებული აქვს ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმიკაზე, ხოლო იური სიხარულიძის მაჭახელთან დაკავშირებით მოყვანილი ინფორმაცია მწირია.

იური სიხარულიძეს თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს ტოპონიმები: საყანო ქედი (ს. ქოქოლეთი)*(სიხარულიძე, 1958:149)*, კეჟერეთა (ა. ქვ. ჩხუტუნეთი), ცხემლალა, ჭანივრი, გორგაძეთი, ჩექუნეთი (ჩიქუნეთი), ბაზიარეთი (ბაზარეთი), ოჯაბურა (ოჯიბაური, ოჯვაბურა)*(სიხარულიძე: 1958:155)*.

რამაზ სურმანიძის მიერ მოძიებული ტოპონიმები: ბასილეთი - ბერიყანა - დღესდღეობით სათესი ადგილი, გორგაძეთი - მონაზნაური - სათესი ადგილი, კოსტანეთი - ჯვართა - ტყე, სინდიეთი - თავრანგელო - ტყე-მთა, ქვ. ჩხუტუნეთი - ნაქილისევი - სოფლის უბანი, ჩიქუნეთი - ბერიყანა - ტყე, ჩიქუნეთი - ჯვარიღელე - ღელე, ხინკილეთი - ჯვარიღელე - მშრალი ღელე.

ზედა მაჭახელი (თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში):

ევფრატი - სახატე ღელე, ქვაბითავი - ინაწმინდა - ტყე, ნაქილისვარი, სალოცავი ღელე *(სურმანიძე, 2013:55)*.

კვლევა-ძიების შედეგად შევძელით მეტ-ნაკლებად სრულად მოგვეპოვებინა მაჭახლის ხეობაში შემავალი ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, რომლებიც სოფლების მიხედვით დავაჯგუფეთ.

სინდიეთი: სურიანი ქვა, ყავახანა, ტაბანი, წყარო, ზედვაკე (არ აგერიოთ სოფელ ზედვაკეში), ტოხიეთი, ყაიძირი, ყაითავი, ნატბევი, თავრანგელო (მთავარანგელოზი), ბუღელე, ჩირდილა (ჩრდილა), ლობიაჯიღლი ყანა, ზენგინოღლები, ჯამიკარი.

ქედქედი: ვაკე, შარა, ქედი, ჯამიკარი, დევაურა, ხეროღმა, საჭიკარტე, გვარა.

ჭანივრი: ზემოკალო, ორბაძეთი, ჩამოწყვედილი, საკოხია, ჯამიკარი, კოსლოპი, სასირე *(ნაგერვაძე)*.

აჭარისაღმართი: გორაქედი, გოშპარეთი, ნასკუმერა, ნაიცალევი, ჯამიკარი, სორტნალი, კოპლაძეები, ფარტენაძეები, ნაფლატი, კაპანი, აბანოღელე, აკვანათა, ქედი, საცრიქედი, წაბუცებული, ფიქლითავი, კაპანთხევი, ყაითავი, საფერვანი, ცივწყალი, ქოლიბაღჩა, საწნახელა (საწნეხიანი), ციცალა, პიტნაწყარო, ხორგნალი, კალოთქედი, ბეღელაძირი, ჩალეწილი, იაილიკარი, კვირიკავი, ჩირდილა (ჩრდილა, არ აგერიოთ სინდიეთის ჩირდილაში) *(კახიძე)*.

წიახი: ბალვანა, ბალვანათავი, სანისლია, ძლევი, ჩავარდნილი, ალიბეგი ვაკე, სხლიანი *(აბესლამიძე)*.

სკურდიდი: ზრუგენა, ნაკიტრევი, ქილიავნარი (ქლიავნარი), დიდღელე, ჩინჩალევი, ნაჯვალევი, უზავღელე, ნუკრავი, საღგორანი, მერე, პაწამთა, თოვლივაკე, წითელქედი, ავჟანდა (ავჯანდრა)*(კახიძე)*.

ცხემლარა (ცხემლალა): ქვახრიალა, ხუმრები, ციცინათელა, ბორგნალა, შავმორევა, გოგოძიები, დიდღელე (არ აგერიოთ სკურდიდის დიდღელეში), ყუი, განგზა, ფურნიღელე, ქედი, შოტიეთი, პირპილეთი, ლომანდედეს ქედი, მაზარევლა, სამზიარი *(ქოქოლაძე, მალაყმაძე)*.

ჩიქუნეთი: თავდიეთი, გორიეთი, ბასილეთი, ვაკე, ხინკილეთი, კირკიტეთი, ჩამახისური, ქოქოლეთი, ქვ. ქოქოლეთი, სიკალეთი, მანუცა, დოლაბეთა, იაილიკარი, ქვიტივი, ბერიყანა, ჯვარიღელე *(ქოქოლაძე)*.

ქვ. ჩხუტუნეთი: ნაქილისევი, ყალივაკე, ჩხავნარი, ბოლონწელა, ლუმბათი, ბადუყვეთი, ტალახურები, დავითეთი, მადენები, კარიმანი, კოსტანეთი, კეჟერეთა *(მალაყმაძე, ქოქოლაძე)*.

ზ. ჩხუტუნეთი: ღელიბოლო, ჭონჭყო, მერე, მამლიყანა, დავთეთი, ნაგერვეთი, გვიანეთი, ჯანავრა, ბარი, ქედი, ცხადიეთი, მუკულეთი (სავარაუდოდ მერკულეთი - მერკულაძე), ჩხერი, კახიეთი, საფუტკრეთი, ზ. საფუტკრეთი, კილდიკიკვინა (კლდე კრკვინა - ზ. ჭიჭინაძე), გორგაძეთი, მონაზნაური, ქავთარეთი, ზელიეთა *(კახიძე)*.

მაჭახლის ხეობაში შემავალი ტოპონიმები შეიძლება დავყოთ მისი წარმომავლობისა და დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად.

რელიგიასთან დაკავშირებული:

თავრანგელო (მთავარანგელოზი) - მთა, ტყე - სინდიეთი. ჯამიკარი - ჯამის ადგილი - სინდიეთი, ქედქედი, ჭანივრი, აჭარისაღმართი. ნაქილისევი - ნაეკლესიარი ადგილი - ქვ. ჩხუტუნრთი. ნაჯვალევი (ნაჯვარევი) - სათესი, ყანა - სკურდიდი. ბერიყანა - სათესი, ყანა - ჩიქუნეთი. ჯვარიღელე - მშრალი ღელე - ჩიქუნეთი. ჯვართა - ტყე - ქვ. ჩხუტუნეთი. მონაზნაური - ტყე - ზ. ჩხუტუნეთი.

მეურნეობასთან, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული:

ყავახანა - ყავეჯის (ა. წულაძე) ადგილი, საყავე ფუნდუკუ - სინდიეთი. ლობიაჯოღლი ყანა - სათესი, ყანა - სინდიეთი. ზემოკალო - სათესი, ყანა - ჭანივრი. ქოლიბაღჩა - სათესი, ყანა - აჭარისაღმართი. საწნახელა - ტყე - აჭარისაღმართი. ბეღელაძირი - ტყე - აჭარისაღმართი. იაილიკარი - ტყე, უბანი - აჭარისაღმართი, ქოქოლეთი. სხლიანი - ტყე - აჭარისაღმართი. ნაკიტრევი - უბანი - სკურდიდი. ქილიავნარი - ტყე -სკურდიდი. დოლაბეთა - ტყე - ჩიქუნეთი. ბერიყანა - სათესი, ყანა - ჩიქუნეთი. მამლიყანა - სათესი, ყანა - ზ. ჩხუტუნეთი. ხუმრები - ტყე -ცხემლარა. კეჟერეთა - უბანი - ქვ. ჩხუტუნეთი.

გვარებთან დაკავშირებით:

კოპლაძეები, ფარტენაძეები - აჭარისაღმართი. დავითეთი - ქვ. ჩხუტუნეთი. ნაგერვეთი, ძნელიეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, ქავთარეთი, ცხადიეთი - ზ. ჩხუტუნეთი. გორიეთი, ბასილეთი, კირკიტეთი, ხინკილეთი, ქოქოლეთი - ჩიქუნეთი.

გ. ძველმოსახლეთა გვარები.

მაჭახლის ხეობის ძველმოსახლეთა გვარების შესახებ პირველად წყაროს „ტბეთის სულთა მატიანე“ წარმოადგენს ამაზე ძველი წერილობითი წყარო დღემდე არ გაგვაჩნია. წყაროში მოყვანილი შემომწირველთა გვარების ფონზე შეგვიძლია გარკვეული ინფორმაცია მოგაწოდოთ ამ საკითხთან დაკავშირვებით.

„ტბეთის სულთა მატიანეში“ დამოწმებული გვარების სოციალური მდგომარეობის გარკვევას ართულებს მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის მოუხერხებლობა. ამასთან, ამ პირებზე მატიანეში ძალიან მცირე ცნობებია დაცული. ძეგლში შემორჩენილი მოსახსენებლების დიდი ნაწილი დაბალი ფენებიდან გამოსული შემომწირველები ჩანან. ესენი არიან უშუალო მწარმოებლები, რაზეც მიუთითებს ზოგიერთი გვარის წარმოება. მაგალითად მეფუტკრისძე - ნაწარმოები მეფუტკრიდან, მჭედლისძე - ნაწარმოები მჭედლიდან *(„ტბეთის სულთა მატიანე“, 1977:34)*.

მატიანე ძირითადად მაჭახლის ხეობის ხუთი სოფლის - ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის (ქვემო მაჭახელი), ეფრატის, ზედვაკის, ხერთვისის (ზემო მაჭახელი) შემომწირველებს ჩამოთვლის *(კახიძე, 1974:9)*. წყაროში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია ძე-ზე დაბოლოებული გვარები, შემდეგ ეთ-სა და შვილზე, უფრო იშვიათადაა: ურ-ი, ელი-ი, ულ-ი და სხვა სუფიქსებით ნაწარმოები გვარები. ხშირად ერთი და იგივე გვარი სხვადასხვა წარმოებითაა მოცემული *(„ტბეთის სულთა მატიანე“, 1977:37)*..

1) აბესლამეთ, აბესლამური, აბესლამისძე - დღესდღეობით გვაქვს აბესლამიძე.

2) ბასილისძე - ბასილაძე

3) გორასძე - გორაძე

4) გორგასძიეთ, გორგასძე, გორგაძიათ - გორგაძე

5) გუიანეთ, გუიანაძე, გუიანისძე, გუიანური, გუიანისი - გვიანიძე

6) გუნდარეთ, გუნდარისძე, გუნდარი - გუნდარიძე - ქონდარიძე

7) დავითისძე - დავითაძე

8) ზაქრიეთ, ზაქრისძე - ზაქარაძე

9) თევთიეთ, თევთისძე, თევთიური - თევთიძე

10) კირკიტისძე, კირკიტული - კირკიტაძე

11) კომსისძე - კომსიძე

12) კოპლასძე - კოპლაძე

13) მალეყმასშვილი - მალაყმაძე

14) მეფუტკრიეთ, მეფუტკრისძე - ფუტკარაძე

15) მორთულაყი, მორთულასძე - მორთულაძე

16) მოფირნასძე - მოფინაძე

17) პილპილასძე - პირპილაძე

18) ქავთარასშვილი - ქავთარაძე

19) ქოქოლისძე, ქოქოლაური - ქოქოლაძე

20) შუშანისძე - შუშანიძე

21) ცივნარისძე - ციმნარიძე

22) ძნელსძე - ძნელაძე

23) ხინკილასძე, ხინკილაური - ხინკილაძე

24) ჯიგანაისძე - ჯიგანაძე.

მატიანეში დაცულ გვარების შესახებ სრულყოფილ ცნობებს გვაწვდის პროფესორი ნოდარ კახიძე, რომელსაც ჩამოთვლილი აქვს მატიანეში მოხსენიებული გვარები: აბესლამისძე, აბაშისძე, ახალასძე, ბაგრატისძე, ბალასძე, ბასილასძე, ბერასძე, ბერისძე, ბუწნელისძე, გაბლასისძე, გაბრუჩისძე, გათენასძე, გამრეკელისძე, გიორგასძე, გოგაბერისძე, გოგლასძე, გოგოსძე, გოგსისძე, გოვინასძე, გორგასძე, გორგოშასძე, გუნდარისძე, გუჯარისძე, დავითისძე, დავლასძე, დოლისძე, ვაშანისძე, ვაცასძე, ვერძასძე, ზარქისძე, ზურაბისძე, თავდიდისძე, თევთისძე, თერსელისძე, თოთასძე, იაკობასძე, ივანასძე, იობისძე, კაკალასძე, კანჯარისძე, კახაბერისძე,

კიბელისძე, კირკიტისძე, კობისძე, კომსიძე, კორტანელისძე, კოპლასძე, კუბრასძე, კუირიკასძე, ლაკაშისძე, ლომთათისძე, ლომდერისძე, ლომიერისძე, ლურჯასძე, მახარასძე, მახაჭასძე, მგელასძე, მელასძე, მეფუტკრისძე, მიმინოსძე, მიქელასძე, მორთულასძე, მოფირნასძე, მჭედლისძე, მხეცისძე, ნადირასძე, ნიკოლასძე, ნუკრასძე, ოსანასძე, პილპილასძე, რასტაგანისძე, რაჯახელისძე, როსტომისძე, სამოელისძე, სანადირასძე, საქუნთელასძე, ტბელისძე, ტრაპიზისძე, უთლელისძე, ულგარდასძე, ფარაჯისძე, ფიბოტისძე, ფოთელისძე, ფხიკასძე, ქაბულისძე, ქადაგისძე, ქოქოლისძე, ქუაბულოსძე, ღაღანისძე, შავჩიტისძე, შალვასძე, შამანასძე, შტრიკისძე, შუბანისძე, შუშანასძე, ჩახუასძე, ცალმოგვისძე, ცანდასძე, ცივნარისძე, წინწკელასძე, წიქარისძე, ჭანისძე, ჭაღუმელისძე, ჭუმბასძე, ხალკიასძე, ხინკილასძე, ხუცისძე, ჯავახისძე, ჯარდენისძე, ჯაფარისძე, ჯეჯელისძე, ჯიგანისძე, ჰარაბისძე (არაბიძე?) ***(კახიძე, 1974:10-11).***

მატიანეში წარმოდგენილმა გვარსახელებმა და ტოპონიმებმა საუკუნეებს გაუძლეს და დღესაც „მოქმედ“ გვარებად და ტოპონიმებად გვევლინებიან.

გვარებთან დაკავშირებით გარკვეულ ცნობებს გვაწვდის დავით წერეთელი: „აქ არის ბეგი წულიკიძე და სხვანიც არიან ამ გვარისა, იწოდებიან კვირიტაძებათაც (კვირიტიძე), კიდევ არიან გვარები: ზაქარიძე (ზაქარაძე), კიბორიძე, მალაყვაეძე (მალაყმაძე), ქორტიძე, გვარი-ოღლი, გვარისშვილი და სხვანი ***(წერეთელი, 1878:9)***.

ზაქარია ჭიჭინაძეს მაჭახელში მოგზაურობისას თავის ჩანაწერებში მოხსენიებული აქვს გვარები: გვარილოღლები (გვარიშვილი), ქავთაროღლები (ქავთარაძე), ზაქარიაძეები, ძნელაძეები ***(ჭიჭინაძე, 1913:189)***, ქავის-ოღლი (ხერთვისელი ბეგი) მოსილ-ოღლი (მისილ-ოღლი - კახიძე) ***(გვ. 191)***, ტყიბორიძე (ოსმან აღა - ევფრატის მამასახლისი) ***(გვ. 192)***, შოთიძე ***(გვ. 193)***, ქავთარაძე, ძნელაძე, კახიძე, ჩომახიძე, ყიფიანი, კეჟერაშვილი, ზაქარიაძე, თურმანიძე ***(გვ. 195)***, იაკობიძე ***(გვ. 198)***.

ამჟამად მაჭახლის ხეობაში სოფლების მიხედვით შემდეგი გვარები სახლობენ:

სინდიეთი: ქონდარიძე, პირპილაძე, შერიფაძე, ძნელაძე, ზაქარაძე, კვირიტიძე, აბესაძე, მალაყმაძე, ხინკილაძე, ხაბაძე, გვიანიძე, ლომინაძე, დუმბაძე, ჯიგანაძე.

ქედქედი: მსხალაძე, შალიკაძე, მალაყმაძე, არჯევანიძე, კოპინაძე, გორგაძე, გვიანიძე, ნაგერვაძე.

ჭანივრი: ლომინაძე, შაშიკაძე, ბერიძე, ჭანიძე, ნინიძე, ფუტკარაძე, ავალიძე, გვიანიძე, ირემაძე, ვასაძე.

აჭარისაღმართი: ნაგერვაძე, მოფინაძე, ფარტენაძე, კახიძე, აბესლამიძე, მორთულაძე, მალაყმაძე, აფხაზავა, ტარიელაძე.

სკურდიდი: მოფინაძე, ქავთარაძე, კახიძე, ძნელაძე, მერკულაძე, ნაგერვაძე.

ცხემლარა: სალვარიძე, მალაყმაძე, ქოქოლაძე, აბაშიძე, ცინმნარიძე, ნაგერვაძე, კირკიტაძე, შარაბიძე.

ქვ. ჩხუტუნეთი: კახიძე, ბასილაძე, მალაყმაძე, კირკიტაძე, ხინკილაძე, გორაძე, კოსოლიძე, ბერიძე, ქოქოლაძე, გამიშიძე.

ზ. ჩხუტუნეთი: კახიძე, ნაგერვაძე, ფუტკარაძე, გვიანიძე, ძნელაძე, გორგაძე, ქავთარაძე.

ჩიქუნეთი: გორაძე, მალაყმაძე, გაბრუშიძე, ბასილაძე, კირკიტაძე, ხინკილაძე, ქოქოლაძე.

3. ხეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, კომუნიკაციის საშუალებები და მატერიალური კულტურის ძეგლები.

ა. ხეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

მაჭახლის ხეობაში უძველესი ცხოვრების კვალი გვიან ბრინჯაოს ხანიდან ჩანს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მაჭახელი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, ჭოროხის ხეობის მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამაზე მიგვანიშნებს ის მატერიალურ-კულტურული ძეგლები (ქვის თაღოვანი ხიდები, ციხეები, ნასახლარები თუ სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების იარაღები), რომლებიც ხეობაში მრავლადაა წარმოდგენილი.

ქართულ საისტორიო წყაროებში მაჭახლის ხეობა მიჭიხიანის სახელწოდებით გვხვდება და კონკრეტულად მასზე ძალხე ცოტა ცნობაა შემონახული. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მაჭახლის ხეობა ცალკე მხარედ არ ითვლებოდა და მას შავშეთის ნაწილად მიიჩნევდნენ.

ძვ.წ II-I საუკუნეებში მაჭახელი კოლხეთ-ეგრისის შემადგენელი ნაწილია. ამ პერიოდში რომის იმპერია აღმოსავლეთით პომპეუსის სარდლობით იწყებს გააქტიურებას, რომელმაც ქართლიცა და კოლხეთიც რომის იურისდიქციას დაუმორჩილა. ახ.წ. I-II საუკუნეებში ძლიერდება ქართლის სამეფო. ფარსმან I მეფობის პერიოდში მისი საზღვრები ციხექალაქ აფსაროსთან (გონიო) შავ ზღვამდე გადის. მდინერე ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავიდან მარჯვენა სანაპირო ლაზიკის შემადგენლობაშია, ხოლო მარცხენა სანაპირო მაჭახლის ხეობით ქართლის შემადგენელი ნაწილი ხდება *(საქართველოს ისტორიის ატლასი, 2016:5).* ფარსმან II ქველის პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება და ფართოვდება ქართლის სამეფო, რომელიც აღარ ემორჩილება რომის იმპერიას.

მაჭახლის ხეობა ოდითგანვე მესხეთის ნაწილი იყო. X საუკუნეში იგი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ერთიანი ქართული მონარქიის ფარგლებში შედიოდა. სწორედ მესხეთის ინიციატივით განხორციელდა შემდგომში საქართველოს გაერთიანება. მაჭახელი ეპარქიულად მტბევარის სამწყსოს იურისდიქციაში შედიოდა *(კახიძე, 1974:13).* ამასთან დაკავშირებით ცნობებს გვაწვდის „ტბეთის სულთა მატიანე“ , ხელნაწერი დოკუმენტი, რომელიც ყველაზე ძველი წერილობითი წყაროა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მასში მაჭახლის ხეობაში მცხოვრები ქალთა და მამაკაცთა სახელების, მათი გვარების, ადგილთა სახელების, ანუ ტოპონიმების და სხვათა შესახებ მეტად საინტერესო საკითხებია გადმოცემული. დოკუმენტის ზოგი ხელნაწერი XII საუკუნეს განეკუთვნება, ზოგი XIII-XV საუკუნეებისაა *(კახიძე, 1974:8).*

კონკრეტულად მაჭახლის ხეობის შესახებ ცნობები ოსმალთა მმართველობის პერიოდამდე რადგანაც ძალიან მცირეა, შავშეთ-იმერხევთან ერთად კონტექსტში უნდა განვიხილოთ, მით უმეტეს რომ, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ

ისტორიკოსთა მოსაზრებებს, მაჭახლის ხეობა შავშეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

XIV საუკუნიდან დაიწყო საქართველოს პოლიტიკური რღვევის პროცესი, რაც XV საუკუნის მეორე ნახევარში უფრო გაღრმავდა. საქარელოს სამეფო ხელისუფლება ბრძოლას აწარმოვებდა მსხვილ ფეოდალთა გამთიშველ ძალებთან. დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებისათვის იბრძოდნენ კახეთი, იმერეთი და სამცხე-საათაბაგო.

ამ მოვლენების პარალელურად XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს მეზობლად ახალი სახელმწიფო - ოსმალეთის იმპერია იწყებს ფორმირებას. იგი აღწევს დიდი წარმატებებს ევროპისა და აზიის კონტინენტზე; სწრაფად ფართოვდება მისი პოლიტიკური საზღვრები და უშუალოდ უმეზობლდება საქართველოს.

XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დაშლის პროცესი საბოლოოდ დასრულდა. სამცხის ათაბაგმა მზეჭაბუკმა შეძლო ქართლის მეფისაგან თავისი სამთავროს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის ქართლის საკათალიკოსოსგან ჩამოცილება. დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო, მეზობელი სახელმწიფოების თავდასხმების სარბიელად იქცა.

აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთი ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად ქართული ტერიტორიების დაპყრობა-მიერთებას და მხოლოდ მოხარკეობით კმაყოფილდებოდა. XVI საუკუნის დამდეგიდან თანდათან იცვლება ოსმალთა პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართ. იგი იწყებს ქართული ტერიტორიების დაპყრობას. მაჭახლის ხეობა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს ნაწილის იყო და მას ჯაყელი ათაბაგების ერთ-ერთი შტო განაგებდა *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:9).*

ზუსტი თარიღი ოსმალეთა მიერ მაჭახლის ხეობის დაპყრობისა ქართულ ისტორიოგრაფიაში დაუდგენელია. თურქულ ისტორიოგრაფიაში კი გავრცელებულია აზრი, რომ მაჭახლის ხეობა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიები ოსმალებმა 1478 წელს დაიპყრეს *(შაშიკაძე, 2007:27).* მათი მოსაზრებით, ბაიაზიდმა დალაშქრა ბათუმი და მაჭახლის ხეობა. გაურკვეველია თუ რამდენ ხანს გაჩერდნენ ამ ქართულ ტერიტორიებზე ოსმალები, ამის შესახებ თურქ ისტორიკოსებსაც არა აქვთ

ინფორმაცია, მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეული დროის შემდეგ აქ ოსმალები აღარ ჩანან *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:9).* ლაშქრობა ნამდვილად შედგა, მაგრამ ზუსტად იმის თქმა, რომ ეს ტერიტორია იყო თუ არა მაჭახლის ხეობა, შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით ეჭვს თვითონ თურქი ისტორიკოსებიც გამოთქვამენ; მაინც ვფიქრობთ, რომ სავსებით შესაძლებელია, აღნიშნული ტერიტორია მაჭახლის ხეობა იყოს. ამასთანავე ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ლაშქრობა ამ ტერიტორიების დასაპყრობად არ ყოფილა გამიზნული, იგი უფრო სადამსჯელო ოპერაციას წააგავდა. ეს კარგად არის გამოხატული იბნ ქემალის ცნობაშიც, სადაც ის ამბობს, რომ ლაშქრობა მას შემდეგ შედგა, რაც სპარსეთიდან მიმავალმა ვაჭრებმა ბაიაზიდს შესჩივლეს, რომ გზაში ისინი ქართველებმა გაძარცვეს*(იქვე).* ამას მოწმობს ისიც, რომ ოსმალები აქ არ გაჩერებულან. როგორც ჩანს XV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა ჯერ არ ითვალისწინებდა ომებს აღმოსავლეთის მიმართულებით. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების და, კერძოდ საქართველოს დაპყრობის საკითხი, როგორც ჩანს, თანდათან აქტუალური ხდებოდა იმპერიის მმართველი წრეებისათვის *(ჯაველიძე, 1990:117-118).*

1550 წელს ოსმალებმა ორჯერ ილაშქრეს ქართულ ტერიტორიებზე. პირველ ლაშქრობას არზრუმის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა (1549-1550) ედგა სათავეში. ამჯერად ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს მამირვანი და ტაოსკარი *(შაშიკაძე, 2007:28).*

მეორე ლაშქრობისას ტრაპიზონის სანჯაყ ბეგი მუსტაფა ფაშა ხელმძღვანელობდა და იგი გონიოს ლაშქრობის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ ლაშქრობის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობაა დაცული სტამბოლოს მინისტრთა საბჭოს არქივში. ცნობა დათარიღებულია ჰიჯრის 957 წლის ზილ-ჰიჯეს თვის 28 რიცხვით (1551 წლის 7 იანვარი). მასში ნათქვამია: ტრაპიზონის ბეგმა მუსტაფა ფაშამ უზენაეს კარზე წერილი გამოაგზავნა და გვაცნობა, რომ აქშეჰირის სანჯაყში 9953 ახჩა თიმარის მფლობელ ისქენდერს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჯალაბა თავადისა და სპირიდონის ძეების მიწებზე ოთხი ციხესიმაგრის აღებაში. მან მეზარბაზნეებთან ერთად ციხეები მთლიანად დაანგრია, მაჭახლის ციხეში მებრძოლ აზნაურებს თავები მოჰკვეთა და ამ სიკეთის სანაცვლოდ მას ხსენებულთან ერთად ხუთი ათასი ახჩა ებოძა *(კახიძე, 2005:34. მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:11-12. შაშიკაძე, 2007:28).*

ამ ცნობას ამყარებს სხვა ოსმალური, კერძოდ არზრუმში არსებულ ჯაყელ ათაბაგთა შესახებ დაცული დოკუმენტებიც. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ოზდერი წერს, რომ „მაჭახლის ჯაყელი თავადები პირველად შავშეთ-იმერხევის მხარეს მოსულან და ამ ტერიტორიაზე პირველი სანჯაყბეგები გამხდარან. მათ შორის სპირიდონის ძეს იოსებ ბეგს აჰმედის სახელი მიუღია. მისი ძმები მეჰმედ, მაჰმუდ და სეფერ ბეგები კი შავშეთ-იმერხევ-მაჭახლის მოწილე სანჯაყბეგები გამხდარან *(იქვე).*

როგორც ირკვევა, 1550 წელი უნდა მივიჩნიოთ ოსმალთა მიერ მაჭახლის დაპყრობის თარიღად (ხარიტონ ახვლედიანი მაჭახლის დაპყრობას 1552 წლით ათარიღებს *(ახვლედიანი, 1956:18)*. მუსტაფა ფაშას მიერ დამარცხებულ სპირიდონის ძეებს ისლამი უღიარებიათ და ამით სანჯაყბეგობა შეუნარჩუნებიათ. ამიერიდან მაჭახელი სანჯაყად არის მოხსენიებული და ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული, ანუ მისი შემადგენელი ნაწილია.

აქვე იკვეთება ერთი საინტერესო მომენტი: ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ არზრუმის ფაშები უფრო სამხრეთი ტერიტორიებისათვის იბრძოდნენ. მაჭახლის ხეობის აღება კი ტრაპიზონის ფაშამ მოახერხა გონიოს მხრიდან. თუ გავითვალისწინებთ მის მდებარეობასა და რელიეფს, ეს ფაქტი ლოგიკურიცაა, იმიტომ, რომ ხეობაში შესასვლელი ყველაზე მარტივი და ღია გზა მდ. მაჭახელას და ჭოროხის შესართავიდანაა. სხვა მხრივ ხეობა მაღალი მთებითაა შემოსაზღვრული.

მაჭახლის ხეობის ოთხი ციხიდან, რომელიც ოსმალებმა დაანგრიეს - ორი გვარას (კისერა ციხე - ზ. ჭიჭინაძე) და ყალივაკის ციხეები ქვემო მაჭახელში მდებარეობს, დანარჩენ ორი ციხე ზემო მაჭახელში, როგორც მ.ჭანაშვილი ასახელებს ეფრატის ზემოთ მდებარეობს *(კახიძე, 1974:14-15).*

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხეობის შესასვლელთან მდებარე სოფლები (კიბე, კაპნისთავი, ხერთვისი, მაჭახლისპირი, სინდიეთი და სხვებიც), ხეობის დაპყრობის შემდეგ წლებში მთლიანად არის დაცლილი მოსახლეობისაგან. ამას ცხადყოფს 1566-1574 წლების შუალედში შედგენილი „აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“ *(შაშიკაძე, მახარაძე, 2011:100).* ეს ის ადგილებია, სადაც მტერს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ასეთ დროს, როგორც წესი,

მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ომს გადაურჩებოდა, საქართველოს სხვა, უფრო მშვიდობიან კუთხეებს აფარებდა თავს.

სოფლები რომ მოსახლეობისაგან არის დაცლილი ადასტურებს 1573 წლის 26 ივლისით დათარიღებული ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ აჭარის სანჯაყის გზებზე მდებარე სოფლები დაცლილია მოსახლეობისაგან და ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ არის ქცეული. ეს დოკუმენტი წარმოადგენს სულთნის ბრძანებას ლივანას, მაჭახლის და ფერთექრეკის სანჯაყბეგებისადმი, რომ მათ ევალებათ, ყველაფერი იღონონ გაქცეული მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:13).* გაურკვეველია, თუ რამდენად მოხერხდა აღნიშნული ბრძანების შესრულება, მაგრამ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დოკუმენტში კარგად არის ასახული აღნიშნული პერიოდის შექმნილი დემოგრაფიული სურათი.

1576 წლით დათარიღებულ ცნობაში გადმოცემულია, რომ მაჭახლის სანჯაყს მართავს აჰმედ ბეგი (საფიქრებელია, რომ იგი ზემოთმოხსენებული სპირიდონის ძე იოსებია) და რომ ადმინისტრაციულად იგი არზრუმის საბეგლარბეგოს ექვემდებარება. იგივე დოკუმენტი გვამცნობს, რომ აჰმედ ბეგს სანჯაყი 203229 ახჩის ოდენობით მიეცა, ხოლო შემდეგში ეს თანხა 234527-მდე გაიზარდა. ირკვევა, რომ 1578 წელს, ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს მაჭახლის ხეობას განაგებდა ათაბაგთა შტოს წარმომადგენელი ვინმე ლაღვეში *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:13. შაშიკაძე, 2007:28).*

აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ 1578 წლის მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობამდე, როდესაც ამ ლაშქრობის შედეგად მან მათლიანად დაიპყრო სამცხე-საათაბაგო, მისი ნაწილი, მაჭახლის ხეობა უკვე სამი ათეული წელი ოსმალებს დაპყრობილი ჰქონდათ *(იქვე).*

1579 წლის 25 ივლისს სულთანმა დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო და პირველ ბეგლარბეგად გამაჰმადიანებული მანუჩარი, ახლა უკვე მუსტაფა ფაშა დანიშნა. როგორც ჩანს, ქართული პროვინციები ძირითადად ჩილდირის საბეგლარბეგოში იქნა გაერთიანებული. 1609-1631 წლებში მაჭახლის სანჯაყიც იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით ჩილდირის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში იყო, ამასვე ადასტურებს ევლია ჩელების მოგზაურობის ჩანაწერიც: „ჩილდირის ანუ

ახალციხის ვილაიეთი: დივანის მოხელეთაგან ხაზინის დავთარდარი და სხვანი არა ჰყავს. ალაი-ბეგი და ჩერი-ბაში ჰყავს. ცამეტი სანჯაყია: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჭაჭარაქი, დიდი არტაანი, ფოცხოვი, მაჭახელა და ფანაკი. ამათ გარდა ოთხი სანჯაყი იურთლუღის, ოჯაკლიქის და მულქიეთის წესით აქვთ მათ ბეგებს - ფერთექრექი, ლივანა, მცირე ლივანა და შავშეთი“ ***(ევლია ჩელები, 1973:32)***. იურთლუღისა და ოჯაკლიქის წესით ოსმალეთის იმპერიაში სანჯაყების გაცემა ნიშნავდა მათ მფლობელობაზე გარკვეული შეღავათების დაწესებას. მემკვიდრეობით ფლობის უფლება, საგადასახადო შეღავათები და სხვ. სხვა სანჯაყებისაგან განსხვავებით, ეს პრივილეგია მათ მფლობელებს გარკვეული სამსახურისათვის ენიჭებოდათ. მაჭახლის სანჯაყის შემთხვევაში ეს უნდა ყოფილიყო საზღვრის დაცვა. ანუ როგორც იმპერიის საზღვრისპირა სანჯაყის მფლობელს, მაჭახლის სანჯაყს უნდა უზრუნველეყო საზღვარზე მშვიდობა ***(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:13).*** ევლია ჩელებს ასევე მოხსენიებული აქვს მაჭახელში ციხე **„უხთეჯი“**: „ციხე „უხთეჯი“: სანჯაყის ბეგის საჯდომია. სახელმწიფო დავთარში მაჭახელად იწერება. მიუვალი ციხეა. მისი ბეგის ხასი აღწერილია“ ***(ევლია ჩელები, 1971:302)***.

ბუნებრივია, თავდაპირველად ადგლობრივი მოსახლეობა ვერ ეგუებოდა უცხოურ ანექსიას და ხშირად აწყობდა ანტიოსმალურ გამოსვლებს. XVI საუკუნის 80-იან წლებში სიმონ ქართლის მეფისა და ჩილდირის ბეგლარბეგის მანუჩარ II ათაბაგის მეთაურობით მოხდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ერთ-ერთი დიდი აჯანყება. აჯანყების შედეგად მოხერხდა ახალციხისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების განთავისუფლება, მათ შორის იყო მაჭახლის ხეობაც ***(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:14. შაშიკაძე, 2007:289.*** თურქი ისტორიკოსი ბექირ ქუთუქოღლუ გადმოგვცემს, რომ „ქართველთა თავდასხმებისაგან დასუსტებული იყო ახალქალაქის, ფოცხოვის, შავშეთის, ლივანას, მაჭახლისა და აჭარის ციხეები. ორი წლის შემდეგ, 1584 წელს, არზრუმის ბეგლარბეგმა ფერად ფაშამ მოახერხა მათი დაბრუნება და მაჭახლის ციხე თავიდან შეაკეთა ***(იქვე).***

თურქეთის მიერ ჩვენი მხარის ძალით დაპყრობის შემდეგ, მიღებულ იქნა თურქული მმართველობის წესები მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში - სამცხე საათაბაგოში, აჭარასა და ლაზეთში. მთელი ეს ტერიტორია დაყოფილ იქნა 24 სანჯაყად (ოლქებად), სანჯაყი კი თავის მხრივ კაზებად (მაზრებად) და ნაჰიებად

(თემებად). ყველა ესენი ეიალეთში (ვილაიეთში) ანუ საფაშოში გაერთიანდა. ახალციხის ფაშა უშუალოდ არზრუმის სერასკერს (მთავარსარდალს) ექვემდებარებოდა *(ახვლედიანი, 1956:27-28. კახიძე, 1974:16).*

მაჭახლელთა წინააღმდეგობა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ჯერ კიდევ 1515 წელს მზეჭაბუკ ათაბაგის დროს და 1516 და 1519 წლებში ყვარყვარე III ათაბაგის დროს მაჭახლელებს თავი უსახელებიათ ბათუმისათვის ბრძოლაში. ერთ-ერთი აჯანყება 1630 წელს მოხდა, რომელიც მიმართული იყო ჯარში გაწვევის წინააღმდეგ *(კახიძე, 1974:17-18).*

1668 წელს მთელი აჭარა აუჯანყდა ოსმალეთს. ამის შემდეგაც გრძელდებოდა ბრძოლები. 1685 წელს სისხლისმღვრელ ბრძოლებს ლივანის ხეობაშიაც ჰქონდა ადგილი. 1690 წელს ბრძოლები მიმდინარეობს შავშეთ-იმერხევშიც, ხოლო 1697 წელს მთელი სამხრეთ საქართველო საყოველთაო აჯანყებამ მოიცვა. ოსმალეთი სისხლში ახრჩობდა ამ გამოსვლებს *(ახვლედიანი, 1956:33).*

არსებობს თაობიდან თაობაზე გადმოცემული ცნობები მაჭახლის ხეობის შესახებ, მაგალითად ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერები *(ჭიჭინაძე, 2007:39-40)*, რომელიც მოგვითხრობენ, რომ ოსმალეთის იმპერიის ქართულ პროვინციებს შორის ის იყო ერთ-ერთი, რომელზეც ოსმალთა ბატონობა თანზიმათის რეფორმებამდე თითქმის არ ვრცელდებოდა; რომ მაჭახელში მტრისაგან თავდაცვის მიზნით გამოიგონეს იმ დროისთვის ჭეშმარიტად ერთ-ერთი საუკეთესო თოფი „მაჭახელა“, რომელმაც გაითქვა სახელი არა მარტო რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც; რომ მაჭახლელები ყველაზე დიდ ხანს ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და სხვა მრავალი.

რა თქმა უნდა, ყველა ამ ამბავს აქვს მისი წარმომავლობის საფუძველი, თუმცა ხშირად ის გაზვიადებულად გვეჩვენება და ზოგ შემთხვევაშიც ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე, მონაყოლი რეალური ვერ იქნება თუ მას მყარი ისტორიული მტკიცებულება არ გააჩნია *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:15).*

ზ. ჭიჭინაძის ცნობით აჭარა, მაჭახელი და ლივანა რჯულისა და სარწმუნოების შენარჩუნებისათვის 1630 წლიდან 1740 წლამდე დაუცხრომლად იბრძოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყეს ამათაც ისლამზე გადასვლა. მაგრამ ყოფილან ისეთებიც, რომლებიც მამა-პაპის რჯულსა და რწმენაზე 1800 წლამდე დარჩნენ *(კახიძე, 1974:19).*

ყველაზე ძველი მეჩეთი მაჭახლის ხეობაში სოფელ ზედვაკეში დგას, რომელიც ნაეკლესიარზეა აშენებული. მისი ერთ-ერთი კედლის ქვაზე არსებული წარწერა და ეზოში ნაპოვნი საფლავის ქვა გვამცნობს, რომ მეჩეთი XVIII საუკუნის 80-იან წლებშია აშენებული. ეს პაქტი გვამცნობს, რომ მოსახლეობაში საკმაოდ იყო ფეხმოკიდებული ისლამი.

მაჰმადიანობა პირველად მოსახლეობის ზედა ფენებში ვრცელდებოდა, ამაში მთავარ როლს თამაშობდნენ რენეგატობის გზაზე დამდგარი ახალციხის ფაშები. წარჩინებული პირები - ფეოდალები და აზნაურები, რომლებიც ოსმალთა სამსახურში პირადი დაწინაურებისა და თავიანთი პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით მაჰმადიანდებოდნენ, ბეგები და აღები ხდებოდნენ. თუმცა ფეოდალთა და აზნაურთა ერთი ნაწილი ქრისტიანობას არ ღალატობდა, მაჰმადიანობას და საერთოდ „ოსმალობას“ ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა. მოსახლეობა გამუსლიმანების შემდეგაც საიდუმლოდ დიდხანს ინახავდა მამაპაპურ სარწმუნოებას. ბევრი მათგანი ეფრატის („მაჭახლის დედა ეკლესია“) ნანგრევებთან მიდიოდა ქრისტიანულ სადღესასწაულო დღეებში და სათანადო ცერემონიალებს ასრულებდა *(ჭიჭინაძე, 1895:2-3).* „გლეხობა დიდხანს ქრისტიანადვე რჩებოდა და მეტად მძიმედ მაჰმადიანდებოდა. ამის შემდეგაც მიტოვებული მამაპაპისეული კულტის მატერიალური ნიშნების მიმართ მას ტრადიციული შიში და მოკრძალება დიდხანს რჩებოდა“ *(ბერძენიშვილი, 1964:260).*

ანტიოსმალური ბრძოლები არ წყდება XIX საუკუნეშიც. 1802 წელს აჯანყებაა თითქმის მთელს სმხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ქრონიკაში ნათქვამია: „მაჭახელი აჯანყებულია და მის წინააღმდეგ ჰამიდ ბეგის მეთაურობით ჯარი წამოსულა“. 1844 წელს აჯანყება მომხდარა თანზიმათის შედეგად გაზრდილი გადასახადების გამო, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მაჭახლელი იუნუს-ბეგ და სული-ბეგ წულუკიძეები *(სურმანიძე, 2008:27).* ხალხური გადმოცემის საფუძველზე ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს, რომ „ხერთვისელებმა 1850 წლებში, ოსმალთა წინააღმდეგ ისე სასტიკად და გმირულად იომეს, რომ ყველანი გააკვირვესო. დამორჩილების შემდეგ ოსმალთ მთლად გადაუწვავთ ეს სოფლები“ *(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:17).* 1871 წელს აჯანყება მოუწყიათ ბეგარის მომატების გამო *(ახვლედიანი, 1956:118).*

როგორც ვხედავთ დაპყრობიდან თითქმის სამი საუკუნის შემდეგ მაჭახლის ხეობაში თითქმის იგივე სურათი მეორდება და ხალხის ოსმალებისადმი დამოკიდებულება, რომელიც მათ გმირულ წინააღმდეგობაში გამოიხატება, ბოლომდე არ არის ჩამცხრალი. მოსახლეობის დაუმორჩილებლობის ასეთი გააქტიურება იმითაც არის განპირობებული, რომ 1850-იანი წლები არის ეგრეთწოდებული თანზიმათის რეფორმების პირველი ეტაპი, რომლის ზოგიერთი მხარე მოსახლეობამ მწარედ აღიქვა. განსაკუთრებით კი რეფორმები საადგილმამულო ურთიერთობის სფეროში, განიარაღების სფეროში (რომელსაც მაჭახელი არ დაემორჩილა და უარი თქვა იარაღის აყრაზე *(ყაზბეგი, 1995:92)*). ხოლო, რაც შეეხება რელიგიურ სურათს, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ისლამიზაციის პროცესი მაჭახლის ხეობაში 1850-იანი წლებისათვის უკვე დასრულებული იყო.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება დაღმავლობის გზაზე მდგარი ოსმალეთის იმპერიის რღვევა. რუსეთთან წარმოებულმა ომებმა ოსმალეთს ტერიტორიების გარკვეული ნაწილი დააკარგვინა. მისი პოზიციები შესუსტდა არაბულ სამყაროში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ აფრიკაში. დასუსტებულ ოსმალეთს ვერც 1839 წელს გამოცხადებულმა თანზიმათის რეფორმებმა უშველა. რუსეთის იმპერია 1853-1856 წლების ყირიმის ომში განცდილი მარცხის გამო რევანშისათვის ემზადებოდა.

მომავალ ომში, კავკასიის, განსაკუთრებით ე.წ. თურქეთის საქართველოსადმი ინტერესი რუსეთის მხრიდან ძალიან დიდი იყო. რუსეთის მთავრობა თანმიმდევრულად ემზადებოდა ამ მხარეების შემოსაერთებლად, რისთვისაც აუცილებლად თვლიდა სამხედრო სტრატეგიულ დაზვერვას. ამ საქმის ჯაშუშურად მოგვარება შეუძლებელი იყო, რის გამოც მოიფიქრეს ორიგინალური ხერხი: თურქეთის საქართველოში შემოეგზავნათ ამ კუთხის მმართველთა ნათესავები. არჩევანი გენერალ გრიგოლ გურიელზე შეჩერდა, რომელიც ენათესავებოდა აჭარელ და შავშელ ხიმშიაშვილებს, მაგრამ გრიგოლს სადაზვერვო გამოცდილება არ ჰქონდა. ამიტომ მის ამალაში შეიყვანეს გიორგი ყაზბეგი, როგორც გრიგოლ გურიელის მსახური. მისი ნამდვილი ვინაობა არ იცოდნენ ამალის სხვა წევრებმაც კი *(ყაზბეგი, 1995:8).*

გიორგი ყაზბეგს მძიმე ვითარებაში უწევდა დავალების შესრულება. იგი მოგვიანებით იტყვის: „ერთადერთი გამოსავალი ნახულის და გაგონილის დამახსოვრება, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, შთაბეჭდილების სიტყვადაუმთავრებელი ჩაწერაა“ *(ყაზბეგი, 1995:9).*

გიორგი ყაზბეგის ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ისიცაა, რომ მან ტბეთის ტაძარში მოიძია და ჩამოიტანა „ტბეთის სულთა მატიანე“ XII-XVII საუკუნეების შესანიშნავი ხელნაწერი ძეგლი. მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საინტერესოა, როგორც სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიულადაც. მას კარგად აქვს აღწერილი აჭარა-მაჭახლისა და შავშეთ-იმერხევის ხეობები, სოფლები, მოსახლეობა, ტრადიცია, ამბავ-მონათხრობი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მაჭახლის ხეობა თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხეობაში გამავალ გზას სავაჭრო ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, მასზე გადიოდა შავშეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რომელიც აქედან ართვინს, არტანუჯსა და სხვა ცენტრებს უკავშირდებოდა ეს არ გამორჩებოდა სადაზვერვო საქმეში გაწაფულ გიორგი ყაზბეგს, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებდა, თუ რა მნიშვნელოვანი რგოლი იქნებოდა მაჭახლელთა თანადგომა, შემდგომი ბრძოლისათვის. ამავდროულად მაჭახლელები კარგი მეომრები იყვნენ და კარგად იყვნენ გაწაფულნი თოფით სროლაში. ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით დავით წერეთელი ამბობდა: **„მარტო მაჭახელში 3 000 ამორჩეული მსროლელი გამოვა, ომში საჭიროების დროს, დარჩეული ვაჟ-კაცი მსწრაფლ-სასროლი თოფებით, და გაბედვით, ვიტყვი, რომ ხუთი-ექვსი წლის ნასწავლი სალდათი ისე ვერ მოიხმარს ევროპულ თოფებს, როგორც ესენი“** *(წერეთელი, 1878:9).*

იმ დროისათვის მაჭახელი სამეურნეო და კულტურული თვალსაზრისით დაწინაურებული ხეობა იყო. მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მევენახეობას, მეხილეობას, მეფუტკრეობას, ხელოსნობას. განვითარებული იყო მიწათმოქმედება-მემინდვრეობა. მარცვლეულიდან მოჰყავდათ ფეტვი, ჭვავი, ქერი, ღომი, ხორბალი და სხვა კულტურები. XIX საუკუნის ბოლოდან ხეობაში მონოკულტურად იქცა სიმინდი.

ხორბლეულიდან მოჰყავდათ მახა, ასლი, რომლებიც საქართველოს ენდემურ პურეულებად ითვლება. აქა-იქ ითესებოდა ბრინჯი *(კახიძე, 1974:36. კახიძე, 2007:20-21).*

მაჭახლის ხეობა განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მევენახეობა-მეღვინეობის თვალსაზრისით. ამას ადასტურებს ხეობაში არსებული ისეთი მატერიალური კულტურის ძეგლები, როგორიცაა: მარნები, საწნახელები, მიწაში უხვად ჩამარხული სახვადასხვა ტევადობის ჭურები. ხეობაში მთის კლიმატის მიუხედავად მრავალი ხეხილი ხარობდა *(ჭიჭინაძე, 1893:3. კახიძე, 1974:47. წულაძე, 1916:3).*

მაჭახლის ხეობა განსაკუთრებით განთქმული იყო ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღის დამზადებით, რომელიც აქაური მრავალდარგოვანი ხელოსნობის ყველაზე დაწინაურებული დარგი იყო.

სამჭედლო ხელოსნობას ხეობის ბევრ სოფელში მისდევდნენ, მაგრამ თავიანთი ნახელავით უფრო ცნობილი ყოფილან ზედა ჩხუტუნრთის, ხერთვისისა და ეფრატის მჭედლები. ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების (კაჟ-ჩახმახიანი თოფი და დამბაჩა, ხანჯალი და იათაგანი) დამზადებით სახელი გაითქვეს ზედა ჩხუტუნეთის, გორგაძეთის, ხერთვისის, ქავთარეთის, ეფრატის და ზედვაკის მეიარაღეებმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საუკეთესო მეიარაღე ხელოსნებად ცნობილი ყოფილან ნაგერვაძეები, კახიძეები (ზედა ჩხუტუნეთი), ქავთარაძეები (ხერთვის-ქავთარეთი), გორგაძეები და გვიანიძეები (გორგაძეთი). მეიარაღე ნაგერვაძეთა გენიალოგიის შესწავლით ირკვევა, რომ თოფ-დამბაჩებისა და ცივი საბრძოლო იარაღის დამზადება XVIII ს-ის მეორე ნახევარში მაღალ დონეზე იდგა *(კახიძე, 1974: 60-61. კახიძე, 2007:21-22).*

1877 წლის 24 აპრილს კიშინიოვში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის შესახებ. საომარი მოქმედებები თავიდანვე დაიწყო ორ ფრონტზე - ბალკანეთზე და კავკასიაში. გენერალ გრიგოლ გურიელის მეთაურობით შეიქმნა ქართველ მილიციელთა რაზმი, რომელმაც რუსეთის რეგულარულ ჯარის ნაწილებთან ერთად შეძლო უშუალოდ ჩოლოქის გავლით შეეღწია აჭარაში და ბათუმამდე მისულიყო. მრავალი ქართველის სისხლი დაიღვარა იმისათვის, რომ აჭარა ქართულ იურისდიქციას დაბრუნებოდა. ბრძოლების მიმდინარეობისას არც აჭარის მოსახლეობა ყოფილა გულხელდაკრეფილი. აჭარის

პროქართულ-პრორუსული ორიენტაციის ნაწილი, რომელსაც შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, გულო აღა კაიკაციშვილი, დედე აღა ნიჟარაძე და სხვები შეადგენდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ პროოსმალურად მოაზროვნე ხოჯებისა და მოლების მიერ წარმოებული ანტირუსული აგიტაციისათვის.

აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ორიენტაციის ბეგებისა და თვით აჭარის მაშინდელი მმართველის შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის მხარდაჭერასა და აქტიურ მოქმედებას. შერიფ ბეგი ედგა სათავეში აჭარელთა ბრძოლას XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ომის წინ მთელი აჭარა-ქობულეთი, მაჭახელი და ლაზისტანი იყო აჯანყებული ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. სწორედ ეს აძლევდა საშუალებას შერიფ ბეგს რუსეთის სარდლობისაგან მოეთხოვა აჭარის განთავისუფლების დაჩქარება. თავის მხრივ, დაპირების თანახმად, შერიფ-ბეგს შეეძლო ხუთიათასამდე ქვეითი და ათასამდე ცხენოსანი ჯარისკაცის გამოყვანა რუსების დასახმარებლად და რუსეთის ჯარის სურსათით უზრუნველყოფა. მისი ჯარებით შეძლებდა იგი ზემო და ქვემო აჭარისა დაკავებას. თურქეთის ხელისუფლების ცდები, აემხედრებინა აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთისა და მისი მხარდამჭერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ, წარუმატებელი აღმოჩნდა. პირიქით, აჭარის მოსახლეობა პურ-მარილით ეგებებოდა რუს და ქართველ მებრძოლებს, რომლებიც აჭარის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. თურქებს კი მოსახლეობის მცირე ნაწილი თუ ემხრობოდა ზოგიერთი ადგილობრივი გავლენიანი პირის წყალობით და ისიც შიშის გამო. აჭარაში მოქმედებდა ინგლისის აგენტურაც, რომელიც თურქეთის დამხმარედ გამოდიოდა და აჭარა-ქობულეთის მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. ამისათვის თითოეულ ქობულეთელს თვეში ოთხ ლირას პირდებოდნენ. მოსახლეობა არც ინგლისის აგენტურას გაჰყვა, ისინი შერიფ ბეგის ერთგულნი რჩებოდნენ. და სწორედ ეს აძლევდა მას იმედს, რომ მან ზურგი შეაქცია თავის ძველ პატრონს თურქეთის სახით და საბოლოოდ რუსეთის ერთგული დარჩა. ეს იყო ერთგულება საქართველოსა და აჭარისადმი. ომის წინ შერიფ ბეგმა დაიწყო მთავარი გზების შეკეთება, რაც ომის შემთხვევაში რუსეთის არმიის გადაადგილებას გააიოლებდა *(დიასამიძე, კახიძე, 2008:14).*

1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის არმიის ნაწილები აჭარაში სამი მიმართულებთ შემოვიდნენ: ზემო აჭარიდან გოდერძის უღელტეხილის გავლით, ართვინიდან და ქობულეთიდან. ზემო აჭარის რაზმს გენერალი ტრეიტერი მეთაურობდა, ართვინისას გენერალი კომაროვი, რომელიც შემდგომისათვის ბათუმის პირველი გენერალ-გუბერნატორი გახლდათ, ხოლო ქობულეთის რაზმს გენერალი სვიატოპოლკ-მირსკი მეთაურობდა. რუსეთის მხედრობამ ბათუმი თითქმის უბრძოლველად დაიკავა. ამავე დროს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა რუსეთის ფლოტი, რომელმაც 101 ზალპით მოსახლეობას ამცნო აჭარაში ოსმალთა ბატონობის დასასრული. ეს დღე აჭარის განთავისუფლების დღედ ითვლება. ეს მოვლენა ძალზე შთამბეჭდავად შეაფასა იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ დიდი სიკეთე შეგვძინა — ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენ ერთად მებრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლებისა და სწავლი აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს შემოგვიერთდა“ ***(დიასამიძე, კახიძე, 2008:16).***

1878 წლის 30 აგვისტოს გენერალ კომაროვთან შავშეთიდან და მაჭახლიდან ჩამოვიდა ადგილობრივ მცხოვრებთა დელეგაცია, რომელიც შედგებოდა სამოქალაქო და სასულიერო პირებისაგან. მათ ნური-ბეგ ხიმშიაშვილი მეთაურობდა. დელეგაციაში იყო ცნობილი ქუჩუკ-აღა მაჭახლელი, წარსულში შეუპოვარი, ერთობ თავზე ხელაღებული პიროვნება, რომელსაც მთელი მხარე შიშის ქვეშ ჰყავდა. მან თავის სოფელში შესული რუსები დიდი სიხარულით მიიღო. სახლიდან გამოვიდა ქუჩუკ-აღას გოგონა, რომელსაც ერთ-ერთმა ოფიცერმა თურმე ვერცხლის ფული აჩუქა. ქუჩუკ-აღას ეს არ მოეწონა და თქვა: „ჩვენი ადათის მიხედვით, სტუმრებისგან ფულის აღება მიუღებელია, მაგრამ ამის ნებას თავის გოგოს აძლევს იმისათვის, რომ მის ოჯახში დარჩეს სტუმრის პირველად მოსვლის ხსოვნა ***(Френкель, 1879:94).***

1878 წლის 2 სექტემბერს აჭარის, მაჭახლისა და ლივანას გავლენიანმა პირებმა (ბეგებმა) ახლადგანთავისუფლებულ ბათუმში რუსეთის ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ფიცი დადეს ***(იქვე).***

აჭარის განთავისუფლების საქმეში ძალიან დიდია შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის როლი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლებამ გენერლის ჩინი მიანიჭა. მისი

მოღვაწეობა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ილია ფერაძემ ასე შეაფასა: „მისი ღვაწლი აჭარელ-ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებაში დაუვიწყარია... შერიფ ბეგის სახელი სხივით შემოსილა, მისი ქართველური შეგნება საძირკვლად გაუხდა ქართველი ქრისტიანებისა და ქართველი მაჰმადიანების დღევანდელ ერთობას“ ***(იქვე).***

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის არმიის მთავარმართებელი გენერალ-ფელდმარშალი მიხეილის მიერ დამტკიცებული იქნა ბათუმის ოლქის მმართველობის დროებითი დებულება. ამის მიხედვით ბათუმის ოლქი იყოფოდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: ბათუმის სანავსადგურო ქალაქად და სამ ოკრუგად, რომელიც შედგებოდა უბნებისაგან***(ახვლედიანი, 1978:165)***:

1. ბათუმის ოკრუგი: თვით ბათუმის, კინტრიშის, გონიოს უბნებისაგან.
2. ართვინის ოკრუგი: ართვინის, არტაანისა და შავშეთ-იმერხევის უბნებისაგან.
3. აჭარის ოკრუგი: ზემო აჭარის, ქვემო აჭარისა და მაჭახლის უბნებისაგან.

1878 წლის 20 ნოემბერს აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისა და აჭარის მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარების მიზნით მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ, ქალაქ თბილისში, მუხრანბატონის სასახლეში, ნადიმი გამართა აჭარის დეპუტაციის პატივსაცემად. მისი ინიციატორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. მასპინძელთა შორის იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვები. აჭარელთა დელეგაციაში სულ 18 კაცი შედიოდა, მათ შორის ერთ-ერთი სული-ბეგ ზადე მაჭახლელი (იგივე სული-ბეგ წულუკიძე-კვირიტიძე) იყო ***(მესხი, 1878:1-3).***

აჭარისა და მაჭახლის ქართულ იურისდიქციაში დაბრუნებას დადებით შედეგთან ერთად, უარყოფითიც მოჰყვა - ეს **მუჰაჯირობა** იყო. მუჰაჯირობა, სრულიად სამართლიანად, ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთ დიდ ტრაგედიად არის მიჩნეული. მან მძიმე დაღი დაასვა აჭარის მოსახლეობას. ათასობით მცხოვრები მოწყდა მშობლიურ კერას და უცხოეთში გადაიხვეწა. ჩალის ფასად იყიდებოდა მათი მიწები, სახლ-კარი, უძრავ-მოძრავი ქონება, განსაკუთრებით ზღვისპირა სოფლებში.

მუჰაჯირთა საუკეთესო მიწების ნაწილი რუს და სხვა ეროვნების მოხელეთა ხელში აღმოჩნდა და მათ აგარაკებად იქცა, ნაწილიც ხაზინასა და სასოფლო საზოგადოებას გადაეცა. უკან დაბრუნებულ მუჰაჯირთა ნაწილმა მშობლიურ ადგილებში დასახლების შესაძლებლობა დაკარგა.

ისტორიკოს ჯ. ვარდმანიძეს მუჰაჯირობის პროცესი ორ ეტაპად აქვს დაყოფილი. მისი თქმით, პირველი ეტაპი 1878 წლიდან 1879 წლის თებერვლამდე მიმდინარეობდა. ამ პროცესის ძირითად მიზეზად ისტორიკოსს პორტას პოლიტიკა მოჰყავს *(ვარდმანიძე: 2013:170-171)*. მოგვიანებით, რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკების შედეგად ჩაისვა ოფიციალური ვადები 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, თუმცა მცირე ნაკადებად გადასახლების პროცესი დიდ ხანს გრძელდებოდა *(ვარდმანიძე: 2013:116)*.

მაჭახელში მუჰაჯირობის მიზეზებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ პროცესის უშუალო თვითმხილველი დავით წერეთელი. ის გადასახლების ოთხ მიზეზს ასახელებს: სასულიერო წოდების (ხოჯები, მოლები) აგიტაციას, ადგილობრივი აღებისა და ბეგების მიერ ხალხის შევიწროვებას, რელიგიურ ფანატიზმსა და პორტო ფრანკოს მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადებს *(წერეთელი, 1879:1-3)*. ამავე წერილში წერეთელი წერდა: „ხალხი ჩამოტყავდა და არ იციან რა ქნან. ყველაფერი მამასისხლად უნდა იყიდონ, სამი-ოთხი არშინი ნარმის გამოტანა უბაჟოდ არ შეუძლია და მთელი დღე ტამოჟნიის კარებზე დგას ბეჭდის დასარტყმელად. ხარის ტყავის ქალამანი, რომ იყიდოს, ასეთივე დამოწმება უნდა, შვილისთვის ტანისამოსი რომ იყიდოს, ბაჟი უნდა გადაიხადოს“*(წერეთელი, 1879:3)*.

დავით წერეთლის ცნობით მუჰაჯირობის წინააღმდეგ დიდი აქტიურობა გამოუჩენიათ მაჭახლელ ქალებს. იგი წერდა: „მთელი აქაური ქალების სურვილი ის არის ახლა, რომ თავის ქმრებს ხელი შეუშალონ წასვლაზე. დიდი მოძრაობაა მათში... გამოვა ერთი სახლიდან ჩადრმოხურული ქალი, უქნევს ხელს მეორეს, მეორე მესამეს ეძახის. ამნაირად გროვდებიან და აქვთ ერთმანეთში რჩევა და ბაასი თუ როგორ მოახერხონ, რომ თავიანთი ქმრები არ გაუშვან, ამ ქვეყანას არ მოშორდნენ. ზოგი იმდენ მხნეობას იჩენს, რომ პირდაპირ აცხადებს, თუ წავიდა, მე არ გავყვებიო. ბატონ მუდირთან მივალ და ვთხოვო, რომ ქმარს არ გააყოლოს ჩემი თავიო; თუ მან არ

მიშველა, ბათუმს წავალ, იქ შევეხვეწებიო, ან ჭოროხში თავს დავიხრჩობ და ქმრის ცოდვა იყოსო“. ბოლოს წერეთელი შენიშნავს: „ამნაირი სიტყვები ყოველ ჟამს შეგიძლიათ გაიგონოთ აქაური ქალებისაგან“ ***(წერეთელი: 1879:3-4).***

ამ საშინელი ტრაგედიის - მუჰაჯირობის შესახებ ძალზე ხშირად აქვეყნებდა სხვადასხვა მასალას გაზეთი „დროება“: „ბათუმიდან გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში ჩამოსაულა აქ თითქმის ორასამდინ მოსახლე კაცი მაჭახლიდან, რომელნიც ტრაპიზონიდან გემს უცდიდნენ ოსმალეთში გადასასახლებლადო. საცოდაობა იყო ამათი ნახვაო, მშიერ-მწყურვალე დედა-კაცები და ბავშვები რამდენიმე დღე ეყარნენ ზღვის ნაპირას და გემს ელოდებოდნენო. მაჭახელების გადასახლებას აბრალებდნენ ადგილობრივ ბეგს სული-ბეგს, რომელიც თვითონ ადრე იყო გადასახლებული, ახლა ჩამოვიდა და არია ხალხიო. მაჭახელების გარდა სხვა მხრიდამ კი ჯერ-ჯერობით არავინ გადასულა ოსმალეთშიო, ბევრგან ყანები დასთესეს და აქამდე სჩანსო, რომ წელს აღარ აპირებენ გადასახლებასო ***(„დროება“, 1880:2-3).*** 14 ივნისს ამავე გაზეთმა გადმობეჭდა ცნობა გაზეთ „კავკაზის“ უკანასკნელი ნომრიდან, რომლის მიხედვით მაჭახლიდან ბათუმში თურქეთში წასასვლელად უკვე ჩასული ყოფილა 400 სული ***(„დროება“, 1880:1).***

მუჰაჯირობამ მეტ-ნაკლებად თითქმის მთელი აჭარა და ჭოროხის ხეობა მოიცვა. ყველაზე მეტი გასახლება 1879-1881 წლებში მოხდა. 1881 წლისათვის მუჰაჯირად ყველაზე მეტი წავიდა მაჭახლიდან, მურღულიდან, შავშეთიდან. გაზეთ „კავკაზის“ (1881, N144) ცნობით, ამ წელს მაჭახლის საპოლიციო უბნიდან მუჰაჯირად გადახვეწილა მოსახლეობის თითქმის ნახევარი, რვაასამდე სული ***(დიასამიძე, კახიძე, 2008:17-18).*** გაზეთ „დროების“ (1879, N188) ცნობით აჭარიდან, მაჭახლიდან, ჩურუქ-სუდან (ქობულეთი) და სხვა კუთხეებიდან წასული მუჰაჯირები უმთავრესად დაუსახლებიათ შავიზღვისპირა რაიონებში: თირიბოლში, უნიეში, ორდუში, გირესუნში, სურმენეში, რიზეში, ათინაში, არქავეში, ხოფასა და სხვა რაიონებში. ყველაზე მეტი მუჰაჯირი ცხოვრობდა ორდუსა და უნიეში ***(კახიძე, დიასამიძე, იქვე. „დროება“, 1879:1-2).***

1879-1882 წწ. მუჰაჯირობის უმთავრესი და დიდი ტალღის ჩავლის შემდეგ ყველაზე ახლო სააღწერო მონაცემები, რაც ჩვენ ხელთ გვაქვს თედო სახოკიას

ცნობებია. თედო სახოკიას მაჭახლის სოფლები, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სახით ქვემო აჭარის საბოქაულოს შემადგენლობაში აქვს მოცემული და ეს მონაცემები 1895 წლით თარიღდება. ცალ-ცალკეა მოცემული კომლთა, ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა. მისი მონაცემებით ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მაჭახლის სოფლებში 703 კომლია, სადაც 3571 ადამიანი ცხოვრობს ***(სახოკია, 1985:208).*** ამ მონაცემთა შედარება გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ რეალურ ციფრთა ყველაზე მიახლოებული რაოდენობა გადასახლებული მოსახლეობისა, რომელიც 1878-1895 წლებში მაჭახლის ხეობიდან გადასახლდა. ეს ციფრი კი, ომამდელი მოსახლეობის ნახევარია, ანუ მოსახლეობის თითქმის ნახევარი - დაახლოებით 3500 კაცი ***(მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017:30-31).***

1878 წლიდან XX საუკუნის დასაწყისამდე მაჭახლისა და ზოგადად აჭარის სოფლებისათვის არაფერი შეცვლილა, განხორციელებული ცვლილებები უმთავრესად შეეხო მხოლოდ აჭარის სამრეწველო განვითარებას და ზღვის სანაპირო ზონის სოფლის მეურნეობას. მაჭახლის და აჭარის სხვა მთიანი სოფლის მეურნეობის და საერთოდ სოფლის ცხოვრების განვითარება კვლავ ჩამორჩენილ მდგომარეობაში იყო.

ბ. კომუნიკაციის საშუალებები და მატერიალური კულტურის ძეგლები.

მაჭახლის ხეობის მდიდარი ისტორიული და კულტურული წარსულის უტყუარი მოწმეა მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა თაღიანი ხიდები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები, ქვითკირით ნაშენი ღვინის საწნახლები და მარნები, ქვით ნაგები წყლის შადრევნები. ისინი თავისი სიძველით ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდებს განეკუთვნებიან.

1. **გზები.**

აჭარის შიდასამიმოსვლო და გარე ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები ერთ-ერთი უძველესია კავკასიაში. ზღვისპირეთზე მდებარე მაგისტრალით შორეულ წარსულში მრავალი ტომი სარგებლობდა სამხრეთი ქვეყნებიდან ჩრდილოეთისაკენ

და პირიქით, ჩრდილოეთი ქვეყნებიდან სამხრეთისაკენ მოძრაობისათვის. ეს გზები საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ხალხთა კომუნიკაციის საქმეში. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან მაგისტრალს მაჭახლის ხეობაზე გამავალი გზა წარმოადგენდა.

მაჭახლის ხეობა თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვან სავაჭრო თუ სამხედრო დანიშნულების მაგისტრალს წარმოადგენდა. ამას ცხადყოფს ხეობაში შემორჩენილი საკომუნიკაციო დანიშნულების ძეგლები (თაღოვანი ხიდები, ციხეები). მაჭახელზე გამავალი გზა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების, თემებისა და ხეობების მოსახლეთა ურთიერთმიმოსვლის, ასევე ვაჭრობის, აღებ-მიცემობის განვითარებაში. აჭარის სამხრეთ საქართველოს მხარეებთან დამაკავშირებელ გზებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა იდო მაჭახლის თემზე, რომლითაც შავშეთის მოსახლეობა ბათუმს უკავშირდებოდა. კერძოდ, ზღვისპირეთიდან ჭოროხის ნაპირების აყოლებით მახოს ტერიტორიაზე მირვეთ-სიმონეთის გზა მაჭახელში და აქედან სამხრეთით აღთვინისაკენ მიდიოდა, ხოლო აჭარისწყლიდან ხერთვისთან გამავალი გზა ჭოროხის მარჯვენა ნაპირით ნიგალს გაივლიდა და სამხრეთისაკენ იღებდა კურსს. მახუნცეთის თემიდან არსებობდა გზა ბზუბზუ-მილისი-ნამლისევით, რომელიც ძველი სახელით „კალაშხევს“, ანუ ქარბუქიან ხევს გაივლიდა და მაჭახლის ხევში გადადიოდა. სწორედ ამ გზით იყო ხშირი მიმოსვლა მახუნცეთსა და მაჭახლის თემებს შორი, ეს ურთიერთობა კი ისე ინტენსიური იყო, რომ მთელი რიგი დღესაც ცნობილი გვარები ამ ორ თემს შუა იყო გაყოფილი, რომელსაც ტბეთის სულთა მატიანე ადასტურებს. *(ვარშანიძე, 1979:26-27).*

მაჭახლის ხეობაზე გამავალი გზა რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო ამას ხეობაში შემორჩენილი თაღოვანი ხიდებისა თუ ნახიდარების სიმრავლეც ცხადყოფს. საინტერესოა, რა დროდან უნდა მოეპოვებინა მაჭახელზე გამავალ გზას მნიშვნელოვანი მაგისტრალის სტატუსი. როგორც, ჩანს ეს ყოველივე უნდა უკავშირდებოდეს ქ. არტანუჯის აყვავების პერიოდს, აშოტ I კურაპალატის მეფობის ხანას, როდესაც გრიგოლ ხანძთელის ინიციატივით, სამხრეთ საქართველოში ფართოდ გაიშალა დიდი სამონასტრო აღმშენებლობითი საქმიანობა. ამ პერიოდიდან მაჭახელზე გამავალი გზა ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო იმ მნიშვნელოვან გზათაგან,

რომლითაც ხდებოდა ტაო-კლარჯეთის დაკავშირება ზღვისპირა ქართულ მხარეებთან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ შავშეთ-იმერხევისათვის ეს გზა ზღვისპირეთთან (ბათუმთან) დამაკავშირებელი ყველაზე მოსახერხებელი და ახლო გზა იყო.

მაჭახელზე გამავალ გზას დიდი როლი უნდა შეესრულებინა ვაჭრობის განვითარებაში. ამის დასტურია ხეობაში არსებული სხვადასხვა სახის სამეურნეო დანიშნულების ძეგლები: მარნები, კლდეში ნაკვეთი საწნახლები, საცეხველები, ჭურები. მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას ჩვენამდე არ მოუღწევია, დღემდე დაცული ძეგლებიც ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა გაცხოველებული მიმოსვლა და ვაჭრობა იყო ამ გზებისა და ხიდების საშუალებით. ამასთანავე, მინდა დავამატო ისიც, რომ უძველესი დროიდან მაჭახლის ხეობაში მცხოვრები რკინის ოსტატები ცნობილი იყვნენ, როგორც ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ბრწყინვალე მკეთებელნი. ბუნებრივია, რომ ასეთ ნაწარმს გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ვაჭრობის განვითარებაში.

მაჭახლის ხეობაზე გამავალი გზის მნიშვნელობა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას და მოგვიანებით, ოსმალთა ბატონობის პერიოდში, საერთოდ ხეობის რთული რელიეფიდან გამომდინარე უკაცრიელი და ძნელად სავალი ხდება. ამასთან დაკავშირებით ცხადად მეტყველებს იმ მოგზაურთა ჩანაწერები, რომელთაც მაჭახლის ხეობაში მოუწიათ სტუმრობა.

მაჭახლის გზებზე და ზოგადად ხეობაზე საინტერესო ცნობებია დაცული ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებში: „ბათუმიდამ მაჭახელის უკანასკნელ სოფელ ეფრატამდე სამოცდაათი ვერსი ითვლება, ოცდაათი ვერსი ცხენით სავლელი და დანარჩენი ფეხით, რადგანაც გზა ძრიელ ვიწრო კლდიანს ალაგას გადადის, ამიტომ ერთ კაცსაც უჭირს გავლა. ასეთი ვიწრო გზებია, საშინელი ადგილები, საშიშარი ტყეები და გადასავარდნ-დასაღუპი ხევები. აქეთ გზები არც ოსმალოს დროს ყოფილა გაკეთებული და, მგონი, რომ არც ეხლა გაკეთდეს, რადგანაც მაჭახლის მდგომარეობა ისეთნაირად იფარგლ-ისაზღვრება, რომ კაცი იქ თუ განგებ არ წავიდა, უიმისოდ აქ არავინ მოხვდება. თუმცა მოკლე გზა გადის შავშეთზე, მაგრამ ვიწრო გზისა და შიშიანობის გამო აქეთ არავინ დაიარება ***(ჭიჭინაძე, 1893:3).***

საინტერესო ცობას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით დავით წერეთელი: „რადგანაც ჯერ, ამ რამოდენიმე საუკუნეს განმავლობაში, ქრისტიანი კაცის ფეხი არ დადგმულა აქ, არათუ ევროპიელი მწერლისა, ამისათვის ვგონებ ნამეტანი არ იქნეს მცირედის აღწერა. ამ დღეებში აქ გზათ გამოიარა მთიულეთის მმართველობის უფროსმა გენ-ლეიტ. კამაროვმა (ჩვენი ღუბერნატორის ძმამ) და მისმა ხლებულმა ჩინოვნიკთაგანმა და მიჩვენა კარტა ახლად შემოერთებული საქართველოსი; ყოველი სოფელი გარეშემო დანიშნული იყო და მაჭახელას ადგილი კი ცარიელი ადგილი იყო. ამით დავრწმუნდით, რომ ჯერ უცნობია ქვეყნისთვის ეს მხარე და ბევრი საინტერესო რამე უნდა იყოს აქა დაფარული“ ***(წერეთელი, 1878:8)***.

მაჭახლის ხეობის გზების შესახებ გაზეთ ივერიის საშუალებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის მოსე ჯანაშვილი: „ეფრატი. მდებარეობს ბათუმიდგან ასი ვერსის მანძილზე, მდ. მაჭახელის ხეობაში, კარჩხლის მთის კალთაზე. იგი ძველინდელი სოფელია, დღეს მასში 15-მდე მოსახლეა. ეფრატსა და მის მახლობელ სოფლებში - სედ-ვაკეს, ზედა-ხერთვისს, გორგაზეთს და ქვაბის-თავს რიგიანი გზები არა აქვთ. აქაურების ფიქრით გზის გაკეთება ცოდვაა, საჭირო რომ ყოფილიყო კარგი გზა, ბუნება მოგვცემდაო. ეგენი ამბობენ, უკეთუ კარგი გზები გვექნება, უცხო კაცნი ადვილად შემოვლენ ჩვენს ქვეყანაშიო და ბარაქა დაგვეკარგებაო. მოხუცმა მემედ-სული-ოღლიმ გვითხრა - სამგზავრო გზები გვქონდაო, აქედგან მიდიოდნენ შავშეთს, არდანუჯს, ართვინს და არდაგანსაცო“ ***(ჯანაშვილი, 1902:3)***.

ჭოროხის აუზში ერთ-ერთ ძირითად ტრანსპორტ სამდინარო ტრანპსორტი წარმოადგენდა. ჭოროხის ქვემო წელზე ერგეს ახლოს გასულ მოქარავნეებს მდინარის მარცხენა ნაპირის მიდევნებით თხილნარი, მახოს და მირვეთის მიდამოების გავლით სიმონეთში შეეძლოთ ასვლა, ხოლო აქედან მაჭახლის ხეობით ართვინისაკენ გამგზავრება. აქედან გამომდინარეობს მირვეთსა და სიმონეთში აგებული ქვის თაღიანი ხიდების აუცილებლობა ***(ვარშანიძე, 1979:34-35)***.

აჭარაში გზებზე ყურადღების მიქცევა ძირითადად XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. მეფის რუსეთისათვის მნიშვნელოვანი იყო ახლად შემოერთებული რეგიონების დროული ათვისება, რისთვისაც აუცილობლობას წარმოადგენდა სამიმოსვლო გზების მოწესრიგება. ცარიზმის პერიოდში დაიწყო ართვინთან

დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, სადაც რთული რელიეფის გამო ძალიან ძნელი იყო გზის გაყვანა. კლდოვანი რელიეფი საჭიროებდა აფეთქებით სამუშაოებს. გზის გაყვანაზე ძირითადად სომხები, ქურთები და ბერძნები მუშაობდნენ. *(ასლანიშვილი-ბავრელი, 1879:76-77)*.

ცარიზმის პერიოდში მაჭახლის ხეობაში გზათა მშენელობბას ადგილი არ ჰქონია, ამას მოწმობს ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობიც. მაჭახლის ხეობაში გზების გაყვანა და მასზე ზრუნვა საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

2. ქვის თაღოვანი ხიდები.

საქართველოს მთიანმა რელიეფმა, ღრმად ჩაჭრილმა ხევებმა და მდინარეებმა ადამიანი გადასასვლელების ძიების, ხიდების მშენებლობის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ხიდების ასაგებად საჭირო იყო ისეთი ადგილის მოძებნა, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მისადგომად. ამავდროულად ხიდის ასაგები ადგილი ვიწრო უნდა ყოფილიყო, რათა მისი აგება გაადვილებოდათ. მცირე ნაკადულებზე გადასასვლელად თავდაპირველად ხის მორებს იყენებდნენ. შემდეგ უფრო რთული კონსტრუქციის ხის კოჭოვანი ხიდების აგება დაიწყეს. დიდ მდინარეებზე ხის ხიდების პარალელურად, ქვის თაღიანი ხიდები შენდებოდა. ძველი ქვის თაღოვანი ხიდების უმთავრესი ნაწილი - თაღი ძირითადად ამოყვანილია დაუმუშავებელი ქვის ფილებით, არქიტექტურული სამკაულის გარეშე. შემაკავებელ მასალად გამოყენებულია კირის ხსნარი. ხიდების მშენებელ ოსტატებს სწრაფი დინების გამო შუა მდინარეში ბურჯის მოწყობისათვის დიდი სიძნელეები ექმნებოდათ. ამიტომ ისინი ცდილობდნენ გადასასვლელები ერთი მალით აეგოთ *(სდსინ, 2009:171)*.

აჭარაში დაცული ქვისთაღოვანი ხიდები შეადგენენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანტიკური და ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლთა საყურადღებო ჯგუფს. ამ მხარეში ისინი სამი ძირითადი მდინარის - კინტრიშის, აჭარისწყლის და ჭოროხის შენაკად მაჭახლისწყლის აუზებსა და მათზე არსებულ სამიმოსვლო-სავაჭრო გზებზე იყრიან თავს. აჭარა-მაჭახელში დაცული ხიდები აღმოსავლურ-კავკასიურ საგზაო ქსელსა და საგზაო ნაგებობათა სისტემის ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ. აჭარასა და მაჭახელში დაცულ ქვისთაღოვან ხიდებზე, გზების

ქსელზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ მათი მშენებლობა აჭარის ძველი „ხევებისა“ და „თემების“ ერთიანობის პერიოდს მიეკუთვნება *(ვარშანიძე, 1979:29)*.

ხიდების ასაგებად უმეტესწილად ჩვეულებრივი ქვასა და დუღაბს იყენებდნენ. ტექნიკური თვალსაზრისით ხიდები მხოლოდ თაღოვანი შენდებოდა. რაც შეეხება ხიდის პარამეტრებს, იგი ტრანსპორტის სახეობასა და გზების მნიშვნელობაზე იყო დამოკიდებული. ხიდები ხშირ შემთხვევაში შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. დაწესებული იყო სპეციალური „სახიდო გადასახადი“. ხიდების მფლობელები გამვლელებს გადასახადებს თავიანთ სასარგებლოდ ახდევინებდნენ*(სდსინ, 2009:171)*.

აჭარაში ქვის თაღოვანი ხიდების რაოდენობა ბოლოდრომდე ცნობილი არ იყო და სხვადასხვა ავტორთა მიერ განსხვავებული რიცხვი სახელდებოდა. 1897 წელს აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერებში თ. სახოკია აქ რვა ხიდს ასახელებდა: ხუთს ზემო აჭარაში და სამს - ქვემო აჭარაში. მისი ცნობით, ყველა ხიდი 1895 წლამდე თავდაპირველი სახით ყოფილა დაცული *(სახოკია, 1950:200)*. სახოკია ქვემო აჭარაში მხოლოდ სამ ხიდს ასახელებს: დანდალოს, მახუნცეთისა და ცხმორისის ხიდებს. როგორც ჩანს თ. სახოკიას მაჭახელი არ აქვს მონახულებული, თორემ აუცილებლად დააფიქსირებდა ცხემლარის ხიდს, რომელიც მაჭახლის ძირითად გზაზე მდებარეობს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სახოკიას აჭარის ხიდების შესახებ ზუსტი ცნობები არ მოეპოვებოდა. რუსი მოგზაური, სამხედრო კორესპონდენტი ვ. ლისოვსკი აჭარაში თერთმეტ ხიდს ითვლიდა *(Лисовский, 1887:14)*. ისტორიოსი შ. ვარშანიძე ბათუმ-მაჭახლის გზაზე 4 ხიდს ასახელებს *(ვარშანიძე, 1979:32)*, მას მოყვანილი ყავს ცხემლარისა და ქოქოლეთის ორი ხიდი *(ვარშანიძე, 1979:30)*, მეოთხე სავარაუდოდ ზ. ჩხუტუნეთში არსებული ჩხერის ხიდი უნდა იყოს. სდსინ დაცული კვლევების შედეგად აჭარაში ფიქსირდება 35-მდე ხიდი, აქედან სამი მაჭახლის ხეობაშია: ცხემლარის, ჩხერისა (სოფ. ზ. ჩხუტუნეთი) და ჩამახისურის (სოფ. ქვ.ქოქოლეთი) ხიდები *(სდსინ, 2009:171)*. აღნიშნული ხიდები ძირითადად ძველ სავაჭრო-საქარავნო გზებზეა განლაგებული და აკავშირებდა როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ძველ გზებს.

აჭარასა და მაჭახელში არსებული ხიდების მშენებლობის ხელოვნება და არქიტექტურა თითქმის ერთნაირია და ანალოგიურია ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთ-

ჭანეთის ტერიტორიაზე კონცენტრირებული ხიდებისა. აქ არსებული ხიდების მშენებლობის ხელოვნებაც და არქიტექტონიკაც თითქმის ერთნაირია. ასეთი ხიდების მშენებლობა აჭარაში IX-X საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო. აჭარა ამ პერიოდში „ქართველთა სამეფოს“ ერთ-ერთი საერისთავო იყო და უშუალოდ მონაწილეობდა სამეფოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში. ცნობილი ფაქტია, რომ აჭარის ერისთავთერისთავები - იოანე და გრიგოლ აბუსერისძეები (XI საუკუნე) ხიხანის, ციხისჯუარისა და აწყურის ციხეებთან ერთად არტანუჯის ციხესაც ფლობდნენ და აქ დიდ კულტურულ-აღმშენებლობით მუშაობას ახორციელებდნენ. ბუნებრივია, აჭარა, როგორც ტაო-კლარჯეთის შემადგენელი ნაწილი, ჩართული იყო ამ პროცესში. აქ არსებული ხიდების დიდი უმრავლესობაც სწორედ იმ გზებზეა განლაგებული, რომლებიც ისტორიული სამცხე-ჯავახეთისა და, განსაკუთრებით, შავშეთის, იმერხევისა თუ არტანუჯისაკენ მიემართებოდა*(სდსინ, 2009:174)*.

მაჭახელში (საქართველოს საზღვრებში მყოფ მაჭახლის ხეობაში) დღეისათვის 4 თაღოვანი ხიდია შემორჩენილი: ერთი - სოფელ ცხემლარაში, ორი - სოფელ ზ. ჩხუტუნეთში (ჩხერისა და ზვარიას ხიდები) და ერთიც - სოფელ ქ. ქოქოლეთში (ჩამახისურის ხიდი). მაჭახლის ხეობაში ასევე ფიქსირდება სამი ნახიდარი ადგილი - ქედქედის, აჭარისაღმართსა და გორგაძეთში (გორგაძეთის „წისქვილნარას ხიდი“ მდინარე მაჭახელაზე იყო აგებული და ამ ხიდით უკავშირდებოდა ჩხუტუნეთი ხერთვისს. ხიდი XX საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა მესაზღვრეების მიერ იქნა დაქცეული *(პროფ. ნ.კახიძე))*.

ზედა მაჭახელში (თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულ მაჭახლის ხეობაში) ევფრატის გზაზე რამდენიმე ხიდი ყოფილა. მაგ: სოფლების მინდიეთისა და ხერთვისის ხიდები გასულ საუკუნეში განზრახ ჩაუქცევიათ (ქოფრი ქედი მინდიეთში და მდ. შავ წყალზე ხერთვისში). ევფრატში სულ სამი ქვის თაღოვანი ხიდი ფიქსირდება - ვაციეთის პატარა ერთთვლიანი კოხტა ხიდი, ერთი - ჩუგათის წყალზე და ერთიც მოზრდილი, ასევე ერთთვლიანი ხიდი, რომლის გადაღმაც ადგილობრივთა ცნობით ეკლესია იდგა. ამ უკანასკნელი, ერთთვლიანი ხიდის ქვეშ დღეს სამანქანო გზა გადის. ევფრატის წყალს მოგვიანებით კალაპოტი შეუცვლია და ხიდიც „დაყრუებულა“, ფუნქცია დაუკარგავს. ადგილს სადაც ეს ხიდი დგას, სანაქი ეწოდება, ხიდს კი - სანაქის ყრუ ხიდი*(კახიძე, მალაყმაძე, 2011:9-10. გივიაშვილი, 18 V. 2012.)*.

2016 წლის 27-28 ივლისს მაჭახლის ხეობაში ბათუმის შრ უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის შედეგად შესწავლილი და აღრიცხული იქნა ქვის თაღოვანი ხიდები და ნახიდარი ადგილები. ხიდებისა და ნახიდარი ადგილების აღნიშნულმა რაოდენობამ ერთხელ კიდევ ცხადყო მაჭახლის ხეობაზე გამავალი სავაჭრო-სტრატეგიული მაგისტრალის მნიშვნელიბა.

მაჭახელში არსებული ხიდებიდან სიდიდით აღსანიშნავია სოფ. ცხემლარის თაღოვანი ხიდი. ხიდი ქვეითთათვის და სასაპალნე ტრანსპორტისათვის იყო განკუთვნილი. ამ ხიდით სარგებლობდა სოფელ ცხემლარის მოსახლეობა XX საუკუნის 60-იან წლებში ძველი ხიდის გვერდით ახალი ხიდის აშენებამდე.

ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე 19,6 მ-ია, სავალი ზედაპირის სიგრძეა 22 მ, სიგანე შუა წელზე 1,6 მ, ნაპირებზე ბურჯთან - 2,1 მ, სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე - 5,3 მ. ნახევარწრიული თაღის მოხაზულობის ხიდი საკმაოდ ვიწროა და განკუთვნილი იყო ფეხით მოგზაურთათვის. ნაშენია ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. ხიდის ზედაპირიც ქვის ფილებითაა მოფენილი. თაღს ამჩნევია მეორადი ქვის ფენა, რაც მას პირვანდელ სახეს უკარგავს. 2008 წელს ხიდს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები *(სდსინ, 2009:174)*.

მცირე ზომის საცალფეხო ხიდს წარმოადგენს ჩამახისურის ღელეზე აგებული ქვის თაღოვანი ხიდი, რომელიც გადმოცემის მიხედვით კირკიტეთელ ვინმე თანთო ახმედ-აღა ხინკილაძეს აუგია XVIII საუკუნეში *(ვარშანიძე, 1979:29)*. ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე 9 მ-ია, სავალი ზედაპირის სიგრძე 11 მეტრს შეადგენს, სიგანე შუა წელზე 1,5 მ, ნაპირებზე ბურჯთან - 1,8 მ, სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე - 3,3 მ.

რაც შეეხება სოფელ ზ. ჩხუტუნეთში არსებულ ჩხერისა და ზვარიას ხიდებს, მათი სიგანე ზემოთ მოყვანილ ხიდებთან შედარებით განიერია (1,8 -2 მ) რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ განკუთვნილი იყო ბორბლიანი ტრანსპორტისათვის.

2016 წელს ჩატარებული ექსპედიციის შედეგად მიგნებულ იქნა ნახიდარი ადგილები სოფელ ქედქედთან და აჭარისაღმართში. სოფ. ქედქედში არსებული ხიდი ე.წ. ბუ ღელესთან (სადაც ბუ ღელე უერთდემა მდ. მაჭახელას) იყო აგებული, კარგად

ჩანს ხიდის ბურჯი, რომელიც მდ. მაჭახელაზე ყოფილა გადებული და სოფელ ქედქედს სოფელ სინდიეთთან აკავშირებდა. ხიდი ცხემლარის ხიდის ანალოგიური უნდა ყოფილიყო. სოფ. აჭარისაღმართში არსებული ხიდი სოფლის ცენტრში მდებარეობდა, ყოფილი ჯამეს ადგილას. ხიდის ბურჯით თუ ვივარაუდებთ, საკმაოდ განიერი უნდა ყოფილიყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხიდი ფეხით მოგზაურთა გარდა ბორბლიანი ტრანსპორტის გადასაადგილებლადაც გამოიყენებოდა.

ზემოთ მოყვანილი კვლევებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მაჭახლის ხეობაში მდინარე მაჭახელაზე (და არამარტო მდ. მაჭახელაზე, პატარა ღელეებზეც) ყოველ სოფელთან (ქედქედი, აჭარისაღმართი, ცხემლარა, ზ. ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, ქოქოლეთი) არსებობდა ქვის თაღოვანი ხიდი. ხიდების ასეთი სიმრავლე, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ხეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას და მის სამეურნეო-კულტურულ დაწინაურებაზე მეტყველებს.

3. ციხეები.

მაჭახლის ხეობაში, დღეისათვის ექვსი ციხეა დაფიქსირებული, ამათგან სამი ზედა (თურქეთის საზღვრებში მოქცეული მაჭახელი) მაჭახელშია - ერთი ხერთვისის ციხე, რომელიც მოხსენიებულია XVI ს-ის ოსმალურ წერილობთ წყაროში (ინახება თურქეთის მინისტრთა საბჭოს არქივში, ქ. სტამბულში), რომელიც თურქოლოგმა ზაზა შაშიკაძემ შეისწავლა და ორიც სოფელ ეფრატის ზემოთ ***(ჯახიძე, 1974:14-15)***, დანარჩენი სამი ციხიდან - ერთი გვარას (იგივე ციხე კისერა ***ზ.ჭ.***) ციხეა, რომელიც მდ. მაჭახელასა და ჭოროხის შესართავთან მდებარეობს, მეორე - სოფ. სინდიეთში მდებარეობს და ზემოდან დავით ძნელაძის სახლია განთავსებული, მესამე - ყალივაკის ციხე სოფ. ქვ. ჩხუტუნეთშია და აგებული იყო სოფ. ჩიქუნეთის ხიდთან მისვლამდე მდ მაჭახელას მარცხენა სანაპიროზე, პატარა გორაკზე. ხერთვისისა და გვარას ციხეები მთავარ როლს თამაშობდნენ მაჭახლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემაში.

ქვ. მაჭახელში არსებული ციხეებიდან გვარასა და ყალივაკის ციხეები სტრატეგიული დანიშნულებისაა და განკუთვნილი იყო ხეობის გასამაგრებლად,

ხოლო სინდიეთის ციხე უფრო საცხოვრებელი ხასიათისაა (ციხე-სახლი) და ფეოდალის, ბეგის საცხოვრებელს წარმოადგენდა.

ა. გვარას (კისერა) ციხე. მდებარეობს მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას შესართავიდან 300 მეტრის მოშორებით და დაშენებულია ხეობისაკენ წინ წამოზიდულ კლდოვან ბორცვზე. ციხის გალავნის კედლების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია, გარდა სამხრეთ დასავლეთისა და ჩრდილო დასავლეთის მონაკვეთებისა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრამდე აღწევს.

გალავნის კედლების ქვედა დონეზე კარგადაა შემორჩენილი ფაქიზად თლილი ქვების თარაზული წყობა. ერთ-ერთ მათგანზე, თითქმის ერთი მეტრის სიმაღლეზე შეინიშნება ჯვრის გამოსახულება (დაახ. 45 სმ. სიმაღლისა და 33 სმ. სიგანისა). სუფთა, თლილი კვადრებით ამოყვანილი კედლების ნაშთები ყველაზე კარგადაა დაცული ჩრდილო აღმოსავლეთ მონაკვეთში. კედლის წყობის ხასიათი მის არქაულობაზე მიუთითებს. ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერვითი ხასიათის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ადგილას ციხე ადრეც (VI-VII საუკუნეებში) არსებობდა. ხელსაყრელი მდებარეობის გამო ციხე მოგვიანებითაც გამოუყენებიათ. გვიანდელი კედლების ნაწილი ნაშენია თლილი და ნაწილობრივ რიყის ქვით. წყობა არათარაზულია. არაა გამორიცხული, რომ ციხის განახლება მოგვიანებით XI-XIII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ციხის შიგნით გალავნის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში შემონახულია ორი ნაგებობის ნაშთი. პირველის მოცულობა 6 კვ.მეტრია, მეორესი 14,5 კვ. მეტრი. არის სხვა ნაგებობათა ნაშთებიც, რომელთა კონკრეტული დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველია. ციხის შიდა ტერიტორიის სამხრეთ მონაკვეთში შემონახულია საკმაოდ ღრმა და შიგნიდან კირის ბათქაშით შელესილი ჭა.

გვარას ციხე ყველა ეპოქაში თავისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო აქტიურ როლს თამაშობდა ჭოროხისა თუ მაჭახლის ხეობაზე ზღვისპირეთისაკენ თუ ზღვისპირეთიდან კლარჯეთისა და არტანუჯისაკენ გამავალი გზების გაკონტროლებაში *(სდსინ, 2009:181-182)*.

ბ. ჩხუტუნეთის (ყალივაკე) ციხე. მდებარეობს მდინარე მაჭახლის მარცხენა სანაპიროზე მაჭახლის წყლისა და დავითეთის რელის შესართავში არსებული მაღალი

კლდის ბორცვზე. ციხე ზემოდან დაჰყურებდა და აკონტროლებდა მაჭახლის ხეობაში გამავალ იმ სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზას, რომელიც ზღვისპირეთს აკავშირებდა შავშეთთან, არტანუჯთან და სამხრეთ საქართველოს სხვა ოლქებთან.

ციხესთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერი „ევფრატისა და იმერხევის გამაჰმადიანება“ (თამარ მეფე და ევფრატის ტაძარი. ნაამბობი ევფრატელი ცეცხლაძისაგან), სადაც ვკითხულობთ: „ ... ამავე დროს თამარ მეფეს გაუკეთებია ხერთვისის ორი ხიდი, სოფ. ჩხუტუნეთის ახლოს და ერთი დიდი კოშკი სოფ. აჭარისაღმართის ზემოთ, მაჭახლის წყლის პირას, რომლის ციხის კედლები დღევანდლამდე დგას. მაჭახლის პირიდან მტერი რომ შემოსულიყო, ის მხოლოდ ამ ციხემდის მოაღწევდა და ამას აქეთ ფეხს ვერ შემოსდგამდა, რადგანაც კარები დაკეტილი დახვდებოდა“ ***(ჭიჭინაძე, 2008:43)***. ამ მონათხრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ საუბარი უნდა იყოს ყალივაკეს ციხეზე.

ციხის შიდა ფართობი 200 კვ.მ-ია. მისი გალავნის კედლების დიდი ნაწილი დაზიანებულია. შემონახულია მხოლოდ ჩრდილოეთის კედელი. გალავნის სიგრძე ამ მონაკვეთში 8 მეტრია, ხოლო სიმაღლე გარედან 2 მეტრი. კედლის სისქე 1 მეტრამდე აღწევს.

ციხის შიდა ტერიტორიაზე შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც. მათგან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს შდარებით კარგად შემონახული გვირაბი, რომელიც ციხის ჩრდილო ნაწილში იწყება და მიშენებულია გალავნის კედელზე. გვირაბი ვრცელდებოდა ციხესთან ჩამდინარე დავითეთის წყლამდე, საიდანაც მეციხოვნეებს წყალი ამოჰქონდათ. საჭირო დროს გვირაბი თავშესაფრადაც შეიძლებოდა გამოყენებულიყო. ამჟამად შემორჩენილი გვირაბის სიგრძე 31-32 მეტრია, სიგანე 0,70-0,80 მეტრი, სიმაღლე საშუალოდ 1,30 მეტრი, ზოგან 2,5 მეტრამდეც აღწევს. გვირაბი 9 მეტრის სიგრძეზე ჰორიზონტალურად მიემართება, შემდეგ დაქანებულია და დაყოფილია კიბისებრად. მისი სიგრძე 13,50 მეტრია.

ციხე ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვით კირის ხსნარზე. კლდეების წყობა არაჰორიზონტალურია. მას შემდგომ პერიოდში შეკეთების თუ განახლების კვალი არ ემჩნევა.

ციხის ახლოს, ჩრდილოეთ ფერდობზე, რამდენიმე წლის წინ შემთხვევით აღმოჩნდა მარანი, სადაც სხვადასხვა მოცულობის რვა ქვევრი დაფიქსირდა. ამათგან დაცულია სამი, რომელთაც ყელის არეში შემოვლებული აქვს ჰორიზონტალური ღარები, ხოლო მუცლის დასაწყისში - ჰორიზონტალური ქედები. ყველა მათგანი დაკირულია. ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩნდა ყურძნის წიპწებიც, რომლებიც ლაბორატორიულად შეუსწავლელია. ციხე და მარანი XI-XIII საუკუნეებით თარიღდება *(სდსინ, 2009:182)*.

გ. სინდიეთის (წულიკიძეების) ციხე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ აღნიშნული ციხე საცხოვრებელი ხასიათისა იყო და ადგილობრივ ბეგებს - წულუკიძეებს ეკუთვნოდათ. ციხე XVIII საუკუნის ბოლოს ან XIX საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს აგებული, ნაშენებია თლილი ქვითა და კირის ხსნარით. ციხის ერთი მხარე ბორცვს ებჯინება, ხოლო სამი მხარე ქვით არის ამოყვანილი. კედლების სიმაღლე 6-7 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ციხის ზემოდან ამჟამად მოსახლეობს დავით ძნელაძე.

4. საკულტო ნაგებობები.

აჭარა, თავისი ზღვისპირა ზოლითა და ხეობებით უცხოელ ავტორთა წერილობითი წყაროების მიხედვით ქრისტეს პირველ მოციქულთა ხანაში ეზიარა ქრისტიანობას. აქ ქრისტიანობის გავრცელების ორი მთავარი მარშრუტი იკვეთება, პირველი - ზღვისპირეთის გავლით (ტრაპიზონი-გონიო-აფსაროსი-ფაზისი) და, მეორე - ტრაპიზონი-გონიო-აფსაროსი-მახო-მირვეთი-აჭარისაღმართი ცხემლარისა და მახუნცეთის თაღიანი ხიდებით - ქვემო და ზემო აჭარა (დიდჭარა)-სამცხე. როგორც ვხედავთ, მაჭახლის ხეობაზე გადიოდა ის მთავარი გზა, რომლითაც ქრისტეს პირველ მოციქულებს უნდა ესარგებლათ დიდაჭარა-სამცხისაკენ მიმავალთ. თუ გავითვალისწინებთ ამ ხეობაში შემორჩენილ ტოპონიმებს: ინაწმინდა (ნინოწმინდა), თავრანგელო (მთავარანგელოზი), ნასაყდრალი, ქილისე (ეკლესია), ნაქილისევი (ნაეკლესიარი), ჯვართა, ჯვარიქედი, ჯვარიღელე *(სურმანიძე, 2013:37-40)* და მოსახლეობაში შემორჩენილ ზეპირგადმოცემებს, რომ ოსმალობამდე ხეობის ყველა სოფელში ეკლესიის არსებობაზე, უეჭველი ხდება, რომ ეს ხეობაც ქრისტეს პირველ მოციქულთა ხანაში უნდა ზიარებოდა ქრისტიანობას. თუმცა, დღემდე არც ერთი

ქრისტიანული საკულტო ძეგლი არ შემორჩა ამ ხეობაში და მხოლოდ ზეპირგადმოცემებით, არაპირდაპირი წერილობითი ინფორმაციებითა და ქრისტიანული შინაარსის მატარებელი ტოპონიმებით თუ ვიმსჯელებთ ამ ხეობის ქრისტიანული წარსულის შესახებ ***(დიასამიძე, 2017:25)***.

მართალია, მაჭახლის ხეობის სოფლებში ქრისტიანული სალოცავები არ შემორჩა, მაგრამ ზეპირ გადმოცემებში და ტოპონიმებში აშკარად ჩანს მათი არსებობა წარსულში. განსაკუთრებით მრავლადაა შემორჩენილი ზეპირგადმოცემები ეფრატის დედა ეკლესიაზე, ხერთვისის ნასაყდრალზე, კარჩხლის მთაზე ნინოწმინდის ეკლესიაზე, ქვედა ჩხუტუნეთ-ჩიქუნეთის გასაყარის ნაქილისევზე, ანუ ნაეკლესიარზე და სხვათა შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესო ცნობები და მრავალმხრივი ზეპირგ ადმოცემებია შემონახული ევფრატის „დედა ეკლესიის“ შესახებ და ამას თავისი ახსნაც ეძებნება. კერძოდ, ცნობილი საეკლესიო მკვლევარის მიხეილ თამარაშვილის წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, 468-471 გვერდებზე მოცემულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა სია ქვეყნის ცალკეულ მხარეების მიხედვით. მათ შორის, სამცხეში 19 ეპარქიაა წარმოდგენილი და მეორედ დასახელებულია ევფრატის (ეფრატის) ეპარქია წმ. ღვთისმშობლის ტაძრით ***(დიასამიძე, 2017:26)***. ეპარქიის ეპისკოპოსი რეზიდენციის სახელით მოიხსენიებოდა - **ევფრატელი** ***(ჯანენი, 1996:47)***.

ევფრატის ეკლესია ზ. ჭიჭინაძის თანახმად „სხალტის ანუ ტფილისის ანჩისხატის ეკლესიის გეგმით ყოფილა გაკეთებული. 5 საჟენი (საჟენი - 1,52-1,76 სმ) სიგანე ჰქონია და 7-8 საჟენი სიგრძე. ეს ცხადად ჩანს დღევანდლამდე დშთენილ საძირკველის კედლებიდამ .... სამრეკლო აღმოსავლეთის კარის წინ ყოფილა და ქვეშ გასავლელი ყოფილა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეკლესიის ფრაგმენტები ერთად ყოფილა მოგროვებული: ზოგიერთი ქვები, რომლებსაც ნაწერები აქვს, აქვე ეკლესიის გვერდით ყრიან“***(ჭიჭინაძე, 2008:44)***.

ეკლესიის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტები კი მეჩეთის სამხრეთი შესასვლელის გასამდიდრებლად გამოუყენებიათ; კარის ორივე მხარეს ძალზედ კარგად გათლილი კვადრებით ერთგვარი პილასტრებია აღმართული (ორივე მხარეს

შვიდ-შვიდი რიგია), მათ ორი დიდი ერთნაირი კაპიტელის ქვა აგვირგვინებს (35X60სს). ეკლესიის ქვების მეჩეთის კედლებში ამრიგად გადამწყობებს , ალბათ, ახსოვდათ, თუ რა პრინციპით იყო განლაგებული ცალკეული არქიტექტურული დეტალები ეკლესიის კედლებში და თითქოს შეეცადნენ კიდეც მათთვის ფუნქციური და ვიზუალური მნიშვნელობა შეენარჩუნებინათ; ძველი ქვჯ ები არ გაულესავთ და მხოლოდ ქვისფერივე საღებავით შეუღებავთ *(გივიაშვილი, 18 V. 2012.)*. ახლანდელმა ხოჯამ გვითხრა, რომ ეს ქვები ეკლესიის არაა, ის წინა მეჩეთიდან დარჩენილი დეტალებიაო, რაც, მხოლოდ ნაწილობრივ უნდა იყოს სარწმუნო; ქვები პირველივე მეჩეთში ჩაუტანებიათ, როგორც ჩანს ძველ ევფრატელებს საკუთარ წარსულთან განშორება უჭირდათ; ამაზე ზ. ჭიჭინაძეც მოგვითხრობს: „გათათრების შემდეგ .... ეკლესიების ქცევა-ნგრევაც შემოუღიათ. ძალას ატანდნენ, რომ ეს ეკლესია თვით ქართველთა ხელით დაქცეულოყო... ბევრნი ... მწარედ სტიროდნენ და ქვიინებდნენ, ხმა-მაღმა ჰყვიროდნენ: „ევფრატს აქცევენ, ღმერთო, ევფრატს აქცევენ!“ *(ჭიჭინაძე, 2008:44)* როცა მაჭახელა „გათათრებულა“ და ევფრატის ეკლესია დაუნგრევიათ, იმ კედლის დატოვება მოუხერხებიათ, საიდანაც ლეგენდის თანახმად ნათელი ამოდიოდა, ზ. ჭიჭინაძის დროს ეს კედელი ჯერ კიდევ მდგარა. მოგვიანებით, როცა შიში ევფრატის წინაშე დაკარგულა, კედელი დაუშლიათ და ახალი მეჩეთი აღუმართავთ; წარწერა მეჩეთის შესასვლელში ამ თარიღსაც გვამცნობს - 1958წ.

ეკლესიის გვერდით ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით ძლიერ ბევრი სახლები ყოფილა. დღეისათვის შემორჩენილია დაახ. ათამდე ქვით ნაგები თაღოვანი ოთახები. ოთახების უკანა კედლები გულმოდგინებით იყო ნაშენი, ხოლო კამარები უფრო უხარისხოდ ნათალი ქვით, დამჭერი თაღების გარეშე.ერთ-ერთ ოთახს წინა კედელიც დარჩენია და ნახევრად მიწაში ჩაფლულ კარს ანტაბლემენტის დიდი ქვაც ადგას. ფერდის ძირას კიდევ ერთი საინტერესო ნაგებობაა შემორჩენილი, რომელსაც ადგილობრივები დღემდე „თამარის წყაროს“ ეძახიან; წყაროს კედელი დიდი და კარგად ნათალი ქვის კვადრებითაა ნაგები, კედელს ერთი ქვის ზომის ნიშა აქვს. აქ პატარა აუზია გამოკვეთილი ერთ დიდ ლოდში; წყაროს კედლის ზედა ნაწილი კი როგორც ჩანს, მოგვიანებით არის აღდგენილი, წყობაც უსწორმასწოროა და უხარისხო; წყალი ხევში ჩაედინება და წინ მდგომ ხეზე შეფენილ ვაზს რწყავს, რომელიც წინაპრების ვენახებიდან არის გადარჩენილი *(გივიაშვილი, 18 V. 2012.)*.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეკლესია ყოფილა სოფ. ხერთვისშიც. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძის ჩანაწერები: „1855 წ. სოფ. ძნელიეთის ახლოს ერთი დიდი უზარმაზარი „კლდე კვირკვინა“ მოხეთქილა 30 კომლი დაუღუპავს და დაუნთქავს. ამაშივე დაქცეულა ის დიდი ჯამე, რომლის მასალისათვის ხერთვისისკენ ერთი დიდი ძველი ეკლესია დააქციეს და ამ ეკლესიის მასალით ეს ჯამე გაუკეთებიათ. ზოგიერთი მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ კლდის მოხეთქა სულ იმ ეკლესიის დაქცევის ცოდვით გვეწიაო. 10 სოფელი დავეხვიეთ და დღე და ღამე ვაქცევდით ჩვენის ფადიშახის ბრძანებითაო. აბა ძველს ეკლესიასთან ჩვენ რა საქმე გვქონდაო *(ჭიჭინაძე, 1913:197-198)*.

2010 წელს სექტემბრის დამდეგს ზედა მაჭახელში ნ. ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარმოებული მოკლევადიანი ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად სოფელ მინდიეთში, მთხრობელთა გადმოცემით დადასტურდა ორი ეკლესია. ერთი მათგანი, რომლის ადგილსამყოფელს დღეს ნასახლევი ეწოდება პატარა ყოფილა, მრევლს ვერ იტევდა და დაუშლიათ. ამის ნაცვლად მოშორებით შედარებით დიდი ეკლესია აუშენებიათ. ამ ეკლესიის ქვებია გამოყენებული იბრაიმ ირემაძის დღევანდელი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, რომელიც ნაეკლესიარ ადგილთან ახლოს მდებარეობს. ეს ეკლესიები სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ცნობილი არ ყოფილა *(კახიძე, მალაყმაძე, 2011:8)*.

ექსპედიციის მიერ შეკრებილი მონაცემებითა და დაკვირვებით, ზედა მაჭახელში პირველი ეკლესია ხერთვისში უნდა აშენებულიყო, მეორე ეკლესია კი ევფრატის უნდა ყოფილიყო. ეს იმით დასტურდება, რომ როგორც სოფ. ევფრატი, ისე ქვაბითავი ხერთვისზე გვიან დასახლებულა. ევფრატისა და ქვაბითავის ტერიტორიებს ხერთვისელები ყიშლებად იყენებდნენ და შემდეგ გაჩენილა აქ მოსახლეობა (ექსპედიციის წევრებს ცნობა მიაწოდა 70 წლის მთხრობელმა, ხერთვისელმა მევლუდ თევთიძემ) *(კახიძე, მალაყმაძე, იგე)*.

თუ რამ განაპირობა ევფრატის ეკლესიის დაწინაურება და მისი მაჭახლელთა დედაეკლესიად გადაქცევა, გაურკვეველია. შეიძლება ეს თამარ მეფის მიერ ევფრატის ეკლესიაში სტუმრობას უკავშირდებოდეს *(ჭიჭინაძე)*. ევფრატის დაწინაურებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო თვით სოფლის მდებარეობამ. აქ გადიოდა უმოკლესი

სახმელეთო გზა, რომლითაც შავშეთის მხარე შავიზღვისპირეთს უკავშირსდებოდა ქვედა მაჭახელზე გავლით.

არქანჯელო ლამბერტის (იტალიელი მისიონერი, მოგზაური 1730-1749წწ)) ცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ევფრატის ეკლესია ოსმალთა ბატონობამდეც ინარჩუნებდა მაჭახლის დედაეკლესიის მნიშვნელობას. ოსმალთა ბატონობის დროს კი მან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ეკლესიების ბედი გაიზიარა. აქ ჯერ ქრისტიანული ლოცვები აიკრძალა, შემდეგ კი ეკლესიამ საერთოდ შეწყვიტა ფუნქციონირება. თუმცა, ევფრატის მკვიდრნი, ისე როგორც საერთოდ მაჭახლის ხეობისა და აჭარის მოსახლეობა, ფარულ ქრისტიანობას XIX საუკუნის ბოლომდე მისდევდნენ ***(კახიძე, მალაყმაძე, 2011:9)***.

ეკლესიების ჯამედ გადაკეთება მაჭახლის ხეობაში და ზოგადად აჭარაში გვიან დაუწყიათ. ყველაზე ძველი მეჩეთი მაჭახლის ხეობაში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ სოფელ ზედვაკეში დგას, რომელიც ნაეკლესიარზეა აშენებული. მისი ერთ-ერთი კედლის ქვაზე არსებული წარწერა და ეზოში ნაპოვნი საფლავის ქვა გვამცნობს, რომ მეჩეთი XVIII საუკუნის 80-იან წლებშია აშენებული.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში მაჭახლის ხეობაში 29 ჯამე და 32 მედრესე ფუნქციონირებდა ***(გუგუნავა, 2003:37)***. ჯამეების სიმრავლეზე ამახვილებს ყურადღებას ზ. ჭიჭინაძეც: „აქეთ ვერ ნახავთ ვერც ერთ პატარა სოფელს, გინდ 5-7 კომლი იყოს, რომ მასა თავისი ჯამე არ ჰქონდეს და ხოჯა არ ჰყავდესთ“ ***(ჭიჭინაძე, 1913:198)***.

სოფ. ქედქედში ქედზე საკმაოდ დიდი ჯამე მდგარა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ხანძრის შედეგად განადგურებულა (რუსეთის ჯარს გადაუწვავს მაჭახლის სოფლები სოფ. ქვ. ჩხუტუნეთამდე). ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ქართველი ეთნოგრაფი და ჟურნალისტი აპოლონ წულაძე: „აი გაღმით გორაზე 50-60 მოსახლე ცხოვრობდა, უმეტესობას ორსართულიანი სახლი ედგა, აი, იქ ქოჩორა ნაძვებს და კაკლის ხეებს შორის შაქრის თავივით შემაღლებულ ადგილას კარგა დიდი მეჩეთი კოხტად გადმოჰყურებდა აქაურობას. მშვენიერი სანახავი იყო აქაურობა.

ახლა კი ნასოფლარს მხოლოდ იმით შეატყობ, რომ იქ მოსჩანს სასიმინდეების ბოძები და ყორით ნაშენი ქვედა სართულები ***(წულაძე, 2017:42)***.

აპოლონ წულაძის ნაამბობი ადასტურებს, რომ ჯამეები არსებობდა სოფ. აჭარისაღმართსა და ცხემლარაში, რომელიც 1915 წელს რუსის ჯარს გადაუწვავს *(წულაძე, 2017:42-43)*.

მოგვიანებით, როგორც ჩანს ჯამეები აღუდგენიათ, სოფ. სინდიეთში ჯამე იდგა კვირიტიძე ისმაილის სახლის ზემოთ, ქედზე. ჯამე ორსართულიან ხის შენობას წარმოადგენდა. 1952-1953 წლებში უყურადღებობის გამო დაზიანებულა და დანგრეულა. ასევე ჯამე იდგა სოფ. ჭანივრის ცენტრში, პირველი სართული გათლილი ქვისაგან იყო ნაგები, ხოლო მეორე სართული ხისა ჰქონდა. ჭანივრის ჯამეც უყურადღებობის მსხვერპლი გახდა და XX საუკუნი 60 წლების დასაწყისში იქნა დანგრეული *(ნაგერვაძე)*.

ორსართულიან ხის საკმაოდ მოზრდილ შენობას წარმოადგენდა სოფ. აჭარისაღმართის ჯამე, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ააგეს. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ შენობის პირველი სართული სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა (დაწყებითი სკოლა, საწყობი), მეორე სართულზე კოლექტივის კანტორა იყო განთავსებული. შენობა 1971 წელს გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა *(აბესლამიძე)*.

დღეისათვის მაჭახლის ხეობაში საკულტო ნაგებობებიდან მხოლოდ ერთი მეჩეთია შემორჩენილი სოფ. ზ. ჩხუტუნეთში, სადაც 1984 წლიდან მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია განთავსებული. სოფ. ჩიქუნეთის მეჩეთი 1975 წელს თბილისში იქნა გადატანილი, რომელიც განათავსეს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ამსახველი ღია ცის ქვეშ მუზეუმის აჭარის ზონაში, აჭარიდან ჩატანილი მატერიალური კულტურის სხვა ძეგლაბთან ერთად. ასევე არსებობს ორსართულიანი ხის შენობა სოფ. სკურდიდში, რომელსაც ადგილობრივები ჯამეს უწოდებენ, მაგრამ ეს შენობა უფრო საცხოვრებელი დანიშნულებისაა და სავარაუდოდ ხოჯის, ან მოლის საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა *(ვარშალომიძე)*.

5. საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები

ტიპიურ ქვემო აჭარულ ნაგებობებთან რიგ ლოკალურ თავისებურებებს ავლენს მაჭახლის ხეობაში გავრცელებული სახლები.

მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ მაჭახლის ხეობის საცხოვრებელი ნაგებობებიც ვერტიკალურ განზომილებაშია მოცემული, ტიპიური სხლი აქაც ორსართულიანია. პირველი სართულის ერთი ნაწილი განკუთვნილია საქონლის სადგომად, ნაწილი კი სხვა სახის სამეურნეო დანიშნულებისა (ინახავდნენ შეშას, საქონლის საკვებს, სამეურნეო იარაღ-ინვენტარს და სხვა). ამასთან, ზოგიერთი სახლის პირველი სართული ქვითაა ნაშენი, ზოგი კი ხით.

ხის სამშენებლო მასალად ძირითადად წაბლია გამოყენებული, რიგ შემთხვევაში ცაცხვი ან თელა. ქვის მასალას კლდის, მიწის ზედაპირზე და მის წიაღში არსებული ლოდების დაშლით ღებულობდნენ (აფეთქების გზით). პატარა ლოდებს კი ვარიოზით (დიდი ჩაქუჩი) ამტვრევდნენ.ხის და ქვის მასალას ნადით, ხარ-მარხილით ეზიდებოდნენ. ქვის კედლები კირის ხსნარით ამოჰყავდათ.

საცხოვრებელი სახლი აქაც ისე იგეგმებოდა, რომ იგი საკარმიდამო ნაკვეთის თავში იყო განლაგებული. სახლს გააჩნდა ფართო ეზო, სახლის უკანა მხარეს ერდო ეწოდებოდა. ეზოში იყო მოქცეული დამხმარე ნაგებობანი (საბძელი, საქათმე, ნალია და სხვ.). ეზოს ერთი ან ორი შესასვლელი გააჩნდა, სახლსაც ორი შესასვლელი ჰქონდა ქვის ან ხის კიბით. საბძელის პირველი სართული გამოიყენებოდა მსხვილფეხა საქონლის სადგომად, მეორე სართული საქონლის წლიური საკვების მარაგის შესანახად. ვისაც წვრილფეხა საქონელი (თხა, ცხვარი) დიდი რაოდენობით ჰყავდა, იგი ეზოში საქონლის სადგომთან ახლოს სპეციალურად ხის სარებით შემოღობილ ადგილს - ჰარღილს აწყობდა, აქვე ხდებოდა წვრილფეხა საქონლის ჩამოწველაც, ცხვრის გაკრეჭა და სხვა *(მიქელაძე, 1982:43-44)*.

მატერიალური კულტურის სხვა მიწისზედა და მიწისქვეშა ძეგლებიდან აღსანიშნავია კლდეებზე ქვითკირით მიშენებული საწნახლები, მარნები, საცეხველები, მიწაში ჯგუფურად და გაფანტულად დაფლული დიდი და პატარა მოცულობის ქვევრები, რაც აგრეთვე ხეობაში მევენახეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

მარნებისა და საწნახლების მკეთებლობას ხალხი თამარ მეფეს და მის დროს მიაწერს. ეს შეიძლება სწორიც იყოს. მაგრამ ასევე შესაძ;ებელია, რომ მატერიალური

კულტურის ეს ძეგლები უფრო ძველ პერიოდს ეკუთვნოდეს. არქეოლოგიური თვალსაზრისით ისინი შეუსწავლელია *(ჯახიძე, 1974:45)*.

ზოგიერთი მარანი და საწნახელი დღემდე თითქმის დაუზიანებლადაა მოღწეული. სოფ. ზ. ჩხუტუნეთში რამდენიმე ასეთი საწნახელია. მათი გავრცელების ადგილებია: **მერე, საჭინკურია, ჭონჭყო და ჯანავრა**. ამათგან ყველაზე სრული სახით დაცულია ჭონჭყოს საწნახელი, რომლის ერთ კედელს ქმნის კლდე, დანარჩენი კედლები კი ქვითაა ამოყვანილი. წვენის გამოსასვლელად საწნახელს წინა მხრით კედელში დატანებული აქვს ურთხმელის ხის ღარი. ამ საწნახლების მიდამოები დღეს ტყედ არის ქცეული.

1970 წლის ზაფხულში ქვითკირით ნაგები მოზრდილი საწნახელი აღმოჩნდა მიწის ქვეშ სოფ. ზ. ჩხუტუნეთის რვაწლიანი სკოლის ეზოს კეთილმოწყობის დროს. საწნახელი 1850-იან წლებში მოსულ მეწყერს დაუფარავს *(ჯახიძე, იქვე)*.

საწნახლების ნაშთები გვხვდება აგრეთვე ცხემლარაში და ჩიქუნეთში. მარნებიდან გამოირჩევა ცხემლარისა და ზ. ჩხუტუნეთისა (2016 წელს ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ წარმოებული ექსპედიციის დროს დადგინდა, რომ ზ. ჩხუტუნეთის ე.წ. მარანი არ განეკუთვნება მარნების ტიპის შენობას, რადგანაც შიგნით შენობაში და მახლობლად არ არის აღმოჩენილი მარნისათვის დამახასიათებელი რაიმე ატრიბუტი. აღნიშნული შენობა უფრო აკლდამას ან ბერის სამლოცველო კელიას წააგავს (ბ. დიასამიძე), შენობის დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ მას პირვანდელი სახე დაკარგული აქვს. აღნიშნულ შენობას მარჯვენა კედალზე აქვს სასანთლე ნიშა **ზ.ნ.**). ორივე მარანი თითქმის ერთი ტიპისაა, მხოლოდ პირველი მეორესთან შედარებით უფრო დიდია.

სხავადასხვა ტევადობისა და ფორმის ჭურები მეტნაკლებად ხეობის ყველა სოფელშია გაბნეული მიწაში ჩამარხული სახით. მაგ. სოფ. სინდიეთში, ერთ-ერთ კარმიდამოზე 20-მდე სხვადასხვა ზომის ჭური გვხვდება. მრავალი ჭურია მიწაში შჩამარხული სოფ. ზ. ჩხუტუნეთში (ნაგერვეთისა და დავთეთის დასახ. პუნქტები). ბევრ ადგილას ჭურებში ჭაჭა და ღვინოც უნახავთ. მთხრობელები ისეთი ჭურების არსებობაზეც მიგვითითებდნენ, რომლებშიც თურმე კიბით ჩადიოდნენ *(ჯახიძე, 1974:46)*.

განხილული მონაცემების საფუძველზე, რაც მიწაში ჯგუფურად, თუ გაბნეულად დაფლული ჭურებიდან გამომდინარეობს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაჭახლის ხეობაში ისეთი ღია ტიპის მარნები უნდა ყოფილიყო, როგორიც დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც გავრცელებულია დახურული ტიპის მარნები.

მაჭახლის ხეობაში თითქმის ყველა მოსახლის სამეურნეო დანიშნულების ატრიბუტს წარმოადგენდა ჩამურის მსგავსი ქვის საცეხველები, რომელსაც სხვადასხვა მარცვლეულისა, თუ ხილის დასაცეხვად იყენებდნენ. ზოგი მათგანი საკმაოდ დიდი ზომისაა (მაგ. სოფ. ზ. ჩხუტუნეთში, ძნელიეთში გზის პირას მდებარე საცეხველი). სოფ. სკურდიდში არსებული საცეხველი მასიურ ქვაშია ამოკვეთილი, რომლის სიღრმე 63 სმ-ია, ხოლო გარშემოწირულობა 1,06 მ-ია.

4. მაჭახლის ხეობაში წარმოებული ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევები და აღმოჩენები

მაჭახლის ხეობა არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით მრავლისმთქმელ და საინტერესო საკვლევ ობიექტს წარმოადგენს. ხეობა გამოირჩევა ძეგლთა სიმრავლით, რომელიც არქეოლოგებს აძლევს საშუალებას სხვადასხვა ობიექტზე აწარმოონ არქეოლოგიური კვლევა. ხეობაში აღმოჩენილი და მიკვლეული ძეგლები გვაძლევს საშუალებას დავყოთ დანიშნულების მიხედვით: საკომუნიკაციო (ქვის თაღოვანი ხიდები), საფორტიფიკაციო (ციხეები), სასოფლო სამეურნეო (მარნები, საწნახელები, საცეხველები, ქვევრები).

მაჭახლის ხეობაში მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებას ცხადყოფს მარნებისა და საწნახელების სიმრავლე. ადგილობრივი მოსახლეობა მათ მშენებლობას თამარ მეფეს მიაწერს, მაგრამ შესაძლებელია ეს ძეგლები უფრო ძველი ან მოგვიანებითი პერიოდისაც იყოს, ისინი არქეოლოგიურად დღემდე შეუსწავლელია. რამდენიმე საწნახელია დაცული სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე. მათი გავრცელების ადგილებია: მერე, საჭინკურია, ჭონჭყო, ჯანავრა, ბარი.

1979 წელს ზაფხულში მიწის ქვეშ ქვითკირით ნაგები მოზრდილი საწნახელი აღმოჩნდა ამავე სოფლის რვაწლიანი სკოლის ეზოს კეთილმოწყობის დროს. იგი 1850-იან წლებში მოსულ მეწყერს დაუფარავს. საწნახლების ნაშთებია შემონახული ცხემლარასა და ჩიქუნეთში. ქვის ორი მარანია დაცული ცხამლარასა და ზედა ჩხუტუნეთში (*თუმცა, მოგვიანებით ჩატარებული კვლევების შედეგად მტკიცდება, რომ ზედა ჩხუტუნეთის ე.წ. მარანი საერთოდ არ შეესაბამება მარნის ტიპის ნაგებობას, რადგანაც ახლომახლო ქვევრები არ არის მიკვლეუ;ლი, ის უფრო აკლდამას (ბ. დიასამიძე) ან და ბერის კელიას უნდა წარმოადგენდეს) (ანგარიში, 2016:2).*

მიწაში ჩამარხული მარნები ხეობის თითქმის ყველა სოფელში გვხვდება, ამათგან სიმრავლით სინდიეთი და ზედა ჩხუტუნეთი გამოირჩევა. მაჭახლის ხეობაში საქმე გვაქვს ძირითადად ღია ტიპის მარნებთან. ამგვარი მარნები ტიპიურად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც უმეტესად დახურული ტიპის მარნები იყო *(ჯახიძე, 2007:21).*

გასულ საუკუნეში მაჭახლის ხეობაში მიწის წიაღში დამარხული ნივთიერი კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით რაიმე სახის გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა. სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, გზების გაყვანისა თუ სხვა სახის სამუშაოების დროს ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური მასალები.

აღმოჩენილ ნივთიერ მასალებს შორის ყურადღებას იქცევს სოფელ გვარასა და ჩალეწილის მთაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს კოლხური ცულები. სოფელ გვარაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული დაცულია მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. იგი აღმოჩნდა სოფელ გვარაში პატარა ხევთან სამანქანე გზის გაფართოების დროს. ცული სრულადაა დაცული, დაფარულია კეთილშობილი პატინის საკმაოდ სქელი ფენით, აქვს მახვილი, თანაბრად დაქანებული ყუა, წვეტიანოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი. ცულის ტარი მაღალი და ექვსად დაწახნაგებულია. მის შუა წახნაგს ქმნის ყუის წინა წვეროსა და შუა ნაწილისაგან დაშვებული სიმეტრიული წიბოები, რომლებიც ცულის ნიღრებამდე შედარებით მაღალია. ცულის სიმაღლე 23 სმ-ია, პირის სიმაღლე - 4,5 სმ., სიფართე - 8 სმ.

გვარას ცული ხასიათდება მოხდენილი, დახვეწილი პროპორციებით. მისი ზედაპირი შესანიშნავადაა დამუშავებული. კეთილშობილი პატინის მიხედვით ჩანს, რომ იგი კალიანი ბრინჯაოსგან უნდა იყოს ჩამოსხმული. ცული წარმოადგენს მაღალმხატვრულ ნაკეთობას და კოლხური ცულების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს განეკუთვნება. მას სათანადო ანალოგიები ეძებნება დიდაჭარის, საღორეთის, კირნათის ერგეს,ზემო ჯოჭოს, ალამბრის, მელექეთურის და სხვა მონაპოვრებს შორის. გვარას ცული თარიღდება კოლხური კულტურის ადრეული ეტაპით, ზოგადად ჩვ. ერამდე XIII-XII საუკუნეებით *(ჯახიძე, 2007:37).*

2005 წელს ჩალეწილის მთაზე სოფელ უჩხითში მცხოვრებ ავთანდილ ჟორჟაძის მიერ აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს ყუაკვერიანი ცული.

ჩალეწილის მთა მდებარეობს მდ. მაჭახელას მარჯვენა ფერდობზე სოფლების სინდიეთისა და აჭარისარმართის თავზე (მთავარანგელოზის მთის გვერდით, ეკუთვნის სოფ. აჭარისაღმართს ზ.ნ.). აღმოჩენილი ცულის ადგილის სახელია ვასილონი. მთის ვიწრო გადასასვლელებით ჩალეწილი უშუალოდაა დაკავშირებული აჭარისწყლის ხეობასთან - უჩხითთან და მილისთან. სწორედ ამ სოფლების გავლით მიერეკებოდნენ მაჭახლის მკვიდრნი თავიანთ საქონელს ჩირუხის ალპურ საზაფხულო საძოვრებზე.

ჩალეწილში ნაპოვნ ბრინჯაოს ცულს დაახლოებით 3000 წლის ისტორია აქვს. ცულს აქვს მაღალი, მკვეთრად გამოყოფილი ჩაქუჩისებური ყუა, წვეტიან-ოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი, სწორი, ექვსწახნაგა ტანი და გორდა სიმეტრიული პირი.

მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური კულტურის სხვა მახასიათებლების მსგავსად ყუაკვერიანი ცულების გენეზისი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უნდა უკავშირდებოდეს. აჭარისწყლის სათავეების გზით ისინი გავრცელებული ჩანს სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე ბორჯომის ხეობაში. ამათი წინამორბედი ფორმები მცირე თუ წინა აზიაშიც გვხვდება. ჩალეწილის ცულის მსგავსი ყუაკვერიანი ცულები სხვადასხვა ეპოქით ძვ.წ. XII-VII საუკუნეებით თარიღდება.

აღნიშნული მონაპოვრებიდან ჩანს, რომ გვიანბრინჯაოს ხანიდან დაწყებული მაჭახლის ხეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. აქ გადიოდა შავშეთთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სახმელეთო გზები. აქედან კი იგი, ჭოროხის სამდინარო მაგისტრალით უკავშირდებოდა იმერხევსა და ტაოკლარჯეთის სხვა პროვინციებს. ასე, რომ ათასწლეულების მანძილზე ჩამოთვლილ რეგიონებს შორის უწყვეტი კონტაქტების არსებობა დასტურდება აჭარისწყლის ხეობის დასახლებებთან. ჭოროხის, მაჭახლისა და აჭარისწყლის ხეობები ზღვისპირეთის მიმართ ერთიან ექსპოზიციას ქმნის *(ჯახიძე, 2008:39-40)*.

მეოცე საუკუნის ბოლოს პროფესორ როინ მალაყმაძის (მაშინ ჯერ კიდევ ასპირანტურის სტუდენტი იყო) ინიციატივითა და ადგილობრივი ახალგაზრდების თანადგომით განხორციელდა პირველადი დაზვერვითი სამუშაოები ისტორიულ ძეგლებზე, გაიწმინდა გვარასა და ყალივაკის ციხეების ტერიტორია, მოეწყო მისასვლელი ბილიკები. აღნიშნულმა ინიციატივამ შემდგომისათვის დიდი დაინტერესება ჰპოვა მეცნიერებს შორის რომელმაც ბიძგი მისცა ძეგლების მეცნიერულ დონეზე შესწავლას.

2016 წლის 27-28 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების მიერ მოეწყო წლიური გეგმით გათვალისწინებული კომპლექსური ექსპედიცია მაჭახლის ხეობაში. აღნიშნული ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: ბიჭიკო დიასამიძე (ექსპედიციის ხელ-ლი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ ემერიტუსი), უჩა ოქროპირიძე (ისტორიი დოქტორი, ინსტიტუტის ისტორია-არქეოლოგიის განყ-ის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფრსორი), ოლეგ ჯიბაშვილი (ამავე განყ-ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი), სულხან მამულაძე (ბსუ-ს არქეოლოგიის განყ-ის მაგისტრანტი, სპეციალისტი), ჯემალ ვარშალომიძე (ისტორიის დოქტორი, ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), ჯემალ მიქელაძე (ისტორიის დოქტორი, ამავე განყ-ის მეცნიერი თანამშრომელი, მხატვარ-არქიტექტორი), ზურაბ ნაგერვაძე სოფ. აჭარისაღმართის საჯარო სკოლის დირექტორი, ისტორიკოსი, მძღოლი .ჯონი კოპინაძე.

ექსპედიციის მონაწილეებმა უპირველეს ყოვლისა მოინახულეს სოფელ ზემო ჩხუტუნეთში არსებული უმშვენიერესი მეჩეთი (მეჩეთი, ადგილობრივთა გადმოცემით, აშენებულია ლაზი ოსტატის მიერ, რომლის ვინაობაც, სამწუხაროდ ცნობილი არ არის). (მეჩეთის შენობაში ამჟამად განთავსებულია მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ზ.ნ.). ექსპედიციის მონაწილეთა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა აღნიშნული მეჩეთის მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებულმა, ორნამენტებითა და ჩუქურთმებით მორთულმა მეჩეთის ინტერიერის არქიტექტურულმა დეტალებმა. (მეჩეთი შედგება 3 იარუსისაგან და თითქმის მთლიანად ჩუქურთმებითა და ორნამენტებითაა დაფარული). მეჩეთის გუმბათის ცენტრში განთავსებულ ორნამენტში ჩატანებულია ჯვრის გამოსახულება. ჯვრებია გამოსახული აგრეთვე გუმბათის საყრდენად გამოყენებული კონსტრუქციის ოთხივე კუთხის აღმნიშვნელ ფრაგმენტებში.

ექსპედიციის წევრთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მეჩეთის ერთ-ერთი უმთავრესი დეტალის, მინბარის (ჰუდბე) კედლის თითქმის ძირში გამოსახულმა ორნამენტირებული დოქის და მასში ჩახატული ბორჯღალის კომპლექსმა, რომელსაც ზემოდან სიცოცხლის ხის ასევე ორნამენტირებული გამოსახულება ამშვენებს.

მკვლევართა მიერ (უ. ოქროპირიძე) გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული კომპლექტი, (სიცოცხლის ხის გამოკლებით), შეიძლება წარმოადგენდეს ამ მეჩეთის ამშენებელი, ზემოთ მოხსენებული უცნობი ლაზი ოსტატის საიდენტიფიკაციო ნიშანს, ე. წ. „დამღა“, რომელშიც იგი, შეიძლება მისდა უნებურადაც, უბრალოდ თავის რწმენაში ქვეშეცნეულად შემორჩენილ საკუთარ ქართულ ეროვნულ იდენტობას აფიქსირებს *(ანგარიში, 2016:2)*.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ზემო ჩხუტუნეთის ყოფილი მეჩეთის ინტერიერის ორნამენტირება-მოხატვაში ქართული ქრისტიანული ხელოვნებისა და მისთვის დამახასიათებელ ატრიბუტთა, თუმცა შეფარულად, მაგრამ მაინც ჭარბი გამოყენება, ვიდრე ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა რეგიონების მუსლიმანური სალოცავებისათვის. (აღნიშნული ე. წ. „დამღა“, ჯვრები თუ ჯვრიანი ვარდულები, ერთმანეთში გადაწნული ქრისტიანული სიმბოლოები და სხვა).

ექსპედიციის წევრებმა ამავე სოფელში, ძნელიეთის უბანში, ანტონ ძნელაძის საცხოვრებელი სახლის მახლობლად მოინახულეს და დააფიქსირეს ძველი ფეოდალური საქართველოს პერიოდისთვის დამახასიათებელი მცირე აკლდამის ტიპის ნაგებობა, რომელიც შეუსწავლელია და დღევანდლამდე მარნის სახელით მოიხსენიება. მაგრამ მისი ინტერიერის ყურადღებით დათვალიერებისას მარნისთვის დამახასიათებელი რაიმე ატრიბუტი არ შეინიშნება. ამასთან ნაგებობას ეტყობა ახლახან მისი შიგნიდან გამაგრების მცდელობის აშკარა კვალი, რის გამოც ნაგებობის ადრინდელი იერ-სახე შეიძლება წაიშალა. ამიტომაც ექსპედიციის წევრები საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ, თუ რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო აღნიშნული მცირე ზომის სათავსო. (მასალა მისი მოცულობისა და სათანადო ჩანახაზები ინახება ჯ, მიქელაძესთან). ნაგებობა გადაღებულია ვიდეო და ფოტოსურათების სახით. გამოითქვა ვარაუდები, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ბერის ჩვეულებრივი სამლოცველო კელია (ბ. დიასამიძე), ან აკლდამა, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქ ჟინვალში ადრე არსებული აკლდამის (რომელიც ახლა წყლით არის დაფარული) მცირე ზომის ანალოგად (უ. ოქროპირიძე), ან კიდევ, საყოფაცხვრებო დანიშნულების სათავსო, მარანი ან „მაცივარი“ (ბ. დიასამიძე, ჯ. მიქელაძე, ზ. ნაგერვაძე).

აქვე, ზ. ჩხუტუნეთში მოვინახულებულ და ვიდეო და ფოტო მასალის სახით გადაღებულ იქნა ჩხერის ღელეზე აგებული ქართული ასომთავრულის მგვრლოვანი ასო-ნიშან ღ-ს ფორმის თაღოვანი ხიდი, მოხდა აღნიშნული ხიდის ყოველმხრივი აზომვა.

ამავე სოფლის ძნელიეთის უბნის ქვემო ნაწილში, ადგილი ჭონჭყო, ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს და შეისწავლეს საკმაოდ დიდი მოცულობის (მისი ზუსტი აღწერილობა და აზომვები გაკეთდა ჯ. მიქელაძის მიერ ო. ჯიბაშვილის დახმარებით და ინახება მასთან; მოხდა აღნიშნული ობიექტის ვიდეო და ფოტო ფიქსაცია - უ ოქროპირიძე, ჯ. ვარშალომიძე) თლილი, საკმაოდ დიდი ქვებით ნაშენი საწნახელი, რომელიც ამჟამად ნაგერვაძეების საწნახლის სახელით არის ცნობილი (ცნობა მოგვაწოდა ზ. ნაგერვაძემ). ამავე სოფელში, როგორც თავის ნაშრომში, „მაჭახლის ხეობა“ ეთნოლოგი, ისტორიის მეცნ. დოქტორი ნ. კახიძე აღნიშნავს,

ყოფილა კიდევ 3 ასეთი დიდი ზომის საწნახელი: მერეს, საჭინკურიას და ჯანავრას *(ბახიძე, 1976:45).*

ადგილზე მოპოვებული მასალისა და სხვა მოცემულობათა საფუძველზე, ძეგლის დანიშნულებასა და მის შესაძლო ასაკზე ექსპედიციის წევრების მიერ გამოითქვა ვარაუდები. მხატვარ-არქიტექტორის, ისტორიის დოქტორის ჯ. მიქელაძის აზრით, მშენებლობის სტილისა და მასზე გამოყენებული დუღაბის მიხედვით აღნიშნული საწნახელის ასაკი შეიძლება ახ. წ. აღ-ის VII საუკუნემდე ჩავიდეს, აქვე მის მახლობლად კი შეიძლება არსებობდეს მარანი და სხვა დამხმარე სათავსოებიც.

ჯ. ვარშალომიძის აზრით, ამ ობიექტის ირგვლივ სავარაუდოა გაშენებული ყოფილიყო ადგილობრივი ყურძნის ჯიშის მაღლარი ვენახი, ან კიდე ხილის ბაღები, რომლის ნაყოფთა დასაწურავადაც გამოიყენებდნენ აღნიშნულ საწნახელს...

ექსპედიციის წევრებმა გამოთქვეს შემდეგი ვარაუდი: აქ ასეთი დიდი ზომის საწნახლის არსებობამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ამ საწნახელში დაწურული საკმაოდ დიდი რაოდენობის ღვინოს უნდა ქონოდა სავაჭრო-სასაქონლო, ან კიდევ ძველ წარმართულ კულტთან დაკავშირებული რიტუალების მომსახურების დანიშნულება (ამას გვაფიქრებინებს ის, რომ საწნახელი მოთავსებულია მასზე ზემოდან სახურავივით გადმოხურული მასიური კლდის ქვეშ, რომელიც მას წვიმისაგან საიმედოდ იცავს). საწნახლის ახლოს ჩამომდინარე წყაროს წყლის ნაშთი და ქვა-ღორღის ჩამონაშალით დაფარული ტერიტორია შეიძლება ადრე წარმოადგენდა ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშითა და წყაროს წყლით შემკულ მოზრდილ ბაქანს, სადაც შესაძლებელია ტარდებოდა უძველესი ქართული რელიგიური რიტუალები - წარმართული, ან კიდევ, დასაშვებია, ქრისტიანულიც. აქვე მახლობლად, სავარაუდოა სათანადო საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთების არსებობაც, რაც ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავების შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, (მიმდებარე ტერიტორია დაფარულია ხშირი მცენარეული საფარითა და ჩამონაშალი ქვა-ღორღით).

ექსპედიციის პირველი დღის ბოლო ობიექტი, რომელზეც ამ დღეს ექსპედიციის წევრებმა ყურადღება შეაჩერეს, იყო ყალი-ვაკეს ციხე, რომელზე ასულებმაც მოახდინეს მისი ვიდეო და ფოტო ფიქსაცია. განსაკუთრებული ყურადღება აქ მიიქცია

ციხის ძირში ჩამომდინარე მდინარის ნაპირზე ჩამავალმა გვირაბის ნაშთებმა, რომლის არსებობამ ექსპედიციის წევრებს უბიძგა ანალოგია გაგვეკეთებინა ციხე-გოჯის ამავე დანიშნულების გვირაბთან და გამოეთქვათ ვარაუდი აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობის მნიშვნელოვან სტრატეგიულ დანიშნულებაზე. ამით ექსპედიციის პირველი დღე დასრულდა.

2016 წლის 28 ივლისს, დილით ექსპედიცია დაიწყო მირვეთში არსებული XVIII საუკუნეში აგებული თაღოვანი ხიდის მონახულებით, რომელიც აშენებულია მირვეთის დიდ ღელეზე, მისი ჭოროხთან შეერთების ახლოს. ხიდი შესანიშნავად გამოიყურება და აშკარად ეტყობა მასზე სულ ახლახან ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების კვალი. ხიდი მრგვლოვან-თაღოვანი მოხაზულობისაა და როგორც ჩანს, მდ. ჭოროხის გაყოლებით მიმავალი უძველესი საკომუნიკაციო გზის ნაწილს წარმოადგენდა. იქვე, თაღოვანი ხიდის ახლოს აღმოჩენილ იქნა უძველესი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიის ნაშთები აზომეს ო. ჯიბაშვილმა და ს. მამულაძემ, ხოლო მისი ჩანახატები გააკეთა ჯ. მიქელაძემ.

შემდეგ ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს მდ. მაჭახლისა და ჭოროხის შესართავის მახლობლად მთაზე წამომართული გვარას (კისერას - ბ. დიასამიძე ზ. ჭიჭინაძეზე დაყრდნობით) ციხე. მოხდა ციხის ვიდეო და ფოტო გადაღება, ხოლო მისი აზომვა და შედარებით მოკლე აღწერა მოახდინა მკვლევარმა ჯ. მიქელაძემ. ციხის მოზრდილი ქონგური (მისი სიმაღლე 4-დან 10-12მეტრის ფარგლებში მერყეობდა) და მისი ზედა ნაწილი, ექსპედიციის პირველ დღეს ნანახი ვაკი ყალეს ციხის ნაშთებთან შედარებით კარგად გამოიყურება. ქონგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის საძირკვლიდან (ახლანდელი ქვა-ღორღისა და ნანგრევების ფონზე) თითქმის 1 მეტრის სიმაღლეზე გამოსახულია კარგად შემონახული ჯვრის ფიგურა (დაახლოებით 45 სმ. სიმაღლისა და 33 სმ სიგანის).

სოფელ სინდიეთში მისულმა ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს ძველი ციხის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივები წულუკიძეების ციხის სახელით მოიხსენიებენ. ამჟამად მის მიდამოებში მოსახლეობს დავით ძნელაძე, რომელმაც მოგვაწოდა ადრე მის მიერ გადაღებული აღნიშნული ციხის ფოტო სურათები.

შემდეგ ექსპედიციის წევრები ეწვიენ სოფ. აჭარისაღმართს, რომლის ცენტრშიც მდებარე დაკიდული საცალფეხო ხიდის მახლობლად მოახდინეს აქვე ადრე არსებული თაღოვანი ხიდის შემორჩენილი აღმოსავლეთი ბურჯის და მეორე ნაპირზე დარჩენილი უმნიშვნელო ნაშთების ფოტო გადაღება და დღეს არსებული მდგომარეობის ფიქსაცია. იქვე ამ დროს სოფლის მცხოვრებლებმა, აღნიშნული ადგილიდან ზემოთ, დაახლოებით ნახევარ კილომეტრში მიუთითეს იქ ადრე არსებული სხვა თაღოვანი ხიდის ნაშთების არსებობაზე, რომლის დათვალიერება-ფიქსაცია მოულოდნელად დაწყებული წვიმის გამო ვეღარ მოხერხდა.

აქედან ექსპედიცია ავიდა მდ. სკურდიდის ულამაზესი ხეობის უმშვენიერეს სოფელ სკურდიდში. აქ რამაზ და ნაზიმ ძნელაძეების სამოსახლოთა მახლობლად ჯ. ვარშალომიძემ დაათვალიერა, აღწერა და ფოტო ფიქსაცია გაუკეთა იქ არსებულ უკვე მიტოვებულ მეჩეთს, რომელიც შეიძლება აგებული იყოს, მისი აზრით, სადღაც მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში, რადგან მასზე მაჭახლის ხეობის სხვა მეჩეთებისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმები და ოსტატთა მიერ გამოყენებული მხატვრული ორნამენტული ხელოვნების ნიმუშები საერთოდ არ ფიქსირდება.

ექსპედიციის დანარჩენმა წევრებმა მოინახულეს, გადაიღეს და შესაძლებლობის ფარგლებში შეისწავლეს ამავე სამოსახლოთა ზემოთ, 250-300 მეტრში არსებული, ექსპედიციის ყველა წევრის საერთო შეთანხმებული აზრით, ძველი სამოსახლოს ნაშთები (ადგილის სახელი ქედის კალო, ადგილობრივთა გადმოცემით „მდიდრის სახლი“), რომლის ნანგრევები და მის ირგვლივ ამოშენებული ყორეები საკმაოდ დიდ ფართობზეა განლაგებული; მაგრამ მათზე ამოსულმა ბალახმა და მცენარეულმა საფარმა საშუალება არ მისცა ექსპედიციის წევრებს მისი ნორმალურად გადაღება-დაფიქსირებისა. სამოსახლოს ზემო ნაწილში მოთავსებულია მასიურ ქვაში ამოკვეთილი (ჩამურის მსგავსად) ძველი საცეხველის კარგად შემონახული ნაწილი (ფრაგმენტი), რომლის სიღრმეა 63 სმ, ზედაპირის ხვრელის რადიუსი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 42 სმ, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 44 სმ-ია, მისი გარშემოწერილობა კი დაახლოებით 1 მეტრი და 6 სანტიმეტრი.

ამით ექსპედიციამ გეგმით გათვალისწინებული თავისი სამუშაო დაასრულა *(ანგარიში, 2016:1-7).*

2016 წლის ივლისში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაფინანსებით მაჭახლის ხეობის სოფელ სკურდიდში არქეოლოგიურ კვლევებს აწარმოებდა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. კვლევა მიზნად ისახავდა მაჭახლის ხეობის ბრინჯაოს მეტალურგიის უძველესი კერების შესწავლას. 2018 წელს არქეოლოგიურმა მუზეუმმა დაიწყო მორიგი, მეტად საინტერესო და მძლავრი კერის არქეოლოგიური გათხრები. მიმდინარე წელს ამავე ძეგლზე კვლავ განხორციელდა ფართო მასშტაბის საველე-საკვლევი ძიებანი. პარალელურად მკვლევარებმა კვლევა-შესწავლა განახორციელეს ცხემლარა-ციცინათელას მიმართულებით. შედეგები აქაც თვალსაჩინო აღმოჩნდა.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად მკვლევართა მიერ პერიოდულად ხდებოდა სადაზვერვო გასვლები ახალი არტეფაქტების ძიების მიზნით. მიკვლეულ იქნა ახალი კერა სოფელ ქვედა ქოქოლეთში, ადგილი კვერცხიკაკალო. ინფორმაცია მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ ზედა მაჭახელში, კერძოდ სოფელ მინდიეთშიც არის აღმოჩენილი მსგავსი არტეფაქტები. იმავე მინდიეთში მიუთითებენ სამთამადნო გამოსავლების არსებობის შესახებ.

აღნიშნული არტეფაქტების არსებობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მაჭახლის ხეობა წარმოადგენდა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ძლიერ კერას, სადაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული ბრინჯაოს მეტალურგია - ლითონის მოპოვება, გამოდნობა და დამუშავება.

აჭარის ტერიტორიაზე დღემდე მიკვლეულ ფერადი მეტალურგიის უძველეს მეტალურგიულ კერათა შორის ქვედა ჩხუტუნეთი გამოირჩევა მონუმენტურობით, საწარმოო პროცესების თითქმის ინდუსტრიულ დონეზე აყვანილი მასშტაბურობით, გოლ–გობების მკვეთრად ვერტიკალური განლაგებითა და ექსპოზიციურობით. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ წარმოებული ექსპედიცია ორი წლის განმავლობაში აწარმოებდა კვლევებს ამ უნიკალური ძეგლის შესწავლის მიზნით. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა (ზოგჯერ ქარაფოვან კლდეებზე ბაგირებით ჩამოკიდებულთ უწევთ მუშაობა) შესრულდა ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა–ძიებანი როგორც თვით მდინარის კალაპოტში, ასევე მის ორივე მხარეს, საოცრად ფართო არეალის მომცველ მიმდებარე სიპ–კლდოვან სივრცეში.

ორივე წლის არქეოლოგიური გათხრების შესახებ საინტერესო ცნობებს გავწვდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში:

„საკმაოდ ფართო მასშტაბის საველე სამუშაოები გაიშალა სამ უბანზე. პირველი, ესაა თვით კალაპოტი და მიმდებარე ადგილები. მეორე, მარცხენა სანაპიროს ასევე მკვეთრად დაქანებული ვრცელი ტერიტორიის მომცველი ფლატე ადგილები, მესამე, კალაპოტის მარჯვენა სანაპირო.

დავიწყოთ კალაპოტში განლაგებული არტეფაქტებით. მისი სიმაღლე 56 მ-ს აღწევს. როგორც წესი, წარმოადგენს კლდოვან-ქარაფოვან მონოლითს. ძირიდანვე ამოუკვეთიათ ქვის გოლი №1. მისი სიგრძე 7 მ-ია, სიგანე – 2,5X3,3 მ, სიღრმე – 1,2X1,5X1,8 მ. გოლი ბოლომდე ამოიწმინდა ქვა–ღორღისა და ქვიშნარისაგან. მასში ეცემა „არტახებში“ მოქცეული მთავარი ჩანჩქერის ორი მსხვილი ნაკადი. არის სხვა წვრილი არხების კონტურებიც. პირველ გოლთან უნდა იყოს დაკავშირებული მარცხენა სანაპიროს ქვედა, პირველი ბილიკი, რომლის დიდი ნაწილი 34 მ–ის სიგრძეზე უკვე გამოჩენილია. მცირე ნაწილია შესასწავლია სამანქანე გზასთან მისვლამდე. პირველი გოლის ზემოთ, 11 მ სიმაღლეზე მარცხენა სანაპიროზე გამოჩენილი კლდეში ნაკვეთი პირველი ბილიკი კალაპოტშიაც ვრცელდება. ოდნავ გადადის მარჯვენა სანაპიროზე. აქ უკვე შედარებით სწორი ადგილებია და საკმაოდ ფართო გზაცაა გაჭრილი. მიუხედავად ამისა, გარკვეულ სიგრძეზე ბილიკი აქაც გრძელდება. პირველი ბილიკის ზემოთ, დაახლოებით 12,5 მ, მომდევნო მეორე ქვის გოლის პირთან ახლოს ვრცელდება მარცხენა სანაპიროს მეორე პარალელური ბილიკი, რომელიც გადადის მარჯვენა სანაპიროზეც. ახალი გათხრებით ჩანს, რომ ბილიკი კვლავაც გრძელდება და შედის გაუთხრელ ფართობში.

პირველი გოლიდან დაახლოებით 25 მ სიმაღლეზე ამოკვეთილია ქვის გოლი №2. ფორმა არ იკვეთება. მისი სიგრძე 9 მ, სიფართე კი – 3,6 მ. საკმაოდ ღრმა უნდა ყოფილიყო – 80 სმ-ის შემდგომ ქვა-ღორღითაა შევსებული. მასში ეშვება 7 მ სიმაღლის ჩანჩქერის ნაკადი. ჩანჩქერის კედელი მკვეთრად ჩამოკვეთილ ვერტიკალურია. მეორე გოლს ორივე მხარეს თითო არხი უკავშირდება – №1 და №2. მარცხენა მხარეს გამოჩენილი არხის სიგრძე 1,5 მ–ია, სიფართე – 40 სმ, სიღრმე – 30 სმ. გრძელდება გაუთხრელ ფართობში. მარჯვენა სანაპიროს არხის სიგრძე 1 მ–ია, სიგანე 30–60 სმ,

სიღრმე – 30–40 სმ. მის გაგრძელებაზე, ჩანჩქერების თავზე ნაკვეთია ქვის მორიგი №-3 გოლი. ისიც ქვა-ღორღით შევსებული. მესამე გოლის ჩანაჭერის მომცველი კედელი წინასთან შედარებით ნაკლებად ვერტიკალურია. ჭრილში კონუსისებრი მოყვანილობის. მისი სიგრძე 8 მ–ია, სიფართე – 5,4 მ. სიღრმეს ვერ ვიძლევით, 1,2 მ ქვემოთ, მსგავსად №-2 გოლისა, ქვა–ღორღითაა შევსებული. მესამე გოლთან მთავრდება მარცხენა ფერდზე ნაკვეთი ქვის არხი. სადინართან ახლოს აქაც ნაკვეთია თითო არხი, მარჯვენა სანაპიროს №3 არხის სიგრძე 6 მ–ია, სიგანე – 0,5 მ, სიღრმე – 40–50 სმ, მარცხენა სადინართან ახლოს გავლებული №4 არხის სიგრზე 2,8 მ–ია, სიგანე – 30 სმ, სიღრმე – 20–50 სმ, ზედა, №-5 არხის სიგრძე 2,5 მ–ია, სიგანე – 1 მ, სიღრმე – 0,8 მ. მე–3 გოლს ემსახურება წყვილი არხ–ჩანჩქერი, რომლებიც ბოლოში, გოლთან ახლოს, ერთ ნაკადად იქცევიან. სიმაღლე 12 სმ, სიღრმე – 0,5 მ, სიფართე – 20–30–50 სმ.

მე-3 გოლის მარცხენა მხარეს, გოლის შემაღლებულ ადგილას აღმოჩნდა მაღალი პროფესიული ხელოვნებით შესრულებული პატარა ზომის ქვის გობი №1. წრიული. პირის დიამ. 15 სმ, სიღრმე – 10 სმ. გვერდზე მიუყვება კიდევ ერთი ბილიკი – გამოჩენილი სიგრძე 3 მ, სიფართე – 10–40 სმ.

მომდევნო მე-4 ქვის გოლთან დაშორება 12 მ-ია. ფორმა არ იკვეთება. შედარებით პატარა ზომის, სიგრძე 2 მ, სიფართე – 1,7 მ. ქვა-ღორღით შევსებული. წყლის დონე ამჟამად შენარჩუნებულია 70 სმ-ზე. ეს მონაკვეთი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მარცხენა მხარეს მიუყვება ჩვენთვის კარგად ცნობილი საგანგებოდ ჩამოკვეთილი კედელი. მისი სიგრძე 15 მ–ია, სიმაღლე 1,5–2,5 მეტრს შორის მერყეობს.

მე-4 ქვის გოლს ენაცვლება ქვის გობი №-2. იგი მოშორებულია სულ რაღაც 0,5 მ-ით. ექცევა მდინარის კალაპოტში. წრიული შემოწერილობის: პირის დიამ. 80 სმ, სიღრმე – 70 სმ. მარცხენა კუთხეში ფიქსირდება არხისებრი ჩანაჭერი. გაგრძელებაზე ვხედავთ მხოლოდ და მხოლოდ წყლის ნაკადს, რომელიც გობში ჩაედინება. დაახლოებით 4 მ ზემოთ მელითონეებს შეუქმნიათ ქვის კიდევ ერთი გოლი №5. ახლა ლოდებით შევსებული. მოზრდილი. დიამ. 4,5 მ, კვეთა დაწყებულია 2,5 მეტრის სიმაღლიდან“ *(შედეგები, 2019:1-„12)*.

2019 წელსაც, წინა წლის მსგავსად, ქვედა ჩხუტუნეთის უძველესი მეტალურგიული წარმოების კერაზე მეტად მძიმე სამუშაო პირობებში განხორციელდა

ფარტო მასშტაბის საველე სამუშაოები. შესაძლებლობის ფარგლებში გაიწმინდა ძეგლის ცენტრალური ნაწილის მომცველი ქვის გობები და გოლები, ადიდებული მდინარის მიერ პერიოდულად ჩამოტანილი ხის ჯირკებისა და ქვიშისგან. შესაბამისად, კიდევ უფრო სრულყოფილად გამოჩნდა ამ არტეფაქტთა ფორმები, პროფილი და ზომები. ყოველივე ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ ქვედა ჩხუტუნეთი წარმოადგენდა საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის ფლოტაციის ერთ–ერთ მძლავრ კერას. ამას ემატება ისიც, რომ მე–2 გოლის გაგრძელებაზე ზემოთკენ, ორივე სანაპიროზე 3–3 მ–ის რადიუსში, დასრულდა გათხრითი სამუშაოები. ამოიძირკვა ჯაგნარი, გასუფთავდა ეკალ–ბარდისა და ფლატე კლდეებზე მოკიდებული სუროსა თუ ხავსისაგან. არქეოლოგთა მიერ შესწავლილ იქნა შემორჩენილი მიწის საფარი. შესაბამისად, გაიზარდა ბილიკები თუ სხვადასხვა სახის ქვის არხები. რაც მთავარია, გაიზარდა დამთვალიერებელ–ტურისტთათვის დათვალიერების არეალი, თუმცა, არასაკმარისად. 2018 და 2019 წლებში არქეოლოგიური გათხრების ძირითადი ობიექტები იყო ექსპოზიციურად გამორჩეული ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილი როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა სანაპირო.

რაც შეეხება ძეგლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს, გვინდა შევნიშნოთ, რომ რელიეფის მკვეთრი დაქანებულობის გამო გარკვეული სახის სამუშაოები ზოგჯერ ბაგირების მეშვეობით ხორციელდებოდა. ენთუზიაზმმა თავისი გააკეთა: შესრულდა ფართო მასშტაბის საველე სამუშაოები. სიპ-კლდოვან ქარაფებზე მოიხსნა ზოგან 1,5 მ (ეს ხის ბუჩქებთან შეჩერებული), 1,2, 0,7, 0,5 და 0,2 მ სისქის ფენები. აქა-იქ ჩნდება გვიანშუასაუკუნეების ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ზემოთ ე.წ. კოსტანეთის ამ დროინდელი დასახლებიდან უნდა იყოს დაცურებულ-ჩამოტანილი. სულ არქეოლოგთა მიერ შესწავლილ იქნა 55 მ სიმაღლისა და 40 მ სიგანის ფართობი. ამ ძეგლის ერთ-ერთ თავისებურებას, შეიძლება ითქვას, მონუმენტურობას ისიც წარმოადგენს, რომ მის გასათხრელ სივრცეში საერთო ექსპოზიციაში ექცევა კიდევ დაახლოებით 5-6-ჯერ მეტი ფართობი. საქმე იმაშია, რომ, როგორც ვნახეთ, აღმოჩნდა ქვის გოლებსა და გობთან მისადგომად მთელ სიგრძეზე ნაკვეთი ქვის ბილიკების ორი რიგი, რომელთა გაგრძელება შედის გაუთხრელ ფართობში. ამას ემატება ბილიკების ზემოთ პარალელურად მესამე გოლისაკენ მიმავალი ქვის ვიწრო არხი. წვრილი არხების შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. მისი ფუნქცია განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

არაა გამორიცხული, რომ იგი სხვა ძეგლების პარალელების მიხედვით, მთის ნაკადულების მიერ დიდი წვიმების მიერ ჩამოტანილი ქვიშა-ხრეშში შერეული უფრო მძიმე ფერადი ლითონების, მათ შორის, ოქროს მარცვლების შემკრებ-შემაჩერებელი იყო *(შედეგები, 2019:1-„12)*.

პირველი ბილიკი გაშიშვლებულ მარცხენა ფლატეზე პირველი ქვის გოლის ოდნავ ზემოთ მიემართება – 3,5 მ. გამოჩენილია 34 მ სიგრძის ბილიკი. დასაწყისთან დახრილადაა დაწყებული. როგორც ჩანს, თანამედროვე სამანქანე გზასთან სრულდება. უფრო ზემოდან გამოიკვეთა მეორე ბილიკი. დიდი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. დაშორება I და II ბილიკს შორის – 12,5X14X15,5 მ, ხოლო II ბილიკსა და ქვის არხს შორის კი – 14 მ-ია. არაა გამორიცხული, რომ მარცხენა ფერდის ბოლომდე შესწავლის შედეგად მსგავსი ბილიკი-არხები ან ზედა სწორი ადგილებიდან ჩამოსავლელები გამოჩნდეს. საველე სამუშაოებისას ყურადღება მიიქცია მეორე ბილიკის მეორე გოლთან მიახლოების მონაკვეთმა. მშენებლების წინ აღიმართა ქვის მოზრდილი ლოდი. კალატოზებიც იძულებული გამხდარან ბილიკი ოდნავ ქვემოთკენ დაეშვათ და ასე გადაეკვეთათ მდინარის კალაპოტი და მარჯვენა სანაპირო *(იქვე)*.

2019 წლის არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ მეორე ბილიკი მარჯვენა სანაპიროზეც გრძელდება. შედის გაუთხრელ ფართობში.

გარკვეულად განსხვავებული სურათი გვაქვს მარჯვენა სანაპიროზე. შესწავლილი მონაკვეთის ზომებია: სიგრძე – 40 მ, სიმაღლე – 50 მ. აქ ალაგ-ალაგ, უფრო ქვედა მონაკვეთში, გვხვდება კვადრისებრად ჩალაგებული ქვის ლოდები, რომლებიც მოხერხებულად გამოუყენებიათ ქვის მუშაკებს. კერძოდ, გაყვანილია 1,8-1-1,4 მ სიგანის ძეგლთან მისასვლელი გზა. სწორად შეურჩევიათ ის მონაკვეთები, სადაც მსგავსი ოთხკუთხა მოყვანილობის ქვის ქანები იყო ბუნებრივად წარმოქმნილი. ეს კარგად ჩანს გზის კედლის მიხედვითაც. სწორი კედლების სიმაღლე 1,1 მ-ია. ერთგან კიბეც შეუქმნიათ, რომელიც სამი საფეხურისაგან შედგება. მათი სიგრძე 1,1 მ-ია, სიფართე – 0,55, სიმაღლე – 0,15 მ. საერთოდაც, ეს ადგილები შედარებით სწორია და ძეგლთან ადვილი მისადგომიც *(იქვე)*.

განსხვავებული სურათი გამოიკვეთა 2019 წლის არქეოლოგიური გათხრებისას ზედა მონაკვეთზე. ეს ადგილები ანალოგიური ხდება მარცხენა სანაპიროს ერთიანი სიპ–კლდებისა. როგორც ითქვა, გრძელდება მეორე ბილიკი, ჩნდება ახლებიც. ეს ადგილები ბოლომდე არაა შესწავლილი.

2019 წლის არქეოლოგიური გათხრებისას ქვედა ჩხუტუნეთში დაწყებული სამუშაოები ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ქვის ყველა გოლის სიღრმეების განსაზღვრა. ამის გარეშე წარმოების მასშტაბებზე სრული წარმოდგენის შექმნა გაძნელდებოდა. საგანგებო ნებართვაა საჭირო მე–2 ქვის გოლის შემდეგ გარკვეული ჯიშის ხეების მოჭრაზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის ძეგლის აღქმას უზარმაზარ სივრცეში. ბუნებრივია, ამას ემატება და ემსახურება როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა სანაპიროების გათხრების გაგრძელება აღმოჩენილი ბილიკებისა და ქვის არხების სრულყოფილად გამოჩენის მიზნით. ამის შემდეგ რეალურად დგება საკითხი მეზობელი ქვეყნების მსგავსად სათანადო ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების შემდეგ ქვედა ჩხუტუნეთის საერთო–სახალხო ობიექტად გამოცხადებასთან დაკავშირებით. ეს იქნება მეტად საშური პრეცედენტი ყოველწლიურად ზრდად ეკოტურიზმთან დაკავშირებით.

საინტერესო აღმოჩენების მომცემი აღმოჩნდა მაჭახლის ხეობის მეტალურგიის მორიგი კერის ცხემლარა–ციცინათელას ტერიტორიაზე საანგარიშო წელს მიმდინარე საველე კვლევა–ძიებანიც.

ციცინათელა (ცხემლარა) გამოვლენილ იქნა 2018 წელს ქვედა ჩხუტუნეთში არქეოლოგიური გათხრების პარალელურად. ინფორმაცია ეკუთვნის სოფელ ცხემლარას მკვიდრს სევერიან სალვარიძეს. უახლესმა აღმოჩენამ დათვალიერებისთანავე მიიქცია ყურადღება. ამიტომაც მკვლევარებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების გარკვეული ნაწილი, ჩხუტუნეთის გათხრების პარალელურად, ციცინათელაზეც, ამ მეტად საინტერესო ფერადი მეტალურგიის კერისადმი დაეთმოთ *(შედეგები, 2019:1-„12)*. ძეგლი მდებარეობს მდ. მაჭახელას მარცხენა სანაპიროზე, ქვის თაღიან ხიდთან ახლოს, მდ. მაზარევლას ღელის ქვემო წელზე. მაზარევლას ღელის ბოლო წელზე მის დასავლეთ საზღვარს

ვრცელი ტყეების მასივი წარმოადგენს, ასევე სოფ. ავჯანდა. გაგრძელებაზე სოფელი აჭარისაღმართი, აღმოსავლეთიდან ეკვრის ბორგნალა, ბადუყვეთი და ქვედა ჩხუტუნეთი, სამხრეთით – მაზარევლა და ტყის მასივები, ჩრდილოეთით – მდ. მაჭახელა, ცხემლარა, პირპილეთი. აქედან გადადიოდა გზები ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამლისევში, მილისში და უჩხითში.

ანგარიშში ვკითხულობთ: „საწარმოო კერა დაახლოებით 200 მ-იან მონაკვეთს მოიცავს. აღწერას ვაწარმოებთ ზემოდან ქვემოთ ღელის დინების მიმართულებით. საწყისი ადგილები შედარებით სწორია. აქ რაიმე სახის მეგალითური სამუშაოების კვალი არ შეინიშნება. გაგრძელება საკმაოდ დაქანებულია, სადაც თეთრობის მსგავსად, ვხედავთ ჩანჩქერ–არხების, ქვის გოლებისა და გობების მონაცვლეობას. ესენი ერთიმეორის მიყოლებით საკმაოდ მჭიდროდაა განლაგებული. იწყება ჩანჩქერით, რომლისთვისაც ვერტიკალური დაქანება მიუციათ. ასევე ითქმის გვერდითი კლდის კედლების მიმართ. ჩანჩქერის სიმაღლე 4 მ–ია. ნაკვეთია არხ-ჩანჩქერის ორი ნაკადი. ჩანჩქერის თავზეც გამოჩნდა მარჯვნისაკენ მიმართული არხი, რომლის ბოლო ნიშისებრ შეღრმავებას ქმნის. მისი სიგრძე 6 მ–ია, სიფართე – 7–დან 50 სმ–დე. სიღრმე 20X30 სმ–ს შორის მერყეობს. ამავე ადგილებში გარკვეული მონაკვეთები ხაზისებრადაა დასერილი. ვხედავთ მოთეთრო–მოყავისფრო ძარღვებსაც. არხი ეშვება #1 ქვის გოლში. წაგრძელებული ფორმის. დასაწყისთან არხის ორივე მხარეს გაუკეთებიათ სფეროსებრი შეღრმავებები. როგორც ჩანს, გოლის სივრცის გაზრდის მიზნით. გოლის სიგრძე 10 მ–ია, სიფართე – 4,5–1,95 მ. სიღრმე –0,9-1,2 მ. გოლს გააჩნია გადასასვლელ–სადინარი, რომელიც მომდევნო ჩანჩქერის დასაწყისს წარმოადგენს. ჩანჩქერის სიმაღლე 2,5 მ–ია, ეშვება ქვის #2 გოლში. წრიული. დიამ. 3,3 მ–ია, სიღრმე –0,8-1,5 მ

მეორე ჩანჩქერის დაწყისთან ახლოს, მარცხენა მხარეს, ნაკვეთია ქვის გობი #1. წრიული. პირის დიამ. 75 სმ, სიღრმე –0.8X0.9 მ. საყურადღებოა ისიც, რომ მის ფსკერზე დამატებით შეუქმნიათ ქვის ორი პატარა ზომის გობი. ორივე წრიული. I–25X40 სმ. II–15X20 სმ. მარჯვენა მხარეს გრძელდება მოთეთრო–მოყავისფრო ძარღვები.

12 მ ქვემოთ აღმოჩნდა ქვის გობი #2. წრიული. პირის დიამ. 1,65X1,81მ. სიღრმე-0.7-1 მ. ექცევა კალაპოტში. მოსდევს ქვის არხი. სიგრძე 1,4 მ, სიფართე – 0,4 მ, სიღრმე–

35 სმ. იგი პირდაპირ ჩაედინება #3 ქვის გობში. წრიული. პირის დიამ. 35 სმ, სიღრმე – 30 სმ. ნაკვეთია ღელის კალაპოტში. გაგრძელებას წარმოადგენს ქვის გოლი #3. რაიმე სახის გეომეტრიულ ფორმას არ გადმოსცემს. სიგრძე 5,37 მ, სიფართე – 4,98 მ, გადასასვლელთან – 1,76 მ, სიღრმე-0.8-1.2 მ. იგი უშუალოდ უერთდება მომდევნო, #4 ქვის გოლს. ოდნავ წაგრძელებული წრიული კონფიგურაციის მქონე. სიგრძე – 3,4 მ, სიგანე – 2,9 მ, სიღრმე-1,5 მ. გადასასვლელის სიმაღლე 3,5 მ–ია. იგი ჩაედინება #5 ქვის გოლში. წრიული. დიამ. 3 მ. გოლის კვეთა დაუწყიათ 3,9 მ სიმაღლიდან. თვით გოლის სიღრმე 1,8–2 მ–ია – ბოლომდე არაა გაწმენდილი. მასთან ახლოს, მარცხენა სანაპიროზე, ამოუკვეთიათ ქვის გობი #5. წრიული. 30X40 სმ–ზე.

მე–5 გობიდან გამდინარე წყლის ნაკადი მიმართულია #6 ქვის გოლისაკენ. წრიული. აქვს სადინარი. დიამ. 2,2 მ, სიღრმე – 0,8–1 მ. ნაწილობრივ ამოწმენდილი. მასთან ახლოს გაუკეთებიათ 1,8 მ სიმაღლის არხ–ჩანჩქერი, რომელიც ემსახურებოდა #7 ქვის გოლს. არც თუ ისე მკვეთრი კონტურების მქონე წრიული შემოწერილობის. როგორც წესი, კვეთის კვალი აქაც კარგად იკითხება. დიამ. 1,9X1,5 მ, სიღრმე – 0,8 მ, მარჯვენა მხარეს გაუკეთებიათ 10 სმ სიფართის სადინარი. ამავე გოლის ზემოთ მიემატა კიდევ ერთი ქვის გობი #6. პატარა ზომის. წრიული. 17X16 სმ–ზე. გოლის დასასრულთან ახლოს აღმოჩნდა ქვის გობი #7. წაგრძელებული ფორმის. პირის დიამ. 25X40 სმ, სიღრმე – 15 სმ. ამავე კომპლექსში ექცევა ბილიკი, რომლის სიგრძე 10 მ–ია, სიფართე – 15–25–30 სმ.

მომავალი კვლევებისათვის გადაიდო მომდევნო #8 ქვის გოლი. საქმე იმაშია, რომ ეს ადგილები ჩახერგილი აღმოჩნდა ხის კუნძებითა და ქვიშნარით. აქ სამუშაოების დაწყება შეაჩერებდა მომდევნო ადგილების არქეოლოგიურ გათხრებს საკმაოდ დიდი ხნით. გადაწყდა, რომ მისი გამოტოვებით გაგვეგრძელებინა სამუშაოები ქვემოთკენ, სამუშაოთა დასრულების შემდეგ მოხდება მისი ცალკე შესწავლა. მისი სიგრძე 4 მ–დეა, სიფართე – 3X3,5 მ. წინასწარეულად წრიული ფორმის უნდა იყოს.

მე–8 გოლს მოსდევს 2 მ სიგრძის არხ–ჩანჩქერი. სიფართე 3 სმ, სიღრმე – 8–10 სმ. იგი ეშვება #9 ქვის გოლში. წაგრძელებული, დასაწყისთან მომრგვალებული. ესეც შევსებული იყო ხის ნატანითა და ქვა–ღორღით. იგი თითქმის 3 დღის განმავლობაში

წარმოადგენდა კვლევის ობიექტს. ზომები: სიგრძე – 3,7 მ, სიგანე – 2,9 მ, სიღრმე – 3,2 მ. აქაც საგანგებოდაა გაკეთებული 80 სმ–ის სიფართის სადინარი. სიგრძე 96 სმ. წყლის ნაკადი ეშვება იქვე ახლოს ამოკვეთილ ქვის #10 გოლში – შექმნილია სულ რაღაც 50 სმ სიმაღლის ჩანჩქერი. № 10 გოლიდან წყლის ნაკადი ქმნის ჩანჩქერისებრ დაქანებას და 4,8მ. სიმაღლიდან ეშვება №11 გოლში. მომრგვალებული ფორმის, ბოლოში მკვეთრად შევიწროვებული, აქვს გადასასვლელი. გოლის ზომებია: სიგრძე-4,5 მ სიგანე-3 მ, სიღრმე- 70X90 სმ. რაც შეეხება სადინარს, მისი ზომებია: სიგრძე-1,7მ, სიგანე-50-70 სმ. №11 ქვის გოლიდან არც თუ ისე მკვეთრი დაქანებით წყლის ნაკადი ეშვება №8 ქვის გობში. წაგრძელებული ფორმის, პირის დიამეტრი 1,5 მ, სიღრმე-60 სმ. №11გოლისა და №8 გობის მიმდებარედ, მარჯვენა სანაპიროზე შეინიშნება 6 კიბის საფეხური, რაც აადვილებს გოლებსა და გოლებთან დაკავშირებას. აქვე მეტად საყურადღებოა მდინარის მარცხენა სანაპიროზე 2,5 მეტრის სიგრძისა და 1,8 მ სიმაღლის ლოდის საგანგებოდ კვეთა. №-8ქვის გობის ქვემოთ ამოკვეთილია №12 ქვის გოლი, მსხლისებრი მოყვანილობის, პირის დიამეტრი 3.10X2,25 მ, სიღრმე 80 სმ. გოლი პირდაპირ, წყლის ნაკადით დაკავშირებულია №13 გოლთან, წაგრძელებული ფორმის, პირის დიამეტრი-4,60X1,5, სიღრმე-60X80 სმ. ძეგლის მაშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულ საანგარიშო წლისათვის მისი მთლიანად შესწავლა ვერ მოხერხდა, შეინიშნებოდა სხვადასხვა არტეფაქტების არსებობა მდინარის მომდევნო მონაკვეთებზე, მდინარეზე არსებულ თანამედროვე წისქვილამდე. ძეგლი მეტად საინტერესო ჩანს. აქაც, თეთრობის მსგავსად, საქმე გვაქვს საკმაოდ მძლავრ ვიწრო სპეციალიზაციაზე პროფილირებულ (მხედველობაშია ფლოტაცია და იქვე დაქუცმაცება) მეთემე–მკვიდრთა შემოქმედებასთან, რომელთა მიერ შექმნილი პროდუქცია მდ. მაჭახელას საშუალებით ჩაჰქონდათ მდ. ჭოროხამდე და შემდგომ თვით მდ. ჭოროხის საზღვაო გზით ვრცელდებოდა იმდროინდელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ერთ–ერთი მათგანი, მახვილაურის აღმოჩენების შემდეგ, უშუალოდ ჩანს დაკავშირებული ჩვენს საკვლევ არეალთან. მხედველობაშია ხათების ქვეყანა (ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეები (კახიძე, სურმანიძე, 2019:45–55)“ *(ანგარიში, 2019:1-„12)*.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ მოწყობილი ექსპედიცია ქვედა ჩხუტუნეთსა და ციცინათელას არქეოლოგიური კვლევა–ძიებებით არ

შემოფარგლულა. პერიოდულად ეწყობოდა სადაზვერვო სამუშაოებიც. ერთ-ერთი ასეთი სადაზვერვო სამუსაო მოეწყო ქვედა ქოქოლეთის მიმართულებით.

ანგარიშში ვკითხულობთ: „ქოქოლეთი (ადგილი კვერცხიკაკალო, ძაღლის სახრჩობელა). 2019 წლის მაჭახლის ხეობის მეტალურგიის კერების პარალელურად, ვაწარმოებდით სადაზვერვო სამუშაოებს. ინფორმაცია მოგვაწოდა და მეგზურობა გაგვიწია აქაურმა მკვიდრმა მალხაზ ქოქოლაძემ. ადგილი შეისწავლა მალხაზ ნაგერვაძემ, ნოდარ კახიძის თანხლებით. საინტერესოა ისიც, რომ ძეგლი გაშლილია მდინარის ორივე სანაპიროზე. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ზემოთ უკვე აღნიშნული კვერცხიკაკალო–სათრი ღელე, დასავლეთით – ქვედა ქოქოლეთი, სიკალეთი, გაგრძელებაზე ჩიქუნეთი თავისი უბნებით; აღმოსავლეთით გორგაძეთი, ქავთარეთი და თურქეთის ხერთვისი. სამხრეთით ზედა ჩხუტუნეთი მასში შემავალი სოფლებით. საქმე უნდა გვქონდეს უნიკალურ შემთხვევასთან. როგორც ჩანს, საწარმოო კერა ფუნქციონირებდა თვით მდ. მაჭახელას ორივე სანაპიროზე. არც გაღმით და არც გამოღმით რაიმე სახის ღელე–შენაკადების არსებობა არ შეინიშნება. მდინარე ადიდებული იყო, ამიტომაც ამჯერად მის მარხცხენა სანაპიროზე გადასვლა ვერ მოხერხდა. გაკეთდა მხოლოდ და მხოლოდ დისტანციური ფოტოგადაღებები, ისიც მობილური ტელეფონით. უფრო დეტალური აღწერილობის გაკეთება მოხერხდა მარცხენა სანაპიროზე არსებული არტეფაქტებისა. ზოგიერთი ქვის გობი ამოიწმინდა კიდეც. ფერადი ლითონების მეტალურგიულ კერას უკავია მდინარის გასწვრივ მდებარე 250 მ სიგრძის მონაკვეთი. აღწერითი სამუშაოები განხორციელდა ქვემოდან ზემოთ, მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით. პირველი სამი გობი ნაკვეთია სანაპიროდან 4 მ–ის მოშორებით. ყველა მათგანი განთავსებული იყო ქვის ლოდზე. ლოდის ზომებია: 2,36X1,53 მ, სიმაღლე – 45 სმ.

ქვის გობი №1. წრიული, ზომები: 30X25 სმ. ექცევა ლოდის მარჯვენა კიდეზე.

ქვის გობი №2. წაგრძელებული ფორმის. პირის დიამ. 11X24X5X6 სმ. მისგან ეშვება ხაზისებრი ჩანაჭრები.

ქვის გობი №3. წრიული. 30X35 სმ. წინა მხარე გახსნილია.

სანაპიროს გაყოლებით 15 მ–ში გაიწმინდა მომდევნო ქვი გობი №4. წრიული. პირის დიამ. 1X0,31 მ, სიღრმე 27X30 სმ. დაკავშირებულია არხთან, რომელიც მაჭახელაში ჩაედინება. არხის სიგრძე 6 მ–ია, სიგანე 0,9X1,2X1,4 მ, სიღრმე – 0,9X1,1 მ.

შემდგომი ქვის გობები დაფიქსირდა 30X35 მ ზემოთ.

ქვის გობი №5. გასაწმენდი. წრიული ფორმის უნდა იყოს. პირის დიამ. 76 სმ, გამოჩენილი სიღრმე – 50 სმ. თითქოსდა ეს ერთადერთი გობია მოზრდილი. დანარჩენი, როგორც წესი, პატარა ზომისაა. გაუკეთებიათ 40 სმ სიგრძისა და 15 სმ სიფართის სადინარი, სიღრმე – 5 სმ. მასთან ახლოს ნაკვეთია ორი პატარა ზომის ქვის გობი.

ქვის გობი №6. წრიული. 15X11 სმ.

ქვის გობი №7. წრიული. 15X11 სმ.

გაწმენდითი სამუშაოებისას გამოჩნდა კიდევ ერთი ქვის გობი #8. წრიული. 14X7 სმ.

6 მ–ის ზემოთ მოსდევს კომპაქტურად განლაგებული ქვის გობები.

ქვის გობი №9. წრიული. 60X40X20 სმ.

ქვის გობი №10. წაგრძელებული მოყვანილობის. 70X50X16 სმ.

ქვის გობი №11. წაგრძელებული კონფიგურაციის. 40X25X25 სმ.

მდ. მაჭახელას მარცხენა სანაპიროზე მოჩანს საკმაოდ ფართო არხი, რომელიც მოზრდილ გოლში ეშვება. სხვაგანაც საგანგებოდ დამუშავებული კედლების მიხედვით, აქ სხვა გოლებიც უნდა ყოფილიყო ნაკვეთი. მომავალში მდინარის დაცემისას სასურველია მათი ნახვა.

მარჯვენა სანაპიროს 150 მ–იანი მონაკვეთი ფეხით გაუვლელი იყო მდინარის სანაპიროს მკვეთრი სიახლოვის გამო. ჯგუფმა აინაცვლა ოდნავ ზემოთ კლდეში და შემოვლითი გზით მოახერხა სანაპიროსკენ დაშვება. საწარმოო კერა აქაც გაგრძელდა. ქვის გობები ჩანს მდინარის სანაპიროდან სულ რაღაც 1,8 მ მოშორებით. აქაც წამყვანი ქვის გობებია.

ქვის გობი №12. წრიული. ზომები: 32X30 სმ.

ქვის გობი №13. წრიული. ზომები: 26X30 სმ.

ქვის გობი №14. წრიული. ზომები: 32X27 სმ.

ქვის გობი №15. წრიული. კვეთა დაუდევარი. ზომები: 33X23 სმ.

ქვის გობი №16. წაგრძელებული. ზომები: 17X11X8 სმ.

ქვის გობი №17. წრიული. ზომები: 63X30 სმ–ზე.

ქვის გობი №18. წაგრძელებული. ზომები: 0,8X0,55X1 მ.

ქვის გობი №19. ორმაგი. ჯერ ამოუყვანიათ მოზრდილი წრიული მოყვანილობის გობი 70X70 სმ–ზე, ხოლო მის ფსკერზე ნაკვეთია ასევე წრიული, უფრო პატარა ზომის გობი. ზომები: 268X21 სმ–ზე (ბოლომდე არაა ამოწმენდილი).

ქვის გობი №20. მისი კიდეები ალაგ–ალაგ დახეთქილია. წაგრძელებული ფორმის. ზომები: 58X34X50 სმ.

ქვის გობი №21. წრიული. ამჟამად მდინარის კალაპოტშია მოქცეული. რატომღაც ზემოდან მიუყვება თაღისებრი სახელური. წინა გახსნილი მხრიდან შექმნილია არხისებრი ნაკადი 42X70 სმ. გაგრძელებაზე გორგაძეთის სასაზღვრო პუნქტის მიმართულებით მეგალითური სამუშაოების კვალი არ შეინიშნებოდა. ძეგლი უნიკალური ჩანს. საწარმოო კერად გამოყენებული ჩანს მდინარის ორივე სანაპირო. ეჭვგარეშეა, რომ კიდევ უფრო გამრავლდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი კომპონენტების რიცხვი. ჯერჯერობით კი წამყვანია ძირითადად წრიული და ზოგჯერ წაგრძელებული კონფიგურაციის მქონე ქვის გობები. არაა გამორიცხული, რომ მეტალურგები დასპეციალებული ყოფილიყვნენ საგანგებოდ ძვირფასი ლითონების მოპოვებაში. ახალი აღმოჩენები იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ ისინი მდებარეობენ ზედა მაჭახლის სიახლოვეს, რომელიც ახლა თურქეთის საზღვრებში ექცევა. დიდვაკეში ყოფნისას ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მინდიეთში სამთამადნო გამოსავლების არსებობა უნდა ვივარაუდოთ. ერთი სიტყვით, მაჭახლის ხეობა ჩანს ფერადი ლითონების მეტალურგიის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კერა, რომელიც დაკავშირებული იყო, ერთის მხრივ, ჭოროხის ცნობილ აუზთან და ზღვისპირეთთან, ხოლო ზემო წელის გამოსავლებით – ბორჩხა–მურღულისა და ჩრდილო–აღმოსავლეთ ანატოლიის მძლავრ კერებთან“ *(შედეგები, 2019:1-„12)*.

2018 წლის 23 მაისიდან 14 ივნისამდე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები გვარას ციხეზე. არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა პროფესორი შოთა მამულაძე, სამუშაოებს უძღვებოდნენ მკვლევარები: კახაბერ ქამადაძე, ლაშა ასლანიშვილი, გურამ ჩხატარაშვილი, მერი ყულეჯიშვილი და სულხან მამულაძე. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა ციხის შიდა ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ნაგებობების შეწავლა, ძეგლის ფუნქცია-დანიშნულების, მისი მშენებლობის თარიღის, აღმოჩენილი მასალების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.

ანგარიშში ვკითხულობთ: „ციხე მდებარეობს მდ. მაჭახლის წყლისა და ჭოროხის შესართავთან ზღვის დონიდან 429 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: N41°31.005’; E041°43.131’). იგი დაშენებულია მაღალ, წინ წამოწეულ კლდოვან ბორცვზე. დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და მორგებულია კლდოვან რელიეფს (ზომები 27X17 მ).აქედან შესანიშნავად მოსჩანს, როგორც ჭოროხის, ისე მაჭახლის წყლის ხეობის კარგა მოზრდილი სივრცე. მისი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი გალავნის კედლების ჩრდილოეთი მხარე. ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით, არაწესიერი წყობით. აქა-იქ გალავნის კედლებში თუ შიდა სივრცეში გამოვლენილ ნაგებობებში გამოყენებულია კარგად გათლილი კვადრები. გალავნის ჩრდილოეთი კედლის წყობაში დატანებულია მოზრდილ ქვაზე ნაკვეთი ჯვრის გამოსახულებაც.

ციხის ერთადერთი მისასვლელი სადღეისოდ ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან აქვს. სწორედ აქედან ციხეზე ასასვლელ გზას აკონტროლებს გალავანში ჩართული კოშკი, რომელიც არაწესიერი მართკუთხედია (ზომები: 5,40X2,40 მ). დღეისათვის მისი შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრია. კოშკიც გალავნის მსგავსად ნაგებია ფლეთილი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით, არაწესიერი წყობით. კოშკს აღმოსავლეთით მიშენებული აქვს ოთხკუთხა გეგმის კონტრფორსი. ხოლო მის გვერდზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ციხის გალავანს პარალელურად მიუყვება საკმაოდ სქელი ციხის გალავნის მსგავსი კედელი, რომლის სიგანე 65 სმ-ია. იგი 2,85 მ მანძილზე გრძელდება და ებმის აღმოსავლეთით გალავნის კედელს. როგორც ჩანს თავის დროზე აქედან უნდა ყოფილიყო ციხეში შესასვლელი. ჩრდილოეთის გალავნის კედელსა და პარალელურ კედელს სორის დაშორება 1, 72 მ აღწევს. მათ შორის -

პარალელური კედლის სამხრეთ კუთხეში ჩაჭრილია 1,60 მ სიგრძისა და 0,70 მ სიგანის ოთხკუთხა ფორმის ორმო, რომლის იატაკი კირდუღაბითაა მოგებული. ორმოს სამხრეთით ამოკვეთილია პატარა 0,45 მ სიგრძისა და 0,35 მ სიგანის მართკუთხა ზომის ხვრელი. შესაძლებელია ეს იყოს სალოდე, რომელიც იცავდა ჩრდილოეთიდან ციხის შიდა ტეროტორიაზე შემოსასვლელს.

ჩრდილოეთი კედლიდან 6 მ-ის დაშორებით მდებარეობს საკმაოდ დიდი ზომის კვადრატული გეგმის ქვის ბურჯი. მისი ზომებია: 2X2 მ. დღეისათვის მისი შემორჩენილი სიმაღლე 3,50 მ-ია.

სწორედ ესაა ციხის ცენტრალური ნაწილი. ბურჯის ირგვლივ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა 24 ქვევრისაგან შედგენილი მარანი. მათი უმეტესი ნაწილი საკმაოდ სქლადაა ჩაკირული.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს კიდევ ერთი ნაგებობა. იგი იატაკიდან 0,60 მ-ითაა ამაღლებული და მართკუთხა გეგმისაა (ზომები: 4X3,50 მ). მისი იატაკი თავის დროზე კირხსნარით ყოფილა მოგებული. ბაქანი შემოვაკებულია სხვადასხვა ზომის კარგად გათლილი კვადრებით. მის შიდა სივრცეში ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩასმულია საშუალო ზომის ქვევრი, რომელიც დღეს

სამხრეთის კედელში მდებარეობს თაღოვანი ნიშა (ზომები: სიმაღლე - 2,55 მ, სიგანე: - 0,65 მ). თაღოვანი ნიშის დასავლეთ კუთხეში მოთავსებულია სამკუთხა გეგმის შეღრმავება (ზომები: სიმაღლე - 0,80 მ, სიგანე - 0,65 მ, სიღრმე - 0,65 მ), რომლითაც ავდივართ ციხის ზედა ნაწილში. თაღოვანი არკის თავზე განთავსებულია არაწესიერი სამკუთხედის ფორმის სათავსი, რომლის იატაკიც ასევე კირხსნარითაა მოგებული. მის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს ოვალური ფორმის ჭა, რომლის სიღრმე სადღეისოდ 6 მ-მდე აღწევს.

ციხის შიდა ტერიტორიაზე 2018 წელს ექსპედიციამ მოახერხა შეესწავლა მხოლოდ გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის (XVII-XVIII სს) მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის კერამიკით: დოქების, ქოთნების, კეცების პირ-კალთის, ძირისა თუ კედლის ნატეხებით; წითელკეციანი ჩიბუხებით, მოჭიქული ჯამებით და ა.შ“ ***(ანგარიში: 2018:1-6).***

2018 წლის 13 ივნისს ექსპედიციამ სამუშაოები დაასრულა. შტაბეჭდილებები საკმაოდ დიდი იყო, შესასწავლი და გამოსაკვლევი ბევრი. ასე, რომ გადაწყდა სამომავლოდ გაეგრძელებინათ კვლევა-ძიება.

2019 წლის 17 მაისს გვარას ციხეზე კვლავ განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები. ექსპედიციის მიზანი იყო გასულ წელს ციხის შიდა ტერიტორიაზე დაწყებული სხვადასხვა ნაგებობების შესწავლის დასრულება, ციხის ფუნქცია-დანისნულების გარკვევა და მშენებლობის თარიღის დადგენა.

2018 წელს წარმოებული ექსპედიციის დროს შესწავლილ იქნა ციხის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი მარანი და ჩრდილო, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კედლებთან არსებული სხვადასხვა გეგმის სათავსოები *(ვრცლ. იხ. მამულაძე, ქამადაძე....2018, ქამადაძე, ჩხატარაშვილი....2018).*

2019 წელს არწეოლოგიური სამუშაოები გაგრძელდა ციხის სამხრეთ ნაწილში. თავდაპირველად ალაგდა და ციხის გარეთ გაიზიდა უსისტემოდ მიმობნეული გალავნის კედლის ჩაცვენილი ქვები. ჰუმუსის მოხსნისას ზედაპირულად ჩანდა გვიანი შუასაუკუნეების კერამიკის (კრამიტები, დოქები, ქოთნები) უსახური ნატეხები.

ამ მონაკვეთში წარმოებულმა ორკვირიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადგინა, რომ ციხეს მთავარი შესასვლელი სწორედ აქ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჰქონდა. დღეისათვის აქედან ციხეზე მოხვედრა კლდოვანი რელიეფის გამო შეუძლებელია. გალავნის კედელში გაჭრილი კარი (ზომები: სიფართე - 1,40 მ, სიმაღლე - 1,80 მ) საკმაოდ კარგად ყოფილა გამაგრებული და ურდულით იკეტებოდა.კარისგან მარცხნივ, სამხრეთის მხარეს, გალავანში ჩართულია კოშკი, რომელიც აკონტროლებს ციხის მთავარ შესასვლელს. კოშკს რელიეფიდან გამომდინარე არასტანდარტული კონფიგურაცია აქვს და მისი ზომები განსხვავებულია. მისი სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთით 6,10 მ-ია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით 4,80 მ; კედლის სისქე 1,20 მ-ია. კოშკს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ციხეში შემოსასვლელი მთავარი კარისაგან 2,5 მ-ის დაშორებით ჰქონია კარი (ზომები: სიფართე - 1,10 მ, სიმაღლე 2,60 მ). კარის მარცხენა მხარეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს მიუყვება 0,70 მ-ის სიფართის დამატებითი კედელი, რომელიც სამხრეთის მიმართულებით იატაკის დონემდეა მორღვეული და ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. კოშკის შიდა სივრცეში

დაღრმავებისას, აღმოჩნდა 9 ქვევრი, ყველა მათგანი საშუალო ზომისაა და ჩაუკირავია. როგორც ჩანს ისინი აქ გვიანშუასაუკუნეებშია ჩადგმული. მათი რაოდენობა უფრო მეტი უნდა იყოს, თუმცა ჩაქცეულმა მასიურმა გალავნის კედელმა აქ სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა აღარ მოგვცა. ციხის მთავარი კარი ვიწრო დერეფნით (დერეფნის იფართე1,10 მ) უკავშირდება დასავლეთით მის პირდაპირ 5 მ მანძილის დაშორებით მდებარე მეორე კარს (ზომები: სიფართე - 1,10 მ, სიმაღლე - 2,20 მ), რომლითაც შეხვედრა შეიძლება ციხის ცენტრალურ ნაწილში. კარის მარცხნივ, სამხრეთის მხარეს განლაგებულია კვადრატული გეგმის სათავსი, ხოლო მარჯვნივ ჩრდილოეთის მხარეს ციხის ზედა ნაწილში ასასვლელი 1 მ. სიფართის ქვის საფეხურები მიუყვება.

ციხის ამ მონაკვეთში მცირე რაოდენობით გამოვლინდა არქეოლოგიური მასალებიც. მათგან აღსანიშნავია კოშკის შესასვლელში, კართან აღმოჩენილი ქვის ორი მოზრდილი და ერთი საშუალო ზომის ბირთვი, დოქის პირ-კედელი, ქვევრის პირის ნატეხები და სხვადასხვა ზომის ლურსმნები. ყველა მათგანი გვიანი შუასაუკუნეების (XVII-XVIII სს) ნაკეთობებია.

სამუშაოები მიმდინარეობდა ციხის ცენტრალურ ნაწილშიც. აქ წინა წელს გაითხარა 24 ქვევრიანი მარანი (ერთ-ერთი მთლიანად დაცული ქვევრი 2019 წელს გადმოტანილ იქნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალის ფონდში). მიმდინარე სამუშაოების დროს გამოვლენილ იქნა კიდევ სამი ქვევრი. აქვე იქნა აღმოჩენილი ბრინჯაოს ქამრის ბალთაც. პარალელურად დანაწევრდა და ციხის გარეთ გაიზიდა შიდა სივრცეში ჩაქცეული გალავნის კედლები. ციხის ირგვლივ გაიკაფა მრავალწლიანი ნარგავები. გასუფთავდა ტერიტორია ქვების დასალაგებლად, შემდგომში მათი საკონსერვაციო-სარესტავრაციოდ გამოსაყენებლად.

სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში გაივლო საკონტროლო თხრილები. სამხრეთ დასავლეთ თხრილში არქეოლოგიური არტეფაქტები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ თხრილს აქ 50 სმ სიღრმეზე დაღრმავებისას აღმოჩნდა ქვევრის ძირისა და პირის ნატეხები.

საკონტროლო თხრილი გავლებულ იქნა 2018 წელს შესწავლილი გალავნის ჩრდილოეთ კედელთან მდებარე სათავსშიც. 70 სმ-ით ჩაღრმავების შემდეგ

გამოიკვეთა კარგად გათლილი ქვებისაგან შედგენილი 70 სმ სიფართის ქვის წყობა, რომლის ზედაპირი კირხსნარის სქელი ფენითაა დაფარული და 2,30 მ-ის სიგრძეზე გალავნის კედელს მიუყვება. აქვე აღმოჩნდა ქვის 21 ბირთვი და ორი შურდულის ქვა. ყველა მათგანი საშუალო ზომისაა და რუხი ფერის ქვისგანაა დამზადებული. ბირთვებთან ერთად აღმოჩნდა რკინის სატეხი და მთლიანად დაცული კრამიტი. ეს ნაკეთობანიც გვიანი შუასაუკუნეების ტიპურ ნაწარმს განეკუთვნება.

საკონტროლო საცდელი თხრილები გაივლო გარე პერიმეტრზეც ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. არქეოლოგიური არტეფაქტები არც მათში აღმოჩენილა. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ თხრილში ზედაპირულად ჰუმუსში აღმოჩნდა მეოცე საუკუნის დასაწყისის რამოდენიმე გილზა.

ამგვარად, ციხის შიდა და გარე ტერიტორიაზე გავლებულ საკონტროლო თხრილებში ციხის მშენებლობის ადრეული ეტაპების (VI ს; XI ს) არქეოლოგიური არტეფაქტები მკვლევარებმა ვერ აღმოაჩინეს როგორც ჩანს, გვიანშუასაუკუნეებში მეციხოვნეებს ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია „მოუწესრიგებიათ“ და მათთვის არასაჭირო მასალები გადაუყრიათ. მშენებლობის არქიტექტონიკას თუ დავაკვირდებით იგი თუ უფრო ადრე არა VI ს-ში მაინც უნდა იყოს აგებული. ციხის გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ კედლის წყობაში დღემდე კარგადაა შემორჩენილი გათლილი კვადრები. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩრდილოეთ კედელში ერთ-ერთ თლილ ქვაზე ჯვრის გამოსახულებაცაა ამოკვეთილი. ციხე საგრძნობლადაა გადაკეთებული გვიან შუასაუკუნეებში (XVII-XVIII სს). სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება როგორც გალავნის კედლის უმთავრესი ნაწილი, ისე შიდა სივრცეში გამოვლენილი სათავსოები და არქეოლოგიური არტეფაქტები ***(ანგარიში, 2019:1-6)***.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გვარას ციხე ყველა ეპოქაში მიმზიდველი იყო, რომელიც ნიგალისა და მაჭახლის ხეობის გასაღებს წარმოადგენდა. გვარას ციხე (იგივე კისერას ციხე ზ. ჭიჭინაძე) XX ს-ის I ნახევრამდე დიდ როლს ასრულებდა მდ. ჭოროხის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჯაჭვში. სწორედ აქ გაივლიდა შავშეთისა და კლარჯეთისაკენ მიმავალი გზები. ციხის ძირითადი

დანიშნულებაც ამ გზების გაკონტროლება იყო *(კახიძე, მამულაძე, 2016:92, მამულაძე, 2009:182, სიხარულიძე, 1958:183-184).*

II. მაჭახლის ხეობა XX საუკუნის დასაწყისში.

1. მაჭახლის ხეობის სოფლები და მოსახლეობა XX საუკუნის დასაწყისში

მეოცე საუკუნე მაჭახლის ხეობისათვის არის სიახლეების პერიოდი, როდესაც ხეობა ემშვიდობება ჩაკეტილ მდგომარეობას (რაც ოსმალთა ბატონობის პერიოდიდან გრძელდებოდა), იწყება ამ ხეობით დაინტერესება ხელისუფლების მესვეურთა, თუ სხვადასხვა ვიზიტორთა მხრიდან, ხეობაში იწყება აღმშენებლობისა და განვითარების პერიოდი. მეოცე საუკუნეში დაწყებულმა სიახლეებმა და ძვრებმა, სახელმწიფოს აპარატის მხრიდან გატარებულმა რიგმა რეფორმებმა, მაჭახლის ხეობას მისცა შესაძლებლობა სააშკარაოზე გამოეტანა ის პრობლემები, ის ტკივილი და საჭიროებები, რაც მაჭახელს და ზოგადად მაჭახლის მკვიდრთ გააჩნდათ. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით იმ მოგზაურებსა თუ მკვლევარებს (ზ. ჭიჭინაძე, აპ. წულაძე, თ. სახოკია, თავადი ი.ზ. ანდრონიკაშვილი, ი. გულისაშვილი და სხვ.), რომლებმაც პირველებმა აიმაღლეს ხმა მაჭახლის ხეობის გასაჭირის შესახებ. აღმშენებლობითი საქმიანება, რომელიც გამოიხატება გზებისა და ხიდების მშენებლობაში, სათემო, სასოფლო ადმინისტრაციების, თუ სამეურნეო პუნქტების ჩამოყალიბებაში, სკოლების, კულტურულ დაწესებულებათა თუ სამედიცინო პუნქტების დაარსებაში, ზუსტად მეოცე საუკუნიდან იღებს სათავე.

ასე, რომ მეოცე საუკუნე არის ის პერიოდი, როდესაც მაჭახლის ხეობა იწყებს გაღვიძებას უკეთესი მომავლისათვის, იწყება ბრძოლა უფლებებისათვის, ქართული სულისათვის, ერთიანობისათვის, კეთილდღეობისა და უკეთესი ცხოვრებისათვის. მეოცე საუკუნეში ცხოვრების ასპარეზზე გამოსულმა მაჭახლის ხეობამ, მაჭახლელმა კაცმა, კიდევ ერთხელ თქვა თავისი სიტყვა და დადო ერთი აგური, ქვეყნის აღმშენებლობაში, ქართული სულის საკეთილდღეოდ და სადიდებლად.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეული ისე მიილია, რომ მაჭახლის ხეობას არანაირი ცვლილება არ განუცდია, როგორც ოსმალთა ბატონობის ხანაში და ცარიზმის

მმართველობის პერიოდში, ასევე შემდეგაც - დემოკრატიული ხელისუფლების მმართველობის დროსაც, უცვლელი დარჩა ვითარება. ძირითადად აღმშენებლობის პერიოდი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება მაჭახლის ხეობაში, და არა მარტო მაჭახლის ხეობაში, ზოგადად აჭარის ყველა რაიონსა თუ სოფელში.

ამ პერიოდის მაჭახლის ხეობის შესახებ ცნობებს ვიგებთ იმ მოგზაურთა თუ მკვლევართა ჩანაწერებიდან, რომლების გარკვეული მიზნით სტუმრობდნენ ხეობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ჩანაწერები და კვლევა დაგვიტოვა რუსეთის სამხედრო კორესპონდენტმა, ისტორიკოსმა ალექსანდრე ფრენკელმა, რომელიც თან ახლდა რუს-ქართველთა ლაშქარს აჭარის გათავისუფლებისას. ა. ფრენკელი ომის ბოლო დღეების პერიპეტიების თვითმხილველი და თანამონაწილეა. პროფესიით იურისტი მახვილი თვალით ზომავს ათასგზის აოხრებული პატარა ქართული პროვინციების წარსულს და აწმყოს, ხალხის ყოფას და კულტურას, ადათ-წესებსა და ტრადიციებს. ა. ფრენკელს თავის წიგნში დეტალურად აქვს აღწელილი მაჭახლის სოფლები, მოსახლეობის კომლობრივობა და სულადობრივი რაოდენოდა, წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თუ ცხენ-სახედარის რაოდენობა სოფლების მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მკვლევარისათვის.

მაჭახლის ნახიე

სოფელთა დასახელება	პირუტყვის რაოდენობა						შემოსავლის განაწილება				კომლთა რიცხვი	სულადობა
	სახედარი	ცხენი	ხარი	ძროხა	თხა	ცხვარი	გადასახადი	ცხვრისაგან	მოავლის	გამოსაღები	მუსლიმანები	
მინდიეთი	-	-	4	15	14	9	60	-	2044	504	50	110
მაჭახლისპირი	3	-	6	10	20	4	99	-	1265	267	28	100
აჭარისაღმართი	-	-	4	30	45	58	209	-	3708	1080	70	220
ცხამლარა	-	-	18	27	113	420	-	-	2520	105	82	240
ჩიქუნეთი	4	6	16	20	361	120	17	36	2442	1056	113	310
ზ. ხერთვისი	2	2	7	17	300	42	80	26	2651	902	81	130
სინდიეთი	4	5	20	40	351	-	10	53	4730	1169	110	350
აკრია	3	4	10	20	318	63	817	-	2595	520	50	150
ქვაბისთავი	2	1	6	8	87	23	330	-	1318	2780	26	100
ზედვაკე	-	6	-	25	171	107	14	35	3157	616	60	300
ეფრატი	2	2	16	30	43	65	31	5	3620	700	75	300
გორგაძეთი	-	1	2	6	11	26	81	-	1051	256	22	75
საფუტკრეთი	-	2	2	6	26	17	132	-	1246	266	23	75
ზ. ჩხუტუნეთი	-	-	8	18	263	9	816	-	3242	750	70	200
ქვ. ჩხუტუნეთი	-	1	2	6	93	12	315	-	3242	359	33	110
ჭანივრი	-	2	4	8	44	4	119	-	1640	420	32	130
ქედქედი	1	4	4	15	111	-	331	-	2114	696	73	120
გვარა	-	4	-	82	2	-	6	-	2460	256	25	63
კირნათი	-	-	2	10	45	9	162	-	1370	500	45	110
კობალეთი	-	-	3	8	-	8	24	-	2443	254	25	72
ქვ. ხერთვისი	-	-	4	6	35	-	-	-	1628	256	25	70
მაღლაკონი	-	-	4	6	-	-	-	-	1404	256	25	65
ჭალახმელა	-	1	3	6	-	-	-	-	1212	205	22	120

უჩხითი	-	2	6	20	-	-	-	-	1262	636	42	90
მილისი	-	3	4	15	41	-	123	-	9780	297	49	60
ნამლისევი	1	2	4	10	8	-	21	-	1197	246	25	55

აღნიშნული ჩანაწერი, როგორც ზემოთ გითხარით, ძალიან საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს და გვიქმნის წარმოდგენას მაჭახლის ხეობის სოფლების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ***(Френкель, 1879:147),*** ამავდროულად, გვეძლევა შესაძლებლობა ეს მონაცემები შევადაროთ მეოცე საუკუნის დასაწყისის მაჭახლის ხეობის სხვადასხვა მოგზაურთა მიერ შედგენილ სტატისტიკურ ჩანაწერებს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში პირველი და უმთავრესი პრობლემა რაც მაჭახლის ხეობას გააჩნდა იყო უგზოობა. ამის შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერდა: **„აქეთ გზები არც ოსმალოს დროს ყოფილა გაკეთებული და, მგონი, რომ არც ახლა გაკეთდეს, რადგანაც მაჭახლის მდგომარეობა იმგვარად იფარგლებ-ისაზღვრება, რომ კაცი იქ თუ განგებ არ წავიდა, უიმისოდ აქ არავინ მოხვდება“** *(„ივერია“, 1893:3)*.

ამ მიმართულებით პირველი გზის მშენებლობა დაიწყო 1879 წელს ბათუმ-ართვინის გზა. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს ვღებულობთ სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის მოგზაურობის ჩანაწერებიდან. საგზაო სამუშაოებზე ძირითადად თათრები, სომხები და ბერძნები მუშაობდნენ, მათ შორის არც ერთი აჭარელთაგანი არ ერია, რის გამოც გაკვირვებას გამოხატავს წყაროს ავტორი: **„რამდენად ათასფერია დაბალის ხალხის გაჭირვება?! ერთი ლუკმა პურისათვის ერთის თვის სავალზე ფეხით მოდიან და აი სად კვდებიან! მაგრამ ეს აჭარლებისთვის და მაჭახლელებისთვის არ ითქმის. მთელი გზა გავიარეთ და ერთი აჭარელი და მაჭახლელი არ იყო მუშების რიცხვში. თათრები, სომხები და ბერძნები მუშაობენ სულა. ამათ როდის უნდა გაიგონ შრომის მნიშვნელობა?“** *(ივერია, 1879:76-77)*.

ასევე საინტერესო ცნობას გვაწვდის გაზეთ „ივერიის“ 1902 წლის ნომერი, რომელიც მოგვითხრობს სოფელ ეფრატის მაგალითზე გზებისა და ეკონომიკური მდგომარეობი შესახებ: „ეფრატი მდებარეობს ბათუმიდგან ასი ვერსის მანძილზე, მდ. მაჭახლის ხეობაში, კარჩხალის მთის კალთაზე. იგი ძველინდელი სოფელია, დღეს მასში 15-მდე მოსახლეა. ეფრატსა და მის მახლობელ სოფლებში - ზედ-ვაკეს და ზედა-ხერთვისს, გორგაზდეთს (გორგაძეთი ზ.ნ.) და ქვაბის-თავს რიგიანი გზები არა აქვთ.

აქაურების ფიქრით გზების გაკეთება ცოდვაა, საჭირო რომ ყოფილიყო კარგი გზა, ბუნება მოგვცემდაო. ეგენი ამბობენ, უკეთუ კარგი გზები გვექნება, უცხო კაცნი ადვილად შემოვლენ ჩვენს ქვეყანაშიო და ბარაქა დაგვეკარგებაო. მოხუცმა მემედ-სული-ოღლიმ გვითხრა - სამგზავრო გზები გვქონდაო, აქედგან მიდიოდნენ შავშეთს, არდანუჭს (არტანუჯი ზ.ნ.), ართვინს და არდაგანსაცო.“ ***(„ივერია“, 1902:3)***.

მაჭახლის ხეობის ეკონომიკური მდგომარეობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ერთ საინტრესო ინფორმაციას გვაწვდის 1901 წლის გაზეთი „ივერია“: „მას აქეთ, რაც ცხენის კმელა (კბილა ზ.ნ.) სიმინდი შემოსულა ამ ქვეყანაში, ამნაირი მცირე მოსავალი არავის ახსოვს. ჯერ ისევ ივნისში წვიმებმა მთლად ჩამორეცხა გაღმა-გამოღმა ქედებზედ ახლად დათესილი ყანები. არსად ამ ხეობებში არ მოიძებნება ნახევარი ქცევის ოდენა ვაკე ადგილი, რომ სადმე რამ გადარჩენილიყო გადაურეცხელი. რაც დარჩა, ისიც ივლისის წვიმებმა ჩამორეცხა, დარჩნენ მცხოვრებნი ყანების მაგიერად ტიტველა ქედების მაცქერალნი.

უმეტესი ნაწილი ქვედა აჭარისა მცხოვრებთა საყანეთ სამუშაოდ კახაბრის მინდვრებს იღებენ, მაგრამ წრეულს ნამეტანი წვიმების გამო იქაც ვერ მოასწრეს ვერც პირველი თოხი და ვერც მეორე, თითქმის ნახევარე ისე დარჩა.

მიუხედავად ამისა, აქაურებს წრეულ ჩვეულებრივზედ მეტი გადასახადი დაედვათ, რადგანაც წარსულ იანრიდგან მთავრობისაგან ჯამაგირიანი მამასახლისების არჩევა დამტკიცდა და ამასთან კიდევ საქმის მწარმოებელი მწერლები, კანცელარიის მოწყობა, ნივთების შეძენა, აგრეთვე აშენება ახალის კანცელარიებისა, ყველა წრეულს დაატყდა თავზედ ხალხს. ამის გამო აქაური მცხოვრებლები დიდად შეწუხებულნი არიან, ამათი ერთადერთი იმედი ამ ჟამად მარტო-ოდენ ხილი-ღაა, თუ რასმე გაჰყიდიან ბათუმში; ცოტაოდენი იმედი აქვთ აგრეთვე ყურძნისაც, თუ არ დაუნაცრათ ***(„ივერია“, 1901:3)***.

ამ საგაზეთო სტატიიდან აშკარად ჩანს ადგილობრივი მოსახლეობის სიღარიბე და დუხჭირი მდგომარეობა, რასაც კიდევ უფრო აუტანელს ხდის სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული ბეგარა-გადასახადები. ახალი ხელისუფლების მიერ დაწესებული მაჭახლელთათვის უჩვეულო და ყოვლად მიუღებელი მსგავსი ბეგარა-

გადასახადები უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი „მუჰაჯირობის“ შემდგომი ეტაპისა, რომელიც 1916 წლამდე გრძელდებოდა.

მაჭახელი მეოცე საუკუნის დასაწყისში აჭარისწყლის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა, სადაც 1903 წლის მონაცემებით განთავსებული იყო საპოლიციო დამცავი საგუშაგო. საგუშაგოს შენობა შედგებოდა ხუთი ოთახისაგან. მასვე ჰქონდა ერთი საჯინიბო, რომელიც გათვლილი იყო 9 ცხენზე *(აცსა, ფ.ი-82, ა. 1, საქ. 4. ფურც. 31)*.

მაჭახლის ხეობის, გზებისა და ტრანსპორტის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აპ. წულაძე: „მთელ აჭარას სერავს სამი ხეობა: ჭოროხის, მაჭახლის და აჭარისწყლის, ორ ხეობას ჭოროხსა და აჭარისწყალს მისდევს საეტლო გზატკეცილი. ორივე ხეობის გზა იწყება ბათუმიდან. კერძო ომნიბუსები (დილიჟანსი), ლინეიკები და ეტლი გადის ყოველ დილით 7-8 საათზე ართვინის მოედნიდან (პეტროგრადის ქუჩა, ელექტრონის სადგურის პირდაპირ). საფოსტო ეტლის („რესორიანი პერეკლადნოი“) გამოწერა შეიძლება მხოლოდ აჭარისწყლის ხეობისაკენ (ამის კანტორა შეპელევის ქუჩაზეა, რკ. გზის სადგურის მახლობლად, აღმოსავლეთისაკენ). არც კერძო ეტლი და არც საფოსტო, შედარებით რომ ვთქვათ, ძვირფასი არ არის, მაგალითად ბათომიდან ქედამდი (38 ვერსია) ერთი ადგილი ომნიბუსში ღირს 1 მან. 50 კაპ, ეტლში 2 მან., საფოსტო ეტლით კი ორი ადგილი (ორი ცხენი) 4 მან. 3 კ., კერძო (საკუთრათ დაქირავებული) ეტლი კი ძლიერ ძვირად ღირს, ქედამდე 4 კაცს 20 მან. მაინც გამოართმევენ.

ბათომიდან მეთექვსმეტე ვერსზე სახელდობრ აჭარისწყალზე (სადგური და პატარა დაბაა) საეტლო გზა ორად იყოფა: ერთი მისდევს ჭოროხს და მიდის ართვინ-არდაღანისაკენ, მეორე კი აყვება აჭარის წყალს (მდინარეს), ავა ქედაში, ხიჭაურში, ხულოში და გადავა ახალციხეში. ბათომიდან ხულომდი არის 82 ვერსი, ართვინამდე კი 92.

ამ ორ საბოლოო სადგურამდე მიმსვლელს აჭარა (გარდა მაჭახლის ხეობისა) საყველაპურად დათვალიერებული ექნება (ცხადია გზის პირიდან). ექსკურსანტებს ვურჩევ აჭარისწყლამდე ავიდნენ ეტლით, მერე კი შეყვნენ ფეხით ართვინის გზატკეცილს. ომის საშინელების შედეგს ყველაზე მეტად ნახავს ჭოროხისა და მაჭახლის ხეობაში. აჭარისწყლიდან მე-9 ვერსზე არის (უფრო იყო) მშვენიერი სოფელი

მარადიდი (მარან-დიდი), მე-27 კი დაბა ბორჩხა. ბორჩხიდან შეიძლება ასვლა მურღულის ხეობაში, ძანსულის სპილენძის მაღარო-ქარხანაში (ბორჩხიდან მგონი 18 ვერსის მეტი არ უნდა იყოს) საეტლო გზა ძანსულშიც მიდის (ჭოროხზე ბორანით გადიან). მურღულიდან ოსმალეთის საზღვარი ახლოს არის. ართვინში წამსვლელი უმთავრეს გზატკეცილს შეყვება, გაივლის ქათიბ-ხანს და ავა ქ. ართვინში.

მაისობიდან (აქეთობისას) მოგზაურს შეუძლია შეყვეს მაჭახლის პირს (აჭარისწყლიდან მე-4 ვერსზეა ართვინის გზით) და მოიაროს მთელი ეს მშვენიერება და მომხიბლავი ხეობა. გზატკეცილიდან მდინარის გაღმა-გამოღმა სოფლები 16 ვერსის მანძილზე სულ გადაბუგულია. პირველი სოფელი, რომელიც სასწაულებრივ გადაურჩენია „კომანდირ“ ბ.ნ. მგალობლიშვილს არის ჩხუტუნეთი. ამ სოფელში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სკოლაა და კარის კაცობას გარდა მასწავლებლისა სიამოვნებით იკისრებს მამასახლისი კახიძე, მწერალი მახარაძე და ადგილობრივი მცხოვრები მევლუდ აღა მალაყმაძე.

ამ ხეობაში არის საცხენოსნო გზა. ჩხუტუნეთიდან გირჩევთ ინახულოთ ისტორიული სოფელი ხერთვისი და თუ კი არ დაიზარებთ ცოტა ზევით ევფრატი და აკრია, ესენი ორივე მთის სოფლებია და ძლიერ მშვენიერიც *(„საქართველო“, 1916:4)*.

საინტერესოა ჯიფორდ პალგრევის ცნობები მაჭახლის ხეობის შესახებ: „მაჭახელს უკავია გრძელი, დასავლეთით ჭოროხისაკენ მოქცეული აჭარის მთების ფერდობის ვიწრო ზოლი, ესე იგი მოქცეულია მდინარე მაჭახელას და აჭარას შორის“ (იგულისხმება ქვემო აჭარა).

პალგრევი ამ კუთხის მრეწველობის, ვაჭრობისა და სასოფლო სამეურნეო საქმიქნობის შესახებ გვამცნობს, რომ სამშენებლო ხე-ტყეს, ცოტა რაოდენობის სიმინდს, სხვადასხვა ბოსტნეულსა და ბაღის ნაყოფს მაჭახლელები მდინარე ჭოროხზე ნაოსნობით, ზღვის სანაპიროზე ეზიდებიან გასაყიდად.

ასევე, პალგრევის ცნობით, ბათუმიდან მაჭახელში მის სამხრეთ-დასავლეთით, აჭარის მთებს შორის, გასწვრივ, გადის ბილიკი, რომელიც უხვევს პირდაპირ სამხრეთისაკენ და შედის მდინარე ჭოროხის ხეობაში (მის მარჯვენა მხარეს). ეს ბილიკი ხეობაში თანდათანობით მაღლა და მაღლა იწევდა და კლაკნილად მიემართებოდა წინ... ეს გზა (ბილიკი) მაჭახელს აკავშირებდა ქალაქ ართვინთან, იგი

გადიოდა მდინარე ჭოროხზე (მის მარცხენა ნაპირზე) იმ ადგილას, რომელსაც „ფაშას ხიდად“ მოიხსენიებენ-ხოლმე.

ეს გზა-სავალი მეტად სახიფათო იყო მგზავრთათვის, ამიტომაც იყო, რომ იმხანად აქაურები ამ გზაზე სიარულს, მდინარე ჭოროხზე ნავებით მგზავრობას და ტვირთის გადატანას ამჯობინებდნენ.

ამ გზათაგან ერთი მათგანი აჭარის ქედით, აღმოსავლეთის მიმართულებით, ხულოში, ხოლო მეორე - სამხრეთისაკენ შავშეთის მიმართულებით მიემართებოდა *(კომახიძე, 2003:16-17)*.

პირველ მსოფლიო ომამდე მოსახლეობის კომლობრივი და სულადობრივი რაოდენობის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ თ. სახოკიას მიერ შედგენილი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ზემოთ გვაქვს მოყვანილი და შევადაროთ ომის შემდგომი პერიოდის სტატისტიკურ მონაცემებს.

	სოფლები	**კომლი**	**მდედრობითი**	**მამრობითი**	**სულ**
2.	1.უჩხითი	56	134	163	297
3.	2. მილისი	28	71	76	147
4.	ნამლისევი	19	54	70	124
5.	მაჭახლისპირი	14	40	49	89
6.	ქვ.ხერთვისი	18	42	54	96
7.	აჭარისაღმართი	39	83	122	205
8.	სინდიეთი	11	15	20	35
9.	ქედქედი	17	35	43	78
10.	ჭანივრი	17	41	35	76
11.	ჩხუტუნეთი	72	127	150	277
12.	გორგაძეთი	16	35	41	76
13.	საფუტკრეთი	11	31	35	66
14.	ჩიქუნეთი	66	209	208	417
15.	ცხემლარა	9	24	17	41

16. ზ. ხერთვისი	45	84	77	161
17. ზედვაკე	25	57	59	116
18. ეფრატი	17	47	53	110
19. ქვაბითავი	11	31	45	76
20. მინდიეთი	73	137	162	304
21. აკრია	32	63	82	145

(სახოკია, 1985:208).

ჯიფორდ პალგრევი მაჭახლის ხეობაში 26 სოფელს ასახელებს, 1 908 კომლით. მისი ცნობით მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7 910 სულს შეადგენდა.

ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ბათუმის ოლქში და მათ შორის მაჭახლის ხეობაში შეიცვალა სასოფლო მმართველობის სისტემა და ფორმები. რუსეთის მმართველობის პირველ ოცწლეულში სასოფლო მმართველობის ძირითადი ფორმა იყო სოფლის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე სოფელი ერთიანდებოდა. მას სათავეში ედგა მამასახლისი, რომელსაც ძირითადად გადასახადების ამოღება ევალებოდა. ადმინისტრაციულად დაქვემდებარების მიხედვით მაჭახლის ხეობა 1921 წლამდე ქვემო აჭარის საპოლიციო უბანში შედიოდა და ხუთ სასოფლო საზოგადოებად იყოფოდა. ზედა ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში იყო 6 სოფელი, აჭარისაღმართში - 4, ჩხუტუნეთში -3, ჩიქუნეთში -2, ხოლო მაჭახლისპირის სასოფლო საზოგადოებაში - 4 სოფელი.

1901 წელს განხორციელდა სასოფლო მმართველობის რეფორმა, რომელიც მაჭახლის ხეობასაც შეეხო. სასოფლო მმართველობა ორსაფეხურიანი გახდა. შეიქმნა ხერთვისის სასოფლო ოკრუგი, როგორც მმართველობის მეორე საფეხური. მისი რეზიდენცია იყო ზედა ხერთვისში. ხერთვისის სასოფლო ოკრუგი აერთიანებდა 28 სოფელსა და 7 სასოფლო საზოგადოებას. მაჭახლის ხეობის სოფლები კვლავ 5 სასოფლო საზოგადოებად იყოფოდა. ამის გარდა ხერთვისის სასოფლო ოკრუგში გაერთიანდა კირნათისა და უჩხითი სასოფლო საზოგადოებები *(თურმანიძე, 2008:24-25)*.

მაჭახლის ხეობაში ძირითად დარგს სოფლის მეურნეობასთან არსებული დარგები წარმოადგენდნენ და ამჟამადაც ასეა, ვფიქრობ ერთობ საინტერესო იქნება გარკვეულ წილად მიმოვიხილოთ ეს დარგები. ხეობაში ძირითადად გავრცელებული

იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, განვითარებული იყო მეხილეობა და მეფუტკრეობა, რიგ ადგილებში მევენახეობაც.

მაჭახლის ხეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესახებ ცნობები მწირია, მაგრამ არსებული მასალები მაინც გვაძლევს საშუალებას საერთო სურათის წარმოსადგენად. 1881-1882 წლებში მაჭახლის ხეობის მოსახლეობას მფლობელობა-სარგებლობაში იყო 522 დესეტინა სავარგული. აქედან აღა-ბეგებს ეკუთვნოდა 240 დესეტინა, ხოლო გლეხობას - 282 დესეტინა *(„Кавказский календар“, 1884:330)*.

საინტერესო და დაწვრილებითი ცნობებია მოცემული 1917 წლის აღწერაში. მთლიანად ხერთვისის სასოფლო ოკრუგში გლეხთა სანადელო მიწები 365 დესეტინას შეადგენდა. მათ შორის კარ-მიდამოს ეკავა 33 დესეტინა, სახნავს - 231, ტყეს - 56, გამოუსადეგარი იყო 29 დესეტინა. ხერთვისის სასოფლო ოკრუგს არ გააჩნდა მდელოები, საბალახოები, ბაღ-ვენახების სავარგულები. ხეხილი და მაღლარი ვენახი მოხსენებული იყო ეზო-კარმიდამოში *(ა.ს.მ.ხ.ფ., ს. 216, ფურც. 53-56)*. არსებული მონაცემების საფუძველზე ჩვენი გაანგარიშებით კომლზე საშუალოდ მოდიოდა 0,6 დესეტინა სავარგული, რაც ნორმალური ცხოვრებისათვის საკმარისი არ იყო *(თურმანიძე, 2008:25)*.

მიწათმოქმედებას ხეობაში ძირითადად მემინდვრეობის მიმართულება ჰქონდა. ეთნოგრაფიული შესწავლით ირკვევა, რომ აქ მოჰყავდათ ფეტვი, ჭვავი, ქერი, ღომი, ხორბალი. მიწის დამუშავება ხდებოდა როგორც თოხით, ასევე ჯილღათი. ბათუმის ოლქში გავრცელებული სამიწათმოქმედო სახვნელი იარაღებიდან აღსანიშნავია კოლხური კავი, ჯილღა, არვანა. რკინის გუთანი იშვიათობას წარმოადგენდა. კოლხურ კავს ძირითადად იყენებდნენ ქობულეთისა და ბათუმის რაიონების დაბლობ ადგილებში. იგი შემორჩა XX საუკუნის მეოერე ნახევრამდე. ჯილღა გავრცელებული იყო შიდამთიან აჭარასა და ართვინის ოკრუგში. კოლხური კავისა და ჯილღისათვის გამოიყენებოდა ერთი უღელი ხარ-კამეჩი. შიდამთიანი აჭარის ზეგან ადგილებში სარგებლობდნენ შედარებით რთული კონსტრუქციის სახვნელი იარაღით - „ჯილღა-გოგორათი“. იგი მძიმეა, ამიტო მას ორი თუ სამი უღელი გამწევი ძალა ესაჭიროებოდა და მართავდა ორი კაცი (გუთნისდედა და მეხრე). სოფლის მეურნეობაში ფართოდ იყო გავრცელებული თოხი. იგი წარმოადგენდა არა

მარტო სათოხნ, არამედ საფხეკ საშუალებასაც. თოხის მასობრივი გამოყენება, ძირითადად, რელიეფთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ძლიერ დაქანებული ფერდობის სხვაგვარად დამუშავება შეუძლებელი იყო. აჭარაში გავრცელებული ყოფილა თოხის რამდენიმე სახეობა. ზოგიერთი მათგანი აისახა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში („ჩაფა-თოხი“, „ყაზმა-თოხი“, „საფაჭვი-თოხი“, „სამარგალი-თოხი“, „ბრინჯის-თოხი“, „ღომის-თოხი“). ***(სდსინ, 2008:134)***.

სიმინდის კულტურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოუტანიათ XVII საუკუნეში. სიმინდმა, როგორც უხვმოსავლიანმა კულტურამ, გამოდევნა ღომი და ფეტვი. გავრცელებული იყო სიმინდის ჯიშები: „ალთუნა“, „ბროლა“, „ალაზანა“, „ჯორიელა“, „იერლი“, „წვიტა“, „ლაზური“, „ქორიბუდე“, „შვიდკვირა“, „წონიარისულა“, „გოდორა“, „მისირულა“, „რომანულა“, „ჩხალური“, „ბოლოყურა“ და სხვა. ბარის რაიონებში მოჰყავდათ „ალაზანა“ და „ბროლა“, რომლებიც უფრო მაღალ მოსავალს იძლეოდნენ. სიმინდი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მარცვლეული კულტურებიდან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს და მონოკულტურად იქცევა. იგი გახდა მოსახლეობის ძირითადი სასურსათო მარცვლეული კულტურა. წინანდელი მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის მასშტაბები საგრძნობლად შემცირდა. ყველაზე ადრე ფეტვმა დაჰკარგა სამეურნეო მნიშვნელობა. დანარჩენი მარცვლეული კულტურები მცირე რაოდენობით ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებამდე მოჰყავდათ, გარდა ქერისა, რომელიც დღესაც ითესება აქა-იქ და მას საქონლის საკვებად ხმარობენ ***(ჯახიძე, 1974:36)***. სიმინდის ჯიშებიდან მაჭახლის ხეობაში მოჰყავდათ შვიდკვირა, წვიტა, იელლი (იერლი), შოდრა, გოდორა, ბროლა, თეთრი ალთუნა, წითელი ალთუნა (ალთუნა ოქროსფერს მნიშვნელობით იხმარება, ნ.ჯ.). მთხრობელები პირველ ორს ადგილობრივ ჯიშებად მიიჩნევენ, რომლებიც უმეტესად „ზეგან ადგილებში“ ითესებოდა. მესამეს ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებში გადაჯიშებულად თვლიან. (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი) აქედან წარმოსდგება სახელწოდება იერლი, რაც ადგილობრივს ნიშნავს. ალთუნა სიმინდი კი რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წ.წ.) ომის წინ შემოუტანიათ. ჩამოთვლილი ჯიშები, გარდა პირველი ორისა, დღესაც ითესება ***(ჯახიძე, 1974:39)***.

განსხვავებული იყო ხვნა-თესვის ვადები ხეობის ცალკეული სოფლებისა, თუ უბნებისათვის, რაც დამოკიდებული იყო ადგილმებარეობის მზით განათებაზე და რელიეფის ექსპოზიციაზე.

მიწათმოქმედებასთან და საერთოდ სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შრომაში ურთიერთდახმარების ფორმები ნადისა და მანიდის სახით.

ნადს უშუალოდ პატრონი იწვევდა, ან მის შეკრებას რომელიმე ახლობელს დააკისრებდა. ნადის წევრთა რაოდენობა მთლიანად იყო დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს ოდენობაზე. ამის მიხედვით ნადი იყო პატარა და დიდი. ნადში უმთავრესად გამოცდილ მეურნეებს იწვევდნენ, რომელთა შორის მომღერლებიც უნდა ყოფილიყვნენ.

მანიდი სანაცვლო-სავალდებულო დახმარებას ითვალისწინებდა და ამასთან ასეთ დახმარებას იგი გულისხმობდა დახარჯული კაცდღეების მიხედვით. მანიდი იცოდნენ შეშის მოტანაში, თესვის დროს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც დახმარების ეს ფორმა თოხნაში იჩენდა თავს. ნადსა და მანიდში იწვევდნენ როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს.

სიმინდის ხარმანის (ხვავის), გარჩევაშიც ზოდჯერ ქალთა და მამაკაცთა ნადს იწვევდნენ. ნადის წევრები სიმღერებითა და ცეკვებით ერთობოდნენ. რიგ შემთხვევაში ცეკვები ბერიკაობის ფორმით სრულდებოდა *(ჯახიძე, 1974:39-40)*.

მაჭახლის ხეობაში მიწათმოქმედება ისტორიულად თავისებურ სამეურნეო გარემოში ვითარდებოდა, რაც აისახება მეტწილად მთიანი რელიეფური პირობებით, კლიმატისა და ჰიდროგრაფიული რეჟიმის თავისებურებებით, სახნავ-სათესი მიწების დაქსაქსულობით. სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი მდ. მაჭახელასა და მისი შენაკადების ფერდობებზე იყო განლაგებული, ნაკვეთები დანაწევრებული იყო მცირე ფართობიან ოროკებად (ტერასებად). ყოველივე ეს ართულებდა მიწის დამუშავებას სახვნელი საშუალებებით (ჯილღა, გუთანი), რის გამოც მიწის დამუშავება ძირითადად ხორციელდებოდა თოხით.

ამგვარ პირობებში მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის აჭირო იყო მთელი რიგი ღონისძიებების გატარება: ახოების გაჭრა, ნიადაგის განოყიერება, მორწყვა , ნიადაგებისა და ნათესების დროული და ხარისხიანი დამუშავება. ეს ყოველივე გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებდა, რომელიც მაჭახლელ კაცს შთამომავლობით გადაეცემოდა.

ხშირად ხდებოდა ახოს აღება, ანუ ახალი სახნავ-სათესი მიწებისა და სავარგულების ათვისება, რაც ერთ-ერთი აუცილებელი სამეურნეო ღონისძიება იყო ყანებისა და ბაღჩების მოპივებისათვის. ტყეების გაკაფვა მაჭახლის ხეობაში და საერთოდ აჭარაში უმთავრესად გამოწვეული იყო სავარგული მიწების სიმცირით.

ახლად ათვისებულ მიწას პირველ-ორ წელს ხამი ეწოდებოდა, შემდეგ წლებში - მოდული, რომელიც სამეურნეო ტოპონიმადაც გვხვდება (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი) *(ჯახიძე, 1974:41-42)*.

გლეხური მეურნეობის შემოსავლის ძირითად ნაწილს ბაღჩები იძლეოდა. ბაღჩა სახლთან ახლო მდებარე და საკარმიდამო კომპლექსში შემავალი ისეთი სახნავ-სათესია, რომელიც წარმოდგენილია რთული კულტურული ცენოზებით (სიმინდი, ლობიო, სოია, მხალი, ჭარხალი, კვახი, კიტრი, პამიდორი, კარტოფილი და სხვა ერთწლიანი კულტურები). ამიტომ იყო, რომ ყველაზე მეტ მზრუნველობას ხეობის მოსახლეობა სწორედ ბაღჩების მიმართ იჩენდა და ყველაზე მეტ დროს მის დამუშავებას ახმარდა, რადგან ძირითად მოსავალს ბაღჩიდან ღებულობდა. ბაღჩებიდან მიღებულ დიდ მოსავალს აქაურ პირობებში ყოველწლიურად მიწის ნაკელით განოყიერება განაპირობებდა. ეს იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ ერთდროულად მრავალი ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერევითი თესვა რამდენადმე ფიტავდა ნიადაგს და ამცირებდა მის ნაყოფიერებას.

მაჭახლის ხეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნიადაგების დაცვას ეროზიისაგან. მოსახლეობა ამისათვის სხვადასხვა პრაქტიკულ საშუალებებსა და ხერხებს მიმართავდა. ერთ-ერთ მთავარ საშუალებას ოროკები, ანუ ტერასების მოწყობა შეადგენდა. ფერდობ ადგილებზე ოროკების მოწყობა ნიადაგს იცავდა ეროზიული მოვლენებისაგან და ხელს უწყობდა მის ნაყოფიერებას, აგრეთვე საკმარისი ტენის შენარჩუნებას ნიადაგში. ოროკების კედლების შემაგრება ხდებოდა

როგორც ხის ძელებით, ასევე ქვის ყორით. ქვედა მაჭახლის უმრავლესი სოფლის ნაკვეთები ოროკებადაა დანაწევრებული. მაგრამ ამ მხრივ მაინც ჩიქუნეთი, ცხემლარა, აჭარისაღმართი და ზედა ჩხუტუნეთი გამოირჩევა. ხელოვნურად მოწყობილი ოროკების გარდა ბუნებრივი გზით წარმოშობილი ოროკებიც გვხვდება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოსახლეობამ თითქმის მასობრივად მოჰკიდა ხელი კარტოფილის მოყვანას, ქვედა ზოლის დაბლობ სოფლებში ითესებოდა ხმელეთის ბრინჯიც, მაგრამ მას ძალზე მცირე ნაკვეთები ეჭირა. ბოსტან-ბაღჩეული კულტურებიდან მოჰყავდათ ლობიო (მხვიარა და დაბლარი), კეჟერა ფხალი, კვახი, ჭარხალი, კიტრი, სხვადასხვა მწვანილეული. წარსულში ყველა ოჯახი მისდევდა სელისა და კანაფის მოშენებას, რომელიც იძლეოდა ძირითად ნედლეულს (ბოჭკოს) ადგილობრივი ტანსაცმლის წარმოებისათვის *(ჯახოძე, 1974:36-37)*.

ხეობაში მცირე მასშტაბით მისდევდნენ მეთამბაქოეობასაც, რომელსაც ძირითადად საოჯახო მოხმარების ხასიათი ჰქონდა. სასაქონლო მეთამბაქოეობის განვითარება იწყება XIX ს. 80- იანი წლებიდან და მან ოლქის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მეთამბაქოეობის რაიონები იყო: ქვემო და ზემო აჭარა, გონიოს უბნის ნაწილი, არტანუჯი, ლივანა და შავშეთ-იმერხევი. მათ შორის გამორჩეული იყო არტანუჯის უბანი. ბათუმის ოლქში 1879 წლიდან 1914 წლამდე სულ უფრო ფართოვდებოდა თამბაქოს კულტურის გეოგრაფია. თუ 1879 წ. თამბაქო 12 სოფელში მოჰყავდათ, 1889 წ. ამ კულტურას - 110, 1899 წ. – 177, 1909 წ. – 213, ხოლო 1913 წ. – 217 სოფელში მისდევდნენ *(სდსინ, 2008:137-138)*.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ივერია“: „ამათ საკმაოდ ჰყავთ თხები, ცხვარი და ძროხა. ნაწველიდგან რჩებიან, ხორცს თითქმის არა ხმარობენ, ქათამს ინახავენ მხოლოდ კვერცხისათვის. ფრიად ნოყიერი საბალახოებია მთასა და ველზე. სხვაგან მზე სწვავს ბალახს, აქ - კი, სამჯერ სთიბავენ მას. მთა-ველის ტყეებში სკები აქვთ დადგმული ხეებზედ. არის ისეთი ხეც, რომ ზედ ოც-და-ათი ბუკი (სკა) არის დადგმული. გაზაფხულზე მთელს ტყეს ბუზუნი გააქვს, რადგან ფუტკარი გაცხარებულად მუშაობს. თეთრი თაფლი, კრიპუჭი და სანთელი ას ფუთობით იყიდება ყოველ წელს; მყიდველები ართვინელი ფრანგები არიან. იგინი თაფლს ინახვენ ჭურებში, ვაჭრებს გუდებით გააქვთ. ადგილი

ფრიად საღია, არავითარი ავადმყოფობა არ იცის. წამალს აქ არ ხმარობენ და სიკვდილითაც ცოტა დაიხოცებოდა, თუ ავი კაცები ხშირად სიცოცხლეს არ უსპობდნენ კაცს. მოხუცებული კაცები შეიყრებიან ხოლმე ხის ქვეშ, ხუმრობენ და ნახულსა და გაგონილს ყველას უთხრობენ და ულექსავენ ერთმანეთს *(„ივერია“, 1902:3)*.

1917 წელს ხერთვისის სასოფლო ოკრუგში სიმინდის კულტურას ეკავა 145 დესეტინა, თამბაქოს 27 დესეტინა. ხეხილის ჯიშებიდან გავრცელებული იყო ვაშლი, მსხალი, ბერძნული ნიგოზი, ატამი, ქლიავი და სხვა. 1917 წელს გაშენებული იყო 964 ძირი ვაშლი, 737 ძირი მსხალი, 970 ძირი ბერძნული ნიგოზი, 242 ძირი მაღლარი ვენახი *(თურმანიძე, 2008:25)*.

მევენახეობას მაჭახლის ხეობაში ოსმალთა ბატონობამ თავისის დაღი დაასვა. მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს, როგორც თ. სახოკია იტყოდა მაჰმადის რჯულმა ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად ფეხი ამოაკვეთინა. ამის ნათელი მოწმეა მაჭახელსა და აჭარაში უპატრონოდ დარჩენილი სხვადასხვა ტევადობის უამრავი ქვევრი და მარან საწნახლები რაც მატერიალური სახით შემოგვინახა ისტორიამ.

„ვაზიც ღვთის ანაბარა იზრდება სხვა ხეთა შორის, მოუვლელი, უმეტესობას ნაცარი და ობი აქვს მოდებული და მოსავალს აღარ იძლევა ან და გააბეჩხებულა, თუ მოისხა სადმე, დამწიფდება თუ არა ყურძნად შესჭამენ და ჭამის დროს-ღა მოიგონებენ თავიანთ ქრისტიან წინაპრებს...“- წერდა თ. სახოკია *(სახოკია, 1985:222)*.

ამავე პრობლემაზე ამახვილებდა ყურადღებას მოსკოველი პროფესორი ე. ერიქსონი, რომელიც მე-19 საუკუნის დამლევს რამდენჯერმე ეწვია აჭარას, გაეცნო ბათუმის მიდამოებს - სოფლებს, გონიოს და მაჭახლის ხეობას. ე. ერიქსონს აჭარაში ვაზის მრავალი ჯიში უნახავს, ოღონდ მოუვლელი და გაველურებული *(ბერიძე, 1975:15)*.

მაჭახლის ხეობაში, ისე როგორც აჭარაში გაბატონებული ყოფილა მაღლარი ჯიშის ვენახი. ამ ფაქტს მთლიანად აჭარის მაგალითზე მე-19 საუკუნის ბოლოსათვის თ. სახოკიაც შენიშნავდა. ის წერდა: „აქეთკენ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია სამეგრელოში; ვაზი უზარმაზარ ხეებზეა გაშენებული“ *(სახოკია, 1985:222)*, როგორც ჩანს ამაზე გავლენა იქონია აჭარის რელიეფურმა პირობებმა - მთაგორიანობამ და მცირემიწიანობამ. მაჭახლის ხეობაში საუკეთესო მიწები მხოლოდ

მთლიანად მინდვრის კულტურებს ეთმობოდა. ამასთან მაღლარი ვენახი სახნავ-სათესად სავარგული მიწების დაბანდებას არ მოითხოვდა, რადგან მას უშვებდნენ მაღალ ხეებზე (თხმელა, ცხემლა, ლეკი, წაბლი და სხვა), რომლებიც ბუნებრივი სახიტ იზრდებოდა, ან საგანგებოდ ირგვებოდა ეზო-კარმიდამოზე, გზების, ღელეების პირას, სახნავ-სათესი ნაკვეთების განაპირა და სხვ. ე.ი. ფლორის ეს ელემენტებიც ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მაღლარი ვენახის განვითარებისათვის. აქაური კლიმატური პირობებიც გასაქანს აძლევდა მაღლარი ვენახს, ხელს უწყობდა ყურძნის დამწიფებას. მკაცრი ზამთრის პირობებში მაღლარის ჯიში უფრო ამტანია, ვიდრე დაბლარი ვენახი.

მაჭახლის ხეობაში გავრცელებული ყოფილა ვაზის შემდეგი ჯიშები: კოლოშა, დუდღო, ცხენიძუძუ, ჩხავერი, მისკეთი, ბოსტნური, საკმიელი, ქვაბთური, ჩიტაყურძენა, ხარითვალა, ლივანური, კლარჯული, შავშური. ჩამოთვლილი ყურძნებიდან დღეს ბევრი აღარ გვხვდება, აქა-იქ შემორჩენილია, კოლოშა და ჩხავერი, ამ უკანასკნელის მოშენებას თურმე უფრო მეტად მისდევდნენ და იგი უმთავრესად ლეკის ხეზე აჰყავდათ, რადგან ამ ხეზე ბევრს ისხამდა და კარგად მწიფდებოდა ***(ვახიძე, 1974:46)***. გასულ საუკუნეში მაჭახელში გავრცელებას იწყებს ყურძენი შავი ადესა (იზაბელა), თეთრი ადესა, კაჭიჭი, რომლებიც ასევე მაღლარი ვენახების ჯიშებს განეკუთვნება.

ხეხილის ჯიშებიდან გავრცელებულია ვაშლი, მსხალი, ბალი, ტყემალი, ქლიავი, ჟოლი (თუთა), ატამი, კაკალი, თხილი, ლეღვი, ზღმარტლი, ხურმა და სხვა.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის ზ. ჭიჭინაწე აღწერდა, რომ მაჭახელში მსხლით, ვაშლით, კაკლით ნამეტურ თუთით და ვაზით სავსე ტყეები არისო ***(ჭიჭინაძე, 1913:187)***. მეხილეობასთან დაკავშირებით საინტერესო წყაროს წარმოადგენს ჯ. პალგრევის ანგაშები, სადაც წერია, რომ მაჭახლიდან ხილიც გაჰქონდათ გასაყიდად ***(Пальгрев, 1882-1883:56)***. მეხილეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს მოგვიანებით ხაზს უსვამდა აპ. წულაძე, ის წერდა: „მაჭახელი მართლაცდა, რომ იშვიათი სახილე ადგილია, აქ არ იცის ქარი, მოწვა, სითბოც მუდამ ზომიარია“ ***(წულაძე, 1916:3)***.

მაჭახლის ხეობაში მისდევდნენ როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლის მოშენებას. ჯ. პალგრევი აღნიშნავდა, რომ ცხვარი, თხა და მსხვილფეხა

საქონელი მაჭახელში ბევრიაო *(Пальгрев, იქვე)*, ზ. ჭიჭინაძე წერდა, რომ მაჭახელში კარგად მისდევდნენ ძროხისა და ცხვრის მოშენებას *(ჭიჭინაძე, 1893:3)*. საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მესაქონლეობა უფრო მეტად განვითარებული ყოფილა ხეობის ზედა ზოლის სოფლებში, ანუ ზედა მაჭახელში, სადაც ამისათვის შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

ხეობის მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა ადგილობრივი ჯიშის პატარა ტანადობის მსხვილფეხა საქონელს, რომელიც კარგად იყო შეგუებული აქაურ პირობებს და წველადობაც მაღალი ჰქონდა.

მსხვილფეხა საქონლის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცხენისა და თხის მოშენებას. წვრილფეხადან უპირატესობა ცხვარს ენიჭებოდა, რადგან ზამთარში მისი მოვლა ადვილი იყო და ამასთანავე ხორცისა და რძის გარდა მატყლსაც იძლეოდა, რაც აუცილებელი ნედლეული იყო და სელ-კანაფთან ერთად წარსულში არსებით როლს თამაშობდა მოსახლეობის ადგილობრივი ნაწარმის ტანსაცმლით უზრუნველყოფაში.

საქონლის საერთო სულადობა 4359 სულს შეადგენდა. აქედან მსხვილფეხა საქონელი იყო 1685, ხოლო წვრილფეხა (თხა-ცხვარი) – 484 სული. ტვირთის გადასატანად და გამწევ ძალად იყენებდნენ ცხენს, ჯორს, სახედარს, ხარს. 1917 წელს აქ ითვლებოდა 164 ცხენი, 343 ხარი, 26 სახედარი. მაგრამ ყველა მეურნეს როდი ჰყავდა საქონელი. მაგალითად, ხერთვისის სასოფლო ოკრუგის 171 კომლი საქონლის გარეშე იყო დარჩენილი, რაც საერთო კომლთა ერთ მესამედს შეადგენდა *(თურმანიძე, 2008:25)*.

მაჭახლის ხეობაში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგათ ითვლებოდა მეფუტკრეობა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით მეფუტკრეობა უფრო ფეხმოკიდებული ყოფილა ზედა მაჭახელში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფლები მინდიეთი და ეფრატი *(ჭიჭინაძე, 1913:13. ჯანაშვილი, 1902:3)*. ქვედა მაჭახლის სოფლებიდან „ფუტკარი კარგად მუშაობდა“ სკურდიდში, ზედა ჩხუტუნეთში, ჩიქუნეთში და ზოგიერთ სხვა სოფლის ცალკეულ უბნებში *(კახიძე, 1974:53)*. მეფუტკრეობის განვითარებით ხერთვისის სასოფლო ოკრუგს ბათუმის ოლქში რიგით მეორე ადგილი ეკავა და მხოლოდ კინტრიშის სასოფლო

ოკრუგს ჩამოუვარდებოდა. 1917 წლის მონაცემებით ხერთვისის ოკრუგში 425 ფუტკრის ოჯახი არსებობდა *(თურმანიძე, 2008:25)*.

სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღებსა და სატრანსპორტო საშუალებებს მოსახლეობა ტრადიციულად ადგილზე ამზადებდა. ბათუმის ოლქის თითქმის ყველა მსხვილ სოფელში არსებობდა სპეციალური სამჭედლოები. საკმაოდ იყვნენ ხის იარაღების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ჭურჭლის წარმოების საუკეთესო ოსტატებიც. ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აჭარლები ცნობილი არიან როგორც „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“ *(ვახუშტი, 1973:877)*.

ხის სამეურნაო იარაღების, ჭურჭლისა და ტრანსპორტის დასამართი მასალის შემოტანა საჭირო არ იყო. ადგილზე არსებობდა ძვირფასი ხე-ტყე, მაგრამ ლითონის იარაღების დასამზადებლად საჭირო რკინასა და ფოლადს ადგილზე აღარ ამზადებდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მათ ყიდულობდნენ ბაზარზე, ძირითადად კი ბათუმში, სადაც საამისო მაღაზიები არსებობდა *(ვახიძე, 1976:73)*.

კაპიტალისტური ურთიერთობის და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი სასაქონლო პროდუქციის წარმოებას მაჭახლის ხეობაში. 1917 წლის ცნობით, ხერთვისის სასოფლო ოკრუგიდან ბაზარზე გასაყიდად გადიოდა 1808 ფუთი ვაშლი, 1324 ფუთი მსხალი, 987 ფუთი ნიგოზი, 124 ფუთი კარაქი, 225 ფუთი ყველი, 173 ფუთი თაფლი, 1841 ფრთა ფრინველი. ყველისა და თაფლის გაყიდვით ხერთვისის სასოფლო ოკრუგს პირველი ადგილი ეკავა მთლიანად ბათუმის ოლქში, კარაქის გაყიდვით კი მესამე ადგილი (ჩამორჩებოდა შავშეთ-იმერხევის, სათლელ-რაბათისა და დაბაძველის სასოფლო ოკრუგებს) *(თურმანიძე, 2008:25-26)*.

ცხადია, სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ვაჭრობით მიღებული ფულადი შემოსავალი უმნიშვნელო იყო, მაგრამ ამით ახერხებდა ხერთვისის სასოფლო ოკრუგის მოსახლეობა სახელმწიფო გადასახადების გასტუმრებას და საოჯახო მოხმარების პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენას *(იქვე)*.

XIX საუკუნის ბოლოს რთული ვითარება შეიქმნა აჭარაში ტყეებით სარგებლობის შეზღუდვის გამო. იმდენად ძლიერი იყო ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი არსებულ საკითხთან დაკავშირებით, რომ ამას თვით მთავრობის

მოხელეებიც კი ვერ მალავდნენ. სახელმწიფო მოხელე ბოშჩინი დასძენდა, ადგილობრივი მოსახლეობა შეუპოვრად იბრძვის ტყეებით სარგებლობაზე ტრადიციული უფლებებისათვის და მთავრობის მოხელეებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევსო *(აცსა, ფ.22, ს. 62, ფურც. 13)*.

1894-1895 წლებში განსაკუთრებული სიძლიერით გაჩაღდა გლეხთა გამოსვლები ზემო აჭარასა და შავშეთ-იმერხევში. გლეხობა აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ აღნიშნულ მხარეთა ტყეები გასაკონტროლებლად გადაეცა სახელმწიფო ქონებათა უწყებას, ტყეთა მასივების საკონტროლოდ დაინიშნენ მეტყევეები. აჯანყებული გლეხები გაიძახოდნენ: სულთამხუთველებს თუ არ მოგვაშორებთ, თავი ცოცხალი აღარ გვინდაო. აჯანყებულებმა დონდუკოვ-კორსაკოვს გადასცეს თხოვნა-საჩივარი. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მამა-პაპეულ ადგილ-მამულზე თავიანთი უფლებების შელახვის გამო და მოითხოვდნენ ტყეების, საძოვრებისა და საბალახოების თავისუფლად, ძველებური წესით, სარგებობა-გამოყენებას. საქმეში ჩაერია იმპერიის თავდაცვის მინისტრი, რომელმაც კავკასიის მთავარმართებელს ურჩია დაეტოვებინა ადგილ-მამული მახარის მოსახლეობის მფლობელობაში. ყოველივე ამის მიუხედავად მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს მოხელეები თავისას ჯიუტად იჩემებდნენ, ქუთაისის სამმართველოს მოხელეები და ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია გლეხთა მოთხოვნებს აშკარად უგულუბელყოფდნენ. აღშფოთებული გლეხობა იძულებული გახდა ბრძოლის რადიკალური ხერხისათვის მიემართა, ორი წლის განმავლობაში ტყის დიდი ნაწილი იქნა გამხმარი და განადგურებული *(სდსინ, 2008:195)*.

რუსეთის ხელისუფლების მიერ აჭარაში დაწყებულმა ცვლილებებმა და რეფორმებმა ადმინისტრაციულ მოწყობასა თუ ადგილ-მამულების (ტყეების, სახნავ-სათესი ადგილები) განკარგვის საკითხებში, ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია. მოსახლეობისათვის ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა მართვა-განკარგვის ის ფორმები, რომელსაც მეფის რუსეთის ხელისუფლება სთავაზობდა ხალხს. ხელისუფლებისა და აჭარის მოსახლეობის დაპირისპირება ერთ-ერთ მიზეზად იქცა მოსახლეობის შემდგომი „მუჰაჯირობისა“.

XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში ძალიან გამწვავდა ვითარება მიწის საკითხთან დაკავშირებით. საქმის ასეთმა ვითარებამ აიძულა საქმეში ჩარეულიყვნენ პეტერბურგის საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს უფროსი კოჩუბეი და კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი. საქმე კი იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხებმა ს. მახუნცეთთან განაიარაღეს და უკანვე გამოაძევეს ჩაქვის საუფლისწულო უწყების მოხელეები. აღნიშნული ვითარების შესასწავლად 1902 წელს ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. იგი ართვინის ოკრუგსაც ეწვია, რადგან იქაც უკიდურესად იყო გამწვავებული გლეხთა მოძრაობა.შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ჩაქვის საუფლისწულო მამულისა და აღნიშნული სოფლების მოსახლეობის სადაო საკითხები. კომისიამ კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ვერ შეძლო და ცხადია, ვითარება კვლავინდებურად დაძაბული რჩებოდა *(სდსიბ, 2008:197)*.

მოსახლეობის აყრა-გაქცევა ძირითადად დაკავშირებული იყო აგრარულ საკითხთან; იგი ყველაზე უფრო 1878-1904 და 1914-1918 წლებში გამოვლინდა. მოსახლეობა ვერ შეეგუა საკუთარ მამულზე ტრადიციული მესაკუთრული უფლებების შელახვას, გადასახადაბის სიმძიმეს და თავშესაფარი ოსმალეთში მოძებნა. ეს იყო დიდი ეროვნული უბედურება, რომლის წინააღმდეგაც ხმა აიმაღლეს ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა და გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. რუსეთის სამხედრო კორესპონდენტი ა. ფრენკელიც აღნიშნავდა, ოსმალეთში გადასახლება რომ შეწყდეს, მთავრობამ ოფიციალურად უნდა აღიაროს მოსახლეობის უპირობო უფლება უძრავ ქონებაზე (მიწაზე), რამდენიმე წლით გააუქმოს გადასახადები და ბეგარა-ვალდებულებანი *(Френкел, 1879:137).*

ხელისუფლებას კი ამის გაგონება არ სურდა, პირიქით მიწების ხელში ჩაგდების მიზნით იგი ფარულად კიდეც უწყობდა ხელს მოსახლეობის აყრა-გაქცევას. მართალია, 1882 წ. დამთავრდა ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან მუჰაჯირად წასვლის სამწლიანი ვადა, მაგრამ მოსახლეობის აყრა-გაქცევა მაინც გრძელდებოდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 1901 წ. მხოლოდ შავშეთიდან 800 კაცამდე გადასახლდა. უცხოეთში გადახვეწილები იქ ფუძეს ვერ ნახულობდნენ, ბევრი გზაზე იხოცებოდა,

ნაწილი კი დაბრუნებას ამჯობინებდა, მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლება ისევ უკან ერეკებოდა *(ჭიჭინაძე, 1912:77).*

1905-1907 წლებში აგრარული საკითხი რევოლუციის შინაარსს განსაზღვრავდა. იგი საერთო დემოკრატიულ მოძრაობას გადაენასკვა. როგორც მთლიანად საქართველოში, ისე ბათუმის ოლქში მოსახლეობა აგრარულთან ერთად სოციალურ-პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდა. უმიწობითა და მცირემიწიანობით გაწამებულმა გლეხობამ ხელი იარაღს მოჰკიდა. 1905 წ. გლეხთა გამოსვლები მოეწყო კახაბერში, ქვემო აჭარასა და კინტრიშის უბნებში. გლეხები შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღებით: თოფებით, რევოლვერებით, ცულებით, წალდებით, დანებით. ისინი მოითხოვდნენ: გადასახადების, განსაკუთრებით ტყის ბაჟისა და ტყისმცველთა ინსტიტუტის გაუქმებას, სასოფლო ოკრუგის შესანახი ხარჯებისაგან გათავისუფლებას, ძველი მუხტარის თანამდებობის აღდგენას და ხალხისათვის მისი არჩევის უფლების მიცემას, სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე სამუშაო ქირის გადიდებას, ბათუმიდან ნავთის ამოტანაზე ბაჟის მოხსნას და სხვა. ხელისუფლებამ უარი განაცხადა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რასაც აჯანყებულთა მხრიდან დიდი აგრესია მოჰყვა (ადმინისტრაციული შენობების დარბევა), ამის შემდეგ სპეციალური მცველები გამოყვეს, რომ გამოძევებული მოხელეებიდან ადმინისტრაციულ შენობაში არავინ დაბრუნებულიყო. ფაქტობრივად, ქვემო აჭარაში მთავრობის ორგანოები აღარ მოქმედებდნენ *(სდსინ, 2008:198-199).*

მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად საგანგებო ზომები მიიღო და 1905 წ. 10 თებერვალს ქედაში ბათუმის ოკრუგის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი ჩერნოვი მიავლინა. გლეხებმა მას პეტიცია მიართვეს, სადაც იგივე მოთხოვნები იყო წამოყენებული. რუსეთის ხელისუფლებამ, რაკი მღელვარება მშვიდობიანი გზით ვერ ჩააქრო, იარაღს მიმართა. 19 თებერვალს ქვემო აჭარაში კაზაკების ასეული გაიგზავნა ორი ოფიცრისა და ბათუმის ოკრუგის უფროსის მეთაურობით. გლეხები მომზადებულნი იყვნენ შესაბრძოლებლად, მაგრამ რსდმპ ბათუმის კომიტეტის, სხვა პოლიტიკური თუ დემოკრატიული ძალების რჩევა-დარიგებით წინააღმდეგობაზე უარი თქვეს. 22 თებერვალს იქ აღადგინეს ოფიციალური ხელისუფლება. აჯანყების ხელმძღვანელები დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. მთავრობა ზოგიერთ დათმობაზე წავიდა:

რამდენადმე შეამცირა გადასახადები და გაიზარდა სასოფლო მამასახლისების არჩევნებში მოსახლეობის უფლებები *(სდსინ, 2008:199-200)*.

1905 წ. მარტში აგრარულ საკითხთან დაკავშირებით გამოსვლები მიმდინარეობდა ართვინის ოკრუგშიც. გლეხები უარს ამბობდნე გადასახადების გაღებაზე. შავშეთ-იმერხევის 66 სოფლის გლეხებმა 441 კაცის ხელმოწერით 1905 წლის მარტის დამლევს საპროტესტო განცხადება გადასცეს პოლიცმეისტერს, რომელშიც გმობდნენ სასოფლო მმართველობის შემოღებას და უარს აცხადებდნენ მასთან დაკავშირებული ხარჯების გაღებაზე. ანალოგიური ვითარება იყო ართვინის ოკრუგის დანარჩენ უბნებშიც. ართვინის ოკრუგის შეშინებული უფროსი 1905 წლის 12 მარტს ბათუმის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ არტანუჯისა და ართვინის უბნებში გლეხობის მღელვარება კიდევ უფრო ძლიერი იყო *(აცსა, ფ. 1, ს. 159, ფურც. 1.)*.

გადასახადების გადახდაზე აჭარელთა ურჩობა საყოველთაოდ ცნობილი გახდა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ხელისუფლება ცდილობდა აღა-ბეგებისა და სასულიერო წოდების დახმარებით ამოეღო გადასახადები. ისინი გლეხებს აშინებდნენ, თუ გადასახადებს არ გადაიხდით, მთავრობა კიდევ უფრო მკაცრ რეპრესიებს გაატარებს და მას მძიმე შედეგები მოჰყვებაო *(სდსინ, 2008: 202)*.

გლეხთა ურჩობა გადასახადებზე შეიმჩნეოდა რევოლუციის უკანდახევისა და დამარცხების პირობებშიც. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ მასწავლებლები, სასოფლო ოკრუგების მდივან-მწერლები და მოწინავე გლეხები. სამი თვით დააპატიმრეს აჭარის ს. კიბის მცხოვრებლები - ყედემ და თემელ ემინ-აღა-ოღლები. მაჭახლის ხეობისა და გონიოს უბნის სოფლებში ასეთი პროპაგანდისათვის სამუშაოდან მოხსნეს მასწავლებელი ლაზარე დარსაველიძე და სარფის სასოფლო ოკრუგის მდივან-მწერალი მიხეილ ჯინჭარაძე *(აცსა, ფ. 1, ს. 222, ფურც. 2)*.

1906 წ. დასაწყისში ბათუმის ოლქის გუბერნატორმა იმოგზაურა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სოფლებში. მასთან შეხვედრისას გლეხებმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვეს და კატეგორიულად მოითხოვეს მუჰაჯირების მიწების, ბაღ-ბოსტნების, შენობა-ნაგებობების სოფლის საზოგადოებისათვის გადაცემა. მიუხედავად გუბერნატორის დიდი მცდელობისა მთავრობამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა *(სდსინ, 2008:203)*.

აგრარული საკითხის მოუწესრიგებლობა გლეხობას აიძულებდა მიემართა ძალისმიერი ხერხებისათვის, რაც საბოლოოდ საბოლოო ჯამში გლეხობის აყრა-გაქცევით სრულდებოდა. 1908-1917 წლებში ბათუმის ოლქის საგრძნობი ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა, რამაც გამოიწვია აჭარის მოსახლეობის საგრძნობი შემცირება.

2 მსოფლიო ომი და მაჭახელი

პირველი მოსოფლიო ომის პერიოდი ერთ-ერთი მტკივნეული პერიოდია მაჭახლის ხეობის ისტორიაში. ომმა ხეობასა და მის მაცხოვრებლებს ნგრევა, სისხლისღვრა, აყრა-გადასახლება და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი მიაყენა. დაიწვა და განადგურდა სოფლების უმრავლესობა, ასობით ადამიანი მოწყდა თავის საცხოვრებელ ადგილს და იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო. ზარალი იმდანად დიდი იყო რომ დიდი დრო დასჭირდა ხეობას, რომ ეკონომიკურად წელში გამართულიყო და ფეხზე წამომდგარიყო.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა ორი მტრულად განწყობილი კოალიცია - „სამთა კავშირი“ და „ანტანტა“ ანუ სამთა შეთანხმება. ამ უკანასკნელის ბირთვს შეადგენდნენ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი იმპერიები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი.

გერმანიისათვის, რომელიც „სამთა კავშირის“ ლიდერი სახელმწიფო იყო და ამავდროულად ომის გამჩაღებელი, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას კავკასიის ხელში ჩაგდება და აქედან რუსეთის განდევნა წარმოადგენდა. ზუსტად ამ საკითხმა განაპირობა „სამთა კავშირისა“და ოსმალეთის დაახლოება, რადგანაც მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ოსმალთა მიზანი იყო კვლავ თავისი გავლენის ქვეშ მოექცია აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები, რომლებიც მან დაკარგა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად. ამ დაახლოებას საფუძველი ჩაეყარა „ახალგაზრდა თურქთა“ 1908 წ. რევოლუციის შემდეგ. მათი პარტიის („ერთიანობა და პროგრესი“) ლიდერები - ენვერ ფაშა (სამხედრო მინისტრი და ოსმალეთის ფაქტობრივი დიქტატორი), თალაათ-ფაშა (შინაგან საქმეთა მინისტრი, 1916 წ. დიდი ვეზირი) და აჰმედ ჯემალ-ფაშა (სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი) - აშკარა გერმანოფილობით გამოირჩეოდნენ *(სდსინ, 2008:357)*.

ოსმალეთი ცდილობდა თავისი ემისრები გამოეგზავნა აჭარაში და აქაური მოსახლეობა აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ აჭარლები ასეთ პროვოკაციას არ წამოეგნენ, თუმცა, შემდეგ, შეთითხნილი „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით და მძარცველობით განთქმული კაზაკ-პლასტუნების მოქმედებით საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა ადგილობრივი მოსახლეობა *(ბახიძე, 2017:34)*.

გერმანიის სამხედრო მისიამ ომის წინ ოსმალეთში ჩაატარა დიდი სამუშაო. მისიის წევრებმა საპასუხისმგებლო თანამდებობები დაიკავეს გენშტაბში, საზღვაო კორპუსებსა და სიმაგრეებში.

1914 წ. 1 აგვისტოს ევროპაში გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი. მეორე დღესვე ოსმალეთმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს საიდუმლო სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულებას. პარალელურად ოსმალეთმა გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც დიპლომატიურ დემარშს წარმოადგენდა და ემსახურებოდა „ანტანტის“ ქვეყნების ყურადღების მოდუნებას.

რუსეთს არ სჯეროდა ოსმალეთის ნეიტრალიტეტის და არც აწყობდა, რადგან გეგმავდა მასთან წარმატებული ომით გადაეწყვიტა მახლობელ და შუა აღმოსავლეთში გაბატონების ორსაუკუნოვანი ამოცანა. ამავდროულად უნდა ითქვას, რომ ოსმალეთის ნეიტრალიტეტი ძალიან თეთრი ძაფით იყო ნაკერი, რადგანაც კავკასიის ფრონტის გასამაგრებლად გერმანიამ ოსმალეთს გადასცა ჯავშნოსანი დრედნოუტი „გებენი“ და კრეისერი „ბრესლაუ“ ადმირალ სუშონის მეთაურობით, რომელიც მალე გამოცხადდა ოსმალეთის საზღვაო ძალების მთავარსარდლად.

12 აგვისტოს კავკასიაში გამოცხადდა სამხედრო წესები. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთს წაუყენა ულტიმატუმი და მოსთხოვა დემობილიზაცია, მაგრამ ამაოდ. ოსმალეთი განაგრძობდა ომისათვის გაზლიერებულ მზადებას. მას უკვე ჰყავდა 400 ათასი ჯარისკაცი და 24 ათასი ოფიცერი, რაც შეადგენდა 38 დივიზიას *(სდსინ, 2008:358)*.

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ კავკასიის ფრონტზე ერზრუმთან თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას. აქვე ფრონტის გასაძლიერებლად გადმოისროლეს თვითმფრინავები, რომლებსაც გამოცდილი გერმანელი პილოტები მართავდნენ. ოსმალთა მხრიდან იქმნებოდა სპეციალური, არალეგალური „ჩეთეს“ რაზმები, რომელთა ორგანიზებაშიც მონაწილეობდნენ გერმანელი ოფიცრები.

რუსეთის საზღვრისპირა პორტებში შეიტანეს სამხედრო აღჭურვილობა, მაგრამ რთული ვითარება შეიქმნა სურსათის მომარაგების მხრივ, რადგანაც ოსმალეთის ხელისუფლებას არ გააჩნდა სტრატეგიული მარაგი. ამიტომაც გაიცა უმაღლესი ბრძანება სურსათ-სანოვაგისა და საჭაპანო ტრანსპორტის რეკვიზიციის შესახებ.

ოსმალეთის გეგმებში ბათუმი განიხილებოდა ამიერკავკასიაში შემდგომი შეტევის ერთ-ერთ პლაცდარმად. დაიგეგმა ბათუმის მახლობლად დიდი საზღვაო დესანტის გადმოსხმაც, მაგრამ ბათუმის სანაპირო ზოლი კარგად იყო გამაგრებული, რის გამოც ოსმალეთის სარდლობამ თავი შეიკავა. გადაწყდა, ძირითადი აქცენტი კავკასიაში სახმელეთო ბრძოლებზე გადაეტანათ.

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ იზრუნა ბათუმის შეტევის გეგმის შენიღბვისათვის. მათ რუსეთის კონტრდაზვერვას შეაპარეს დეზინფორმაცია, თითქოსდა ოსმალეთი არ გეგმავდა ბათუმის მიმართულებით ფართომასშტაბიან ოპერაციებს და ძირითადად „ჩეთეს“ რაზმებით შემოიფარგლებოდა, რითაც რუსეთის ყურადღება მოადუნეს. რუსეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილები გაიყვანა ბათუმიდან და ბათუმი მხოლოდ 6 ბატალიონის, 1 მესანგრეთა ასეულისა და 8 ქვემეხის ანაბარა დატოვა. გერმანია-ოსმალეთის სარდლობას კი ბათუმზე შეტევისათვის მზად ჰყავდა 14 ბატალიონი და ორი ოსმალური პოლკი გამოცდილი გერმანელი პოდპოლკოვნიკის შტანკეს მეთაურობით. შტანკეს რაზმთან ერთად ბათუმის მიმართულებით უნდა ემოქმედა 6 ათასამდე ჩეთნიკს. საომარი მოქმედების დაწყების წინ ოსმალებმა ამიერკავკასიაში შემოაგზავნეს სადივერსიო ჯგუფები, რომელთაც მწყობრიდან უნდა გამოეყვანათ რკინიგზის და ტელეგრაფის ხაზები *(სდსინ, 2008:361)*.

ოსმალებმა ბათუმის ოლქს შემოუტიეს ორი ძირითადი მიმართულებით: ზღვის სანაპიროს გასწვრივ (ლიმანი, მაკრიალი, გონიო, ბათუმი) და ართვინის ოკრუგში - მურღულისა და ჩხალის ხეობებით.

თავდაპირველად ოსმალებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მათ ხოფის მხრიდან და მურღულის ხეობებით შემოუტიეს და უკან დაახევინეს რუსულ ნაწილებს. ართვინის ოკრუგში მყოფი რუსული ძალები გენ. ელშინის მეთაურობით იძულებულნი გახდნენ საგრძნობლად დაეხიათ უკან და ბათუმის შემოგარენში

გამაგრებულიყვნენ. 1914 წლის 27 ნოემბერს გერმანულმა კრეისერმა „გებენმა“ ორი სამხედრო გემის თანხლებით ყუმბარები დაუშინა ბათუმსა და მის სიმაგრეებს. სანაპირო არტილერიის ძლიერი საპასუხო ცეცხლის გამო, მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ 15 ჭურვის გასროლა მოასწრეს და მიიმალნენ. დაბომბვის შედეგად ქალაქში დაინგრა ორიოდე შენობა, დაიჭრა ხუთი და გარდაიცვალა ერთი მოქალაქე. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის ცნობით: „დაბომბვა 15-20 წუთს გრძელდებოდა, მაგრამ მოსახლეობაზე მოახდინა დამრთგუნველი შთაბეჭდილება“. გერმანია-ოსმალეთის ფლოტმა შემდგომშიც სცადა ბათუმზე თავდასხმა: 1914 წ. 11 დეკემბერს ღამით ქალაქს მოადგა კრეისერი „ჰამიდიე“, მაგრამ სანაპირო დაცვის სიმარჯვის გამო მან მხოლოდ რამდენიმე გასროლა მოასწრო *(სდსიბ, 2008:363)*.

1914 წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში ოსმალებმა შეძლეს თითქმის უბრძოლველად ხელთ ეგდოთ ქედისა და ხულოს სამაზრო ცენტრები. წარმატებული ბრძოლების შედეგად ოსმალებმა დაიკავეს გონიო და ზღვასთან მდინარე ჭოროხის შესართავს მიადგნენ. ზემო აჭარაში ფეხის შემოდგმისთანავე ოსმალებმა პროპაგანდისტები დაგზავნეს სოფლებში, მოსახლეობას მოუწოდეს ჩაწერილიყვნენ „ჩეთეში“ და ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა ამას მნიშვნელოვანი წარმატება არ მოყოლია.

გერმანია-ოსმალეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ სცადა ფრონტზე მოპოვებული წარმატებების გამოყენება ამიერკავკასიიის სიღრმეში შეტევისათვის, მესამე არმიის სარდლობა და კორპუსთა მეთაურები პესიმისტურად შეხვდნენ ამ ამბავს. ისინი თვლიდნენ, რომ საჭირო იყო ჯარის დასვენება და დანაკლისის შევსება. ამას მესამე არმიაში მოჰყვა რეორგანიზაცია და სარდლობის ცვლილება, არმიის სარდლობა თავად თავდაცვის მინისტრმა ენვერ ფაშამ აიღო თავის თავზე, რაც შეეხება არმიის შტაბს და საარტილერიო ბატარეებს გერმანელი ოფიცრებით დაკომპლექტდა. ახლა ოსმალეთის მესამე არმიის უახლოეს ამოცანად დაისახა სარიყამიშის რაიონში განლაგებული რუსეთის ჯარების განადგურება, ასევე ბათუმის და ყარსის აღება *(Пипиа, 1978:55).*

სარიყამიშის ოპერაცია დაიწყო 1914 წ. 22 დეკემბერს. თავიდან ბრძოლა ოსმალთა წარმატებით მიმდინარეობდა, შტანკეს რაზმმა რამდენიმე მარცხი აგემა გენ.

გენიკის რაზმს და არტაანიც კი დაატოვებინა. გენიკის დასახმარებლად გაიგზავნა გენერლების გაბაშვილისა და ისტომინის მსროლელთა ბრიგადები, აგრეთვე ციმბირელ კაზაკთა ბრიგადა გენ. კალიტინის მეთაურობით. ამ რაზმებმა ჯერ შეაჩერეს, შემდეგ კი გაანადგურეს შტანკეს რაზმი. დაატყვევეს 1000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. 3 იანვარს რუსთა ჯარმა ბრძოლით დაიბრუმნა ქ. არტაანი, შემდეგ ოლთისი. შტანკემ ართვინისაკენ დაიხია.

რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფრონტის სხვა უბნებზეც. ასე რომ, სარიყამიშის ოპერაცია ოსმალთა სრული განადგურებით დამთავრდა: მათ ამ ბრძოლაში 90 ათასი ჯარისკაციდან დაკარდეს 70 ათასი, აქედან 30 ათასი მოყინულთა სახით, რუსთა დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო - 20 ათასი კაცი *(სდსინ, 2008:364)*.

ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე გამარჯვების მოპოვებაში. ისინი ღირსეულად იბრძოდნენ რუსული სამხედრო ნაწილების მხარდამხარ და ამავდროულად უნდა ითქვას, რომ მათ ბრძოლისუნარიანობას აათმაგებდა იმისი განცდა, რომ ისინი თავიანთ სამშობლოს, თავიანთ მიწაწყალს იცავდნენ უცხოელ დამპყრობთაგან. 2,3 მილიონი მოსახლეობის საქართველოდან ომში 300 ათასზე მეტი კაცი იქნა მობილიზებული. საქართველომ მსოფლიო ომში გაგზავნა ბრწყინვალე ოფიცრობა და გენერალიტეტი, საარაკო გმირობისა და შეუპოვრობის მაგალითები უჩვენა არაერთმა მებრძოლმა. მათგან გამორჩეულია ტარასი ვაშაკიძე („შაითან კაპიტანი“), რომელმაც ერთი ასეულით სარიყამიშთან უმსხვერპლოდ დაატყვევა ათასი ასკერი, ასზე მეტი ოფიცერი და მე-9 კორპუსის სარდლობა ისხან-ფაშას მეთაურობით.

სარიყამიშთა მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რუსებს მიეცათ საშუალება საბრძოლო ოპერაციები უშუალოდ ოსმალთა ტერიტორიაზე გადაეტანათ. სამწლიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ბათუმის ოლქი და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ოსმალთა ნაწილებისაგან გაიწმინდა.

უკანდახევის დროს ოსმალებმა თან გაიყოლეს ადგილობრივი მოსახლეობა. იმდროინდელი ქართული პრესა იუწყებოდა: „...ყველაზე მეტად განადგურებულია გონიის „უჩასტკა“. შავი ზღვისპირათ მცხოვრებნი და მდ. ჭოროხის პირათ მდებარე

სოფლები აჭარის წყლიდან ართვინამდი. აქ მცხოვრებნი თითქმის აღარ არიან - ვინც არ მოკლეს, ოსმალებმა ტყვედ წაასხეს“.

მაჭახლის ხეობაში ომისა და საბრძოლო ოპერაციების წარმოების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთ „საქართველოს“ 1915 წლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი სტატია:

„ამ ბოლო ხანებში ბევრსა სწერენ საზოგადოდ აჭარლების მდგომარეობაზედ, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს იმათ შესახებ, რომელნიც იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ სათათრეში და, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც მოშორდნენ იმ ადგილებს, სადაც სიყრმითვე შობილან და გაზრდილან. ეს ადგილები, რომელნიც ომის დაწყებამდე სამოთხისებურ სამოსახლოებს წარმოადგენდნენ, დღესდღეობით უდაბნოს დამსგავსებია. ყველაფერი გამინდვრებულია და გადამწვარი, ხალხის მაგივრად დათვები და მგლები დაძრწიან, ადამიანის ნაკვალევსაც ვერსად შეხვდებით. ენას ბევრის თქმა შეუძლია გულს კი - გრძნობა.

ვინც ამ ადგილების მდებარეობა არ იცის, მას, შეიძლება, ეჭვიც დაებადოს, მაგრამ აიღეთ რუქა, თვალი შეავლეთ ბათომსა და მის მახლობლად მდებარე „სიმაგრეებს“ და დარწმუნდებით, თუ რა უნდა განეცადათ იმ სოფლების მცხოვრებლებს, ვის თავზედაც ზარბაზნებს ჭექა-ქუხილი გაჰქონდა. ეს სოფლებია ეგრედ წოდებბული „მაჭახლის ხეობაში“ მდებარე სოფლები: მაჭახლის პირი, გვარა, ქედ-ქედი, ჭანივრი, სინდიეთი, ხერტვისი (ხერთვისი, ზ.ნ.) და აჭარის აღმართი, და აჭარის წყლის პირად მდებარე: მაღლაკანი (მაღლაკონი, ზ.ნ.), ჭალახმელა, უჩხეთი და ნამისლევიმილისი (ნამლისევი და მილისი, ზ.ნ.). მდებარეობენ ესენი ½ -7 ვერსის მანძილზედ აჭარისწყალთან ამართულ სიმაგრეებიდან და გასროლილი ზარბაზნის ყუმბარა ადვილად სწვდება თვითეულ მათგანს.

მტერი პირველად, როდესაც რუსის ჯარი ბათომის სიმაგრეებს ამოეფარა - სწორედ ამ სოფლებში შეიჭრა და მთელ ქვედა აჭარას შიშის ზარი დასცა. შუა დარჩენილი მცხოვრებლები დიდ განსაცდელში ჩავარდნენ; გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონდათ.

აჭარის მახლობელი სოფელი, რომელსაც მტერი მოადგა მარადიდი იყო. ეს სოფელი მდებარეობს აჭარისა და ჭოროხის წყლის შესართავიდან ხუთი ვერსის

მანძილზე (უნდა იყოს ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავიდან, ზ.ნ.). მარადიდიდან მტერმა გადმოლახა ჭოროხის წყალი, შეიჭრა მაჭახლის ხეობაში, გაიარა სოფლები გვარა, სინდიეთი, ქედ-ქედი, ჭანივრი და ავიდა აჭარის აღმართში. აქედან ვიწრო ბილიკით გადავიდა სინდიეთის მთას და შევიდა სოფელ უჩხითსა და მილისში, დაბინავდა მცხოვრებლების სახლებში და შეუდგა ხალხის დარბევასა და აწიოკებას. შეშინებულმა ხალხმა არ იცოდა რა ექნა: მფარველი არ ჰყავდა, გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონდა. ვისთვის მიემართა, ვის მიჰკედლებოდა?...

მოფიქრების დრო აღარ იყო, რუსის ჯარი შეუდგა განთავისუფლებას მტრისგან დაკავებული ადგილებისა ორი გზით: ართვინისა და ბათომ-ახალსიხისა; მცხოვრებლებმა ინსტიქტურად ჯარების მოახლოებისთანავე, თოფ-ზარბაზნების ჭექა-ქუხილში უკან დახევა დაიწყო; ხერტვისლები ამოეფარნენ მაღლაკანლებს, ორივე - ჭალახმელებს, ესენი უჩხეთლებს და წიმისლევლებს (ნამლისევლებს, ზ.ნ.). უმეტესი ნაწილი აჭარაში შემოჭრილი მტრისა სწორედ ამ სოფლებში იყო დაბანაკებული და ამიტომ მთელი თავისი ძალით რუსის ჯარი ამ ადგილებს ეკვეთა. გარჩევა მტრისა და შინაურისა რუსის ჯარისათვის ძნელი იყო. მტერი ავიდა მაღლა სინდიეთის მთაზედ, აქ გათხარა თხრილები და რუსის ჯარს სროლა აუტეხა. საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ მათთვის ლაზისტანელ ქალებს მაჭახლის ხეობით. მცხოვრებლები ორ ცეცხლს შუა იყვნენ, სიკვდილი კარზედ მოსდგომოდა და სახლ-კარიან ოჯახიდან შემუსვრას უქადდა. ორივე მხრივ სეტყვასავით მოდიოდა ტყვია, მტერი ვეღარ უძლებდა და ნელ-ნელა უკან იხევდა, ხალხი კი რუსის ჯარის მოახლოებისთანავე მაღლა-მაღლა სინდიეთის მთებში იხიზნებოდა. დაბრუნებაზედ ფიქრიც ზედმეტი იყო, ან კიდეც რომ დაბრუნებულიყვნენ სად შეეფარებინათ თავი? ან რა თვალსა და გულს უნდა შეეხედა განადგურებულ და მიწასთან გასწორებულ კერასათვის?,.. შენობები და სალოცავებიც ცეცხლის ალში იყო გახვეული, ამიტომ ხალხმა ისევ უკან დახევა არჩია და თავი დროებით სოფელ აჭარის აღმართს შეაფარა. მაგრამ დიდხანს ყოფნა არც აქ მოუხდათ; მტერმა ვერ გაუძლო ძლიერი რუსის ჯარების შემოსევას, წავიდა და თან ხალხი გაირეკა; შიშველ-ტიტველი ბავშვები, ქალები, ბებრები და რა გზითაც შემოვიდა, იმავე გზით უკან დაიხია, გადარეკა სოფელ მარადიდიდან ხალხი ჭოროხის წყლის გაღმა და ამ დღიდან მათ შესახებ დღესაც არავინ არაფერი იცის, ეგრეთ დაიცალა „მაჭახლის ხეობა“. ეხლა ეს სოფლები მთლად მიტოვებულია. სახლები

ყველა გადამწვარია და ძლიერ იშვიათად თუ შეხვდებით ისეთს, რომელიც გადარჩენილ იყოს. ვისაც ეს ადგილები ადრე უნახავს, მტერიც რომ იყოს, იმასაც გული დაეწვება. თითო სახლის ღირებულება არა ნაკლებია 1000-3000 მანეთისა; ოჯახს ვერ ნახავდით რომ რამე გასაჭირი ჰქონოდა, ყველაფერი უხვად ჰქონდათ: ოთხფეხა საქონელი, ფრინველი, სახლის ავეჯეულობა, სკივრები, ხალიჩები, საკერავი მანქანები, ყველაფერი ეს დაღუპულია.

ეგრე უბრალოდ და უდანაშაულოდ დაობლდა და გაოხრდა რამდენიმე ასეული ოჯახი, ეგრე გატიალდა და განადგურდა მრავალი წლობით შექმნილი დოვლათი და სიმდიდრე.

სოფელ აჭარის აღმართში დამწვარია 21 მოსახლე, სოფელ ჭანივრში - 7 მოსახლე, ქედ-ქედში - 10, კირნათი-ქობალეთში (კობალეთში, ზ.ნ.) - 40, გვარაში - 9, სინდიეთში - 9; მაჭახელში არ დაუწვავთ, მაგრამ შენობები დამსხვრეულია (საუბარია ალბათ სოფელ მაჭახლისპირზე, ზ.ნ.): ხერტვისში დამწვარია - 3 მოსახლე, მაღლაკში (მაღლაკონი, ზ.ნ.) – 6, უჩხეთში - 2/3 სოფლისა გადამწვარია; დამწვარია აგრეთვე ყველგან, სადაც კი იყო სალოცავები.

აი ასეთია ისტორია ქვედა აჭარის ერთი პატარა კუთხისა. ეს სოფლები ეხლა ღვთის ანაბარად არის მიტოვებული, მათ შველა და პატრონობა უნდა, რადგანაც გაშენებულ ბაღებში, რომელსაც დღეს ბალახი და გვიმრა მორევია - საუცხოვო ვაშლი, მსხალი და კაკლის ხე მოდის. თითოეული ოჯახი წელიწადში არა ნაკლებ 200-300 მანეთის ხილსა ჰყიდდა. ეს მიტოვებული ადგილები ეხლავე ბევრს მადას უხსნის აქ დასახლებისას და შესაფერ თხოვნასაც გზავნიან სადაც ჯერ-არს *(„საქართველო“, 1915:3)*.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის აპ. წულაძე - „აჭარის ამბავი ბევრისგან მსმენია, პირადაც მინახავს ისეთები, რომელთაც ნახეს ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობა, გაზეთებში წამიკითხავს ამ ორი ხეობის შესახებ ამბავი. მაგრამ მაჭახლის ხეობის შესახებ ჯერ არაფერი ვიცი, აქაურობა არც არავის დაუთვალიერებია და აქაური ამბავი არც საგაზეთო მასალით გამოუყენებია ვისმეს. არ ვიცი რა მოხდა, ვინ მოჰკლეს, ვინ გადარჩა, ვისი სახლკარი შეიწირა, ვისი კერა გაცივდა. უახლოვდები „ხანს“ (ყავახანა, სოფ. სინდიეთი, ზ.ნ.). ნაცარი, გაშავებული ღორღი, გატარებული ხეხილი. „არსით ხმა,

არსით ძახილი“, სამარისებული დუმილი. კვნესის გული. აქამდე მხიარული განვაგრძობთ გზას... უახლოვდებით სოფ. ქედ-ქედს.

აი, გაღმით გორაზე 50-60 მოსახლე ცხოვრობდა, უმეტესობას ორსართულიანი სახლი ედგა, აი, იქ ქოჩორა ნაძვებს და კაკლის ხეებს შორის შაქრის თავივით შემაღლებულ ადგილას კარგა დიდი მეჩეთი კოხტად გადმოჰყურებდა აქაურობას. მშვენიერი სანახავი იყო აქაურობა.

ახლა კი ნასოფლარს იმით შეატყობ, რომ იქ მოჩანს სასიმინდეების ბოძები და ყორით ნაშენი სახლების ქვედა სართული.

სევდას სევდა ემატება. მდუმარენი განვაგრძობთ გზას. აქა იქ კიდევ გვხვდება დამწვარი სახლები.უახლოვდებით სოფ. აჭარისაღმართს. ამ ხეობაში ეს სოფელი, გარდა ხერთვისისა, ყველაზე დიდი სოფელი იყო, ზოგს სამ სართულიანი წაბლის სახლები ჰქონდა, ზოგი ათი ათას მანეთად ღირდა. ბუხრები და ქვა-ღორღია მხოლოდ მოწმე იმისა, რომ აქ ოდესმე მოსახლეობა იყო, სიცოცხლე სდუღდა. აღარც ჯამე დაუნდვიათ... აქ წყალგაღმით უნდა გავიდეთ. გავდივართ ოსტატურად გაკეთებულ ხიდზე. შემთხვევითი მგზავრები გვიამბობენ ეს ხიდიც გადასჭრესო.

მივუახლოვდით სოფელ ცხემლალას, ეს სოფელი მაღლა მთაზე არწივის ბუდესავით იყო მიკრული. აღარ სჩანს ჯამე, არ მოსჩანს ოსმან ჩაუშის სახლკარ-ნადგამობა. თვალწარმტაცი სოფელი იავარქმნილა. ბუნების სიკეკლუცით მოხიბლულს და კაცთა სიავით მოშხამულს მაგონდება ბაირონის სიტყვები: „დედამიწა მშვენიერია,სამოთხეა, მაგრამ ბოროტთა ხელშია“. სოფ. ცხემლალას ქვითკირის კამარა შეკრულ ხიდს მერე იწყება სოფელ ჩხუტუნეთის აღმართი.

...ყველაზე მეტ ცნობას იძლევა მოხუცი ოსმან ჩაუში, როგორც მოწმე და მსხვერპლი განვლილ უბედურებების. ის არის სოფელ ცხემლალადან 1877-1878 წლების ომის დროს ოსმალეთის ჯარში უმსახურია და ჩაუშობა (ასისთავობა) იქ დაუმსახურებია. წლოვანებით ღრმა მოხუცია, მეოთხე თაობის მამაა, მაგრამ შეხედულება და სიცოცხლე ჭაბუკური აქვს. მთელი მაჭახლის ხეობა შეადგენს ერთ სამამასახლისოს - ხერთვისისას. ომამდე აქ ითვლებოდა 994 კომლი, დღეს ნახევარზე მეტი გადამწვარია და მცხოვრებთა რიცხვიც თითქმის განახევრებულია. ბრძანება ყოფილა მთელი ხეობა დაეწვათ, მაგრამ როცა დაუწვავთ ცხემლალა და ნავთით

მისდგომიან ჩხუტუნეთსა და ჩიქუნეთს (მაჭახლის გაღმა გამოღმა სოფლებს) ოსმან ჩაუში და 30 კიდევ სხვა თეთრი „დროშით“ შეგებებიან წინ.

შეგვიბრალა ღმერთმა „კამანდირი“ ქართველი დარჩა (საუბარია კამანდირ მგალობლიშვილზე, რომელმაც იხსნა ზედა მაჭახელი გადაწვისაგან -ზ.ნ.), შეგვიცოდვა, ჯარი უკან დააბრუნა და უფროსებს მოახსენა, რომ ჩეტნიკების ნამყოფი ვერ ვნახეო. ღმერთმა უშველოს და მისი ხელები „აყვავილდეს“, „ძალიანი „ჭკუა გაჭრილი“ კაცი იყო, იმან მოგვაცილა ხიშტიც და ნაგუზალიც. იგი რომ არ ყოფილიყო იმ ზამთარში, ქალბატონიანებ ამოვწყდებოდით. დამწვრები ქალბაღანაი რომ გადარჩა, იგინი ჩვენ შევიხიზნეთ, ბევრი ახლაც ხიზნათ არის“ *(წულაძე, 2017:42-44)*.

ზემოთ მოყვანილ მოვლენებთან დაკავშირებით გვაქვს ნარატიული წყაროც დარჩენილი სოფელ აჭარისაღმართის მაცხოვრებელთა ხსოვნაში, რომელიც გარკვეული დასკვნების გამოტანას საჭიროებს და არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ეჭვის შეტანა გაგვიჭირდება: „ერთ ზოფუნოღლის უთქვამს თავისი ვაჟებისათვის, - რას მიმჯდარხართ ოჯახთან (ბუხართან - ზ.ნ.), ღაზობა და სეიდობა კალოზე მოგდგომიათ, ედით თავრანგელოს (მთავარანგელოზის მთა, სადაც რუსის ჯარი იყო დაბანაკებული - ზ.ნ.) ერთი-ორი გიაური (ურჯულო - ზ.ნ.) გაცვითეთ და ღაზი (ისლამურ სამყაროში მოხალისე მეომარი, რომელიც სარწმუნოების, სიმართლისა და სამართლიანობის დასაცავად იბრძვის - ზ.ნ.) გახდებითო. - როგორც ჩანს ერთი ძმა წასულა, მოსვლია შეტაკება რუსის ჯართან და დაღუპულა, თოვლის აშრობის მერე უნახიათ მოკლული. ეტყობა შეტაკებაში მასაც მოუკლავს რუსები, რის გამოც განრისხებულმა რუსებმა გადაწვეს ჩვენი ხეობაო“ *(ნაგერვაძე ჯ.)*.

ამ მონათხრობიდან ირკვევა, რომ გარკვეულწილად რელიგიური ფაქტორი თავის როლს თამაშობდა. არაა გამორიცხული ამ ყოველივეს ხეობაში თავისი მიმდევრები ყოლოდა, ამას ემატებოდა სხვა ბევრი პრობლემაც; ბევრს არ მოსწონდა რუსული ხელისუფლება, ბევრისთვის მიუღებელი იყო ის რეფორმები, რაც ახალმა ხელისუფლებამ მოიტანა გადასახადების, მიწა-მამულთა, თუ ტყეთა კონტროლი. თავის როლს თამაშობდა ოსმალთა მხრიდან გამოგზავნილი აგენტები და პროვოკატორები, ხოჯები და მოლები, რომლებიც მოსახლეობაში გარკვეულ

დეზინფორმაციას ავრცელებდნენ და უნდობლობას ნერგავდნენ. თუმცაღა უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებაც გარკვეულწილად იძულებულს ხდიდა მოსახლეობას დაეტოვებინა სახლკარი და გადახვეწილიყო ოსმალეთში, სამაგიეროდ ამ დაცარიელებულ ადგილას მზად ჰყავდა თავისი სასურველი ეროვნების ახალმოსახლე დასასახლებლად ამაზე მოგვითხრობს სწორედ გაზეთ „საქართველოს“ ერთი სტატია: -„...ეს მიტოვებული ადგილები ეხლავე ბევრს მადას უხსნის აქ დასახლებისას და შესაფერ თხოვნასაც გზავნიან სადაც ჯერ-არს“ *(„საქართველო“, 1915:3)*.

მაჭახელსა და ზოგადად აჭარაში ომის შედეგად მიყენებულ ზარალზე ქართულ პრესაში მრავალი სტატია იქნა დაბეჭდილი, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართული საზოგადოების მხრიდან. შეიქმნა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია დაზარალებულ მოსახლეობას. საზოგადოების წევრებმა მოიარეს აჭარისა და მაჭახლის გადამწვარ-განადგურებული სოფლები, აღწერეს ზარალი, შეადგინეს ანგარიშები და დაადგინეს თუ რა და რა სახის დახმარება ესაჭიროებოდა ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობას. მართალია გაწეული დახმარება უმნიშვნელო და მცირედი იყო, მაგრამ, პირველ ეტაპზე დაზარალებულ მოსახლეობა სული მოათქმევინა, მომავლის იმედი ჩაუსახა, დაუბრუნა შრომისა და ბრძოლის უნარიანობა და შეამზადა მომავალი ცხოვრებისათვის.

ქართველთა საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ანგარიშებს გვაწვდის გაზეთ საქართველოს 1916 წლის ნომრებში დაბეჭდილი სტატიები:

მოხსენება პირველი

(ხერთვისის საზოგადოება, ქვემო აჭარა, მოხსენება 1915 წლის 10 ივლისის თარიღით).

„ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში (ბათუმის ოლქი) შედის შემდეგი სოფლები: სკურდიდი, ცხემლალა, მილისი, უჩხეთი, ნამლისევი, ჩალახმელა, მაკლაკონი, ქვედა ხერთვისი, ქედ-ქედი, ჩანივრი, აჭარის აღმართი, კიბე, კაპნისთავი.

სოფ. სკურდიდი

ომის დაწყებამდე ამ სოფელში იყო და ეხლაც არის 18 კომლი სულ 145 სული, 106 დიდი, 39 მცირეწლოვანი. თითო ოჯახში ყოფილა 5-21 სული. ამათი სახლები მთლად გადაბუგულია, მთელი დოვლათი მონაგარი, სარჩო და სახლის ავეჯი-მოწყობილობა გაუტაციათ, გაურეკიათ 153 ცხენი, ჯორი ხარი და ძროხა, 116 ცხვარი, 461 თხა, წაუღიაღ 689 ძირი ფუტკარი. აწიოკების შემდეგ მთელს სოფელში გადარჩენილა 1 ბეხრეკი ცხენი, 17 ხბო თუ ძროხა, 2 ცხვარი, 35 თხა, 3 ძირი ფუტკარი.

მთელს ამოდენა ხალხს საკვებად შერჩენია მხოლოდ 50 ფუთამდე სიმინდი. დახმარება არსაიდან მიუღიათ, მეზობლებს შეხიზნებიან.

სოფ. ცხემლალა

ამ სოფელში 15 კომლია, სულ 91 სული, 78 წლოვანი, 13 მცირეწლოვანი. ამათი კარ-მიდამო მთლად გადაბუგულია. სახლის მოწყობილობა, ავეჯეულობა, ჭურჭელი, იარაღი - ყველაფერი დაუტაციათ. გაურეკიათ: 45 ცხენი თუ ძროხა, 71 ცხვარი, 65 თხა; წაუღიათ 312 სკა-ფუტკარი, მთელი სანოვაგე, საკვები და მონაგარი. აწიოკების მერე სოფელში გადარჩენილა: 27 ცხენი, ხარი-ხბო, 8 ცხვარი, 25 თხა, მცხოვრებნი ყოვლად უმწეოდ დარჩენილან საკვების მხრივ. დახმარება არავისგან არ მიუღიათ, მეზობლებს შეჰხიზნებიან.

სოფ. მილისი

ომამდე ამ სოფელსი ყოფილა 27 კომლი. დარჩენილა 11. კარ-მიდამო დაჰბუგვიათ, საქონელი გაურეკიათ, ჭირნახული და სხვა ოჯახის დოვლათი მთლად გაუტაციათ.

სოფ. უჩხეთი

ამ სოფელში ომამდე ყოფილა 52 კომლი. აწიოკების მერე დარჩენილა 8 კომლი, სულ 26 სული, 18 წლოვანი, 8 მცირეწლოვანი. ამათი კარ-მიდამოც მთლად გადაბუგულია. სახლის მოწყობილობის ნაწილი გადაურჩენიათ. 30 ცხენი ძროხა-ხბო და მთელი დოვლათი დაჰკარგვიათ. არავითარი საკვები არ დარჩენიათ. ამათგანი ზოგი მეზობლებს შეჰხიზნებია, ზოგი რკინის გზაზე მუშაობს. დახმარება არავისაგან არავითარი არ მიუღიათ.

სოფ. ნამლისევი

ამ სოფელსი ომამდე 19 კომლი ყოფილა. აწიოკების შემდეგ 7 კომლი-ღა არის, სულ 16 სული, 9 წლოვანი, 7 მცირეწლოვანი. ამ 7 კომლიდან 2 ოჯახი ნივთიერად მთლად გაუნადგურებიათ, დაუწვავთ მათი კარ-მიდამო. წაუყვანიათ მათი 1 ცხენი, 15 ცხვარი, 15 თხა და ყოველივე სარჩო-საბადებელი. დანარჩენი ხუთი კომლიც დაზარალებულია, შედარებით ნაკლებად. გაურეკიათ ნაწილი მათი საქონლისა, დაუტაციათ სახლის მოწყობილობა და სარჩო-საბადებელი.

სოფ. ჩალახმელა

ამ სოფელში ომიანობემდე ყოფილა 20 კომლი, აწიოკების მერე 4 კომლიღა დარჩენილა, სულ არის 10 სული, 5 წლოვანი, 5 მცირეწლოვანი. მათი სახლები და კარ-მიდამო გადაბუგულია, ოჯახის ავლა-დიდება გაძარცული და გატაცებულია. ამ ოთხ კომლს არაფრისაგან არაფერი შერჩენიათ აწიოკების შემდეგ არც სულადი, არც საქონელი.მათთვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ.

სოფ. მაკლაკონი

ამ სოფელში ომამდე ყოფილა 15 კომლი, აწიოკების დროს დარჩენილა 5 კომლი, სულ 7 სული. ამათგან 5 წლოვანია, 2 მცირეწლოვანი. მათი კარ-მიდამო მთლად გადაუბუგავთ, სახლის მოწყობილობა ყველაფერი დაუტაციათ, სულადი, ჭირნახული, სანოვაგე თუ რაიმე საკვები და საქონელი მთლად მოუსპიათ. არავითარი დახმარება მათთვის არავის არ აღმოუჩენია.

სოფ. ქვემო-ხერთვისი

ამ სოფელში 18 კომლი ყოფილა ომიანობამდე. აწიოკების შემდეგ 4 კომლიღა დარჩენილა. ესენი ეხლა სეხიზნულნი არიან სოფ. კაპნისთავში, რადგანაც ქვემო-ხერთვისში ბინადრობა აკრძალულია. აქ სულ 16 სულია, 1 მცირეწლოვანი, 15 წლოვანი. მათი სახლები მთლად გადამწვარია. სახლის მოწყობილობის მცირე რამ ნაწილი გადაურჩენიათ. წლის სარჩო მთლად დაუტაციათ, 2 ცხენი და 2 ძროხა გაურეკიათ. არც სულადი და არც რაიმე ოთხფეხი საქონელი არ შეურჩენიათ. დახმარება მათთვის არავის გაუწევია.

სოფ. ჩანივრი

ამ სოფელში ომამდე ყოფილა 18 კომლი, ეხლა არის 8 კომლი. სულ 32 სულია, 29 წლოვანი, 3 მცირეწლოვანი. მათი სახლი და კარ-მიდამო გადაბუგულია, ქონება, ავლა-დიდება - წლის სარჩო მთლად დატაცებული. გაურეკიათ მათი 48 ცხენ-ხარი თუ ძროხა, 23 ცხვარი, 6 თხა; წაუღიათ 110 ძირი ფუტკარი, არც სანოვაგე, არც რაიმე სარჩო, არაფერი დაუტოვებიათ. მათთვის არავითარი დახმარება არავის გაუწევია.

სოფ. აჭარის აღმართი

ამ სოფელსი ომის დაწყებამდე 43 კომლი ყოფილა. ეხლა კი მხოლოდ 10 კომლია, სულ 30 სული. მათი სახლები გადაბუგულია, ავლა-დიდება მთლად განიავებული, წლის სარჩოს ნატამალი არაფერი გააჩნიათ, გაურეკიათ მათი 36 ცხენ-ძროხა, 55 ცხვარი, 235 თხა; წაუღიათ 125 ძირი ფუტკარი. სოფელში აღაფრისაგან არაფერი დაუტოვებიათ. მათთვის დახმარება არავის აღმოუჩენია.

სოფ. კიბე

ამ სოფელში ომიანობამდე 58 კომლი მცხოვრები ყოფილა, ეხლა არი 24 კომლი. მათი სახლები მთლად აკლებულია, ყავარი აყრილია, კარ-ფანჯრები გამოღებული, იატაკი აყრილი. ერღი სიტყვით გაპარტახებულია ეს სოფელი, დარჩენილია შავი კედლები და სახურავი. მთელი ავლა-დიდება, წლის სარჩო, სახლის ავეჯი თუ ჭურჭელი, ყოველგვარი მოწყობილობა გაუტაციათ. გაურეკიათ მათი 23 ცხენი თუ ჯორი, 34 ძროხა, 9 ცხვარი, 1 თხა; 30 ძირი ფუტკარი. აწიოკებას გადარჩენია 2 ცხენი, 5 ძროხა, 10 თხა, მხოლოდ ის შერჩენიათ რაც ზედ სცმიათ.

მათთვის კომიტეტს სულ 4 ფუთი სათესლე და თითო ფუთი საკვებად დაურიგებიათ (საუბარია ალბათ სიმინდზე, ზ.ნ.).

სოფ. კაპნისთავი

ეს სოფელი სხვებთან შედარებით ნაკლებად დაზარალებულია. გადარჩენილა სახლები და ნაწილი შინაური საქონლისაც. თუმცა ბლომად წაუღიათ წლის სარჩო და საქონელიც ბლომად გაურეკიათ. ეს სოფელი კომიტეტის აზრით 2-3 თვით უზრუნველყოფილია საკვების მხრივ“ ***(„საქართველო“, 1916:2-3).***

აჭარის გასაჭირი

(მოხსენება თავად ი.ზ. ანდრონიკაშვილისა)

„ხერთვისის სასოფლო საზოგადოების ოლქი (ბათუმის გუბერნია) უმთავრესად მდ. მაჭახელის წყალის ხეობაში მდებარეობს, ხოლო ნაწილი კი აჭარის წყალის ქვემო მდინარეობაზე (კაფნის თავი (კაპნისთავი, ზ.ნ.), კიშე (კიბე, ზ.ნ.), მაღლა-ყანა (მაღლაკონი, ზ.ნ.), ხერთვისი. მაჭახელის ხეობა მთაგორიანი დაბურული ტყით შემოსილი ადგილია, თხილნარიანი; ამ დაქანებულ ფერდობებზე აქა-იქ პატარ-პატარა სახნავი ადგილებია; ეს სახნავი ადგილები დიდის შრომით და ჯაფით არის გაწმენდილ-დამუშავებული ამ ფრიალო ფერდობებზე ტყისა და ჯაგნარის გაკაფვით. ეს ახოები მთელი ხეობის დასწვრივ ჩასდევს. აქ ყველგან ვერ მოხერხდება გუთნით ხვნა, რის გამოც ხშირად მხოლოდ მოსთოხნიან ხოლმე და ისე სთესენ. აქ არ მოიპოვება არც სათიბი და არც საძოვარი იალაღები, რის გამოც მესაქონლეობა აქ ფეხს ვერ იკიდებს. აქ უპირატესობა ეძლევა თხების მომრავლებას, რადგანაც ადვილად ნავარდობენ ფერდობებზე და ნეკერითაც იოლათ მიდიან. მესაქონლეობას უფრო მთის სოფლებში მისდევენ, სადაც იალაღი მოიპოვება. ამავე მტის სოფლებში, ყვავილოვან ადგილების სიუხვის წყალობთ ჩინებულად ხეირობს ფუტკარი, და მკვიდრნიც ერთგულად მისდევენ მეფუტკრეობას.

მიწის დამუშავება თითქმის მხოლოდ სიმინდის მოყვანით განისაზღვრება. სიმინდს სიგ ურევენ ლობიოსაც. მიწის სიმცირის გამო, მცხოვრებნი იძულებულნი არიან ერთ და იმავე ადგილში ყოველ წელს მოიყვანონ ჭირნახული, რის გამოც მიწა მალე იფიტება. მით უმეტეს იქ, სადაც ნაკელი (სასუქი) არ მოეპოებათ.

ბაღოსნობას ნაკლებად მისდევენ, თუმცა ადგილის მდებარეობა თითქოს ხელს უნდა უწყობდეს ამას. მაჭახელას ხეობაში უხვად არის კაკალი (ნიგვზის ხე), რომელიც გასაყიდათაც გააქვთ.

ხეობიდან-ხეობამდე და სოფლიდან-სოფლამდე მიმოსვლა საცალფეხო ბილიკებით სწარმოებს, ქვა-ღორღიან, მთიან ადგილებზე. ბილიკების სიგანე 1½__2 არშინამდეა.

გზების უქონლობა და მიწის სიმცირე მეტად უნუგეშო მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ მკვიდრთ, რადგანაც ჩვეულებრივ დროსაც კი საკმაო წლის სარჩო არ მოსდით. ომიანობამ ხომ შეუბრალებლად შეახო თავისი გამანაგურებელი ხელი მთელ ამ კუთხეს და საუკუნოებით წვა-დაგვით შექმნილი კულტურა ცეცხლს მიეცა. ყოველისფერი, რაც კი ყოველდღიურის ჭაპან-წყვეტით, ნახევრად მშიერ-მწყურვალ თაობათა შრომით შექმნილა. რაც კი წარმოადგენდა საუნჯეს და იმედს მომავლის უზრუნველყოფისას. ყოველივე ეს ომის ქარტეხილმა ბევრს სოფელში მიწასთან გაასწორა.

მდ. მაჭახელის წყალის შესართავთან, სახელდობრ სოფ. მაჭახელის პირიდან სოფ. ჩხუთუნეთამდე (ჩხუტუნეთამდე, ზ.ნ.) საშინელი სურათი იშლება. ყველაფერი დანგრეული და გადამწვარია. ამ ხეობაში, გზის დასწრვივ, თითქმის თხუთმეტი ვერსის მანძილზე არც ერთი სახლი არ გადარჩენილა დაწვა-დანგრევას, მხოლოდ ჩაშავებული, ჩანახშირებული ნანგრევები საცოდავად გამოიყურება.

ამ სოფლებში კარ მიდამოსა და ხალხის ავლა-დიდების გარდა ომიანობამ ადამიანიც ბევრი იმსხვერპლა. სოფ. ღვარაში (გვარა, ზ.ნ.) 18 კომლიდან და სოფ. მაჭახელისპირში 12 კომლიდან არც ერთი კომლი არ გადარჩენილა. სოფ. სინდიეთში 11 კომლიდან მხოლოდ ერთი კომლი გადარჩა. სოფ. ქედ-კედში (ქედ-ქედი, ზ.ნ.) 19 მხოლოდ 3 კომლიღა გადარჩა.

ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში 27 ითვლება: ეფრატი (117 კომლი), ქვაბის-თავი (11 კომლი), ზედ-ვაკე (25 კომლი), აკრია (28 კომლი), მინდიეთი (74 კომლი), ხერთვისი (29 კომლი), გორგაზეთი (გორგაძეთი, ზ.ნ.) (17 კომლი), საფუტკრეთი (11 კომლი), ჩხუთუნეთი (სკურდიდის გარდა 55 კომლი), ჩიკუნეთი (ჩიქუნეთი, ზ.ნ.) (50 კომლი), სულ 307 კომლი. ეს სოფლები, სოფ. ჩხუთუნეთის ზემოდ ხეობაში მდებარე, სრულებით არ მოჰყვნენ ომიანობის ფარგალში. ამ სოფლებში შეიხიზნენ ქვემო-აჭარიდან გამოქცეული აჭარლები და ამ მთის მცხოვრებთა ანაბარად სცხოვრობდნენ. ასეთმა ძმურმა მზრუნველობამ შემოხიზნულ თანამოძმეებზე, რა თქმა უნდა, ნივთიერად დააზარალა მთის მოსახლეობა და დააქვეითა კიდეც. ამ სოფლებს ეხლა უჭირთ სათესლე, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ ყოველწლივ საგრძნობი იყო ნაკლულოვანება.

მეორე არსებითი საჭიროება ამ კუთხისა გახლავთ ქ. ბათომიდან მოწყვეტა. მიმოსვლას ძალიან აფერხებს ის გარემოება, რომ ნება დაურთავად ბათომში შესვლა აკრძალულია. ეს კუთხე კი უბათუმოთ ერთს დღესაც ვერ გასძლებს, რადგანაც ყოვლისფერი ბათომიდან მოაქვს. ბათომში შესვლის ნებართვა კი ყოველთვის უნდა აიღონ ხოლმე ქედაში უფროსთან, რომელიც ხშირად შინ არ იმყოფება. საჭირო იყო, რომ სანდო პირებს მაინც მუდმივი მოწმობა ჰქონდეთ ბათომში შესვლისათვის.

ამ მხრივ სასურველია, ბათომის ახლო-მახლო სოფლებსაც შეღავათი მიეცეთ რამე და გაუადვილდეთ ბათომში შესვლა და საჭირო ნივთების გატანა.

ომიანობისაგან განსაკუთრებით დაზარალდა სოფ. სკურდიდი, ცხემლანა, აჭარის აღმართი და ჩანივრი, რომლებიც მაჭახელის შუა ხეობაში მდებარეობენ. ამ ოთხმა სოფელმა, რომლებიც ყველაზე უმდიდრესი სოფლები იყო, დაჰკარგა მთელი თავისი საცხოვრებელი, სახლის მოწყობილობა, საქონელი, სანოვაგე და სხვა.

გასაოცარის გულგრილობით, ხმის ამოუღებლად იტანენ ამ გასაჭირს და გამომძიებელ კომიტეტს არც ერთი სიტყვით არ მიჰმართეს, რათა მათ მიმართ გამოეჩინათ შებრალება. ყოველი ცნობები ნამდვილი, ჭეშმარიტი, გაუზვიადებელი მისცეს კომიტეტის წევრებს.

გასაოცარი იყო სულ ყველას სულის სიმტკიცე.

უსახლკაროდ დარჩენილებს დროებით მოუხუხულებიათ ქოხები, ზოგი სასიმინდეში მოთავსებულან, ზამთრისთვის თავშესაფარის აგების იმედი არსაიდან აქვთ და ისევ იმ ბედნიერ მეზობლებს თუ შეეხიზნებიან, ვისი სახლიც შემთხვევით გადარჩენილა გადაბუგვას. გაზაფხულზე კი იმედი აქვთ, სახლების აგებას შევუდგებითო. დაზარალებულ სოფლებში მხოლოდ სოფ. სკურდიდს მიეცა 50 ფუთი სათესლე სიმინდი და დათესეს კიდეც. ნათესები აქვს აგრედვე სოფ. ცხემლანას და ჩანივრს, რადგანაც მათ თავ მინებებული სიმინდი მოსჭრეს და სათესლე შეინახეს. აჭარის-აღმართში 10 კომლიდან მხოლოდ სამ კომლსა აქვს ცოტაოდენი მოხნულ-მოთესილი, დანარჩენებს კი მთელს ზამთარს შიმშილი ელით. ამ სოფლელებს კომიტეტმა დაურიგა თითო სულზე მანათ ნახევარი ფულად, ერთი გირვანქა საპონი, სამი გირვანქა მარილი, ერთი ფუთი სიმინდი დიდებს,მ ხოლო ნახევარი ფუთი სიმინდი პატარებისთვის. რა თქმა უნდა ეს მცირეოდენი დახმარება არსებითად ვერ

უზრუნველყოფს მათ. აუცილებლად საჭიროა ყველა დაზარალებული სოფლებისათვის ლოგინი, თეთრეული, ფეხსაცმელი, სახლის ავეჯი, შინაური საქონელი და სხვა.

უფრო უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება სოფ. კიბეს 24 კომლი. ეს სოფელი აჭარის წყალის შესართავთან მდებარეობს და მცხოვრებთ აკრძალული აქვთ თავის ბინაზე ცხოვრება და იძულებულნი გახდნენ სხვა ადგილებშ შეჰხიზნებოდნენ. ერთი კომლი მათგანი სცხოვრობს უჩხეთში, ერთი ურეხში, დანარჩენები კი სოფ. ჩალახმელაში, რომელიც სიმაგრის ფარგლის გარეშე მდებარეობს“ *(„საქართველო“, 1916:3)*.

„სოფ. კიბეს მცხოვრებთ მხოლოდ ცარიელი კედლებიღა დარჩათ, სახლების კარ-ფანჯრები გამოღებულია, იატაკი აყრილი და წაღებული. ისინი შიშველ-ტიტველნი შეჰხიზნებიან მეზობლებს, ბევრი მათგანი კონკის ძველებში იყო გახვეული, სახე ჩამომდნართ, ჩაჰყვითლებუთ, ადამიანის ფერი აღარ ედოთ. მათი ბედი მით უფრო მწარეა, რომ მათ განუსაზღვრელ დრომდე უფლება არა აქვთ თავისი გაპარტახებული კარ-მიდამმო განაახლონ და კერაზე ჩამქრალი ცეცხლი კვლავ გააღვივონ. უპირველესად მათთვის საჭიროა კერაზე დაბრუნების ნებართვა და გრძელვადიანი სესხის მიცემა ჭერის აღსადგენად. მართალია ამ სოფლის მცხოვრებლებმა სათესლედ მიიღეს კომლზე 4 ფუთი სიმინდი და საკვებადაც თითო ფუთი, მაგრამ ეს დახმარება წვეთია ზღვაში. მათ დაუყოვნებლივ სჭირდებათ ლოგინი, საცვლები, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საზრდო.

ქვედა-ხერთვისის მცხოვრებნიც ასეთ ტაფაში იწვიან. ამ სოფელში 18 კომლიდან 4 კომლიღა არის, მათაც აკრძალული აქვთ აქ ცხოვრება. ორი კომლი სოფ. კოპისთავს (კაპნისთავს, ზ.ნ.) შეჰხიზნებია, ორიც ჩაქვას და კახაბერს. მათ ისეთივე დახმარება სწირდებათ, როგორც კიბელებს, თუმცა მათი სახლები გადაწვას გადარჩენილა.

სოფ. უგჟეთში (უჩხითში, ზ.ნ.) 52 კომლიდან დარჩენილია 8 კომლი, მილისში 27 კომლიდან - 11 კომლი, მამლისევში (ნამლისევში, ზ.ნ.) 19 კომლიდან - 7, ჩალახმელაში (ჭალახმელაში, ზ.ნ.) 20 კომლიდან - 9, მაკლაკონში (მაღლაკონში, ზ.ნ.) 5 კომლიდან - 3, ქედ-ქედში 19 კომლიდან - 3კომლი. ამ სოფლებს ესაჭიროებათ

სახლების აღდგენა, საზრდოს მიწოდება და სამუშაო საქონელი, ურომლისოდაც მათი უზრუნველყოფა საკვებით შეუძლებელი იქნება.

ამ კუთხის გამომკვლევის აზრით აუცილებლად საჭიროა:

1. ნება მისცენ დარჩენილ ხალხს იცხოვრონ ამ ზამთარს მიტოვებულ სახლებში.
2. საიმედო მცხოვრებლებისათვის გამოითხოვონ მუდმივი მოწმობანი ბათომში მისვლა-მოსვლისა ამ წლის გასვლამდე, ხოლო მერე განუახლდეთ მოწმობები ერთის წლით.
3. ციხე-სიმაგრის ფარგლებში მოქცეულ სოფლების მცხოვრებთ ნება მიეცეთ თავის სახლებში ცხოვრებისა, თავის საკუთარ მიწა-წყალზე. ხოლო თუ ასეთი ნებართვა მოხერხდა, დაუყოვნებლივ მიეცეთ მათ გრძელვადიანი სესხი დანგრეულ სახლების აღსადგენად.
4. მთელი ამ კუთხის დაზარალებულთა დასახმარებლად გამოიძებნოს სახსრები, რომ მათ მიეცეთ გრძელვადიანი სესხი, აგრეთვე სესხი დაუბრუნებლადაც, რომ მოახერხონ სახლების აღდგენა და მიწის დასამუშავებლად იარაღის შეძენა.
5. გამოინახოს სახსარი, რათა აღმოეჩინოთ მათ დახმარება სურსათ-სანოვაგით, საცვლებით, ლოგინით, ტანისამოს-ფეხსაცმლით, სამეურნეო იარაღებით და სხვ. ამისათვის თითოეულ სოფელში უნდა შესდგეს კომისია, რომელშიაც დამხმარე კომიტეტის ორი წევრი მაინც იქნება და საერთოდ შეიმუშაონ დახმარების წესი და რაოდენობა.
6. უკეთუ საჭირო თანხა აღმოჩნდა, საჭიროა ზემოხსენებულმა კომისიამ საშუალოდ 300 მანეთი მისცეს კომლზე.
7. დახმარებისათვის თანხის რაოდენობა; გამოკვლევის ვარაუდით უდრის: ა) საკვებისათვის 1780 მან, სულ დაზარალებული არის 139 კომლი, ზედმიწევნით 700 სული, რომელთაც თანაბარი დახმარება არ ესაჭიროებათ, თითო სულზე, დიდზე ნავარაუდევია 1 ფუთი სიმინდი (ფუთი 1 მ.), პატარაზე ნახევარი ფუთი. ბ) ლოგინი, ფეხსაცმელი, საბნები და სხვა თითო კომლზე 10 მან. - სულ 1390 მ. გ) სამუშაო საქონლისა და იარაღის შესაძენად ყოველ ათ კომლზე თითო ხარი, ანუ სულ 40 ხარი (თითო 50 მან) = 2000 (საერთოდ ყველა სოფლებს დაჰკლებიათ ომიანობის გამო 90 მუშა საქონელი, 222 ძროხა, 1203 ცხვარი და თხა, 1266 ძირი

ფუტკარი). დ) დასახლების აღსადგენად თითო კომლზე საშუალოდ 150 მ. =20530 მ.

ამრიგად ხერთვისის სოფლის საზოგადოების საჭიროებათა დასახმარებლად საჭირო ყოფილა 26 ათასი მანეთი“ *(„საქართველო“, 1916:3)*.

ოსმალთა უკანდახევის შემდეგ ბათუმის ოლქის ტყეებში დაძრწოდნენ „ჩეთეს“ ცალკეული ბანდები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევით ირჩენდნენ თავს. 1916 წლის ზაფხულისათვის ხელისუფლებამ შეძლო შავშეთში შემორჩენილი „ჩეთნიკების“ საქმიანობის სრული აღკვეთა.

კავკასიის ფრონტზე რუსთა წარმატებული შეტევის შედეგად 1916 წლის თებერვალში აღებულ იქნა მე-3 არმიის შტაბის ციტადელი - ქალაქი ერზრუმი. რუსებმა შეძლეს ხელიდან არ გაეშვათ მოპოვებული წარმატება, მათ ოსმალთა ნაწილებს არ მისცეს დრო მოეხდინათ ჯარის ნაწილების რეორგანიზაცია და შეტევა განაახლეს ტრაპიზონის მიმართულებით *(სდსინ, 2008:366)*.

ტრაპიზონზე შეტევა დაიწყო 1 (14) აპრილს. რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალების ერთობლივი მოქმედებით უკვე 5 (18) აპრილს ტრაპიზონი დაეცა. ოსმალებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი ნავსადგური; ახლა რუსეთის სარდლობას საშუალება მიეცა ტრაპიზონით მოემარაგებინა არა მარტო ზღვისპირეთში მოქმედი ჯარები, არამედ ერზრუმის რაიონში დისლოცირებული სამხედრო ნაწილებიც.

მალე რუსები შეუდგნენ ტრაპიზონში სამხედრო პორტის მოწყობას, საავტომობილო გზის გაყვანას, 1916 წ. ივლისიდან კი ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობასაც *(სდსინ, 2008:367)*.

რუსეთის ჯარების მიერ ერზრუმისა და ტრაპიზონის დაუფლებით ფრონტის ხაზი ბათუმიდან შორს, სამხრეთ-დასავლეთით გადაიწია. ამიერიდან ოსმალეთის არმიას ძალა აღარ შესწევდა შეტევითი ოპერაციებისათვის. ოსმალეთის გენშტაბის უფროსი გენერალი ფონ ბრონსარტი 1917 წლის 2 ივნისს ლუდენდორფისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ იმ 3 მილიონი მებრძოლიდან, რომელიც ოსმალეთს ომის დასაწყისში ჰყავდა, 1917 წ. 1 მარტისათვის მწყობრსი იყო მხოლოდ 1 200 000 კაცი.

ამრიგად, ომის პერიოდში ბათუმის ოლქი მოწინააღმდეგე მხარეებისათვის იყო ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება. რუსეთის მრავალეროვნულმა არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, შეძლო არა მარტო ამ რეგიონის შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორტიების გათავისუფლება.

პირველმა მსოფლიო ომმა მტკივნეული დაღი დაასვა და თავისი კვალი დატოვა აჭარის მკვიდრთა ცხოვრებაში. ომმა მოიტანა სისხლი და ნგრევა, ეკონომიკური სიდუხჭირე, კვალად დატოვა დაცლილი და გადამწვარი სოფლები, გავერანებული სამოსახლოები, ათასობით დევნილი და ლტოლვილი, ოსმალეთში მუჰაჯირად გადახვეწილი მოსახლეობა, რამაც მოუშუშებელი ტკივილი დატოვა ქართველი კაცის გულში.

ლტოლვილთა პირველი ტალღა ბათუმს ომის დაწყებისთანავე მოაწყდა. ესენი ოსმალეთიდან გამოქცეული ბერძნები და სომხები იყვნენ. მათი შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც რთულ სოციალურ პირობებში ჩავარდნილ ქალაქს. თავის მხრივ, ბათუმი და მისის ოლქი სანახევროდ დაიცალა ადგილობრივ მკვიდრთაგან. ოსმალთა დროებითი წარმატებით შეშინებულმა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა რაიონს შეაფარა თავი, ხოლო მეორე, მკვიდრი ნაწილი კი მოწინააღმდეგემ, 1915 წ. თებერვალ-მარტში უკანდახევის დროს, იძულებით წაიყვანა ოსმალეთში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ფრონტისპირა რაიონები: გონიოს უბანი, ლაზეთი, ართვინ-არტანუჯის მხარე, მაჭახლის ხეობა და აჭარისწყლის ქვემო წელის სოფლები. ამის თვითმხილველი მწერალი დავით კლდიაშვილი წერდა: „საოცარ სანახაობას წარმოსაგენდა ეს მხარე აჭარისწყლიდან დაწყებული. უკან დახევაზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცალათ აქაური სოფლები, შემდეგ კი გადაიარა რუსის ჯარმა - ყაზახ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავისი მხეცობით, შეუბრალებლობით და მძარცველობით. ამათ სულ ერთიანად მოფშვნეს ღვთის ანაბარად მიტოვებული სოფლები... არავითარი ჭაჭანება ადამიანისა, ეგერ აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ყმუილი, საზარელი, გულისმომკვლელი *(კლდიაშვილი, 1981: 311-312).*

მოსახლეობის ნაწილი თვითონ გაერიდა საომარი მოქმედების ასპარეზს და რუსეთის ჯარისაგან მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად მიატოვა სახლ-კარი. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა მაჭახლის ხეობაში (ხერთვისის სასოფლო თემი), საიდანაც 7 ათასამდე სული გადაიხვეწა. მათი სახლ-კარი განადგურდა ჯერ საომარი მოქმედების შედეგად, ხოლო შემდეგ რუსთა ჯარებისაგან. უკანასკნელებმა სოფ. აჭარისაღმართში 41 კომლიდან გადაწვეს ყველა, სოფ. ქედქედში - 20 კომლიდან 2, სოფ. მაღლაკონში - 10-დან 8, სოფ. უჩხითში - 50-დან 9, სოფ. კირნათში - 47-დან 7 და ა.შ. სულ ხერთვისის თემში ომამდე ითვლებოდა 786 კომლი. მათგან გადაწვეს 196. გადაიკარგა 295 ოჯახი და 50 ცალკე პირი *(ა.ქ.ს.ს., 1916:8).*

ბათუმის ოლქის სოფლები მოხუცების, ბავშვებისადა ქალების ამარა იყო დარჩენილი. ამას ემატებოდა საომარი მოქმედებებით გლეხური მეურნეობებისათვის მიყენებული ზარალი, სახლ-კარისა და სურსათის გადაწვა-განადგურება, აგრეთვე, გადარჩენილი სურსათ-სანოვაგისა და გამწევი პირუტყვის რეკვიზიცია. ახალ სამეურნეო წელს ამას დაერთო მოუსავლიანობაც. მართალია 1916 წ. დასაწყისიდან ოსმალეთიდან დაბრუნდა ლტოლვილი მამრობითი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შეუდგა კიდეც გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას, მაგრამ გარედან დახმარების გარეშეცხოვრების ხელახლა მოწყობა რთული იყო. „საშიში სურათია, - წერდა კორესპონდენტი აჭარიდან, - გამხდრები, თმა-წვერ მოშვებულები, ტიტვლები, მათინახვა უფრო გულსემზარავია, ვიდრე მკვდრებით მოფენილი ბრძოლის ველი...“ *(„თანამდეროვე აზრი“, 1915).*

ასეთი განსაცდელის დროს დიდი თანადგომა და დახმარება აღმოუჩინეს ომის ქარცეცხლით დაზარალებულ აჭარის მოსახლეობას თანამოძმეებმა. მთელი საქართველოდან ჩაერთო მოსახლეობა თანამოზმეთა დასახმარებლად. ზოგი ფულით, ზოგი ჩასაცმელითა თუ სურსათის გაღებით ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა აჭარის მკვიდრთა დასახმარებლად.

აჭარისა და ლაზეთის დახმარების ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება (თავმჯდომარე მიხ. მაჩაბელი). 1916 წ. მოსახლეობას დაურიგდა 15 ათასი ფუთი სიმინდი და 7 ათას რუბლამდე ფულად. ლაზეთში მარტო ჰაიდარ აბაშიძემ უხელმძღვანელა 700 ფუთი სიმინდის ჩატანას და განაწილებას.

მართალია ეს დახმარება არ იყო საკმარისი, მას უფრო მორალური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ძველი კორესპონდენტი სოფ. ქედიდან აბდულ მიქელაძე გაზ. „თანამედროვე აზრს“ წერდა: ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, გადამწვარი სახლ-კარი არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ აივსება, მაგრამ თანამოძმეთა მიერ გაღებული თითოეული კაპიკი ჩვენთვის მილიონია, თანაგრძნობის სიტყვა კი მალამოა“ *(წულაძე, 1991:110)*, ამასთან, ეს დახმარება „არსებითად იყო დიდი სახალხო მოძრაობა, რომელმაც მაშინ სული მოათქმევინა ხალხს“ *(სურგულაძე, 1994:34).*

ომის ქარცეცხლსა და სოციალ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს აჭარაში თან სდევდა სხვა რიგი პრობლემები. ერთერთი იყო სახელმწიფო ღალატის ბრალდება, რასაც მოჰყვა აჭარაში კაზაკ პლასტუნების მხრიდან მოსახლეობის აწიოკება. არა და ბრალდება ყოვლად უსაფუძვლო იყო. ბრალდების საფუძველს რუსეთის ხელისუფლება იმაში ხედავდა, რომ ომის წინა პერიოდში ოსმალეთისა და გერმანიის სპეცსამსახურებმა ამ რეგიონში ჩაატარეს ფართო ანტირუსული სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. მის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის მომზადება რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისათვის, რაც კავკასიის ფრონტის გახსნისთანავე უნდა გაჩაღებულიყო. როგორც ხდება ხოლმე ომის დროს ამ ცდებს მცირე შედეგი ჰქონდა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავიდანვე ჩაერთო რუსეთის სამხედრო ნაწილების მხარდამხარ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა აჭარა და მთელი სამაჰმადიანო საქართველო მოღალატედ შერაცხეს. *(სდსინ, 2008:383)*.

„სახელმწიფო ღალატის“ ინსპირირებულ საქმეს აჭარის ოსმალთაგან გაწმენდისთანავე შეეწირა სამი ქართველი, რომლებსაც დაბრალდათ „ჩეთნიკებში“ გარევა. ისინი სათანადო გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე სოფ. ხიჭაურში ჩამოახრჩო კაზაკ-პლასტუნთა მეთაურმა გენერალმა გუბსკიმ. გუბერნატორ ლიახოვის ბრძანებით 1915 წლის იანვარში სოფ. ჩანჩხალოში გაიგზავნა პლასტუნთა ეგზეკუცია, რომელმაც იავარჰყო იქაურობა *(აცსა, ფ. 3, ან. 1, ს. 16, ფურც. 5)*. ასევე გაავერანეს ზოგიერთი სხვა სოფელიც. ხულოს სკოლის მასწავლებელი რაფიელ აცანელი (ჩხაიძე) შენიშნავდა: - კახაბრიდან ქედამდე სოფლებში მამალიც აღარ ჰყივის. სოფლები გადამწვარია და გავერანებული, შენობები გაძარცვული *(„თანამედროვე აზრი“, 1915).*

გენერალი ლიახოვი მზად იყი სისხლით მოერწყო „მოღალატე“ აჭარის სხვა სოფლებიც, მაგრამ, როგორც თავად შენიშნავდა გენერალ მოკულსკისადმი 1915 წლის 11 იანვრის ტელეგრამაში, - ვიდრე ართვინის მხარე ოსმალებს ეპყრათ, საჭირო იყო რეპრესიებისაგან თავის შეკავება, რათა თავიდან აეცილებინათ ქართველ მაჰმადიანთა აჯანყება *(სდსიბ, 2008:384)*.

რუსეთის სარდლობის არასამართლებრივი ქმედებანი აღიკვეთა, როგორც კი 1915 წ. იანვარში აქ ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი აკაკი ჩხენკელი. მისი ღვაწლი ამ საქმეში განუზომელია. მან შეიტყო თუ არა თავის ამომრჩეველთა უბედურება, მაშინვე აქეთკენ მოაშურა. პირადად რამდენჯერმე შემოიარა ბათუმი, ქედა, ხულო, მურღული, ართვინი, არტანუჯი, შავშეთი, იმერხევი, არტაანი და ყარსი. 1916 წ. 11 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროში მან შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა აჭარელთა დასაცავად.

ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საქმეში წვლილი მიუძღვის აგრეთვე გენერალ ბესარიონ ჩიქოვანს, თავად არჩილ აბასიძეს, სათათბიროს დეპუტატ კარლო ჩხეიძეს და ზოდაგად მთელ ქართულ ინტელიგენციასა და პრესას, სადაც მრავალი სტატია გამოქვეყნდა აჭარელთა დასაცავად.

ქართველი საზოგადოებრიობისა და IV სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატთა პროტესტი იმდენად ძლიერი იყო, რომ უმაღლესმა ხელისუფლებამ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად 1915 წლის დასაწყისში პეტროგრადიდან გამოგზავნა გენერალ-ლეიტენანტი პოროშინი, იმავე წლის დეკემბერში - გენერალი ნიროდი, ხოლო შემდეგ - სენატორი გოლიცინი. მათი დასკვნები ერთსახოვანი იყო, რომ „ოლქის მუსლიმანური მოსახლეობის საერთო ღალატს ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ ცალკეულ დამნაშავე პირთა ღალატი“.

ბათუმის ოლქის გუბერნატორ ბ. რომანოვსკის შეფასებითაც კი მოსახლეობა არასდროს არ ავლენდა ორგულობას მეფის ხელისუფლების მიმართ და ყოველთვის ასრულებდა მის მოთხოვნებს. „მოსახლეობა სრულებით არ თანაუგრძნობდა ოსმალთა შემოჭრას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა და ადმინისტრაციამ ეს მხარე მიატოვა, ხალხს არ ჰქონდა არავითარი საშუალება წინ აღდგომოდა მტერს, ხოლო

ოსმალთა შემოჭრის შემდეგ მათი მომარაგება და მეგზურობა იყო იძულებითი“ - დაასკვნის გუბერნატორი *(სდსინ, 2008:388)*.

თვით იმპერატორმა ნიკოლოზ II თავის 1915 წ. 2 მარტის ტელეგრამაში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისადმი ბათუმის და ყარსის ოლქების მოსახლეობისათვის თავსდატეხილი განსაცდელი შეაფასა არა „ღალატად“, არამედ „უბედურებად“ *(სდსინ, 2008:388-389)*.

უზენაესი მთავრობის ასეთი პოზიციის შემდეგ ბათუმისა და ყარსის ოლქებში შეწყდა სამხედრო ეგზეკუციები და სადამსჯელო ოპერაციები, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა ცალკეული საქმეების განხილვა და პირთა დასჯა. საბოლოოდ „მოღალატე“ მაჰმადიანთა შესახებ კამპანია ოფიციალურად შეწყდა მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წ. 26 იანვრის სპეციალური დადგენილებით. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ამავე მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარს აკაკი ჩხენკელს. ამ დადგენილების საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დააბრუნეს „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით 1915-1916 წლებში მსჯავრდებული 120-მდე კაცი ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან *(სდსინ, 2008:391)*.

I მსოფლიო ომმა დიდი უბედურება მოუტანა მაჭახლის ხეობას. გადაიწვა სოფლები, ნაცრად იქცა გათლილი წაბლის ხით ნაგები ორ-სამ სართულიანი სახლები, საყოფაცხოვრებო ნაგებობები, განადგურდა როგორც ოსმალომდელი, ასევე ოსმალური პერიოდის კულტურის ნიმუშები: მეჩეთები, მედრესეები, ჯამეები. მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა მამაპაპისეული ადგილ-მამულები და ოსმალეთში ეძებნა თავშესაფარი. ნაწილი გადახვეწილი მოსახლეობისა უკან აღარ დაბრუნებულა. ომმა ხეობას დიდი დანაკარგი მოუტანა როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე ადამიანური რესურსების სახითაც. ხეობამ დაკარგა შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი.

საქართველოში დემოკრატიული მმართველობის პერიოდში (1918-1921წწ.) მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა მაჭახლის ხეობაში, უცვლელი დარჩა როგორც ადმინისტრაციული, ასევე მმართველობის სისტემა. რაც მთავარია მოსახლეობისათვის ცოტა ხნით მშვიდობამ დაისადგურა. მაგრამ ჰორიზონტზე ახალი ღრუბელი იფარგლებოდა. როგორც ახლადშექმნილი საბჭოთა რუსეთი, ასევე

ოსმალთა დანგრევის პირას მისული იმპერია ახალი რევანშისათვის ემზადებოდა. დასაპყრობ-ჩასაყლაპავ ნადავლს კი საქართველო და ზოგადად კავკასია წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთს განზრახული ჰქონდა ძველი, იმპერიული საზღვრების აღდგენა. რაც შეეხება ოსმალეთის მიზანს, მისი სურვილი კვლავ აჭარის დასაკუთრება იყო. ასე რომ აჭარის ისტორიაში ახალი საბრძოლო ფურცლების დრო დგებოდა.

III მაჭახლის ხეობა საბჭოთა პერიოდში

1. საბჭოთა წყობილების დამყარება.

რუსეთის იმპერიის I მსოფლიო ომიდან გამოთიშვამ დააჩქარა იმპერიის რღვევა, რომელიც 1917 წელს დაგვირგვინდა რევოლუციით. რუსეთში დამკვიდრდა საბჭოთა წყობილება, რომელიც თავისი მზაკვრული ზრახვებით არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიისაგან. მის მთავარ ამოცანას იმპერიის საზღვრების აღდგენა და ახალი ტერიტორიების მიტაცება წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთისათვის ერთ-ერთ ასეთ ამოცანას ახლადშექმნილი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს დაპყრობა წარმოადგენდა, მაგრამ საბჭოთა რუსეთი ითვალისწინებდა რა საგარეო ფაქტორს, ცდილობდა ისე განეხორციელებინა საქართველოს ანექსია, რომ თვითონ ჩრდილში დარჩენილიყო.

საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ თავისი სამწლიანი მმართველობის პერიოდში დაუშვა ისეთი შეცდომები, რომელიც სავალალო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის. ამ შეცდომებით კარგად ისარგებლა ჩასაფრებულმა საბჭოთა რუსეთმა და თავისი ეშმაკური გეგმით განახორციელა საქართველოს ანექსია. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი არმიის ნაწილების შესვლით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო.

ასეთი მძიმე ვითარებით ისარგებლა თურქეთმაც. 1921 წ. თებერვალში თურქეთის მთავრობამ ულტიმატუმი გადასცა საქართველოს ხელისუფლებას და

კატეგორიულად მოითხოვა არტაანის, ოლთისის, ართვინისა და ბათუმის ოკრუგებიდან ჯარების გამოყვანა და მათი თურქეთისათვის გადაცემა. ცხადია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ახალ ფრონტზე ბრძოლას ვეღარ შესძლებდა. 23 თებერვალს ქართულმა ჯარმა დატოვა არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოკრუგები და 7 მარტს ამ ოკრუგებში თურქეთის არმია შევიდა.

ოსმალეთის ჯარის ნაწილები ბათუმისაკენ მოიწევდნენ. ბათუმის დაკავებით საბჭოთა რუსეთიც იყო დაინტერესებული, რადგან იგი წარმოადგენდა აზერბაიჯანის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საზღვარგარეთ გატანის დიდმნიშვნელოვან ნავსადგურს. 1921 წ. 11 მარტს ოსმალეთის ჯარის ნაწილები ბათუმში შემოვიდნენ და ბარცხანის ფორტში დაბანაკდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიას, რომელთა რაოდენობა ბათუმში 3,5 ათას კაცს ითვლიდა, ოსმალეთის ჯარისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

თურქი ოკუპანტები აჭარის ოკუპაციისათვის მუსლიმანი ქართველების გადაბირებას შეეცადნენ. ისინი აჭარის ოკუპაცია-ანექსიის იურიდიული გაფორმებისათვის ლეგიტიმაციის ფორმას ეძებდნენ. ამ მიზნით, თურქეთის მთავრობის დელეგაციამ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისაგან მოითხოვა თავისი პოზიციის გადასინჯვა ბათუმის ოლქის ავტონომიის საფუძველზე დედასამშობლოსთან შეერთების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აჭარა სამი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა ოსმალთა ბატონობაში, თურქებს ამ მხარეში სერიოზული დასაყრდენი ძალა არ ჰყავდათ *(სდსიბ. 2012:36-37).*

ემიგრაციაში წასვლის წინ ნ. ჟორდანიამ ბათუმში ხელისუფლება გადასცა ქალაქის თვითმმართველობას. გასცა განკარგულება პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების შესახებ. ამის შემდეგ ბათუმის ციხიდან გამოუშვეს 1000-მდე პოლიტიკური პატიმარი. 15-20 კაცი იყო პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერი. მათ შორის იყვნენ: სერგო ქავთარაძე, ვანო სტურუა, თენგიზ ჟღენტი, შალვა დადიანი (ცნობილი მწერალი არ გახლავთ), კარპე მოდებაძე და სხვა. მთავრობის დავალებით მათთან მოლაპარაკება გამართა ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარმა გ. გიორგაძემ და შესთავაზა ძალაუფლების ხელში აღება. 1921 წლის 18 მარტს ბათუმის ციხიდან განთავისუფლებულმა ბოლშევიკებმა შექმნეს დროებითი სამხედრო რევოლუციური

კომიტეტი (რევკომი), რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში. 1921 წ. 20 მარტს ქ. ბათუმისა და მისი ოლქის დროებითი რევოლუციური კომიტეტი გადადგა, შეიქმნა ქ. ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) 10 კაცისაგან შემდგარი *(„უწყებები“, 1921:3)*, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, დავით მახარაძე (სამეული).

ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ბათუმიდან ოსმალთა საოკუპაციო ჯარების განდევნა, მთლიანად აჭარის გათავისუფლება ოკუპანტებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმისა და აჭარის საკითხი მოსკოვის 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულებით გადაწყვეტილი იყო, თურქები შეეცადნენ ქ. ბათუმისა და მთლიანად აჭარის ოკუპაციასა და ანექსიას.

თურქებს ბათუმში საკმაო ძალა ჰყავდათ, მათი რაოდენობა ხუთი ათას კაცს აღემატებოდა. ამის მიუხედავად ბათუმში თურქეთის საოკუპაციო ჯარების მეთაური ქიაზიმ-ბეი ფეხს ითრევდა შეტევის დაწყებაზე და დამატებითი სამხედრო ნაწილების გამოგზავნას ითხოვდა. თურქები ჩქარობდნენ, რათა წითელი არმიის შენაერთების ბათუმში შემოსვლამდე მთლიანად აეღოთ ძალაუფლება ქალაქში. 1921 წ. 17 მარტს ბათუმში გამოცხადდა თურქეთის საოკუპაციო რეჟიმი, ხოლო გენერალი ქიაზიმ-ბეი დაინიშნა ოლქის გენერალ-გუბერნატორად. ბათუმის დაკარგვის რეალური საფრთხე შეიქმნა.

1921 წ. 18 მარტს თურქმა ასკერებმა გააფთრებით შეუტიეს ქართველთა სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ ობიექტებს. ქართველმა მებრძოლებმა რამდენიმე შემოტევა მამაცურად მოიგერიეს და განხორციელებული კონტრშეტევით შეძლეს ქიაზიმ-ბეი და მისი შტაბი მოეწყვიტათ მთავარი ნაწილებისაგან. თურქეთის შეიარაღებული ნაწილების ახალი შემოტევის მოგერიებისა და მათი ბათუმისა და მთლიანად აჭარიდან განდევნისათვის აუცილებელი იყო ყველა ქართული ძალის გაერთიანების ბაზაზე ერთიანი ფრონტისა და ერთიანი სარდლობის შექმნა. 1921 წ. 18 მარტს, რევკომის გადაწყვეტილებით, გ. მაზნიაშვილი დაინიშნა ბათუმისა და ბათუმის ოლქის მთელი შეიარაღებული ძალების სარდლად და გენერალ-გუბერნატორად. მას დაევალა ყველა სახეობის ჯარების ხელმძღვანელობა და ქალაქის

დაცვის ორგანიზაცია. მის მოადგილედ დაინიშნა გენერალი გრიგოლ სუმბათაშვილი *(სდსინ. 2012:38-39).*

1921 წ. 17, 18, 19 მარტის ბრძოლების შედეგად, ქართულმა არმიამ ბათუმი და მისი მიდამოები მთლიანად გაათავისუფლა ოსმალთა ჯარისაგან. 20 მარტს დილიდ 9 საათზე თურქებმა მიიღეს გადაწყვეტილება ქალაქის დატოვებისა და ჭოროხის ხეობაში გადასვლის შესახებ. 12 საათისათვის ბათუმში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ იყო. ეს დიდი გამარჯვება ეკუთვნოდა ქართულ ჯარს გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით *(სდსინ. 2012:41-42).*

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. 20 მარტს უფლებამოსილება მოიხსნა ქ. ბათუმისა და მისი ოლქის დროებითმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. შეიქმნა საოლქო რევკომი, რომლის შემადგენლობაში შეიყვანეს ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, დ. მახარაძე, კ. საჯაია, თ. ჟღენტი, ს. გუბელი, ი. პევცოვი, კ. თავზერიძე. 1921 წ. 3 აპრილს მეჯლისის წევრებიდან რევკომის შემადგენლობაში შეიყვანეს მ. აბაშიძე და რ. ნიჟარაძე. რევკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ს. ქავთარაძე, მოადგილედ ს. გუბელი. *(„უწყებები“ N3, 22 მარტი, 1921:3)*.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ აჭარაში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდა სამი ძირითადი პოლიტიკური ძალა: კომუნისტები საოლქო რევკომის სახით, სამუსლიმანო საქართველო და „სედაი მილეთი“. ქართველი კომუნისტები პრორუსული ორიენტაციისა იყვნენ. სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი ეროვნული ერთიანობის ინტერესების თავგამოდებული დამცველი იყო, სოლო „სედაი მილეთში“ თურქოფილები გაერთიანდნენ. თუმცა „სედაი მილეთის“ ჯგუფი აჭარაში გავლენით ვერ სარგებლობდა *(სდსინ. 2012:43).*

აჭარიდან ოსმალეთის ასკერების განდევნის შემდეგ, ბოლშევიკების მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, კომუნისტური ერთმმართველობის ჩამოყალიბება. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო, რადგანაც აჭარის მუსულმან მოსახლეობას კომუნისტური შეხედულებები არ იზიდავდა. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში საოლქო რევკომს ეცილებოდა მეჯლისი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით

სარგებლობდა. სწორედ ამის გამო შეიყვანეს რევკომში მ. აბაშიძე და რ. ნიჟარაძე, რომლებიც 1921 წ. მაისის დასაწყისში გამოიყვანეს შემადგენლობიდან, როგორც კომუნისტებისათვის არასასურველი პოლიტიკური ფიგურები.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ მეჯლისის საწინააღმდეგოდ სოფლებში დაიწყო სისტემატური შეხვედრები, სადაც ღარიბ გლეხობასთან ატარებდა კრებებს და მემამულე-თავადაზნაურობის, ბურჟუაზიისა და სასულიერო წოდების სახით მტრის ხატს ქმნიდა. 1921 წ. 22 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით აჭარის თითქმის ყველა სოფელში გაიმართა მსგავსი კრებები. გლეხთა კრებებზე აირჩიეს სამაზრო, სათემო რევკომები და სასოფლო უჯრედები. 1921 წ. აპრილის ბოლოს აჭარაში შექმნილი იყო ქობულეთის, ბათუმის, გონიოს, ზემო და ქვემო აჭარის რაიონული რევკომები. ისინი მოიაზრებოდა, როგორც ადგილობრივი მართვის ორგანოები. საქართველოს კპ (ბ) ბათუმის საოლქო კომიტეტმა და ოლქის რევკომმა სოფლად მიავლინეს აგიტატორები და ინსტრუქტორები, რომლებიც ეხმარებოდნენ რევკომის წევრებს მუშაობის ორგანიზაციაში. მეტწილ შემთხვევაში, ადგილობრივი რევკომები ფორმალურად იყო შექმნილი, რადგანაც რიგ მაზრებში ხელისუფლებას თავისი დასაყრდენი არ ჰყავდა. რევკომის წევრების ნაწილმა წერა-კითხვაც არ იცოდა და ვერ ერკვეოდა თავის ფუნქციებში ***(სდსიბ. 2012:44).***

საქართველოს კპ (ბ) ბათუმის საოლქო კომიტეტმა 1921 წ. 9 მაისს სპეციალური დადგენილება გამოიტანა ძველი მეჯლისის დათხოვნისა და ახალი მეჯლისის არჩევის შესახებ. ახალი მეჯლისის არჩევნები ჩატარდა კომუნისტების ხელმძღვანელობით და კონტროლით. პირველი სხდომა გაიხსნა 1921 წ. 6 ივნისს საზეიმო ვითარებაში. თავმჯდომარედ აირჩიეს ხასან ლორთქიფანიძე, ხოლო მოადგილედ - ზია ხარაზი ***(„უწყებები“, 1921:3)***. მიუხედავად ამისა მეჯლისის თავისი პრინციპების ერთგული დარჩა და არ იზიარებდა კომუნისტური ხელისუფლების შეხედულებებს. ხ. ლორთქიფანიძე მ. აბაშიძესა და სხვა პატრიოტებთან ერთად, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი იყო. ახალი მეჯლისის სხდომაზე თავის სიტყვაში მან კიდევ ერთხელ გამოხატა ერთგულება პრინციპისა აჭარის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება აჭარის, კერძოდ მეჯლისის მიმართ წინდახედულად მოქმედებდა და ტაქტიკურ დათმობაზე წავიდა. ამის დასტურია საქართველოს რევკომის 1921 წ. 16 ივლისის დეკრეტი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამ დეკრეტით მეჯლისი გამოცხადდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების (მართვის) უმაღლეს ორგანოდ. მასთან ერთად, მართვის ორგანოდ გამოცხადდა არარსებული სახალხო კომისართა საბჭო, ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც აირჩეოდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე. აჭარაში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. კანონიერი ხელისუფლება ეკუთვნოდა საოლქო მეჯლისსა და ადგილობრივ ორგანოებს, რეალური ხელისუფლება კი ჰქონდა საოლქო რევკომს, რომელსაც ექვემდებარებოდა მილიცია, უშიშროების სამსახური და სამხედრო ნაწილები.

ცხადია ორხელისუფლებიანობა დიდხანს ვერ იარსებებდა. 1921 წ. აგვისტოდან ახალ ფაზაში შევიდა ბრძოლა კომუნისტურ ხელისუფლებასა და მეჯლისს შორის. კომუნისტებმა მეჯლისის დისკრედიტიზაციისათვის ღარიბი გლეხობა გამოიყენეს. მათგან ჩამოაყალიბეს ღარიბთა კომიტეტი. ისინი მას განიხილავდნენ, როგორც მეჯლისის ოპოზიციას. ორხელისუფლებიანობის ლიკვიდაციისა და კომუნისტური დიქტატურის გაბატონებისათვის აუცილებელი იყო მეჯლისის მძაფრი კრიტიკა და მისი გავლენის კიდევ მეტად დამცირება. კომუნისტები გლეხთა გამოსვლებს, რომლებიც მათ მიერ იყო ინსცენირებული, რევოლუციად ასაღებდნენ ***(სდსინ. 2012:46-47).***

1921 წ. აგვისტოში დასრულდა სამაზრო და სასოფლო ღარიბთა კომიტეტების ჩამოყალიბება. 31 აგვისტოს ბათუმში გაიმართა აჭარის გლეხთა შეკრება, სადაც აირჩიეს ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური საბჭო 9 კაცის შემადგენლობით. ღარიბთა კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს შერიფ აბდიბა ***(სდსინ. 2012:48).*** ღარიბთა კომიტეტი 1923 წ. გაუქმდა, მათი უჯრედები სასოფლო, სათემო და სამაზრო საბჭოებთან გაერთიანდა, რის შედეგად სოფლად საბჭოთა ხელისუფლება გამყარდა ***(სდსინ. 2012:70).***

აჭარის რევკომმა 1921 წ. 13 სექტემბერს სამხედრო წესები გამოაცხადა, ხოლო შინსახკომის ბრძანებით აიკრძალა კრებები, მიტინგები, დემონსტრაციები. მისი ნებართვის გარეშე ჩატარებული კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები გაირეკებოდა როგორც კონტრრევოლუციური, ხოლო მოთავეებს დააპატიმრებდნენ და მკაცრად დასჯიდნენ. თავის მხრივ 1921 წ. 16 სექტემბერს ანალოგიური ბრძანება გამოსცა ბათუმის ოლქის საგანგებო კომისიამ (ჩეკა) ***(სდსინ. 2012:168).***

1921 წ. 12 ნოემბერს საქართველოს კპ (ბ) ბათუმის საოლქო კომიტეტმა განიხილა საკითხი რევკომის ახალი შემადგენლობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნება მხოლოდ კომუნისტი. ისიც ითქვა, რომ არ შეიძლება რევკომის თავმჯდომარე იყოს მეჯლისის წევრი. აჭარის რევკომის თავმჯდომარედ დანიშნეს ა. ღამბაროვი.

კომუნისტების მიზანდასახული მუშაობის შედეგად, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება მთლიანად დამყარდა. რევკომთან ერთად, კომუნისტურ პლატფორმაზე იყო ახალი წითელი მეჯლისი. ის დროებითი ორგანო იყო, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების არჩევნების მომზადება და ჩატარება. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ მან მოიხსნა თავისი უფლებამოსილება 1922 წ. იანვარში ***(სდსინ. 2012:50).***

ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა მოუხერხებელი იყო მოსახლეობისათვის. ცარიზმის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა ამ რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები - ჩაკეტილი ვიწრო ხეობები, ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული სოფლები, რაც სახელმწიფო მმართველობის მხრივ დიდ სიძნელეებს ქმნიდა. უცხოელების ბატონობის დროს (1918 წ. მარტი - 1920 წ. ივლისი) ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა არ შეცვლილა. არსებითი ცვლილებები არ გატარებულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც ***(სდსინ. 2012:59).***

1921 წ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის ბათუმის ოლქის უმეტესი ნაწილი კვლავ თურქეთის მფლობელობაში მოექცა. 16 მარტს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“. იგი დაიდო ქართველი და სომეხი ხალხების საზიანოდ. ამ ხელშეკრულებით

გაუქმდა ყველა ის შეთანხმება, რომლებიც არ შეესაბამებოდა ორივე სახელმწიფოს ინტერესებს. შემზარავი ის იყო, რომ საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურად ცნო თურქეთის პარლამენტის 1920 წ. 28 იანვრის აქტით დადგენილი თურქეთის სახელმწიფო საზღვრები. ამ საზღვრებში საქართველოს და სომხეთის მიწებიც შედიოდა. რუსეთ-თურქეთის 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულებით, თურქეთს ხელ-ფეხი გაეხსნა ისტორიული ქართული პროვინციების დასაკავებლად *(სდსინ. 2012:60).*

მაგრამ 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ეხებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებს, ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რამდენადაც ამ მოლაპარაკებებში ისინი არ მონაწილეობდნენ. ამიტომ თურქეთისა და რუსეთის მთავრობების ინიციატივით ახალი მოლაპარაკება გაიმართა ქალაქ ყარსში 1921 წ. ოქტომბერში. აღსანიშნავია, რომ ყარსის მოლაპარაკება მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან მოსკოვის 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულებით, ტერიტორიებისა და აჭარის ავტონომიის შესახებ შეთანხმებული იყვნენ. დელეგატები უფლებამოსილნი იყვნენ თურქეთთან მოლაპარაკება ეწარმოებინათ მხოლოდ 1921 წ. 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების ჩარჩოებში *(იქვე).*

სადემარკაციო ხაზის გავლების დროს ორად გაიყო სოფლები: სარფი, მარადიდი, მაჭახლის ხეობა, ჭოროხის მარჯვენა სანაპირო სოფლები: კირნათი, შუშანეთი და კობალეთი, ზემო აჭარის საზაფხულო საძოვრები და სხვა. კირნათი, შუშანეთი და კობალეთი, სადაც 55 კომლი ცხოვრობდა, საქართველოს გადმოეცა 1926 წელს.

XX ს-ის 20-30-იან წლებში, როდესაც სსრ კავშირსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა არსებობდა, საქართველოსა და თურქეთის საზღვრისპირა მოსახლეობას საშუალება ეძლეოდა შედარებით თავისუფლად გადასულ-გადმოსულიყო საზღვარზე, მოენახათ თვისტომები, ესარგებლათ საზაფხულო საძოვრებით და ა.შ *(აცსა. ფ.რ-19, საქ.4, ფურც.41. საქ.5, ფურც.103,112. საქ.11, ფურც.34. საქ12, ფურც.23).*. მაგრამ 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან სსრ კავშირისა და თურქეთის საზღვარი ჩაიკეტა, რის შედეგადაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მოსახლეობა, დაირღვა ნათესავთა და თვისტომთა კავშირი, რომელიც თანდათან დავიწყებას მიეცა.

ამრიგად, გასაბჭოების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში დარჩა 2900 კმ², რაც თითქმის 2,6-ჯერ ნაკლები იყო ბათუმის ოლქის საერთო ტერიტორიაზე ***(სდსინ. 2012:62).***

გასაბჭოების პირველ წელს თითქმის უცვლელი დარჩა ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

აჭარის ავტონიმიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა XX ს-ის 20-იან წლებში. ამ მიმართულებით პირველი რეფორმა 1923-1924 წლებში ჩატარდა. ამის შედეგად შეიცვალა მაზრებისა და სასოფლო თემების სახელწოდებები, მათი ადმინისტრაციული ტერიტორიების საზღვრები და მოსაქხლეობის რიცხოვნობა. 1922 წლის 4 იანვარს ძველი საპოლიციო უბნების (რაიონების) ხარჯზე შეიქმნა აჭარისწყლის მაზრა. 1923 წლის 23 მაისს აჭარის ტერიტორიის ადმინისტრაციულ დაყოფასთან დაკავშირებით აჭარისწყლის მაზრისა და ბათუმის მაზრის ბაზაზე შეიქმნა ჭოროხის მაზრა, მაგრამ მოსახლეობის ცენტრიდან დაშორების საბაბით იმავე წელს აჭარის ცაკმა აღადგინა აჭარისწყლის მაზრა შეკვეცილ ფარგლებში - ორი თემით - დოლოგნისა და აჭარისაღმართის ***(კომახიძე, 2003:104)***.

ტერიტორიითა და მოსახლეობით ყველაზე მცირე იყო აჭარისწყლისა და ჭოროხის მაზრები. აჭარისწყლის მაზრა აერთიანებდა 37 სოფელს 962 კომლით (ორივე სქესის 5391 სული). ამ მაზრაში ჭარბობდა მცირედ დასახლებული პუნქტები. მაგალითად, სოფლების რიცხვი, სადაც 5-დან 20 კომლი ცხოვრობდა, 19-მდე აღწევდა, ე.ი. საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს. 13 სოფელში კომლთა რაოდენობა 21-დან 50-მდე მერყეობდა. მხოლოდ 5 სოფელი იყო 51-დან 72 კომლამდე ***(სდსინ. 2012:64).***

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, აჭარისწყლის მაზრა იყოფოდა 3 სასოფლო თემად. აჭარისაღმართის თემში შედიოდა 13 სოფელი (307 კომლი, 1893 სული), დოლოგნის - 18 სოფელი, სადაც 588 კომლი (3149 სული) აღირიცხა. ქვედა მარადიდის თემში გაერთიანებული იყო მცირე დასახლების 6 სოფელი 67 კომლით (349 სული).

1923 წლის ოქტომბრის 29 - აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭისადმი აჭარისწყლის

მაზრის აღდგენის შესახებ: - „შინაგან საქმეთა სახკომისარიატის მიერ აღძრული იყო სათანადო შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე აჭარისწყლის მაზრის გაუქმების შესახებ, სახელმწიფო აპარატის გამარტივების მიზნით. ხსენებული შუამდგომლობა სახკომსაბჭოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა, აჭარისწყლის მაზრა თავისი აპარატით გაუქმდა და შიგ შემავალი თემები მიწერილ იქნა ჭოროხის მაზრაზე.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ოთხი თვის განმავლობაში სინამდვილემ დაგვანახა თუ რამდენად უხერხულია მცხოვრებლებისათვის მაზრის გაუქმება. პირველ ყოვლისა ეს უხერხულობა გამოიხატება იმაში, რომ მცხოვრებლები აჭარისწყლის, აჭარის აღმართისა და დოლოგნის თემებისა იძულებულნი არიან თავიანთი საქმეების გამო იარონ ჭოროხის მაზრაში, რომლის აღმასკომიც, როგორც მოგეხსენებათ, მოთავსებულია ქ. ბათომში. თუ მივიღებთ მხედველობაში გეოგრაფიულ მდგომარეობას აჭარისწყლის მაზრისა და აგრეთვე იმას,რომ აჭარისწყლის მაზრა წარმოადგენს ერთგვარ ცენტრს, საჭიროდ მიმაჩნია, აჭარისწყლის მაზრა კვლავ აღდგენილ იქნას მომავალ 1-ლ ნოემბრიდან თავისივე აპარატით იმ პირობით, რომ მაზრის ფარგლებში შედიოდეს შემდეგი თემები:

1. აჭარისწყლის და 2. დოლოგნის.

ამასთანავე გაახლებთ შტატის პროექტს. როგორც მაზრის არმასკომისათვის, აგრეთვე თემებისა და მაზრის მილიციისათვის, რომელთა დასამტკიცებლად საჭიროა შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე.

ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ სათანადო ხარჯთაღრიცხვა აქვე წარმოდგენილი შტატების მიხედვით მაზრისა და თემების აღმასკომებისათვის შედგენილი და დამტკიცებული უნდა იქნეს ფინსახკომის რწმუნებულის მიერ. რაც შეეხება ახლად დაარსებულ მაზრის მილიციის ხარჯთაღრიცხვას, ამ უკანასკნელს გაახლებთ ამასთანავე“.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი - ხელმოწერილია *(კომახიძე, 2003:105)*.

აჭარისწყლის მაზრა შეიქმნა 1923 წელს და აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა 1927 წლის 15 თებერვალს, რომლის შემდეგაც აჭარისწყლის მაზრის ფუნქციები გადაეცა ბათუმის მაზრას.

1924 წლისათვის კომ-უჯრედი მაზრაში არსებობდა მხოლოდ ერთი, რომელშიც ირიცხებოდა 26 წევრი და კანდიდატი. მუშაობა გლეხთა მასებში ფართოდ იყო გაშლილი, იმართებოდა გაერთიანებული ღია კრებები. სოფლის და მაზრის ინტელიგენცია გამოყენებული იყო ხმამაღალი გაზეთის კითხვაში, წარმოდგენების მოწყობაში. უპარტიო გლეხობა კომუჯრედის წევრებს ნდობის თვალით უყურებდა და მასთაერთად ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა მუშაობაში.

1925 წლის 12 ნოემბერს აჭარცაკისა და აჭარის სახკომსაბჭოს დადგენილებით ბათუმის და ჭოროხის მაზრების ნაცვლად დაარსდა ერთი - ქ. ბათუმი და მისი მაზრა.

იმავე 1927 წლისათვის ბათუმის რაიონის პარტორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებდა 7 კომუნისტურ უჯრედს, 80 პარტიული წევრისა და პარტიის კანდიდატის შემადგენლობით. ამ მხრივ რაიონში ზრდა გასულ 1926 წელთან შედარებით შეადგენდა 20 პროცენტს *(კომახიძე. 2003:130).*

1929 წელს საქართველოში მაზრების ნაცვლად ჩამოყალიბდა რაიონები, ასევე მოხდა აჭარაშიც: ჭოროხისა და ბათუმის მაზრების ბაზაზე ჩამოყალიბდა ბათუმის რაიონი. სწორედ ამ სტრუქტურული ცვლილებების გამო ჭოროხის ყოფილმა მაზრამ არსებობა შეწყვიტა.

ბათუმის რაიონის ჩამოყალიბების შემდეგ, ბათუმი, როგორც ქალაქი, და ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი - ცალკე ერთეულად გამოიყო. ბათუმის რაიონში შევიდა 12 სასოფლო საბჭო.

1922 წლის 10 იანვარს გაიხსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელსაც დაესწრო 184 დელეგატი. ბათუმის საქალაქო საბჭოსაგან დაესწრო 85 დელეგატი, ზემო აჭარიდან - 41, ქვემო აჭარიდან - 8, ბათუმის მაზრიდან - 11, აჭარისწყლის მაზრიდან - 8, ხოლო კინტრიშის მაზრიდან - 31 დელეგატი. ყრილობამ მუშაობა დაამთავრა 14 იანვარს. მის მუშაობას ხელმძღვანელობდა ა. ღამბაროვი *(სდსიბ. 2012: 69).*

გასაბჭოების შემდეგ აჭარაში ეკონომიკურმა კრიზისმა დაისადგურა. ქ. ბათუმი და მთლიანად აჭარა გასაბჭოებამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ძირითადად არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოკრუგებიდან მარაგდებოდა. მათი

საქართველოდან ჩამოცილებისა და თურქეთზე გადაცემის შედეგად, ეკონომიკური ცხოვრება გაძნელდა. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბათუმის კონსულმა კ. იუსტიმ. იგი 1922 წ. 22 ნოემბერს შედგენილ მოხსენებაში წერდა, რომ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით (1921 წ. 16 მარტი) აჭარის მოსახლეობა ეკონომიკურად ძალიან დაზარალდა, რადგან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რაიონები, რომლებიც აჭარას კვების პროდუქტებით ამარაგებდა, ოსმალეთმა დაიკავა *(იქვე).*

მოსახლეობა შიმშილობდა. ცხადია, შიმშილობასთან ბრძოლა საბჭოების ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო. ოფიციალური მონაცემებით, 1921 წ. ბოლოს აჭარაში დამშეული მოსახლეობის რაოდენობა 23853 სულს უდრიდა. აქედან, ზემო აჭარის დიდაჭარის თემში მშიერ-მწყურვალი იყო 1247 სული, ჭვანის თემში - 2470, ხოლო ხულოს თემში - 4985 სული. კინტრიშის რაიონის ქობულეთის თემში დამშეულთა რიცხოვნობა 809 კაცს შეადგენდა, ჩაქვის - 909, ჭახათის - 403, კინტრიშის თემში - 367 კაცს. აჭარისწყლის რაიონის დოლოგნის თემში 1494 კაცი შიმშილობდა, კაპანდიბის თემში - 1138, ბათუმის რაიონის ჭოროხის თემში შიმშილობდა 415 სული, ორთაბათუმის თემში - 490 სული. ქვემო აჭარაში მშიერ-მწყურვალი იყო 915 კაცი. ყრილობის მონაწილეებმათხოვნით მიმართეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მოსახლეობის შიმშილობის დაძლევაში დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აჭარის გასაბჭოების პირველ ყრილობაზე დაისვა, იყო მიწის პრობლემა. ყრილობამ ამ რთული პრობლემის გადაჭრაში პრიორიტეტი მიანიჭა თავადაზნაურობის მიწების კონფისკაციას და გლეხებზე გადაცემას, აგრარული რეფორმის დაუყოვნებლივ განხორციელებას. აჭარის გასაბჭოების პირველ ყრილობაზე იმსჯელეს აგრეთვე კოოპერაციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სისხლის აღებით შურისძიების შესახებ და სხვა საკითხებზე. ცხადია აჭარის გასაბჭოების პირველ ყრილობაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს ზოგადად და დადგენილებებს ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. ყრილობა წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დემონსტრირებას, თითქოს იგი სახალხოა. სინამდვილეში, აჭარაში, როგორც

მთლიანად საქართველოში, კომუნისტური პარტოკრატია ამ დემაგოგიით ხალხის გადაბირებას ცდილობდა და საკუთარ დიქტატურას აძლიერებდა *(სდსიბ. 2012:70).*

მართალია, მუშებსა და გლეხებს შრომაში მოპოვებული სიბრძნე და განათლება აქვთ, მაგრამ სახელმწიფოებრივ დონეზე აზროვნება მაღალი დონის განათლებასა და კულტურას მოითხოვს. ამ მიმართულებით აჭარაში მძიმე ვითარება იყო. მაგალითად, საბჭოების მეოთხე ყრილობის დელეგატებს შორის უმაღლესი განათლება მხოლოდ 5 კაცს ჰქონდა, საშუალო - 16, დაბალი განათლება - 40, წერა-კთხვის მცოდნე იყო - 47, ხოლო არმცოდნე - 79 დელეგატი. ანალოგიური ვითარება იყო XX ს-ის 30-იანი წლების პირველ ნახევრამდე. მომდევნო წლებში ვითარება შეიცვალა. 1937 წ. აჭარის საბჭოების მეთორმეტე საგანგებო ყრილობის მონაწილე 150 დელეგატიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 20 კაცს, საშუალო - 50, ხოლო დაბალი განათლება - 60 დელეგატს *(სდსიბ. 2012:77).*

ადგილობრივი საბჭოების კრებები და ყრილობები ყოველწლიურად ტარდებოდა, სადაც იხილავდნენ რეგიონის საკვანძო საკითხებს, ირჩევდნენ აღმასრულებელ კომიტეტებს. ისინი, როგორც წესი, წარმოადგენდნენ მუდმივმოქმედ ორგანოებს. ანგარიშვალდებულნი იყვნენ წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე. აჭარის წითელი მეჯლისის 1921 წ. 23 ნოემბრის დადგენილების თანახმად, სასოფლო საბჭოში ირჩევდნენ 3 წევრს, სათემოში - 5, ხოლო სამაზრო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში - 7 კაცს.

პარტიული კომიტეტებისა და პარტ-უჯრედების მთავარ საზრუნავს უკიდურესად გაჭირვებული ხალხისა და მათი ეკონომიკური პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების ძიება წარმოსადგენდა, ამავდროულად ეს ხალხი სამომავლოდ უნდა გამხდარიყო საბჭოთა წყობილების ძირითადი დასაყრდენი. 1921 წლის 14 დეკემბერს არჩეულ იქნა აჭარისწყლის მაზრის ფუხარა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ახმედ გორგოშაძე - თავმჯდომარე, ოსმან ბერიძე - მდივანი, ახმედ მასამოღლი - თანაშემწე, ფერად ლორთქიფანიძე - წევრი, სულეიმან ზაქარიაძე - წევრი, ალი აფხაზოღლი - წევრი, ახმედ საფარიძე - წევრი. *(აცსა, ფ.რ-11, საქმე 34, ფურც.2).* აჭარისწყლის ფუხარა კომიტეტი არჩევის დღიდან ჩაება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლასა და მათი პრობლემების გადაჭრის საქმიანობაში. მთავარ

პრობლემას წარმოადგენდა თემებისა და სოფლების რელიეფური მდებარეობა, მოსაგვარებელი იყო უგზოობის პრობლება, დაბალი იყო მოსახლეობის განათლების დონე, სოფლებში არ არსებობდა სამედიცინო და ვეტ-პუნქტები, სკოლები, წერა-კითხვის მცოდნეები იშვიათობას წარმოადგენდნენ.

აუცილებელი იყო თებებსა და სოფლებშიც შექმნილიყო კომიტეტები და პარტიული უჯრედები, რომლებიც ჩაერთვებოდნენ ამ საერთო ბრობლემების მოგვარებაში. აჭარისწყლის მაზრის პარალელურად მაჭახლის თემის სოფლებშიც დაარსდა პარტიული კომიტეტები, აღმასკომები და უჯრედები.

1921 წელს ჩამოყალიბდა აჭარისაღმართის თემის ფუხარა კომიტეტი: ქაზიმ თავდგირიძე - თავმჯდომარე, ხასან ბასილაძე - თანაშემწე, ასლან ნაგერვაძე - წევრი, საიდ ნაგერვაძე - წევრი, ყედემ დელიალოღლი - მდივანი, სულეიმან გვიანიძე - წევრი *(აცსა, ფ.რ-11, საქმე 34, ფურც.3).*

სოფლების მიხედვით პარტიული კომიტეტები ასეთი შემადგინლობით შედგა:

გორგაძეთი-საფუტკრეთი - ფერად ფუტკარაძე, ომერ შამილოღლი, მურად გვიანიძე.

ჩხუტუნეთი - რეჯებ ნაგერვაძე, ახმედ კახიძე, ოსმან კახიძე.

ჩიქუნეთი - ხუსეინ მალაყმაძე, მუსა ხინკილაძე, უსუფ ქოქოლაძე.

აჭარისაღმართი - ხუშუტ აფხაზოღლი, ეუფ ყლიჩიოღლი, ქაზიმ ნაგერვაძე.

ქედქედი - სულეიმან ბექიროღლი, ხასან მსხალაძე, ახმედ არჯევანიძე.

ჭანივრი-სინდიეთი - სალიხ შაშიკაძე, მუსტაფ შაშიკაძე, ხასან ჯეზაილოღლი.

ცხემლალა - მემედ მოლალოღლი, დურსუნ ჭუჭულოღლი, მუხამედ ფეიზოღლი.

(აცსა, ფ.რ-11, საქმე 34, ფურც.5).

მომდევნო წლებში საგრძნობლად შეიცვალა ადგილობრივი საბჭოების სტრუქტურა, ფორმები და შემადგენლობა. 1923 წ. გაუქმდა სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები. ისინი გაერთიანდნენ სათემო საბჭოებში.. მაზრებში შეიქმნა სახელმწიფო მართვის ახალი სტრუქტურული ერთეულები: მიწათმოქმედების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები *(სდსინ. 2012:84).*

1923 წლის აღწერით აჭარისაღმართის თემში ითვლებოდა 307 კომლი 1893 მცხოვრებით (კაცი - 989, ქალი - 902) *(ამ მონაცემებით იგულისხმება აგრეთვე სოფლები გვარა და ნაკირნათევი, რომელიც ადმინისტრაციულად მაშინ აჭარისაღმართის თემს ეკუთვნოდა. მოგვიანებით ადმინისტრაციული დაყოფით ეს სოფლები კირნათის სასოფლო საბჭოში შევიდნენ. აღნიშნული მონაცემებით ამ სოფლებში ითვლებოდა 17 კომლი 65 მცხოვრებით. სხვა მონაცემების მიხედვით ამ სოფლების ცალკე გამოყოფა არ მოხერხდა (კახიძე, 1974:79).*

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მკვეთრად დაისვა საკითხი თემებსა და სოფლებში დაწყებულიყო ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება, რაც ძალიან აწუხებდა სოფლის მოსახლეობას, რომელიც მოითხოვდა მოწესრიგებული და უსაფრთხო ყოფილიყო ბათუმთან დამაკავშირებელი გზები. ასევე მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა განათლებისა და ჯანდაცვის საკითხები. 1923 წლის 26 აპრილს აჭარისწყალზე მოეწყო 1 მაისთან დაკავშირებით მიტინგი, სადაც მოსახლეობა არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით გამოვიდა სიტყვით *(აცსა, ფ.რ-12, საქ.8, ფურც.5).*

სოფელი სწრაფად მოითხოვდა განვითარებას, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა განხორციელებულიყო კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების გარეშე. კულტურული მშენებლობის პირველი ნაბიჯები სოფლის შრომითი სკოლებისა და ქოხსამკითხველოების, საექიმო პუნქტების დაარსებით, გზების ხიდებისა და სხვა სახის მშენებლობით დაიწყო.

რთული ვითარება იდგა განათლების მხრივ, მოსახლეობა მოითხოვდა სკოლების გახსნას, 1923 წლის მარტის ჩანაწერში აჭარისწყლის მაზრის სკოლების შესახებ ვკითხულობთ - „მიუხედავად იმისა, რომ ფუხარა ხალხისთვის სკოლების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის მასწავლებელთა დაჟინებული მოთხოვნების მიუხედავად აჭარისწყლის მაზრაში ეს საკითხი ძალიან ცუდად დგას. მაზრაში სკოლები ფუნქციონირებს აჭარისწყალზე, მახუნცეთსა და ზუნდაგაში, აჭარისწყლის სკოლის შენობა სრულად არ არის დასრულებული. სოფელ ჩხუტუნეთში სკოლა უმასწავლებლოდ არის დარჩენილი. საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ მნიშვნელოვან საკითხს, რითაც მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება ფუხარა ხალხის წინსვლა ყოველ მხრივ“ *(აცსა, ფ.რ-12, საქ.9, ფურც.19).*

1923 წლის 12 იანვარს ჩატარდა აჭარისაღმართის თემის მეორე ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა თემის აღმასკომისა და საბჭოს წევრები.

აჭარისაღმართის თემი: ქაზიმ თავდგირიძე - თავმჯდომარე, ჯასიმ ქოქოლაძე - მოადგილე, ახმედ კახიძე - წევრი, პორფილე თოდუა - მდივანი, საქმისმწარმოებელი, ახმედ შირინოღლი - შიკრიკი.

აჭარისაღმართის თემის აღმასკომი: ოსმან თავბერიძე - თავმჯდომარე, უსუფ მემედოღლი - მოადგილე, ოსმან მემედოღლი - წევრი ***(აცსა, ფ.რ-19, საქ.1, ფურც.9).***

ყრილობაზე მთავარ საკითხად იქნა დასმული სისხლის აღების ადათთან ბრძოლა, რის გამოც დაიგეგმა 1923 წლის 28 მაისს, ორშაბათს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრების საგანგებო შეხვედრა ***(ფურც.28).***

ამავე ყრილობაზე შემდეგ საკითხებად იქნა წამოყენებული ქართული ენის მცოდნე ფერშლის გამოგზავნა ხეობაში და გზების მოწესრიგება***(იქვე).*** როგორც ვხედავთ პრობლემები ხეობის მცხოვრებთ მრავლად ჰქონდათ: უგზოობა, ჯანდაცვისა და განათლების პრობლემები, სადაც განსაკუთრებით სიძნელეს წარმოადგენდა გოგონების ჩაბმა სასწავლო პროცესში, სისხლის აღების მანკიერი წესები, ყოველივე ეს პრობლემას ქმნიდა ხეობის განვითარებისათვის.

1924 წლის დასაწყისისათვის აჭარისწყლის მაზრაში სამი სკოლა არსებობდა: აჭარისწყალზე, მახუნცეთში და ქვ. მარადიდში, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ***(აცსა, ფ.რ-4, საქ.88, ფურც.5)***, მაჭახლის ხეობაში, სოფ. ჩხუტუნეთში არსებულ სკოლა დახურული იყო, რადგანაც მასწავლებელი არ ჰყავდა. რელიეფის სირთულის გამო ძნელი იყო სათანადო კადრის გამონახვა, რომელიც დასთანხმდებოდა აღნიშნულ სკოლაში მუშაობას.

ამავე წლისათვის მაზრის ფარგლებში უკვე არსებობდა სამი საექიმო პუნქტი: აჭარისწყალზე, აჭარისაღმართში და ბაბუჩოღლებში. აქედან აჭარისწყლის საექიმო პუნქტი წითელი ნახევარმთვარის ხარჯებით ფუნქციონირებდა, ხოლო დანარჩენი ორი სახალხო კომისარიატის ხარჯით ***(აცსა, ფ.რ-4, საქ.88, ფურც.5. ფ.რ-19, საქ.4, ფურც.34).***

როგორც ჩანს მაზრაში უკმაყოფილო სუბიექტები არ იყო ნაკლები, ხშირი იყო გამოსვლები და ანგარიშსწორება ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. ამისათვის მაზრაში იყო განთავსებული განსაკუთრებული დანიშნულების მებრძოლებისათვის სათანადო ყაზარმა და პუნქტი ჩეკისტი ოფიცრებისათვის. ისინი მაზრის ყოველ თათბირს ესწრებოდნენ და გასცემდნენ სათანადო მითითებებს. ამასთან დაკავშირებით 1924 წელს ორჯერ ჩატარდა მასიური კრება, გაკეთდა განცხადება მენშევიკურ ბანდიტური გამოსვლების შესახებ, სადაც მადლობა გამოეცხადა ფუხარა ხალხს, რომლებიც შეიარაღებული გამოვიგნენ მენშევიკების წინააღმდეგ მუშურ-გლეხური მთავრობის დასაცავად *(აცსა, ფრ-19, საქ.3, ფურც.2).*

პირველი ეტაპისათვის მნიშვნელოვანი იყო დამთავრებულიყო მაჭახლის ხეობასთან დამაკავშირებელი ძირითადი გზა, რომელიც ხელს შეუწყობდა მაზრასა და თემს შორის სრაფ კომუნიკაციას. პრობლემას ქმნიდა ის გარემოებაც, რომ სკოლებისათვის არ არსებობდა შენობები სათანადო ინფრასტრუქტურით, მასწავლებელთათვის საერთო საცხოვრებელი და ხელშემწყობი გარემო, საექიმო პუნქტისათვის მედიკამენტები და სათანადო აღჭურვილობა. აუცილებელი იყო სწრაფად მიეღოთ სათანადო ზომები გამოსწორებული ყოფილიყო აღნიშნული პრობლემები

მაჭახლის თემში წარმოებულ სამუშაოებს აქტიურად აკვირდებოდა აჭარისწყლის მაზრის ხელმძღვანელობა. ისინი სისტემატურად მოითხოვდნენ ანგარიშებს წარმოებულ სამუშაოებზე. ხშირად აგზავნიდნენ მაზრის თანამშრომლებს ადგილზე საკითხების შესასწავლად, ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: - **„აჭარისაღმართის თემში ერთი ამხანაგის მივლინების შესახებ სკოლების საკითხის მოსაგვარებლად.**

აჭარისაღმართის თემში მივლინებულ იქნას ამხანაგი ალი ბექიროღლი და ამხანაგი აბაშიძე ადგილობრივი სკოლების ახალი ბინის, გზის და თემის მუშაობის გასაცნობად. მათ მიეცეს გზის ტექნიკი, ხოლო ამ უკანასკნელის გამოგზავნისათვის ეთხოვოს აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულება

28 ამათვისთვის მივლინებულ იქნას აჭარისწყალზედ ტექნიკი მაჭახლისათვის. *(აცსა, ფ.რ-19, საქ3, ფურც.11).*

აჭარისწყლის მაზრაში დაარსებულია 4 სამკითხველო, სადაც თავს იყრიან ხალხი და წითელარმიელები. მათ მიუდით ქართული, თათრული და რუსული გაზეთები. *(ფურც.15).*

აჭარისაღმართის თემის ანგარიშში ვკითხულობთ: „თანახმად თქვენი მომართვისა თარიღით 16. 01. 1924 N58 გაცნობებთ, რომ 01. 01. 1924 წლიდან არის მოსაწყობი და გასაკეთებელი ჩემდამი რწმუნებულ თემში ორი შკოლა და ერთი საფერშლო პუნქტი. ერთი შკოლა იქნება დაარსებული სოფელ აჭარისაღმართში, მეორე შკოლა და საფერშლო პუნქტი იქნება სოფელ ჩხუტუნეთში. სახლები იქნება მხოლოდ ქირით. სოფელ ჩხუტუნეთში მზად არის შკოლის მოწყობილობად სახლ-კარი. სოფელ აჭარისაღმართში არავითარი მოწყობილობა არ არის, გარდა სახლისა. საჭირო რემონტი იქნება გაკეთებული სახლის პატრონის მიერ. ამასთანავე საჭიროება მოითხოვს ორი ხიდის შეკეთებას აჭარისაღმართში და ჩიქუნეთში, ამისათვის საჭიროა მხოლოდ ფული და ცემენტი. აგრეთვე გასაყვანია წყალი 300 საჟენი ჩიქუნეთის ჭაზედ, რისთვისაც საჭიროა წყლის ტრუბები“ *(აცსა, ფ.რ-19, საქ.6, ფურც.9-10).*

1924 წლის 1 ივნისს ჩატარდა აჭარისაღმართის თემსაბჭოს მეშვიდე ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა თემის აღმასკომი შემდეგი შემადგენლობით: ქაზიმ თავდგირიძე - თავმჯდომარე, იუსუფ კირკიტაძე - მოადგილე, ახმედ კახიძე - წევრი, ჯასიმ ქოქოლაძე - კანდიდატი, აბდი კვირიტიძე - კანდიდატი. სხდომაზე გადაწყდა, რომ მცირე პრეზიდიუმი მოწვეული იქნებოდა კვირაში ორჯერ, ხოლო ფართო შემადგენლობით - კვირაში ერთხელ.

სხდომაზე ასევე განხილულ იქნა საკითხები: სოფელ აჭარისაღმართში კოოპერატივისა და სკოლის დაარსების, გზის შეკეთების, კონტრაბანდასთან და ყაჩაღებთან ბრძოლის შესახებ *(აცსა, ფ.რ-4, საქ.88, ფურც.10-11),* აჭარისაღმართის საექიმო პუნქტისადმი მედიკამენტების შეძენის შესახებ *(აცსა, ფ.რ-19, საქ.4, ფურ.43).*

აჭარისაღმართის თემში 1924 წლის განმავლობაში წარმოებული საქმიანობისა და თემის მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის

თემის აღმასკომის მიერ აჭარისწყლის მაზრისათვის წარდგენილი ანგარიში რომელიც წარდგენილია 1925 წლის 5 იანვარს.

აჭარისწყლის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს თვიური მოხსენება

აჭარისაღმართის თემის აღმასკომის მუშაობა 01. 10. 1924-დან 27. 12. 1924-მდე.

1. შემოსული სხვადასხვა კორესპონდენცია - 111
2. გასული სხვადასხვა მიმოწერა - 214
3. დაქორწინება - 8
4. დაბადება - 8
5. გარდაცვლილია - 8
6. ორი სკოლაა დაარსებული: 1. აჭარისაღმართში, 2. ჩიქუნეთში.
7. მაჭახლის გზის მხოლოდ ორი ვერსი მიწის სამუშაოა დამთავრებული.
8. სოფლად წვრილმანი (საცალფეხო) გზები არის შეკეთებული.
9. სასოფლო სამეურნეო გადასახადებიდან 430 მანეთია აკრეფილი.
10. შეკეთებულია ადგილობრივი აღმასკომის ბინა, რომელზეც დაიხარჯა 60 მანეთი *(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.7).*

წლიური მოხსენება 01.01. 1924 – 10.01. 1925.

1. შემოსული არის მიმოწერის ქაღალდი - 229
2. გასული - 1041
3. გარდაცვლილი - 11 სული
4. დაბადებული - 25 სული
5. დაქორწინებული - 11 სული
6. განქორწინებული - 1
7. თემის მცხოვრებლებს დაურიგდათ მაზრიდან გამოგზავნილი შეკერილი ტანსაცმელი რიცხვით - 770 ცალი
8. განაწილებულ იქნა მცხოვრებლებზე 40 ფუთი ნავთი
9. დაურიგდა მცხოვრებლებს 40 მისხალი აბრეშუმის თესლი
10. 1924/1925 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადი იქნა აკრეფილი

11. თემში გაიხსნა საექიმო პუნქტი
12. თემში გაიხსნა ორი სკოლა: ერთი სოფელ აჭარისაღმართში, სკოლაში ირიცხება 20 მოსწავლე (ვაჟი). წ.კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაში ითვლება 15 კაცი. მეორე სკოლა გაიხსნა სოფელ ჩიქუნეთში - 29 მოწაფე, წ.კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაში ირიცხება 33 კაცი.
13. გაყვანილ იქნა სკურდიდის გზა სიგრძით 7 ვერსი
14. თემში გაიხსნა ქოხ-სამკითხველო
15. იყო ერთი მკვლელობისა და ერთი ძარცვის შემთხვევა

აღმასკომის თავმჯდომარე: ქაზიმ თავდგირიძე *(ფურც.25).*

1925 წლის დასაწყისისათვის აჭარისწყლის მაზრაში არსებობდა 8 სკოლა, აქედან 2 სკოლა მაჭახლის ხეობაში სოფ, აჭარისაღმართსა და ჩიქუნეთში იყო, ამ სკოლებთან არსებობდა წერე-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. მაზრაში არსებობდა 4 ქოხსამკითხველო, აქედან ერთი სოფ. აჭარისაღმართში, და ერთი კლუბი. კლუბი არსებობდა თვით აჭარისწყალზე, სადაც ჩატარდა ერთი წარმოდგენა ქართულ-რუსულ ენაზე *(აცსა, ფ.რ-19, საქ.3, ფურც.23).*

1925 წლის 2 თებერვლისათვის აჭარისწყლის მაზრის სამომავლო ხარჯში შეტანილი იქნა სოფ. ჩიქუნეთის სკოლის შენობის, სოფ. აჭარისაღმართის ხიდისა და სოფ. ცხემლარაში ქვის თაღოვანი ხიდის (ე.წ. თამარის ხიდის) აგება-შეკეთება *(ფურც.76).*

1925 წლის 25 ივნისს სოფ. აჭარისაღმართში გაიმართა აჭარისაღმართის თემის პრეზიდიუმის მეორე ყრილობა. პრეზიდიუმზე განხილულ იქნა სოფ. აჭარისაღმართში სახალხო სახლისა და სოფ. ქედქედში ჯარის კაზარმის მშენებლობის საკითხები *(აცსა, ფ.რ-19, საქ.3, ფურც.75),* საკითხები: ობლებისა და მათი ქონების დაცვის, მეურვეების დანიშვნის, ობლების ქონების აღწერისა და ობლების მოჯამაგირედ გაცემის და მეურვეების პერიოდული ანგარიშების შესახებ *(ფურც.76).*

ყრილობამ დაადგინა, რომ თხოვნით მიემართა აჭარისწყლის მაზრის საბჭოსათვის, რათა სოფ. აჭარისაღმართში დაარსებულიყო აგრონომიული პუნქტის განყოფილება საცდელი, საჩვენებელი სკებით, რომელიც ხელს შეუწყობდა მეფუტკრეობის ახალ სისტემაზე გადასვლას *(იქვე).*

1925 წლისათვის მაჭახლის ხეობაში უკვე არსებობდა 4 დაწყებითი ტიპის სკოლა სოფლებში: აჭარისაღმართში, ჩიქუნეთში, ჩხუტუნეთსა და ქედქედში. ამავდროულად სოფ. აჭარისაღმართში არსებობდა საექიმო პუნქტი, ქოხსამკითხველო, სახალხო სახლი და აგრონომიული პუნქტი. სკოლებთან არსებობდა წერა-კითხვის უცოდინართათვის სალიკვიდაციო სკოლები. მაგრამ, გარკვეული მიღწევების მიუხედავად პრობლემაც ბევრი იყო.

1925 წლის 23 სექტემბრისათვის აჭარისაღმართის თემის ბიუჯეტი ასე გამოიყურებოდა:

1. თემის აღმასკომი - 3244 მან 29 კაპ.

2. საექიმო პუნქტი - 3204 მან 60 კაპ.

3. აჭარისაღმართის სკოლა - 1105 მან. 70 კაპ.

4. ჩიქუნეთის სკოლა - 1156 მან. 20 კაპ.

5. ჩიქუნეთის ლიკვიდპუნქტი - 150 მან 25 კაპ.

6. აჭარისაღმართის ლიკვიდპუნქტი - 184 მან.

7. 14 სოფლის საბჭოს - 2778 მან

8. სხვა ხარჯები - 512 მან. 70 კაპ.

სულ 12 335 მან 74 კაპ.

გარდა ამისა

1. ჩიქუნეთის გზის გასაყვანად - 30 000 მან.
2. აჭარისაღმართის ხიდის შეკეთება - 1000 მან.
3. ქედქედის ხიდის გაკეთება - 500 მან.
4. აჭარისაღმართის სახალხო სახლის გაკეთება - 2000 მან.
5. სოფ. ჩიქუნეთში, ჩხუტუნეთში, გორგაძეთში, ქედქედში წყლის გაყვანა - 1000 მან.
6. თემის აღმასკომში ტელეფონის ხაზის გაყვანა - 300 მან.

   სულ 34 800 მან *(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.142).*

სულ რაღაც ერთ კვირაში 1925 წლის 29 სექტემბრისათვის აჭარისაღმართის თემის ბიუჯეტი შეუცვლიათ შემდეგნაირად:

„- მიღებულ იქნას აჭარისაღმართის თემის ბიუჯეტი ნაცვლად 50 145 მან 46 კაპ-ისა 22 105 მან 46 კაპ. ე.ი. 28 040 მანეთით ნაკლები.

- თემის აღმასკომის მესამე წევრისათვის ჯამაგირის 540 მანეთის დანიშვნა მოხსნილ იქნას.

- გახსნილ იქნას შტატი ჩიქუნეთის გზის მეთვალყურის, წელიწადში 500 მანეთის ჯამით.

- ჩიქუნეთის გზის ხარჯთაღრიცხვა 30 000 მანეთის ჯამით მოხსნილ იქნას, ვინაიდან აღნიშნულ მუშაობას აწარმოებს მთავარი სააღმშენებლო სამმართველო.

- გადიდებულ იქნას 2000 ლარით ახალი აღმშენებლობითი სამუშაოების ხარჯები, ე.ი. თემის მიერ მიღებული წყალსადენის და სატელეფონო ხაზების გაყვანის ხარჯები გადიდებულ იქნას თითო 1000-1000 მანეთით“ ***(აცსა, ფ.რ-19, საქ.11, ფურც.11).***

მაჭახელში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე პრობლემები შეექმნათ ხეობაში მცხოვრებ ლაზებს, რომლებიც ცხოვრებდნენ სოფ. ქედქედსა და ჭანივრში. მაზრის ხელისუფლება თემის ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა მიეღო სათანადო ზომები ლაზების ხეობიდან გასაძევებლად ***(ფურც.28).*** საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ლაზები, როგორც ეთნოსი საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელ, არასანდო ელემენტებად მიიჩნეოდნენ, როგორც თურქეთის „ერთგული“ მოსახლეობა.

1926 წლიდან აჭარისაღმართის თემის აღმასკომის თავ-რედ დაინიშნა ჯასიმ ქოქოლაძე, თანაშემწედ - იუსუფ კახიძე, წევრად - ხუსტურ აფხაზოღლი, სადარაჯოს უფროსად - ხამიდ ნაგერვაძე, ხოლო მდივნად - თავდიშვილი ***(საქ.15, ფურც.69).***

ჯასიმ ქოქოლაძეს საქმისადმი ყურადღებიან და პრინციპულ ადამიანად ახასიათებენ თანამედროვენი. მისი რიდი ყველას ჰქონდა. მართალია წერა-კითხვა არ იცოდა ჯასიმმა, მაგრამ, სამაგიეროდ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა.

ჯასიმ ქოქოლაძესთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მისი თანამედროვე, აჭარისაღმართის რაისკოლის გამგე ვლადიმერ ჯაველიძე:

„აჭარისაღმართის სოფლების დიდი მესვეური იყო ჯასიმ ქოქოლაძე, შუახანს გადაცილებული, ჯმუხი, ჯანიანი კაცი, წერა-კითხვის არმცოდნე, მაგრამ იყო გონიერი, დიდი ნიჭის პატრონი. მას აფასებდნენ. არჩეული იყო აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

შეუძლებელი იყო ჯასიმის მოტყუება, ამას ვერც გაბედავდნენ, მისი სახელი ყველამ იცოდა, ყველა იცნობდა. მას დიდ მაჭახლის თემში დადგენილებების გამოტანა არ სჭირდებოდა, მისი სიტყვა კანონი იყო, მაგრამ, განა უკანონოს გააკეთებდა?

სოფლად იყო სხვადასხვა სახის გადასახადი, სასოფლო საბჭოს თანხის ამკრეფი არ ყოლია, ყველაფერს ჯასიმი უძღვებოდა. ჰქონდა ერთი დიდი ცხვირსახოცი, რომლის ერთ ყურში ერთი სახის გადასახადი ჰქონდა გამოკრული, მეორეში - მეორე. საანგარიშო ჩოთქი იცოდა, ანგარიში არ ეშლებოდა, გადასახადის თანხა ერთიმეორეში არ ერეოდა, არც არაფერი დაკლებია და ყოველთვის დავალებებს პირნათლად ასრულებდა. მას კარგად ეხმარებოდა აღმასკომის მდივანი, ისიც გვარად ქოქოლაძე იყო, მას ახმედი ერქვა.

ჯასიმი დაინტერესებული იყო სწავლა-განათლებით. როგორც შემდგომში გავიგე, კირნათიდან ჩემი გადაყვანა აჭარისაღმართში ჯასიმის თხოვნით შეუსრულებია ბათუმის რაიონის მაშინდელ განათლების განყოფილების გამგეს, „დაგინახე კირნათში და მომეწონა შენი ხალხთან დამოკიდებულება“ მითხრა ერთხელ ჯასიმმა.

აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს ცენტრში იყო სკოლა, საექიმი პუნქტი, მილიციის რწმუნებული, კავშირგაბმულობის რწმუნებული. ყველა მასწავლებელი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყო ჩამოსული, სოფსაბჭოს თავ-რე მათ მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა, ეხმარებოდა ყოველ მხრივ. ჩიქუნეთში მასწავლებელ ქალ ჭყონიას მიმართ უხეში დამოკიდებულება გამოუჩენია ერთ-ერთ გლეხს. ჯასიმი გაცეცხლებული იყო, ეს როგორ გაბედაო. შემდეგ მე მითხრა, რომ წავსულიყავი და გავრკვეულიყავი საქმეში. სასტიკად გაკიცხა ის გლეხი. განა ვინმემ

ენა შეუბრუნა? ჯასიმი ხომ მათი მამა და ნამდვილი ნინამძღვარი იყო *(ჯაველიძე, 2012-2013:12).*

ხეობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ყაჩაღებთან და კონტრაბანდასთან ბრძოლა რჩებოდა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ მაჭახლის გზა ყაჩაღებისთვის და კონტრაბანდისტებისათვის ხელსაყრელ გზად ითვლებოდა ზედა მაჭახლის გავლით თურქეთში გადასასვლელად, მაშინ, ჯერ კიდევ საზღვრები სათანადოდ არ კონტროლდებოდა და ადვილად იყო მოსახერხებელი საზღვაზე აკრძალული საქონლოს გადატანა-გადმოტანა. ხშირი იყო ყაჩაღებისა და კონტრაბანდისტების მიერ წითელარმიელებზე თავდასხმისა და იარაღის წართმევის შემთხვევები *(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.104),* ყაჩაღების მიერ სოფლების მოსახლეობაზე თავდასხმები, მოსახლეობა საღამოობით შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა. ბრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ სამწუხაროდ ავაზაკების თარეშს ხელს უწყობდა თვით გლეხობის ერთი ნაწილი. ეს ხელის შეწყობა გამოიხატებოდა გზის სწავლებაში, სასმელ-საჭმელით და თავშესაფრით უზრუნველყოფაში და სხვა *(საქ.15, ფურც.206).* მაგრამ ყოველივე ეს მკაცრად კონტროლდებოდა და იდევნებოდა კონტრდაზვერვისა და ჩეკას მიერ. ყაჩაღებთან და კონტრაბანდისტებთან ბრძოლაში განსაკუთრებით სახელი ჰქონდა განთქმული მაიორ ცხვირაშვილს.

აჭარისაღმართის თემში ხუთი სოფლის საბჭო შედიოდა. ეს საბჭოები და მასზე დაქვემდებარებული სოფლები შემდეგი იყო: აჭარისაღმართის (აჭარისაღმართი, სკურდიდი ცხემლარა), ზედა ჩხუტუნეთი (ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი), ჩიქუნეთის, გორგაძეთის (გორგაძეთი, ქავთარეთი, საფუტკრეთი), ქედქედის (ქედქედი, ჭანივრი, სინდიეთი). თემის საბჭოსთან არსებობდა სექციები, ხოლო სოფლის საბჭოებთან პრაქტიკული კომისიები 5-7 კაცის შემადგენლობით. სექციები და კომისიები სათავეში ედგნენ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას (სკოლების გახსნა, სასკოლო ასაკის მოსწავლეთა აღრიცხვა, მშობლებთან მუშაობა, სოცშეჯიბრის გაშლა სკოლის ფარგლებში, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და სხვ.), სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეს, სასოფლო-სამეურნეო აღმშენებლობით და კოოპერატიულ საქმიანობას (სათესი ადგილების დროზე მოხვნა და თესვის კამპანიის ჩატარება, სათესლე სიმინდის დახარისხება, ყანების გათოხნა, მუდმივი დამხმარე კომიტეტების გამოყოფა,

სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა და ქვრივ-ობლებზე დახმარება, გზების, ხიდების, წისქვილების აგება, კოლექტივიზაციის მნიშვნელობაზე საუბრების ჩატარება და ა.შ.) ***(კახიძე, 1974:76-77).***

როგორც მოგახსენეთ კოლმეურნეობების ჩამოყალიბებამ და ხეობაში დაწყებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა შექმნა აუცილებლობა აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოში ჩამოყალიბებულიყო სექციები, რომლებიც შეფობასა და ზედამხედველობას გაუწევდნენ კონკრეტულ დარგებს:

1. კულტურულ-საყოფაცხოვრებო სექცია - წევრები: პეტრე მელია, შუქრი ქოქოლაძე, ოსმან მსხალაძე.
2. სასოფლო-სამეურნეო სექცია - მემედ კახიძე.
3. საფინანსო-საგადასახადო სექცია - მემედ ფუტკარაძე.
4. კოოპერატიული დამზადების სექცია - ხამუდ ნაგერვაძე.
5. საგზაო და კავშირგაბმულობის სექცია - დაუთ ნაგერვაძე.
6. სატყეო სექცია - ჯასიმ ქოქოლაძე.
7. მესაქონლეობის სექცია - ახმედ ქოქოლაძე ***(აცსა, ფ.რ-221, საქ.1, ფურც.7).***

საბჭოთა წყობილების პირველ ეტაპზე, ხეობაში ფუნქციონირებდა სახალხო სასამართლო, რომელიც განიხილავდა მცირედ დანაშაულებრივ გადაცდომებს. სასამართლოს თავ-რეებად მუშაობდა რეუბ ბასილაძე, შემდგომში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დაუთ ნაგერვაძე ***(ფურც.8).***

1935 წლიდან 1936 წლის მარტამდე აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს აღმასკომს სათავეში ედგა ახმედ ფერათის ძე ბერიძე, დაბადებული 1905 წელს. 1933 წლიდან პარტიის წევრი, საშუალო განათლებით. იმ პერიოდში აღმასკომის მდივნად მუშაობდა სანო სარჯველაძე, ხოლო ფინანსურ მუშაკად ეროდიონ ბარაბაძე, დაბ. 1910 წელს, პარტიის წევრი 1933 წლიდან, საშუალო განათლებით ***(აცსა, ფ.რ-4, საქ.879, ფურც.3, 23).*** მოგვიანებით მდივნად მუშაობა დაუწყია სანი ოსმანის ძე სალვარიძეს, დაბ. 1908 წ. პარტიის წევრი 1933 წლიდან, საშუალო განათლებით ***(საქ.976, ფურც.34).***

1935 წლის 1 აგვისტოს აღწერით ბათუმის რაიონის აჭარისაღმართის სასოფლო საბჭო აერთიანებდა 8 სოფელს. სულ კომლთა რაოდენობა სასოფლო საბჭოში 362,

ხოლო სულადობრივი რაოდენობა 2421 შეადგენდა. ფართობი სასოფლო საბჭოსი 33.3 კვ.კმ-ია, ხოლო მანძილი ცენტრამდე 29 კმ.

საბჭოში შემავალი სოფლების დასახელება	წამყვანი უმთავრესი კულტურა	მოსახლეობა		კოლმეურნეობაში		ინდ. მეურნეობაში	
		კომლი	სული	კომლი	სული	კომლი	სული
1	2	3	4	5	6	7	8
აჭარისაღმართი	მემინდბრეობა	48	301	-	-	48	301
ქედქედი	მემინდ. თამბაქო	58	360	21	149	37	211
გორგაძეთი	მემინდ. თამბაქო	43	279	21	151	22	128
ზ. ჩხუტუნეთი	მემინდ. თამბაქო	53	377	30	236	23	141
ქვ. ჩხუტუნეთი	მემინდ. თამბაქო	21	118	13	90	8	28
ცხემლალა	მემინდ. თამბაქო	36	245	5	45	31	200
სკურდიდი	მემინდვრეობა	21	124	1	2	20	122
ჩიქუნეთი	მემინდ. თამბაქო	82	617	5	52	77	565

(აცსა, ფ.რ-4, საქ.879, ფურც. 17).

ამავე წლისათვის (1935) აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოში არსებობდა 7 საარჩევნო უბანი. ამომრჩევლებიდან მამაკაცთა რაოდენობა შეადგენდა 644, ხოლო ქალთა - 595, მათ შორის აჭარელი ქალი - 580 *(აცსა, ფ.რ-18, საქ.64. ფურც.8).*

1936 წლის 10 მარტისათვის აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავ-რე ახმედ ფერათის ძე ბერიძე ჩაანაცვლა ხუსეინ დიმიტრის (ქიბარის) ძე დიასამიძემ.

მდივანად და ფინანსურ მუშაკად კვლავ ძველი მუშაკები დარჩნენ - სანი სალვარიძე და იროდიონ ბარაბაძე, რომელიც 1934 წლიდან მუშაობდა აჭარისაღმართის საბჭოს აღმასკომსი ფინანსურ მუშაკად. ***(აცსა, ფ.რ-4,საქ.889, ფურც.74-75).***

ხუსეინ დიასამიძის შესახებ ვკითხულობთ - „აჭარისაღმართის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობს ხუსეინ ქიბარის ძე დიასამიძე, დაბადებული 1901 წელს. პ/წ 1925 წლიდან. ამ სამუშაოზე გადმოსვლამდე მუშაობდა ხულოს რაიონში 1924 წლიდან 1928 წლამდე რაიდეპოში თავმჯდომარის მოადგილედ, 1928 წლიდან 1931 წლამდე სხალთის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ. 1931 წლიდან 1933 წლამდე რაიმიწგანის გამგედ ხულოში. 1933 წლიდან 1934 წლამდე რაიმუშგლეხინის თავმჯდომარედ, 1934 წლიდან 1936 წლამდე რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ ხულოში.

1936 წლიდან კი მუშაობს აჭარისაღმართის საბჭოს თავმჯდომარედ. მუშაობით კარგად მუშაობს, მაგრამ ცუდი მატერიალური პირობების გამო თხოულობს გადაყვანას სხვაგან. რაიკომის აზრია მისი გადმოყვანა კახაბრის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ და იქ (აჭარისაღმართში) სხვა ამხანაგის გაგზავნა, ან ამხანაგ დიასამიძისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ შეეძლოს იქ დარჩენა და მუშაობა.

საქ. კ.პ. ბათომის რაიკომის მდივანი: ცქვიტინიძე. ***(საქ.905, ფურც.46).***

1936 წლის მაისიდან აჭარისაღმართის საბჭოს აღმასკომის მდივნად მუშაობა დაუწყია ხუსია ომერის ძე ქონდარიძეს, დაბ. 1917 წ., გან. დაბალი, პ.წ. ***(საქ.991, ფურც.7).***

მაჭახლის თემის სოფლებში არსებულ დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის 1936 წლის ანგარიში:

ანგარიში სოფლებში არსებული დაწესებულებებისა 1936.

სოფ. აჭარისაღმართს გააჩნია ქოხი-საკითხავი ერთი ოთახი, რომელიც გამოუსადეგარია. არ არის საკმარისი ინვენტარი. დამონტაჟებული რადიომიმღები მუშაობს არარეგულარულად - ხარვეზებით. სამკითხველო დროგამოსვებით - დაგვიანებით მარაგდება 6 სხვადასხვა სახის გაზეთებით. სამკითხველოს გააჩნია 420 სხვადასხვა დასახელების წიგნი და ბროშურა, რომელიც საჭიროებს შეცვლასა და შევსებას. სამკითხველოს ხელმძღვანელობს ამხანაგი იზეთ აფხაზოღლი, აჭარელი,

კომკავშირის წევრი. დამთავრებული აქვს საბჭოთა პარტიული სკოლა. გააჩნია 1 წლის მუშაობის სტაჟი.

სოფ. ზ. ჩხუტუნეთში არსებობს არასრული საშუალო სკოლა გათვლილი 80 მოსწავლეზე, სკოლას გააჩნია საკმარისი ინვენტარი. სწავლა-განათლება წარმოებს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია ილია მიხეილის ძე ტყეშელიძე, 1907 წელს დაბადებული. დამთავრებული აქვს პედაგოგიური უნივერსიტეტის 4 კურსი, აქვს 6 წლის სტაჟი.

სოფ. სკურდიდში არსებობს 30 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა, შენობა სასკოლოდ გამოუსადეგარია, არ გააჩნია საკმარისი სასკოლო ინვენტარი. სწავლა-განათლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია ადემ თალიბის ძე დავითაძე, კომკავშირის წევრი, დაბადებული 1910 წელს. აქვს საშუალო პედაგოგიური განათლება და 2 წლის სამუშაო სტაჟი.

სოფ. ქვ. ჩხუტუნეთში არსებობს 35 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. სენობა სასკოლოდ გამოუსადეგარია, არ არის საკმარისი სასკოლო ინვენტარი. სწავლა-განათლება წარმოებს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია ივანე ვლადიმერის ძე ნაჭყებია, კომკავშირის წევრი. დაბადებული 1909 წელს, საშუალო პედაგოგიური განათლებით და 5 წლიანი სტაჟით.

სოფ. აჭარისაღმართში არსებობს 60 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. სკოლის შენობა და გარემო სრულად აკმაყოფილებს სასკოლო მოთხოვნებს. საკმარისია სასკოლო ინვენტარიც. სწავლა-განათლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია ესტაპი ანდრიას ძე გომელია, პარტიის წევრი, დაბადებული 1892 წელს, აქვს საშუალო პედაგოგიური განათლება და მუშაობის 19 წლის სტაჟი.

სოფ. საფუტკრეთში არსებობს 18 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. შენობა აბსოლიტურად გამოუსადეგარია და არ მიესადაგება სასკოლო მოთხოვნებს. არ გააჩნია საკმარისი ინვენტარი. სწავლა-განათლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია ამხანაგი ილარიონ ალექსანდრეს ძე კვარაცხელია, კომკავშირის წევრი, დაბადებული 1912 წელს, სასუალო განათლებით და 4 წლის სტაჟით.

სოფ. ცხელალაში არსებობს 32 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. სკოლის შენობა გამოუსადეგარია, არ არის საკმარისი სასკოლო ინვენტარი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია აკაკი იაკინთეს ძე შუბლაძე, კომკავშირის წევრი, დაბადებული 1910 წელს, საშუალო განათლებით და 3 წლიანი სამუშაო სტაჟით.

სოფ. გორგაძეთში არსებობს 20 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. სკოლის შენობა სრულად აკმაყოფილებს სასკოლო მოთხოვნებს. გააჩნია საკმარისი სასკოლო ინვენტარი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია აბდულ მემედის ძე გვიანიძე, კომკავშირის წევრი, დაბადებული 1914 წელს, დაუმთავრებელი სასუალო განათლებით და 1 წლის გამოცდილებით.

სოფ. ქედქედში არსებობს 43 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. სკოლის შენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. გააჩნია საკმარისი ინვენტარი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია ევგენი მაქსიმეს ძე ნაჭყებია, პარტიის წევრი, დაბადებული 1901 წელს, საშუალო განათლებით და 5 წლიანი სტაჟით.

სოფ. სინდიეთში არსებობს 21 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. სკოლის შენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ არ გააჩნია საკმარისი სასკოლო ინვენტარი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია გრიგოლ ივანეს ძე ზაქარაძე, პარტიის წევრი, დაბადებული 1914 წელს, საშუალო განათლებით და 1 წლიანი სტაჟით.

სოფ. ჩიქუნეთში არსებობს 68 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. სკოლის შენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, გააჩნია საკმარისი სასკოლო ინვენტარი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია ივანე ნიკიფორეს ძე ჩხაიძე, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი, დაბადებული 1902 წელს, საშუალო განათლებით და 7 წლიანი სტაჟით.

სოფ. ქოქოლეთში არსებობს 35 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლა. შენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, გააჩნია საკმარისი სასკოლო ინვენტარი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის დირექტორია გრიგოლ ისაკის ძე მდივანი,

კომკავშირის წევრი, დაბადებული 1911 წელს, საშუალო განათლებითა და 5 წლის სტაჟით.

აჭარისაღმართის სასოფლო საბჭო დაკომპლექტებულია 24 მასწავლებლით. მათ შორის უმაღლესი განათლება აქვს 1 მასწავლებელს, საშუალო - 19, დაბალი - 4. მათ შორის მამაკაცია - 16, ქალი - 8. მათ შორის ერთი აწარელია, ხოლო დანარჩენი 23 ქართველი. სტაჟის მიხედვით ხუთწლამდე სტაჟი აქვს 21, ხოლო ათი წელი და ზემოთ - 3.

აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს გააჩნია ერთი სავაჭრო წერტი „სელპო“, რომლის ფართობია 28 კვ.მ. გამყიდველია მოქალაქე ბილალ მალაყმაძე. როგორც გამყიდველი (მოსამსახურე) სუსტია და საჭიროებს შეცვლას. აღნიშნული სავაჭრო წერტის საქონელბრუნვის გეგმა შეადგენს 8000 მანეთს.

აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოში არსებობს პარტიულ-კომკავშირული ჯგუფი გაერთიანებული 2 კომუნისტითა და 9 კომკავშირელით.

კომკავშირული ორგანიზაციები არსებობს შემდეგ სოფლებში:

აჭარისაღმართი - 23 კაცი. კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელია ისმაილ თალიბის ძე მორთულაძე, დაბადებული 1906 წელს კომკავშირის წევრი 1925 წლიდან, დაბალი განათლების, გლეხი. კომკავშირულ საქმიანობას უძღვება დამაკმაყოფილებლად. კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელია 1936 წლიდან.

სოფ. სკურდიდი - კომლეურნეობა „სკურდიდი“ - 3 კაცი. კომ. ორგ. ხელმძღვანელია მურთაზ ხალილის ძე აბესლამიძე, დაბადებული 1912 წელს. კომკავშირის წევრი 1935 წლიდან. განათლება დაბალი, კოლმეურნე. კომკავშირულ საქმიანობას უძღვება დამაკმაყოფილებლად. კომ. ორგ. ხელმძღვანელობს 1936 წლიდან.

სოფ. ჩიქუნეთი - კოლმეურნეობა „ბაქრაძე“ – 4 კაცი კომ. ორგ. ხელმძღვანელია ჰაიდარ მემედის ძე მალაყმაძე, დაბადებული 1911 წელს. კომკავშირტის წევრია 1928 წლიდან. განათლება დაბალი, კოლმეურნე, მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კომ. ორგ. ხელმძღვანელია 1936 წლიდან.

სოფ. ქედქედი - კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯი“ – 15 კაცი. კომ. ორგ. ხელმძღვანელია სულეიმან ახმედის ძე გორგაძე, დაბადებული 1912 წელს. კომ. წევრია 1931 წლიდან. განათლება დაბალი, კოლმეურნე. მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კომ ორგ. ხელმძღვანელია 1936 წლიდან.

სოფ. გორგაძეთი - კოლმეურნეობა „ვოროშილოვი“ – 8 კაცი. კომ.ორგ. ხელმძღვანელია ახმედ მურადის ძე გორგაძე, დაბადებული 1911 წელს კომ. წევრი 1928 წლიდან. განათლება დაბალი, კოლმეურნე. მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კომ.ორგ. ხელმძღვანელია 1934 წლიდან.

სოფ. ზ. ჩხუტუნეთი - კოლმეურნეობა „ლენინიზმი“ – 6 კაცი. კომ. ორგ. ხელმძღვანელია ხუსეინ თალიბის ძე კახიძე, დაბადებული 1913 წელს. კომ. წევრი 1935 წლიდან. განათლება დაბალი, კოლმეურნე. მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კომ. ორგ. ხელმძღვანელია 1936 წლიდან *(აცსა, ფ.რ-4, საქ.905, ფურც. 7-9).*

საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენდა ქალთა ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1930-იანი წლებიდან ხეობაში დაიწყო ქალების მასიური ჩაბმა თემისა და აღმასკომის საქმიანობაში სხვადასხვა პოზიციაზე. მაჭახლის ხეობაში ასეთ პიონერებს წარმოადგენდნენ:

1. ფარტენაძე აიშე ომერის ასული - განათლება დაბალი, დამზადების სექციის წევრი
2. შაშიკაძე ნიზაქეთ ხასანის ასული - განათლება დაბალი, მეცხ-ის სექციის წევრი
3. გორგაძე ფადიმე მევლუდის ასული - განათლება დაბალი, კულტურის სექციის წევრი
4. გორგაძე ლუთბიე მემედის ასული - განათლება დაბალი, ფინ. სექციის წევრი
5. კახიძე ხენიფე მულთუზის ასული - განათლება დაბალი, ფინ. სექციის წევრი
6. ქონდარიძე სელვეთ დემურალის ასული - განათლება დაბალი, ფინ. სექციის წევრი *(საქ.1055, ფურც.8).*

1937 წლის 21 იანვრიდან დაისვა საკითხი მახუნცეთისა და აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოების გაყოფის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა აღნიშნული

სასოფლო საბჭოს მშრომელთა უკეთ მომსახურებას. 1937 წლის 31 იანვრისათვის აჭარისაღმართის სასოფლო საბჭო გაიყო შემდეგნაირად:

1. აჭარისაღმართი - ცენტრი სოფ. აჭარისაღმართი, ქედქედი, სინდიეთი, სკურდიდი, ცხამლალა. სულ 190 კომლი.
2. ჩხუტუნეთი - ცენტრი ქვ. ჩხუტუნეთი, ზ.ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ქოქოლეთი, გორგაძეთი. სულ 262 კომლი *(საქ.1062, ფურც.27).*

თუმცა სოფლების ასეთმა დაყოფამ შედეგი ვერ გამოიღო და გაყოფილი სოფლები კვლავ აღდგა ერთ თემად.

1937 წელს აჭარისაღმართში დაარსდა კოოპერატივი, რომელიც ემსახურებოდა მთელი ხეობის მოსახლეობას *(საქ.1062, ფურც.6-7).*

თემში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად წერა-კითხვის უცოდინარობა იყო. ამისათვის თემში ფართოდ იყო გაშლილი სალიკვიდაციო სამუშაოები. ხშირად იმართებოდა სოციალისტური შეჯიბრებები რაიონებსა და თემებს შორის, სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეთათვის გამოყოფილი იყო საპრემიო ფონდი 5000 მანეთის ოდენობით: თავმჯდომარეებისათვის - 500 მან, სექციის ხელმძღვანელებისათვის - 250 მან, მასწავლებლებისათვის - 300 მან, მუშათა კომ. თავ-რეებისათვის - 200 მან, მსმენელთათვის - 50 მან *(ფურც. 28)*

1937 წლის 12 აპრილს აღმასკომის თავ-რეობიდან განთავისუფლდა ხუსეინ დიასამიძე და მის ადგილას დაინიშნა ახმედ თავდგირიძე. ამ პედიოდისათვის აჭარისაღმართის საფოსტო განყოფილებას ხელმძღვანელობდა მულთუზ აბესლამიძე *(აცსა, ფ.რ-221, საქ.11, ფურც.12).* 27 ივნისისათვის მულთუზ აბესლამიძე გაათავისუფლეს, როგორც სუსტი მუშაკი და წერა-კითხვის არმცოდნე და მის ადგილზე დაინიშნა უ. ქოქოლაძე *(ფურც.20).*

როგორც ჩანს 1937 წლის ბოლოსათვის წერა-კითხვის ლიკვიდაციასთან ბრძოლაში საქმე რთულად იდგა. თემის აღმასკომი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევდა ჩატარებულ საქმიანობას, სოფლებში მიმაგრებული მუშაკები ყოველნაირად ცდილობდნენ არსებულ პრობლემასთან ბრძოლაში როგორმე

წინსვლისათვის მიეღწიათ. აღმასკომიდა პასუხისმგებელ პირებად სოფლებში მიმაგრებული იყვნენ: ქედქედში - მემედ მსხალაძე, აჭარისაღმართში - აიშე აფხაზოღლი და ისმაილ მორთულაძე, ცხემლალაში - ხამუდ ნაგერვაძე და ხუსია ნაგერვაძე, ქვ. ჩხუტუნეთში - უზეირ კირკიტაძე, ზ. ჩხუტუნეთში - მემედ კახიძე, გორგაძეთში - ფეზლი გორგაძე, ჩიქუნეთში - იუსუფ გორაძე და ვანო ჩხაიძე, სკურდიდში - ახმედ კახიძე *(საქ.14, ფურც.28).*

1937 წლის რეპრესიების ტალღამ არც მაჭახლის ხეობა დატოვა უვნებელი, რეპრესიებს ხეობის ათობიც მაცხოვრებელი ემსხვერპლა. მათ რიცხვში აღმასკომის ყოფილი თავ-რე ქაზიმ ხუსეინის ძე თავდგირიძე და მისი ძმები ხასანი და რიზა იყვნენ. ძმები 1937 წლამდე აღმასკომის სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდნენ, გამოირჩეოდნენ განათლებითა (წერა-კითხვის ცოდნით) და ცხოვრებისეული გამოცდილებით. მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას განათლებული ხალხი არ სჭირდებოდა, მთავარია კომუნისტური ხელისუფლების ერთგული და მისი ხაზის გამტარებელი ყოფილიყო.

საბჭოთა წყობილების დამყარების საწყის ეტაპზე მაჭახლის ხეობაში მრავალი პრობლემა რჩებოდა გადასაწყვეტი, თუმცა მაზრისა და თემის ხელისუფლება აქტიურად ჩაება ამ პრობლემების მოგვარებაში, სოფლებმა, რომლებიც აქამდე ჩაკეტილი იყო და უპატრონოდ იყო მიტოვებული გამოცოცხლება დაიწყო. მაჭახლელ კაცს მიეცა იმედი ზიარებოდა განათლებას და ეზრუნა უკეთესი ცხოვრებისათვის.

1937 წლის რეპრესიების შემდეგ აჭარისაღმართის საბჭოს აღმასკომს მცირედი ხნით ისევ ჯასიმ ქოქოლაძე ჩაუდგა სათავეში. 1938 წლიდან აღმასკომის თავ-რედ დაინიშნა ვლადიმერ (უზეირ) კირკიტაძე, რომელმაც თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში ვაჟკაცურად და შემართებით ემსახურა მაჭახლის ხეობას.

ვლადიმერ კირკიტაძე დაიბადა 1911 წლის ივლისში. 1934 წელს დაამთავრა სოფ. ქვ. ჩხუტუნეთის სალიკვიდაციო სკოლა. 1935 წელს აირჩიეს იმავე წელს ჩამოყალიბებულ ქვ. ჩხუტუნეთის კოლმეურნეობის თავ-რედ, სადაც 1938 წლის აპრილამდე იმუშავა. 1938 წლის აპრილიდან ვლადიმერ კირკიტაძე დააწინაურეს აჭარისაღმართის აღმასკომის თავ-რედ, სადაც 1976 წლამდე იმუშავა. შუალედში

დროებით, სპეციალური დადგენილებით ერთი წელი (1946) ახალსოფლის კოლმეურნეობის თავ-რედაც იმუშავა. გარდაიცვალა 1980 წელს.

ვლადიმერ კირკიტაძის სახელთანაა დაკავშირებული აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს შენობის, ცენტრალური და შიგა სასოფლო გზების რეკონსტრუქცია და ახლის გაყვანა, სასოფლო სამეურნეოგეგმების დროულად გა გადაჭარბებით შესრულება, სკოლებზე დახმარება, სოფლად სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და სხვა მრავალი საქმის მოწესრიგება.ყოველივე ამისათვის ვლადიმერ კირკიტაძე დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად შრომობდა, სწავლობდა თითოეული სოფლის პრობლემასა და გასაჭირს. მას უმაღლესი განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა უნარიანად გაძღოლოდა მინდობილ საქმეს. გააჩნდა საკმაოდ გამჭრიახი გონება და ვაჟკაცური შემართება. თავის საქმეს უმწიკვლოდ ემსახურა და შრომაც დაუფასეს. დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით - მედლებით, სიგელებით. საზოგადოებაში ყოველთვის დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. მას დიდად უყვარდა ხალხი და ხალხსაც უყვარდა იგი ***(ვლადიმერ კირკიტაძე, 2007:55).***

1976 წლიდან აჭარისაღმართის საბჭოს აღმასკომს სათავეში ჩაუდგა ზინა ქაზიმის ასული თავდგირიძე (აჭარისაღმართის პირველი თემსაბჭოს თავ-რეს ქაზიმ თავდგირიძის ასული). ზინა თავდგირიძე დაიბადა 1924 წლის 13 აპრილს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აჭარისაღმართში, გლეხის ოჯახში.

ზინა თავდგირიძე პირველი უმაღლესდამთავრებული თავ-რეა, რომელიც აჭარისაღმართის საბჭოს აღმასკომს ჩაუდგა სათავეში. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, იყო აჭარისაღმართის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე. 1976 წლიდან საბჭოს აღმასკომის თავ-რეა, სადაც 16 წლის მანზილზე იმუშავა. მის თავ-რეობის დროს დაიგო ასფალტი სოფ. აჭარისაღმართის ცენტრამდე, მოეწყო სკვერი საბჭოს ეზოში, გამწვანების მიზნით დაირგა ნაძვის ხეები 1990 წელს გავიდა პენსიაში და „მაჭახლის ხევის დედოფლის“ სახალხო ტიტულიც დაიმსახურა. მოსახლეობაში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით, იყო სახალხო მოსამართლე და მსაჯული ***(ზინა თავდგირიძე, 2007:57).***

1991 წლიდან აჭარისაღმართის საბჭოს აღმასკომის თავ-რედ დაინიშნა ნოდარ ისმაილის ძე მორთულაძე, რომელიც მანამდე მუშაობდა ხელვაჩაურის განათლების განყოფილების მეთოდ-კაბინეტის გამგედ, დამთავრებული ჰქონდა თბილისის ასპირანტურა. ნოდარ მორთულაძეს რთულ პერიოდში მოუწია მუშაობა. მას წილად ხვდა გამხდარიყო გარდამავალი პერიოდის მონაწილე. საბჭოთა წყობილების დაშლამ ხეობაში დაწყებული ყველა პროექტი შეაჩერა. ნოდარ მორთულაძე ხეობას 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე ედგა სათავეში (ის მოგვიანებით, 2012 წლამდეც მუშაობდა მაჭახლის ხეობის რწმუნებულად).

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რითაც დავკარგეთ ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რუსეთ-თურქეთის მიერ მაქინაციური შეთანხმებით დავკარგეთ სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები (ართვინის ოლქი, ზედა მაჭახელი, მარადიდისა და სარფის ნაწილები), მივიღეთ რეპრესიები, ყოველივე ზემოთმოყვანილი უარყოფითის მიუხედავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში დამყარდა მეტ-ნაკლებად მყარი, სტაბილური ხელისუფლება, რომელიც საწინდარი უნდა გამხდარიყო აჭარის ჩამორჩენილი, ღარიბი თემებისა და სოფლების განვითარებისა, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისა. თემებისა და სოფლების „ფუხარა“ მოსახლეობა დიდი იმედით შეჰყურებდა ახალ ძალას, ახალ წყობას რომელიც არსებული პრობლემიდან გამოიყვანდა.

2. II მსოფლიო ომი და მაჭახლის ხეობა.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მაჭახლის ხეობაში თანდათანობით ჩნდება სამხედრო დასახლებები, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ხეობა სტრატეგიულად ფრიად მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენდა. ამავდროულად საზღვრისპირა ხეობა იყო და საჭიროებდა სათანადო გამაგრებას. ხეობაში სამხედრო დასახლელების განთავსება ხელს უწყობდა ადგილზე არსებული ვითარების უკეთ გაკონტროლებას და არსებული ინციდენტების სწრაფად აღკვეთას, რაც გამოწვეული

იყო არსებული რეჟიმის უკმაყოფილო ელემენტებისა თუ ბანდფორმირებებისა და კონტრაბანდისტების სავარაუდო საფრთხეებით.

1925 წლიდან იწყება სამხედრო ყაზარმების მშენებლობა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული სამაზრო და ადგილობრივი საბჭოები. ადგილობრივ აღმასკომებს უშუალოდ ჰქონდათ ნაბრძანები, რაც შეიძლება მოკლე ვადებში დაესრულებინათ ყაზარმათა მშენებლობა *(აცსა, ფ.რ-19, საქ.3, ფურც.75).* სამხედრო ყაზარმები იყო განთავსებული სოფლებში: ქედქედში, ჭანივრში, სინდიეთში, აჭარისაღმართში რამოდენიმე ადგილას. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სადუშაგოების მშენებლობა სოფლებში: ქედქედში, სკურდიდში, საფუტკრეთში, გორგაძეთსა და ქოქოლეთში. თემის აღმასკომსა და სოფლების ხელმძღვანელობას ნაბრძანები ჰქონდათ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ სამხედროებისათვის - დახმარებოდნენ ტვირთის გადაზიდვაში და გამოეყოთ შენობა საცხოვრებლად *(საქ.5, ფურც.117).*

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საარქივო ჩანაწერი - „12.09.1925 წელი ფრიად სასწრაფოდ აჭარისაღმართის თემის აღმასკომს

თანახმად მე-5 კომენდატურის მომართვისა 28 ენკენისთვიდან თარიღი N780, წინადადება გეძლევათ დღეიდან ორი დღის განმავლობაში წარმოადგინოთ სამაზრო აღმასკომში 20 კეხიანი ცხენი, რომელნიც გადაიტანენ სურსათ-სანოვაგეს გორგაძეთში და ღირებულ ფასს გადატანისას მიიღებენ კომენდატურისაგან. ამასთანავე დავსძენ, რომ სულ გადასატანია 388 ფ. 35 გირ. სურსათი. და ყველა ეს უნდა გადაზიდულ იქნას 4 დრის განმავლობაში. ამრიგად საჭიროა ოთხი დღის განმავლობაში ყოველ დღიურად 20-20 კეხიანი ცხენი, რომლის აუსრულებლობისათვის ყოველივე პასუხისგება დაგეკისრებათ პირადად თქვენ. ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, კეხიანი ცხენები - ცალკე მომართვით ყოველდღიურად გადმოაგზავნოთ ჩემს სახელზე, რომ რაიმე გაუგებრობას არ დარჩეს ადგილი.

აჭარისწყლის მაზრის აღმასკომის თავ-რე: ხ. ვერძაძე

საქმისმწარმოებელი: ლ. კალანდაძე „ *(აცსა, ფ.რ-19, საქ.12, ფურც.3).*

საგუშაგოთა პარალელურად საზღვრისპირა ზოლზე სწრაფი ტემპით შენდებოდა სადარაჯო კოშკები (ე.წ. „ბუდვა“) *(ფურც.57),*„ რომლის შენებასაც

ახორციელებდა ადგილობრივი მოსახლეობა. 1925 წლის 23 ივნისს სოფ. ქედქედში დასარულებული იყო ყაზარმა სასაზღვრო მეთვალყურე წითეარმიელებისათვის *(ფურც.67).* 1925 წლის 14 მაისიდან დაწყებული იყო სატელეფონო ხაზების გაყვანა სოფ. გორგაძეთის საგუშაგოზე *(ფურც.76),* პარალელურად მიმდინარეობდა საგუშაგოების სურსათითა და აღჭურვილობით მომარაგება *(ფურც.126).* 1938 წლის 25 აგვისტოსათვის უკვე დასრულებული იყო სოფ. სკურდიდის საგუშაგოს შენობა, რომელიც ორი ოთახისაგან შედგებოდა *(აცსა, ფ.რ-660, საქ.8, ფურც.1).* 1950 წელს სკურდიდში აშენდა ხის ახალი შენობა მესაზღვრეებისათვის *(საქ.21, ფურც.9)*, ამავდროულად სოფლებში ჩამოყალიბდა მესაზღვრეთა დამხმარე რაზმი 22 კაცის შემადგენლობით *(საქ.50, ფურც.34)*

1930-იანი წლებიდან ოფიციალურად დაიწყო მოსახლეობის წითელ არმიაში გაწვევა. წვევამდენლი, რომელიც შეასრულებდა 18 წელს ვალდებული იყო ემსახურა წითელ არმიაში. თემის აღმასკომის მიერ გამოყოფილ სპეციალურ წარმომადგენელს - სამხედრო მაგიდის გამგეს, ევალებოდა სისტემატურად შეემოწმებინა წვევამდელთა სწავლების საქმე და რუსული ენის ცოდნის დონე *(აცსა, ფ.რ-660, საქ.8, ფურც.27).* 1937 წლის 30 ივლისისათვის მაჭახლის ხეობიდან წითელ არმიაში გასაგზავნად მობილიზებული იყო 77 ახალგაზრდა *(აცსა, ფ.რ-221, საქ.14, ფურც.24).*

მაჭახლის სოფლებში ხშირად იმართებოდა შეხვედრები წითელარმიელებთან, მესაზღვრეებთა, კონტრდაზვერვის ოფიცრებთან. ტარდებოდა სათანადო სწავლებები, იდეოლოგიური საუბრები, სადაც აქცენტი კეთდებოდა მტრულად განწყობილი, კაპიტალისტური ქვეყნების აგენტებისაგან ჩვენი სამშობლოს „დიადი საბჭოთა კავშირის“ საზღვრების დაცვაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობდა საზღვრების გამაგრებას და მოსახლეობის სრულ ჩართულობას საზღვრის დაცვაში. დროთა განმავლობაში ყოველი მაჭახლელი პოტენციურ მესაზღვრედ ყალიბდებოდა.

სამხედრო დასახლებებმა მეტნაკლებად გამოაცოცხლა მაჭახლის ხეობის სოფლები. ხშირად იმართებოდა სხვადასხვა სახის კონცერტები თუ სპექტაკლები წითელარმიელთათვის, ყაზარმებთან ახლოს, ღია სივრცეში იმართებოდა კინოჩვენებები, რომელსაც სოფლის მოსახლეობაც ესწრებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც წითელარმიელები მალულად ეხმარებოდნენ სოფლის მოსახლეობას

სურსათით, აწვდიდნენ საპონსა და ნავთს, რომელის შოვნაც ძალიან ჭირდა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა სამხედროებსა და მოსახლოებას შორის დაახლოებას.

მეორე მსოფლიო ომი, რომელიც 1939-1945 წლებში მიმდინარეობდა, იყო რევანში იმ მარცხის გამო, რაც გერმანიამ 1914-1918 წლების I მსოფლიო ომში განიცადა. ამას ემატებოდა გერმანიის სურვილი ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა, რაც საბოლოოდ მთელს ევროპის კონტინენტზე ბატონობაში გადაიზარდა. მეორე მსოფლიო ომი, პლანეტის ყველა ქვეყნისათვის უდიდეს ტრაგედიას წარმოადგენდა. ომმა იმსხვერპლა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, განადგურდა კაცობრიობის მიერ შექმნილი მატერიალური და კულტურული ფასეულობანი, ნაცრად და ფერფლად იქცა ქალაქებისა და სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

I მსოფლიო ომში განცდილმა მარცხმა გერმანია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ომში გამარჯვებულმა ანტანტის ქვეყნებმა ინგლისის მეთაურობით ისეთი მძიმე პირობები წაუყენეს, რომ გერმანიას მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევა დაემუქრა და ამიერიდან ის ვეღარ შეასრულებდა გადამწყვეტ როლს მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთ პოლიტიკურ ფონზე გერმანიაში ხდება რევანშისტული ძალების კონსოლიდაცია, რომელთა სათავეში ნაციონალ-სოციალისტები გვევლინებიან ადოლფ ჰიტლერის (შიკლგრუბერი) მეთაურობით.

მეორე მსოფლიო ომში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა იყო ჩართული, მთელი მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო. საბრძოლო ოპერაციები სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა) მიმდინარეობდა. ევროპაში გერმანიის ძირითადი მხარდამჭერი იტალია იყო, აღმოსავლეთში იაპონია ჩაება გერმანიის მხარეს და ფაქტიურად წყნარი ოკეანის აუზში ბატონობდა. 1939 წელს უშედეგოდ დამთავრდა ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის ცდა. ევროპაში ანტიგერმანული კოალიციის შექმნის მცდელობის ჩაშლის შემდეგ გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ერთმანეთთან მორიგება არჩიეს, თუმცა ეს შეთანხმებაც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი და მტკიცე. გერმანიამ ელვისებური თავდასხმებით სწრაფად შეძლო დასავლეთ ევროპის ხელში ჩაგდება და გადაწყვიტა ინგლისთან ომში გამარჯვებამდე დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე წარმოებულ ბრძოლებში გერმანიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. დაიპყრო ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, თითქმის მთელი უკრაინა, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ოლქები. გერმანელები მიუახლოვდნენ მოსკოვსა და ლენინგრადს. 1941 წლის 30 ივნისს შეიქმნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტი იოსებ სტალინის თავმჯდომარეობით *(საქართველოს ისტორია XX საუკუნე 2003:151)*.

ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოში დაიწყო სამხედრო-სამობილიზაციო დირექტივების გატარება. საქართველოდან საერთო ჯამში 700 ათასი (დღევანდელი კვლევებით 800 ათასზე მეტი) ადამიანი იქნა გაწვეული. ეს იყო ნამდვილი ტოტარული მობილიზაცია, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნიდა ერის გენოციდს. ფაშიზმის განადგურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის მოსახლეობამ. ომის წლებში (1941-1945) აჭარაში გაწეული სამხედრო-სამობილიზაციო და თავდაცვითი საქმიანობა სამ მხარეს მოიცავდა: პირველი, ფრონტზე გასაგზავნად მოსახლეობის მობილიზაციას და არმიის რეზერვების მომზადებას; მეორე, ევაკუირებული მოსახლეობის მიღება-დაბინავებას და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას, დაჭრილი მეომრებისა და მშრომელთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვას; მესამე, სახელმწიფო საზღვრების გამაგრება-დაცვას და საგზაო მშენებლობას.

საბჭოთა არმიის რიგებში წვევამდელთა მობილიზაცია წარმატებით მიმდინარეობდა. მობილიზაციის პირველ თვეებში (1941 წლის 23 ივნისიდან 1 სექტემბრამდე) აჭარის სამხედრო კომისარიატებმა საბჭოთა არმიის რიგებში 8344 კაცი გააცილეს *(დუმბაძე, 1983:13)*. 1941-1945 წლებში აჭარიდან მობილიზებული იყო 25 ათასამდე კაცი *(დუმბაძე, 1996:13)*. მათ შორის 942 ქალი: ქ. ბათუმიდან - 675, ქობულეთის რაიონიდან - 154, ხელვაჩაურის რაიონიდან - 13, ქედის რაიონიდან - 6, ხულოს რაიონიდან - 1 *(დუმბაძე, 2005:12)*.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარაში გაწეული სამხედრო-სამობილიზაციო საქმიანობიდან, ერთ-ერთი სახელმწიფო საზღვრების გამაგრება-დაცვა და საგზაო მშენებლობა იყო. სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმამ დააჩქარა აჭარაში გზების

მშენებლობა. არ იყო საკმარისი სამშენებლო ტექნიკა, ადამიანური რესურსიც ცოტა იყო. მშრომელთა და მშენებელთა დაძაბული შრომით გზების მშენებლობა 1941 წლის აგვისტოსათვის დასრულდა. გაიხსნა ზამლეთ-ხიხაძირი-ბაკო-ჩირუხის (ხულოს რაიონი) და აჭარისწყალი-ჩხუტუნეთი საავტომობილი გზები.

აჭარაში საგზაო მშენებლობა კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გაიშალა 1942 წლის მეორე ნახევარიდან, როცა გაიზარდა თურქეთის შემოჭრის საფრთხე. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი თანხები გამოყო აჭარაში საგზაო მშენებლობისათვის. ამ თანხამ 1943 წელს შეადგინა 1 916 356 , ხოლო 1944 წელს - 3 890 665 მანეთი *(დუმბაძე, 2005:89)*.

მაჭახლის ხეობაში 1941 წლამდე მიმოსვლის საშუალებად მხოლოდ ცხენის ბილიკი არსებობდა. თურქეთის შემოჭრის საფრთხემ დააჩქარა მაჭახლის ხეობაში ცენტრალური გზის მშენებლობა. როგორც ზემოთ ვთქვით არ იყო სამშენებლო ტექნიკა საკმარისი, ადამიანური რესურსიც ცოტა იყო, 1941 წლის ივლისის თვეში ფრონტიდან მოიყვანეს მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცები, რომელთაც ჰქონდათ გეგმა, დღის განმავლობაში სამი მეტრი გზა უნდა გაეჭრათ ხელით. ასე იქნა გაყვანილი გზა სოფელ აჭარისაღმართამდე, მიმოსვლის ძირითად ტრანსპორტად ე.წ. „იელენკა“ და „დროგა“ გამოიყენებოდა *(ნაგერვაძე ჯ.)*.

დაიწყო ხეობის ცოცხალი ძალით გამაგრება. სოფელ აჭარისაღმართში, ცენტრთან მისვლამდე, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ე.წ. ცივ წყალთან, ჭალაში განთავსდა სატანკო ბატალიონი. იქვე ახლოს მოეწყო იარაღის საწყობი. ჭალასთან ახლოს მდინარისპირა მინდორზე, სადაც შემდგომში საკოლმეურნეო ფერმა მოეწყო, ააგეს სამხედრო ბარაკები მებრძოლებისათვის. სამხედროები განთავსდნენ აჭარისაღმართის ცენტრშიც, მდინარე მაჭახელას მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი სამედიცინო ამბულატორიის ადგილას. სამხედრო ბინაში მოგვიანებით სოფლის საავადმყოფო განთავსდა *(ნაგერვაძე ჯ.)*. მაჭახლის ხეობა მკაცრი დაცვის სასაზღვრო ზონად გამოცხადდა, მოეწყო სასაზღვრო გამშვები პუნქტები. სოფელ აჭარისყალწყლის ცენტრში ჯერ კიდევ 1932 წელს აშენდა კომენდატურის შენობა (დღესდღეობით ამ შენობაში სოფელ აჭარისწყლის საბავშვო ბაღია განთავსებული) იქვე მოეწყო სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რომელიც როგორც ზემო აჭარის

მიმართულებით, ასევე კირნათი-მაჭახლის მიმართულებით აკონტროლებდა მგზავრთა მიმოსვლას. მხოლოდ სპეციალური საშვით იყო შესაძლებელი გადაადგილება. სასაზღვრო გამშვები პუნქტი იყო მოწყობილი კირნათი-მაჭახელას გზაგასაყარზე, აქაც ორივე მიმართულებით კონტროლდებოდა გზა. მოგვიანებით კომენდატურასთან არსებული სასაზღვრო პუნქტი გადატანილ იქნა ცოტა ქვემოთ, დღევანდელი ჰიდროელექტროსადგურის მახლობლად ე.წ. „ნაძვებში“, სადაც დღეს სასაფლაოებია მოწყობილი.

პარალელურად მაჭახლის ხეობაში მიმდინარეობდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა. მეტად მძიმე იყო მოსახლეობისათვის თავდაცვით ნაგებობებზე მუშაობა, რაც დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა. რადგანაც სავტომობილო გზა არ იყო დასრულებული, აჭარისაღმართის ცენტრთან მისვლამდე ერთ კილომეტრში (სადაც ჩემი სახლი დგას. *ზ.ნ*) დაიდგა საბაგირო გზის მსგავსი დიდი ჯალმბარი, რომელიც გრძელდებოდა წიახის უბნამდე (სამიდ ტარიელაძის სახლის ადგილას. *ზ.ნ*) და ბოლოვდებოდა იმ ადგილა სადაც ბუნკერი მდებარეობს. ამ ჯალამბარის გამოყენებით იქნა გადაზიდული სამშენებლო და საბრძოლო მასალები ბუნკერის ასაგებად.

ბუნკერის კომპლექსში ძირითადი დატვირთვა ენიჭებოდა ქვემეხს, რომელიც გამაგრებული იყო ტყვიამფრქვევის სამი საცეცხლე წერტით. შიგნით განთავსებული იყო იარაღის საწყობი, ყუმბარების მიმცემი ოთახი, სამზარეულო, კავშირგაბმულობისა და აბანო-ტუალეტის ოთახები.

აჭარისაღმართის ბუნკერი მდებარეობს მდინარე მაჭახელას მარცხენა სანაპიროზე, სოფლის ცენტრიდან 700-800 მეტრის ზემოთ. ბუნკერი ხუთკუთხედი ფორმისაა, რომლის ფართობი დაახლოები 80 კვ.მ-ია. სიგრძეში 11 მეტრია, სიგანეში 7 მეტრი. ქვემეხის ლულის სიგრძე 2,35 მეტრია. შესასვლელი სიგრძით 1,95 მეტრია, სიგანეში 0,80 მეტრი. შესასვლელის შემდეგ ტალანი სიგრძეში 2,98 მეტრია, სიგანეში 0,95 მეტრი. შიგნით პატარა ტალანი მდებარეობს რომლის სიგრძე 1,5 მეტრია, სიგანე 1,1 მეტრი. პატარა ტალანის მარცხენა მხარეს ორი ოთახია: საწყობისა და კავშირგაბმულობის ოთახები, საწყობი ოთახის სიგრძე 1,75 მეტრია, სიგანე 1 მეტრი. კავშირგაბმულობის ოთახის სიგრძე 1,78 მეტრია, სიგანე 1,05 მეტრი. აქვე გვერდით

არის ტალანი სადაც მოწყობილია ტყვიამფრქვევისათვის განკუთვნილი სარკმელი, რომელიც ბუნკერს ზურგიდან იცავდა, რომლის სიგრძე 1,6 მეტრია, ხოლო სიგანე 1,2 მეტრი. ტყვიამფრქვევის ტალანიდან შევდივართ ოთახში სადაც განთავსებული იყო სასადილო ოთახი, რომლის სიგრძე 2, მეტრია, სიგანე 2,5 მეტრი. მარჯვენა მხარე აბანოსა და ტუალეტირ ოთახებია; აბანოს სიგრძე 2,45 მეტრია, სიგანე 2,1 მერტი. ტუალეტის სიგრძე 1,7 მეტრია, სიგანე 1,1 მეტრი. სამზარეულოდან მარცხნივ გავდივართ ოთახში, საიდანაც ყუმბარები მიეწოდებოდა ქვემეხს, ოთახის სიგრძე 1,1 მეტრია, სიგანე 2,5 მეტრი. ამ ოთახიდან გავდივართ ტყვიამფრქვევის წერტის ოთახში, რომელიც ბუნკერს მარჯვენა მხარიდან იცავდა, ოთახის სიგრძე 2,15 მეტრია, სიგანე 2,45 მეტრი. ტყვიამფრქვევის ოთახიდან შევდივართ ძირითად ოთახში, სადაც განთავსებული იყო ქვემეხი, ოთახის სიგრძე 3,4 მეტრია, სიგანე 3,3. ქვემეხის ოთახის სიმაღლე 2,35 მეტრია, დანარჩენი ოთახების 1,75 მეტრს არ აღემატება. ქვემეხის, ტყვიამფრქვევისა და იარაღის სასაწყობე ოთახებში მოწყობილია სპეციალური ჭა რომლის სიღრმე 1,85 მეტრია. ჭა განკუთვნილი იყო ცარიელი ჰილზებისათვის.

ბუნკერიდან ოდნავ მოშორებით,საავტომობილო გზის ქვემოთ, მოწყობილი იყო ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტი, რომლის ფართობი დაახლოებით 1,2 X 1.2 კვ.მ. იყო. მეომრები ტყვიამფრქვევის ადგილს გვირაბით უკაშირდებოდნენ, რომლის სიგრძე 5 მეტრია, სიმაღლე დაახლოებით 1,65 მეტრი იქნებოდა, სიგანე 0,6 მეტრი. ტყვიამფრწვევის წერტი მორღვეულია, დარჩენილია მხოლოდ ნაშთები, გაცილებით კარგად არის შემონახული გვირაბი.

ამავე პერიოდში სოფლის ცენტრში მოეწყო ორი თავშესაფარი ბუნკერი მოსახლეობისათვის, სადაც იყო მოწყობილი საწყობი, სასადილო, აბანო და სველი წერტილები.

ბუნკერებისათვის მდინარე სკურდიდისწყალზე აშენდა პატარა ჰიდროელექტროსადგური, საიდანაც ელექრტოენერგია მიეწოდებოდა ბუნკერებს. მოგვიანებით ელექტროენერგია სოფლის მოსახლეობასაც მისცეს *(ნაგერვაძე ჯ.)*.

ომის დაწყებისთანავე ყოველი დარგი დაექვემდებარა სამხედრო სტრუქტურას. ხშირად იმართებოდა საჰაერო თავდაცვის სწავლებები *(აცსა, ფ.რ-660, საქ.8, ფურც.28).*

მოსახლეობას დაევალა ფრონტზე გაწვეული ჯარისკაცების თბილი ტანსაცმლით მომარაგება *(საქ.8, ფურც.27-29, საქ.21, ფურც.9)*.

1942 წლის გაზაფხულზე თოვლის დნობამ მდინარე მაჭახელას ადიდება გამოიწვია. მდინარე კალაპოტში ვეღარ ეტეოდა. თანამედროვეთა თქმით, მგავსი წყალდიდობა არავის ახსოვდა. როგორც ზემოთ გითხარით, სოფელ აჭარისაღმართში მდინარის პირას, ჭალაში დაბანაკებული იყო სამხედრო ბატალიონი; იქვე ახლოს იარაღის საწყობი მდებარეობდა. მოსახლეობამ სამხედროებს ურჩია ეშველათ თავისათვის, მაგრამ გარნიზონის მეთაური, აიძულებდა სამხედროებს არ დაეტოვებინათ იარაღის საწყობი. თანამედროვეებს ახლაც ახსოვთ სამხედროების განწირული ყვირილი, დაფეთებული ცხენების ჭიხვინი. სამხედროები თხმელის ხეებზე ადიოდნენ თავის გადასარჩენად, აზვირთებული მდინარე კი ფესვებიანად გლეჯდა ხეებს და მიაქანებდა. მოსახლეობა ცდილობდა მათ გადარჩენას, თოკებით შეიარაღებულნი მდინარის ნაპირებთან იდგნენ და ცდილობდნენ იქნებ გადაერჩინათ რომელიმე მათგანი, მაგრამ მხოლოდ თითო-ოროლა მებრძოლის გადარჩენა თუ მოხერხდა. წყლის ნაკადის კლების შემდეგ მრავლად ნახულობდნენ მიმოფანტულ გვამებს. ხეობაში რამდენიმე ძმათა სასაფლაო გაჩნდა, სადაც ტრაგიკულად დაღუპულები დაკრძალეს. გარნიზონის მეთაური, როგორც მოგვიანებით გავიგეთ მოსკოვში დაუბარებიათ, იქვე გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი და დახვრიტეს *(ნაგერვაძე ნ.)*. ჭალაში, იმ ადგილას სადაც განთავსებული იყვნენ სამხედროები, ახლაც შეიძლება შემთხვევით წააწყდეთ დაჟანგულ შაშხანას, ტყვიებს, ჰილზებს, მასრებს.

სიმაგრე იყო მოწყობილი სოფელ მაჭახლისპირსა და ერგეში მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ მაჭახლისპირში ბუნკერის ზემოთ დაახლოებით 70-80 მეტრის მოშორებით ტყვიამფრქვევისათვის განკუთვნილი რკინაბეტონის კოშკურა იყო მოწყობილი, რომელიც მტრის შემოსვლის დროს მაჭახლის ხეობიდან გამომავალ გზას კეტავდა. იქვე სოფლის ცენტრში, სამანქანე გზის პირას კაზარმები იყო განთავსებული მებრძოლებისათვის, აქვე გზისპირას გაიხსნა სამხედრო მაღაზია, ე.წ. „Военторги".

სოფელ ერგეში ორი მოზრდილი ბუნკერი იყო და ამ ყოველივეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი გარნიზონი ემსახურებოდა, ერგეს ცენტრში სამხედრო დასახლება

იყო საწყობებით, სასადილოთი და მაღაზიებით. სოფელ მაჭახლისპირისა და ერგეს სიმაგრეთა ფორმა და კოშკურა განსხვავდებოდა სოფელ აჭარისაღმართის ბუნკერისაგან, ამ სიმაგრეების ქვემეხებს შეეძლო 360 გრადუსით ბრუნვა, რაც საშუალებას აძლებდა ირგვლივ გაეკონტროლებინა პერიმეტრი. დღეისათვის ორივე სოფლის სიმაგრეები განადგურებულია, შემორჩენილია ერგეს სამხედრო დასახლების შენობათა ნაშთები და მაჭახლისპირის საერთოსაცხოვრებელის შენობა, სადაც მოგვიანებით ადგილობრივი მოსახლეობა შესახლდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 25 ათას კაცზე მეტი ნაწილი ჯარში ომის დაწყებამდე იყო გაწვეული. 7000 მებრძოლზე მეტი დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა. დღემდე არ გვაქვს ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი მონაწილეობდა ომში მაჭახლის ხეობიდან. არასრული მონაცემებით, მათი რიცხვი 80-ს აღწევს, მათგან 30 შინ არ დაბრუნებულა ***(მაჭახელი, 2009-2010:35)***. ზოგიერთი ოჯახიდან ომში ორი ვაჟკაციც იბრძოდა. ასეთები იყვნენ ძმები ოსმან და რემზი კახიძეები, დაუთ და ხასან ქობულაძეები, ასლან და ხუსეინ ყადირის ძე ძნელაძეები (ზედა ჩხუტუნეთი), ოსმან და მურთაზ ფუტკარაძეები (საფუტკრეთი), დაუთ და მემედალი ხინკილაძეები (ქვედა ჩხუტუნეთი), ჯემალ და იუსუფ შამილაძეები (გორგაძეთიდან), დაუთ და შებან მემედის ძე ნაგერვაძეები (სოფელ აჭარისაღმართიდან).

ქვემოთ მომყავს ომიდან დაბრუნებულებისა და ომში დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგული მაჭახლელი მებრძოლების ჩამონათვალი სოფლების მიხედვით.

სოფელი ზედა ჩხუტუნეთი

ომიდან დაბრუნებულები

კახიძე რეჯებალ აბდულის ძე, ნაგერვაძე ახმედ ხუსეინის ძე, ნაგერვაძე ახმედ ალის ძე, ნაგერვაძე ჰარუნ მემედის ძე, ძნელაძე ასლან ყადირის ძე, ძნელაზე იუსუფ ისმაილის ძე.

ომში დაღუპულები და უგზოუკვლოდ დაკარგულები

კახიძე მემედ ისმაილის ძე, კახიძე იუსუფ სერდალის ძე, კახიძე ოსმან ახმედის ძე, კახიძე სულეიმან ბექირის ძე, კახიძე სულეიმან შაქირის ძე, მერკულაძე ისმაილ მემედის ძე, ნაგერვაძე ოსმან სულეიმანის ძე, ნაგერვაძე შერბან ილიასის ძე, ფუტკარაძე ოსმან მემედის ძე, ქობულაძე დაუთ სულეიმანის ძე, ქობულაძე ხასან სულეიმანის.

სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი, სოფელი ცხემლარა

ომიდან დაბრუნებულნი

კახიძე იუსუფ ოსმანის ძე, კირკიტაძე ჰაიდარ იუსუფის ძე, სალვარიძე სანი ოსმანის ძე, სალვარიძე ნიკოლოზ (ყარაღა) ხასანის ძე, ხინკილაძე დაუთ ოსმანის ძე, აბაშიძე იდრის...?.

ომში დაღუპულები და უგზოუკვლოდ დაკარგულები

კირკიტაძე ოსმან ახმედის ძე, მალაყმაძე ახმედ ხასანის ზე, სალვარიძე რეფიყ ხასანის ძე, სალვარიძე ჰაზის ხასანის ძე, ხინკილაძე მემედალი ოსმანის ძე.

სოფელი ჩიქუნეთი

ომიდან დაბრუნებულნი

გორაძე დაუთ ხასანის ძე.

ომში დაღუპულები და უგზოუკვლოდ დაკარგულები

ბასილაძე ხასან დურსუნის ძე, გორაძე ალი იუსუფის ძე, გორაძე მევლუდ მემედალის ძე, კირკიტაძე მევლუდ, მალაყმაძე ჯემალ მემედალის ძე, მალაყმაძე სულიკო ახმედის ძე, მალაყმაძე ისმაილ ახმედის ძე, მალაყმაძე მუხამედ ახმედის ძე, მალაყმაძე ახმედ იუსუფის ძე, ქოქოლაძე იუსუფ მემედალის ძე, ქოქოლაძე სულეიმან ახმედის ძე, ქოქოლაძე ჯემალ ბაირამის ძე, ხინკილაძე მუსა მემედის ძე.

სოფელი აჭარისაღმართი

ომიდან დაბრუნებულნი

კოპლაძე სულეიმან ახმედის ძე, მორთულაძე ხასან სულეიმანის ძე, მორთულაძე ისაკ მემედალის ძე, ფერსელიძე შუქრი რამიზის ძე.

ომში დაღუპულები და უგზოუკვლოდ დაკარგულები

აფხაზავა დაუთ ალის ძე, კირკიტაძე დაუთ ხუსეინის ძე, მოფინაძე დაუთ ომერის ძე, ნაგერვაძე შებან მემედის ძე, ნაგერვაძე დაუთ მემედის ძე, ფარტენაძე მუსტაფ.

სოფელი ქედქედი, სოფელი სინდიეთი

ომიდან დაბრუნებულნი

გვიანიძე თახსიმ სულეიმანის ძე, ზაქარაძე იბრაიმ ხასანის ძე, მსხალაძე ხემზეთ ხუსეინის ძე, მსხალაძე რეჯებ საიდის ძე, შაშიკაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე, შაშიკაძე ხუსეინ სულეიმანის ძე.

ომში დაღუპულები და უგზოუკვლოდ დაკარგულები

არჯევანიძე ვეზის ახმედის ძე, გვიანიძე იუსუფ სულეიმანის ძე, გორაძე მურთაზ ახმედის ძე, გორგაძე სულეიმან ახმედის ძე, დიასამიძე ომერ ახმედის ძე, კვირიტიძე ხულუს ხუსეინის ძე, კოპინაძე ჯელალ სულეიმანის ძე, კოპინაძე რეფიყ სულეიმანის ძე, ლომინაძე ოსმან შებანის ძე, მსხალაძე ნიაზ ახმედის ძე, მსხალაძე რეჯებ ოსმანის ძე, მსხალაძე ხასან მემედის ძე, მსხალაძე შუქრი ოსმანის ძე, ძნელაძე შუქრი ფერულის ძე.

მეორე მსოფლიო ომმა დიდი ტკივილი მოუტანა მაჭახლის ხეობას, ხეობამ დაღუპულთა და დაკარგულთა სახით დიდი ადამიანური ზარალი განიცადა, ომის სიმძიმე დიდ ტვირთად დააწვა ისედაც ეკონომიკურად სუსტი ხეობის სოფლებს, მოსახლეობას. სასაზღვრო გამშვები პუნქტებისა და საგუშაგოების ჩასმა-განთავსებამ ხეობის მოსახლეობა იზოლირებულ მდგომარეობაში მოაქცია, მოწყვიტა რაიონსა და ქალაქს. აიკრძალა მიმოსვლა სპეციალური, კომენდატურის მიერ გაცემული საბუთის გარეშე. საკმაო დრო დასჭირდა სანამ ყოველივე ამას მოსახლეობა შეეგუებოდა და გაითავისებდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი სპეციალური საგუშაგოების „შლაგბაუმების“ გაუქმება და თავისუფალი მიმოსვლა მაჭახლის ხეობაში.

3. აღმშენებლობითი საქმიანობა მაჭახლის ხეობაში - გზები, ხიდები, კოლექტივიზაცია, ელექტროფიკაცია, სამედიცინო დაწესებულებები,

ა. გზები, ხიდები.

მაჭახლის ხეობაში უგზოობის საკითხი მუდამ მწვავედ იდგა. გასული საუკუნეების მოგზაურები თუ მკვლევარები ყოველთვის ამ პრობლემაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ გზის მშენებლობა დიდ სახსრებს მოითხოვდა, ამავდროულად რელიეფის სირთულე გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა. ამასთანავე ისიც უნდა დავამატოთ, რომ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე მაჭახლის ხეობით, მისი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პრობლემებით არსებული ხელისუფლება ნაკლებად იყო დაინტერესებული, ფაქტიურად ხეობა მივიწყებული და გარესამყაროსაგან მოწყვეტილი იყო.

გასულ საუკუნეებში მაჭახელზე გამავალი გზა ერთ-ერთ მაგისტრალს წარმოადგენდა, რომელიც შავშეთ-იმერხევის გავლით უკავშირდებოდა ტაო-კლარჯეთს. ხეობაზე გადიოდა ცხენის ბილიკი, მრავლად იყო თაღოვანი ხიდები, რომლთა ნაშთებიც დღესაც გვხვდება. XX ს-ის დასაწყისისათვის არსებული თაღოვანი ხიდებიდან მხოლოდ ფუნქციონირებდა ცხემლარისა და გორგაძეთის თაღოვანი ხიდები მდ. მაჭახელაზე და ჩიქუნეთისა და ჩხუტუნეთის მცირე ხიდები, ერთი ჩამახისურის ღელეზე, ხოლო მეორე ჩხერის ღელეზე. სხვა ხიდები დროთაგანმავლობაში განადგურდა. მოგვიანებით წითელარმიელმა მესაზღვრეებმა მოშალეს გორგაძეთის თაღოვანი ხიდი, რადგანაც რუსეთ-თურქეთის მიერ 1921 წლის ყარსის გარიგების შედეგად საზღვრისპირა ზოლზე აღმოჩნდა.

საბჭოთა წყობილების დადგომამდე მაჭახლის მოსახლეობა ძირითადად საცხენოსნო და საცალფეხო ბილიკებით სარგებლობდა, ასევე ხიდების უმრავლესობა საცალფეხო დანიშნულებისა იყო.

ჯერ კიდევ XIX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო ზრუნვა აჭარის ძირითადი გზების მოწესრიგებაზე. გაყვანილი იქნა ბათუმიდან ხულოს მიმართულებით და ართვინის მიმართულებით საეტლე გზები, სადაც ომნიბუსებით შესაძლებელი იყო

მგზავრობა *(ბავრელი, 1979:76. წულაძე, 1916:4).* ამ პერიოდში მაჭახლის ხეობაში მხოლოდ ცხენის სავალი გზა იყო, შიგნით სოფლებში ცხენითაც ჭირდა მგზავრობა.

მაჭახელში გზებზე ზრუნვა 1924 წლიდან იწყება. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, მთავარ საკითხად იქნა დასმული საგზაო კომუნიკაციის მოწესრიგება. ყოველივე ეს იმით იყო განპირობებული, რომ წითელარმიელებს, რომლებიც სასაზღვრო ზონების გამაგრებასა და კონტროლს ახორციელებდნენ ტვირთის, სხვადასხვა მარაგების გადასატანად ესაჭიროებოდათ მოწესრიგებული გზები. შემდგომში უკვე კოლექტივებისა და სხვადასხვა დაწესებულებათა ჩამოყალიბების შემდეგ მოწესრიგებული საგზაო სისტემა ხელს უწყობდა ცენტრსა და სოფლებს შორის სწრაფ დაკავშირებას.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ მაჭახელში წარმოებული პირველი საგზაო სამუშაოები სამხედრო თვალსაზრისით იყო განპირობებული. 1924 წლისათვის პირველ ეტაპზე გაყვანილ იქნა 2-3 ვერსამდე (ვერსი - 1,06კმ.) გზა *(აცსა, ფ.რ-19, ფურც.2, 9).* საგზაო სამუშაოები მკაცრ კონტროლზე იყო აყვანილი ოლქისა და მაზრის ხელმძღვანელობის მიერ, მაზრის ხელისუფლება ხშირად აგზავნიდა თანამშრომლებს მდგომარეობის შესასწავლად *(ფურც.11),* იგზავნებოდა დამხმარე მუშახელი და სპეციალისტები *(ფურც.15),* ყურადღება ექცეოდა საგზაო სამუშაოების აღჭურვილობით უზრუნველყოფას, მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი იყო ღამის გასათევად სპეციალური პალატკებით *(ფურც.29, 44).* გაყვანილი გზები იმდენად ვიწრო იყო, რომ განკუთვნილი იყო მხოლოდ ურმისათვის.

პარალელურად მიმდინარეობდა ზრუნვა შიდა სასოფლო გზებზე, წვრილმანი გზის ხარჯების დასაფარავად გამოყოფილი იყო 1000 მანეთი *(ფურც.47).* 1924 წლის 9 ივლისისათვის უკვე შეკეთებული იყო ჩიქუნეთის სასოფლო გზა, მდინარე მაჭახელაზე შეკეთებული იყო რკინის ხიდი *(აცსა, ფ.რ-19, საქ.4, ფურც.41),* შეკეთებულ იქნა გზები ჭანივრისა და სკურდიდის მიმართულებით *(საქ.5, ფურც.221).*

1925 წლის ივნისისათვის დაიწყო ჩიქუნეთის მთავარი გზის გაყვანის სამუშაოები, პარალელურად გაკეთდა საცალფეხო ხიდი მდ. მაჭახელაზე, რომელიც აკავშირებდა სოფ. ჩიქუნეთს, სოფ. გორგაძეთთან *(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.98, 112).* როგორც ჩანს ჩიქუნეთის გზაზე მუშაობა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული,

ამას მოწმობს დროის ხანგრძლივობა. ხელისუფლება თემის აღმასკომს ბრძანებით მიმართავდა არ დაეშურებინა ადამიანური რესურსი და რაც შეიძლება ნაკლებ დროში დასრულებულიყო ჩიქუნეთის გზა *(საქ.17, ფურც.34).* 1925 წლის სექტემბრის ბოლოსათვის შედგენილი იყო საგზაო სამუშაოებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი: ჩიქუნეთის გზის გასაყვანად - 30 000მ მან, აჭარისაღმართის ხიდის შეკეთებაზე - 1000 მან, ქედქედის ხიდის გაკეთებაზე - 500 მან *(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.142).* მოგვიანებით ჩიქუნეთის გზისათვის განკუთვნილი 30 000 მანეთი თემის ბიუჯეტიდან მოხსნილ იქნა, რადგანაც ჩიქუნეთის გზის სამუშაოებს მთავარი სააღმშენებლო სამმართველო აწარმოებდა *(აცსა, ფ. რ-19, საქ.11, ფურც.11).*

ჩიქუნეთის გზაზე ქვის სამუშაოებს ძირითადად ბერძენი სპეციალისტები ასრულებდნენ. 1926 წლის მარტისათვის ქვის სამუშაოები უკვე დასრულებული იყო. მიწის სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა მუშაობდა, გზაზე ყოველდღიურად გამოდიოდა 50 ადგილობრივი მუშახელი *(ფურც. 50, 64).* 1926 წლის აპრილის ბოლოსათვის უკვე დასრულებული იყო ჩიქუნეთის გზის გაყვანა *(ფურც.69).*

1929 წლის მაისის ბოლოსათვის დღის წესრიგში დადგა მაჭახლის ძირითადი გზის გაგრძელება. აღიძრა შუამდგომლობა აჭარისტანის სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ხსენებული სამუშაოებისათვის სააღმშენებლო ფონდიდან გაეღოთ 153 468 მანეთი. მიმდინარე წელში მუშაობის დაწყებისათვის კი გაღებული იქნა 40 000 მანეთი *(აცსა, ფ.რ-17, საქ.139, ფურც.14).*

XX ს-ის 30-იანი წლებიდან გზებისა და ხიდების მშენებლობა ახალ ფაზაში შევიდა. დაისვა საკითხი დაწყებულიყო საავტომობილო გზების მშენებლობა, თუმცა სამუშაოების დაწყება 1937 წლამდე ვერ მოხერხდა. 1937 წლის ზაფხულში, აჭარისაღმართის სასოფლო თემსი დაისვა საკითხი დაწყებულიყო ახალი, დიდი ხიდების მშენებლობა მდ. მაჭახელაზე, სოფ. აჭარისაღმართსა და სოფ. ჩიქუნეთში. შეიქმნა სამსენებლო კომისია, რომელსაც დაევალა შეესწავლა ვითარება, შეედგინა გეგმა და ეზრუნა მასალების შემოტანაზე *(აცსა, ფ.რ-221, საქ.11, ფურც.17).*

1938 წლისათვის დაიწყო მაჭახლის ახალი გზის მშენებლობა, საერთო ჯამში მაჭახლის პირიდან უნდა გაკეთებულიყო 7 კილომეტრი სიგრძის გზა. 25 ოქტომბრისათვის სამუშაოების მხოლოდ 13% იყო შესრულებული. ამასთან

დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აჭარის სახკომსაბჭოსთან არსებული საგზაო სამმართველოს სპეციალისტთა თათბირი.

„აჭარის სახკომსაბჭოსთან არსებული საგზაო სამმართველოს სპაციალისტთა თათბირი.

1938 წლის 25 ოქტომბერი. თავ-რე. - მოწყობილი, მდივანი - ლორთქიფანიძე.

აჭარისაღმართის გზის მშენებლობის შესახებ.

აჭარისაღმართის გზის მშენებლობა შესრულებულია საშუალოდ 13%.

მთლიანად 7 კილომეტრის დამთავრება შესაძლებელია მინიმალური საშუალების გამოყენებით ტექნიკური ნორმების თანახმად 40 სამუშაო დღის გამნავლობაში იმ შემთხვევაში, თუ თანახმად ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებისა უზრუნველყოფილ იქნება მუშახელის ორგანიზაცია და იმუშავებს ყოველდღიურად 600 მუშახელი.

ამრიგად, მთელი სამუშაოს დამთავრება შეიძლება ა/წ 10 დეკემბერს. პირველი 3 ½ კილომეტრის, თანახმად მოსახლეობის მოთხოვნებისა ვადაზე ადრე დამთავრებისათვის მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი 10 ქვის მბურღავი ცპეციალისტის გაგზავნა. ერთი ქვის საბურღავი კომპრესორი და დამატებით იქნეს აჭარისწყლის სას.საბჭოდან 50 მუშახელი, კირნათის სას.საბჭოდან 30 მუშახელი. ამ შემთხვევაში პირველი 3.5 კილომეტრის დამთავრება შეიძლება 30 სამუშაო დღის განმავლობაში, ე.ი. 1 დეკემბრისათვის. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ სამუშაო იარაღები გადაგზავნილია: ლომები 185 ცალი, ბურები 160 ცალი, ბარები 490 ცალი, კირკები 200 ცალი და სხვა წვრილი ინვენტარი. ამრიგად სამუშაო იარაღებით ძირითადად მომარაგებულია ობიექტი. დამატებით გადაიგზავნოს 100 ცალი ფანერკა, 100 კირკა და 50 ბური.

გზის მშენებლობა წარმოებულ იქნას თანდართული ხარჯთაღრიცხვით და პირველ რიგში გაკეთდეს გზა 4.5 მეტრი სიფართის“ *(აცსა, ფ.რ-883, საქ.27, ფურც.10-11).*

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ დააჩქარა ხეობაში გზათა მშენებლობა. მაჭახლის ხეობა, როგორც სასაზღვრო ზონა მნიშვნელოვან სტრატეგიულ უბნად

ითვლებოდა, იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა თურქეთის რესპუბლიკას, თურქეთი კი, მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე საფრთხეს წარმოადგენდა.

1940 წლის აგვისტოს ნახევრისათვის გადაწყდა დაწყებულიყო აჭარისაღმართ-გორგაძეთის გზის მშენებლობა. შემუშავდა გზის მშენებლობის ღონისძიებები და სათანადო გეგმა:

1. მოწონებულ იქნა ბათუმის რაიონის ხელმძღვანელ-პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების და კოლმეურნეობების წინადადება იმის შესახებ, რომ სწრაფი მეთოდით ჩატარდეს აჭარისაღმართი-გორგაძეთის ახალი გზის მშენებლობა კოლმეურნეობებისა და სოფლის მოსახლეობის მონაწილეობით.
2. გადიდებულ იქნას აჭარისაღმართ-გორგაძეთის გზის მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმა 2868 კაცდღით შემდეგი განაწილებით:
   აჭარისაღმართის და კირნათის სოფ. საბჭოებიდან 1368 კაცდღე, მახუნცეთის სასოფლო საბჭოდან 1500 კაცდღე.
3. გზების მშენებლობისთვის გამოყოფილ იქნას 400 კბ.მ. შეშა, 150 ტონა ცემენტი, 28 ტონა ნავთი, 100 ტონა კირი. მიეცეს სათანადო აღჭურვილობა 10 წყვილი სპეცჩექმა და 10 ცალი ბრეზენტის საწვიმარი.
4. წინადადება მიეცეს აჭარის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს მოაწყოს მოძრავი კინოს საშუალებით სურათების ჩვენება გზის რემონტზე მომუშავე კოლმეურნეებისა და მუშებისათვის *(აცსა, ფ.რ-883, საქ.34, ფურც.110-114).*

1941-1942 წლების განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა გზათა მშენებლობა. ნაბრძანები იყო საგზაო სამუშაოებზე ყოველდღიურად გამოსულიყო არანაკლებ 100 კაცისა მაინც თესვითი კამპანიის მომენტში, ხოლო შემდეგ მასობრივად. კოლმეურნეების თავ-რეებს დაევალათ პირველ საკითხად დაეყენებინათ გზის საკითხი *(აცსა, ფ.რ-221, საქ.14, ფურც.16).* ფრონტიდან მოიყვანეს მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცები, რომლებიც ასევე საგზაო სამუშაოებში იყვნენ ჩაბმული *(ჯ.ნ.).*

1950-იანი წლებისათვის ხეობისა და სოფლის გზები და ხიდები საჭიროებდა შეკეთება-აღდგენას. 1953 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „გზები არის მოუხრეშავი,

ვიწრო, ტალახიანი, ძნელია გავლა, მოუწესრიგებელია. ხეობაში არის ორი ძირითადი ხიდი (აჭარისაღმართის და ჩიქუნეთის), რომლებიც რემონტსა და შეკეთებას არ საჭიროებს. შესაკეთებელია პატარა ხიდები. გზებს არ გააჩნია სანიაღვრე არხები ***(აცსა, ფ.რ-221, საქ.37, ფურც.1-7).*** იგივე პრობლემას ვხედავთ 1955 წლის ანგარიშში - „სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არის ორი დიდი ხიდი, რომლებსაც არ ესაჭიროება რემონტი, მაგრამ არის ორი პატარა ხიდი, რომლებსაც მთლიანად უნდა აყრა და ახლის აშენება. მოსაწესრიგებელია გზები და სანიაღვრე არხები ***(საქ.52, ფურც.5).*** 1959 წლისათვის სკურდიდის მიმართულებით იქნა გაყვანილი 2,5 კმ-ის სიგრძის გზა ***(აცსა, ფ.რ-660, საქ.50, ფურც.15).***

გზების სივიწროვეზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ „შ. რუსთაველის“ კოლმეურნეობაზე გადაცემული ავტომობილი „ზის 151“, თავისი დიდი გაბარიტების გამო მოუხერხებელი აღმოჩნდა მაჭახლის ხეობის ვიწრო გზებისათვის და მისი ჩანაცვლება გადაწყვიტეს უფრო მცირე გაბარიტების მქონე „გაზ 51“-ით ***(აცსა, ფ.რ-704, საქ.48, ფურც.6-7).***

კოლექტივიზაციის პროცესმა სოფლებში დააჩქარა გზების მოწესრიგების პროცესი. ერთწლიანი თუ მრავალწლიანი კულტურების გაშენება და წარმოება მოითხოვდა მოსავლის რეალიზაციას, რომელსაც ტრანსპორტირებისათვის სჭირდებოდა მოწესრიგებული საგზაო სისტემა. დაჩქარდა სოფლებსა და უბნებში საავტომობილო გზების გაყვანა.

XX ს-ის 70-იანი წლებიდან ხეობაში იწყება გზათა გაფართოებისა და ასფალტირების პროცესი. პირველ ეტაპზე გზა გაფართოვდა სოფ. აჭარისაღმართის ცენტრამდე, დაიგო ასფალტი, აგებულ იქნა ახალი ხიდები. გზების გაფართოებამ და მოასფალტებამ დააჩქარა და კომფორტული გახადა როგორც ტვირთის გადაზიდვა ასევე მგზავრთა ტრანსპორტირება.

XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოსათვის ახალი ეტაპი დაიწყო გზათა მშენებლობის ისტორიაში. სოფ. აჭარისწყლიდან კირნათისა და მაჭახლის მიმართულებით დაიწყო გზების გაფართოების პროცესი, რომლის სიგანეც 6 მეტრი იყო. მობილიზებული იყო ცპეციალური ტექნიკა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა კლდეთა ბურვისა და აფეთქების პროცესი. 1991 წლისათვის მაჭახელში, სოფ.

აჭარისაღმართამდე დასრულებული იყო გზის გაფართოების პროცესი. გზის გაფართოების პროცესმა იმსხვერპლა ის ასფალტი, რომელიც 70-იან წლებში იყო დაგებული. ახალი აფალტის დაგება დასრულებული იყო კირნათისა და მაჭახლის გზაგასაყარამდე.

XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის დაშლითა და ახლადშექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაჩენილი კრიზისული სიტუაციით შეაჩერა ყველა დაწყებული პროექტი და რასაკვირველია მაჭახლის გზის მშენებლობაც არ იყო გამონაკლისი. 90-იანმა წლებმა გზების მოასფალტება ოცნებად აქცია მაჭახლის ხეობის მკვიდრთათვის. დაახლოებით 17 წლის განმავლობაში არსებული გზის მხოლოდ ბალასტით მოხრეშა და მოსწორება ხდებოდა, რომელიც ტრანსპორტის რამოდენიმე დღიანი მოძრაობის შემდეგ (უფრო ხშირად წვიმა აზიანებდა ახალმოხრეშილ გზას, წვიმის შემდეგ გზაზე უამრავი ორმო ჩნდებოდა), ხელახლა საჭიროებდა მოხრეშას და მოსწორებას. 90-იან წლებში მხოლოდ ხიდების ცვლილება გახდა შესაძლებელი. მდ. აჭარისწყალზე და მაჭახელაზე არსებული ეიფელის სისტემის ხიდები ვიწრო და მოუხერხებელი იყო პრანსპორტისათვის, რის გამოც მათ გვერდით აიგო ახალი რკინაბეტონის ხიდები. ეიფელის ტიპის ხიდები არ დაუშლიათ, ისინი სამუზეუმო ექსპონატად დარჩა. მაჭახლის ხეობაში აიგო ორი ახალი ხიდი მდ. მაჭახელაზე სოფ. ჩიქუნეთის ხიდი და მდ. სკურდიდისწყალზე მცირე ზომის ხიდი ცენტრალურ გზაზე. კაპიტალურად შეკეთდა აჭარისაღმართის ცენტრალური გზის ხიდი ***(კომახიძე, 2003:258).***

მხოლოდ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი ახალი ძალით გაშლილიყო გზათა მშენებლობა. 2007 წელს დაიწყო გზის მოასფალტება, პირველ ეტაპზე სოფ. ქედქედამდე, მომდევნო წლებში გაგრძელდა მოასფალტება, 2008 წელს სოფ. აჭარისაღმართის ცენტრამდე შემდეგ ზემოთ სოფლებში. 2016 წლისათვის მჭახლის ხეობაში დასრულებული იყო გზების მოასფალტება.

ბ. კოლექტივიზაცია.

საკოლმეურნეო მშენებლობა აჭარაში სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება და განსხვავებული ვადები და ტემპები გააჩნია. ეს ძირითადად კუთხის რელიეფითა და განსხვავებული სამეურნეო და კულტურული დონით აიხსნება. საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმად აქაც მიღებული იქნა მიწის ერთობლივი დამმუშავებელი ამხანაგობები ანუ „ტოზები“, როგორც სასოფლო სამეურნეო არტელებისაკენ გარდამავალი კოლექტიური მეურნეობის მარტივი ფორმა.

1930 წლიდან საკოლმეურნეო მოძრაობა ახალი ძალით გაჩაღდა. 1931 წლიდან იწყება გლეხობის ჩართვა კოლმეურნეობებში, მაჭახლის ხეობაში იწყება კოლმეურნეობების ჩამოყალიბება. 1935 წლიდან იწყება გადასვლა საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე - სასოფლო სამეურნეო არტელებზე ***(აცსა, ფ.რ-332, საქ. 206, ფურც. 68. კახიძე, 1974:79-80).*** საკოლმეურნეო მოძრაობაში აქტიურად ჩაება აჭარელი ქალი, რომელიც წინათ მოწყვეტილი იყო ფართო საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას.

ტოზები აჭარაში 1928 წლიდან იქმნება. პირველი ტოზი მაჭახლის ხეობაში ჩამოყალიბდა 1931 წ. სოფ. გორგაძეთში ***(აცსა, ფ.რ-18, საქ134, ფურც.12),*** ტოზს ვოროშილოვის სახელი ეწოდა, მასში გაერთიანდნენ ქავთარეთის და საფუტკრეთის გლეხებიც,რომლებმაც პირველებმა გამოთქვეს სურვილი კოლექტიურ მეურნეობაში შესვლისა.

იმავე 1931 წ. ტოზი ჩამოყალიბდა სოფ. ქედქედში, რომელსაც „პირველი ნაბიჯი“ შეარქვეს ***(აცსა, ფ.რ-193 საქ.12. ფურც.1)*** (1939 წლის 26 აპრილის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილების საფუძველზე მას მე-18 პარტყრილობის სახელი მიეკუთვნა ***(იქვე, ფურც.193, საქ.17, ფურც.10).***

1933 წ. ზ.ჩხუტუნეტში ჩამოყალიბდა ტოზი, რომელსაც „ლენინიზმი” ეწოდა ***(აცსა, ფ.რ-704, საქ.1, ფურც.1),*** 1935 წ. ტოზი შეიქმნა სკურდიდში (კიროვის სახელობის) ***(აცსა, ფ.რ-332, საქ.206, ფურც.67),*** 1936 წელს - ქვ. ჩხუტუნეთში (დიმიტროვის სახელობის) და ჩიქუნეთში ***(აცსა, ფ.რ-4, საქ.879, ფურც.5. კახიძე, 1974:81).***

1934 წლის მონაცემებით ტოზებზე შეწერილი გეგმა ასე გამოიყურებოდა:

500კგ. - თამბაქო, 10 000 კგ. - ვაშლი, 2000 კგ. - ნიგოზი, 20 ცენტნერი ხორცი.

ჩაბარებულია - 512 კგ. - თამბაქო, 5747 კგ. - ვაშლი დარჩენილია 4253 კგ., 2070 კგ. - ნიგოზი, 40 ცენტნერი ხორცი.

1934 წლისათვის თამბაქოს გეგმა სოფლების მიხედვით ასე გადანაწილდა:გორგაძეთი - 2 ჰა, ზ. ჩხუტუნეთი - 2 ჰა, ქვ. ჩხუტუნეთი - 2 ჰა, ჩიქუნეთი - 6 ჰა, ცხამლალა - 2 ჰა, სკურდიდი - 2 ჰა, აჭარისაღმართი - 2 ჰა, ქედქედი - 1 ჰა. სულ 19 ჰა *(აცსა, ფ.რ-221, საქ.1, ფურც.1-3).*

1934 წლისათვის გეგმით ჩასაბარებელი იყო 10 000 კგ. ხორცი, 15 000 კგ. ვაშლი *(ფურც.17),* ასევე, ფულადი სახით კულტურული გამოსაღები ჩასაბარებელი იყო 7650 მანეთი *(ფურც.4).*

ტოზებზე ასევე ყოველწლიურად განაწილებული იყო საშეშე მერქნის დამზადების გეგმა: ქედქედი - 36,4 საჟენი (19,17 კბ.მ.), აჭარისაღმართი - 24,7 , ცხემლალა - 40, ზ. ჩხუტუნეთი - 23, ქვ. ჩხუტუნეთი - 14,7, გორგაძეთი - 16,8, ქავთარეთი - 4, საფუტკრეთი - 4,2, სკურდიდი 15 *(ფურც.13).*

ხეობაში დახმარების სახით, ხშირად შემოჰქონდათ ხორბალი, რომელიც ნაწილდებოდა ღარიბ კოლმეურნეებზე *(ფურც.17).*

1936 წლისათვის ტოზები ყველა სოფელში არსებობდა. ტოზებზე გადასვლა დააჩქარა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხილვამ. ყველაზე მრავალრიცხოვანი ტოზი სოფ. ჩიქუნეთში ჩამოყალიბდა და იგი პირველი დღიდან 26 მოწინავე გლეხს ითვლიდა. ქვ. ჩხუტუნეთის ტოზში გაერთიანდა 18, ხოლო სკურდიდში 14 კაცი. თითოეული წევრი ტოზის სასარგებლოდ ამუშავებდა 0,15-დან 0,25 ჰექტარ მიწას. ტოზებში ძირითადად მოჰყავდათ თამბაქო და სიმინდი, ნაწილობრივ ხეხილი და კარტოფილი. სკურდიდის ტოზში სკებიც გააერთიანეს, აქ მეფუტკრეობისათვის უფრო ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა *(კახიძე, 1974:81).* მაგრამ, სამაგიეროდ თამბაქოს კულტურამ ვერ იხარა სკურდიდში *(ფურც.20).*

ტოზები, ტოზების შიგმნით ჩამოყალიბებული ბრიგადები, რგოლები თუ ცალკეული წევრები, ურთიერთშორის ებმებოდნენ სოციალისტურ შეჯიბრებებში და

ღებულობდნენ გარკვეულ ვალდებულებებს საკოლმეურნეო მშენებლობის უკეთ წარმართვისათვის *(აცსა, ფ.რ-199, საქ.1, ფურც.5).*

1937-1938 წწ-ში კოლმეურნეობებს ხელმძღვანელობდნენ:

კოლ. „პირველი ნაბიჯი“ - თავ-რე. რეჯებ შალიკაძე

კოლ. „დიმიტროვი“ - თავ-რე. ვლადიმე კირკიტაძე

კოლ. „ლენინიზმი“ - თავ-რე. მამუდ კახიძე

კოლ. „ვოროშილოვი“ - თავ-რე. ხუსეინ ქავთარაძე *(აცსა, ფ.რ-221, საქ.11, ფურც.19).*

საკოლმეურნეო მშენებლობაში დიდ როლს თამაშობდნენ კომკავშირული უჯრედები (კომუჯრედები), რომლებიც 1935 წლისათვის ყველა კოლმეურნეობაში არსებობდა. კომუჯრედები ძირითადი დასაყრდენი გახდა სოფლად პარტიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში.

ტოზების არსებობის პერიოდში სოფლად განხორციელდა სამეურნეო და კულტურული ხასიათის მნისვნელოვანი ღონისძიებები. პირველ რიგში ყურადღება მიექცა მეთამბაქოეობის, როგორც მაღალშემოსავლიანი დარგის, აგრეთვე სიმინდის კულტურის გამვითარებას, საყანე ნაკვეთებში, რომელიც სიმინდი კულტურისათვის იყო განკუთვნილი დაიწყეს სასიმინდეების მშენებლობა *(აცსა, ფ.რ-660, საქ.8, ფურც.5),* დაიწყო დაბლარი მევენახეობის და ბაღის ხეხილის დანერგვა, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სამეურნეო კადრების (თავმჯდომარე, ბუღალტერ-მოანგარიშე, ბრიგადირი) მომზადება, ბრიგადებში ჩამოყალიბდა ქალთა ჯგუფები, რომლებიც დამკვრელური, „სტახანოვური“ ძალებით ჩაებნენ მუშაობაში *(ფურც.8).* აშენდა სხვადასხვა დარგებისათვის განკუთვნილი პუნქტები, რომლებიც ხელს უწყობდა მოწეული მოსავლის დახარისხებასა და შენახვას *(ფურც. 13-14).*

1939 წლის დამდეგიდან დაიწყო და ზაფხულში დამთავრდა საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე - სასოფლოსამეურნეო არტელზე გადასვლა. განვლილი პერიოდი 1931 წლიდან 1938 წლამდე იყო ტოზების შექმნისა და მათი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების პერიოდი.

სასოფლო-სამეურნეო არტელებზე გადასვლამ განაპირობა ფართო მასშტაბის სამეურნეო და კულტურული ცვლილებანი, დასახა უფრო ფართო პერსპექტივები სოფლის მეურნეობის მანამდე არსებული დარგების განვითარებისა და ახალი დარგების დამკვიდრებისათვის, გააუმჯობესა კოლმეურნე მშრომელთა ცხოვრების დონე.

ცვლილებები განიცადა საკოლმეურნეო ყოფა-ცხოვრებაში სამიწათმოქმედო და მემინდვრეობის დარგებმა. მთავარი ყურადღება მიექცა ისეთი დარგების განვითარებას, რომელიც მაღალი შემოსავლის მომცემი იქნებოდა. ასეთ დარგებად მიიჩნეოდა მეჩაიეობა-მეთამბაქოეობა, ამავდროულად გაშენებულ იქნა დაფნისა და დაბლარი ვენახის კულტურები, ხილის სხვადასხვა ჯიშები.

აჭარაში ჩაის პირველი ბუჩქები XX ს-ის 40-იანი წლებიდან ჩნდება, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამ მისცა ბიძგი ინტენსიურად დაწყებულიყო მისი მოშენება და წარმოება. მოკლე დროის მანძილზე მეჩაიეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ დიდად განვითარებულ და რენტაბელურ დარგად დაგაიქცა. ჩაის კულტურა აჭარის კოლმეურნეობათა მთლიანი ფულადი შემოსავლის ნახევარზე მეტს იძლეოდა.

მაჭახლის ხეობაში ჩაის დანერგვის ცდები საკოლმეურნეო მოძრაობის დასაწყისშიც მიმდინარეობდა. მაგალითად პირველი ჩაის ბუჩქი XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში გაშენდა სოფ. ქედქედში (ჭანივრის დასახლებაში) კერძო მამულში. მოგვიანებით ეს ჩაის პლანტაცია ქედქედის კოლმეურნეობაში ერთ-ერთ საუკეთესოდ და უხვმოსავლიანად ითვლებოდა *(ჯახიძე, 1974:85).* ამავე პერიოდში ჩაის თესლი საცდელად დარგეს სოფ. ქვ. ჩხუტუნეთში, მაგრა ამ წამოწყებამ შედეგი ვერ გამოიღო, აქაურ გლეხობას არ გააჩნდა სათანადო ცოდნა-გამოცდილება. სამწუხაროდ, 1950-იან წლებამდე არც შესაბამისი ორგანოები იყვნენ დაინტერესებულნი მაჭახლის ხეობაში ჩაის კულტურის დამკვიდრება-გავრცელებით *(იქვე).*

ჩაის პირველი პლანტაცია 1949 წელს გაშენდა ქედქედისა და ქვ. ჩხუტუნეთის კოლმეურნეობებში, 1951 წელს აჭარისაღმართის კოლმეურნეობაში. ჩაის პირველი მოსავალი მიღებულ იქნა გაშენებიდან 3-4 წლის შემდეგ. ცალკეული

კოლმეურნეობები ჩაის საკარმიდამო ნაკვეთებზეც აშენებდნენ და მქვანე ფოთოლს საოჯახო წესით ამუშავებდნენ. აქვე უნდა გავამახვილო ყურადღება იმ ტრადიციაზე, რაც მაწახლის ხეობის და კერძოდ აჭარის მთიანი ზონის მოსახლეობას აქვს მოცვის ფოთლისა და ცაცხვის ყვავილისაგან არომატული ჩაის დამზადების საქმეში ***(ჯახიძე, 1971:18-19).***

1948-1950 წლებისათვის აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები სათანადოდ იყვნენ აღჭურვილნი სასოფლო სამეურნეო იარაღებით. განაწილებული ჰქონდათ შრომადღეები და შესასრულებელი გეგმები: სიმინდი, ლობიო, ყურძენი, ხეხილი, ნიგოზი. მეცხოველეობის ფერმები შრომობდნენ ნამატის გაზრდაზე და წველადობის ამაღლებაზე.

აჭარისაღმართის ფერმაში 1947 წლის 1 იანვრით ირიცხებოდა: 8 ცხენი და 1 კვიცი, სულ 9 სული, მსხ. რქ.პირუტყვი 58 სული, წვრ. რქ. პირუტყვი 191 სული, ფრინველი 60 ფრთა, ფუტკარი 22 ოჯახი.

მიღებული ჰქონდა: 7275 ლტ. რძე, 270 კგ. კარაქი, 260 კგ. ყველი, 533 კგ. ნადუღი, 1933 ც. კვერცხი.

გეგმა წელიწადში - 1 ძროხაზე 437 ლტ. რძე, ერთ ქატამზე - 43 კვერცხი.

ფულადი სახით სულ წელიწადში შემოვიდა - 176 556 მან ***(აცსა, ფ.რ-704, საქ.38, ფურც.1).***

კომლეურნეობებს ქ.ბათუმში გააჩნდათ სავაჭრო წერტები, სადაც მოწეული მოსავლის რეალიზაცია ხდებოდა ***(აცსა, ფ.რ-660, საქ.43, ფურც.25).***

1951 წლის თებერვლის ბოლოს სოფ. აჭარისარმართში კოლმეურნეთა მოეწყო საპარიკმახერო, აშენდა კოლმეურნეობის ახალი გარაჟი ***(აცსა, ფ.რ-660, საქ.50, ფურც. 7),*** 25 მარტს კოლმეურნეების მიერ დარგულ იქნა 150-150 ძირი ვაშლისა და მსხლის ხეები, 100 ძირი ლეღვი, 500 ძირი კაკალი, 600 ძირი მუხა ***(ფურც.9).***

1951 წლისათვის კოლმეურნეობათა წლიური გეგმა ასეთი იყო: კვერცხი 3200 ცალი ***(ფურც. 11),*** უნდა დაითესოს - 150 ჰა სიმინდი, 8 ჰა კარტოფილი, 3 ჰა ლობიო, 14 ჰა თამბაქო, 30 ჰა ლობიო შერევით. 2 ჰა სილოსი ***(ფურც.12).***

1951 წლის ივლისიდან დაიწყო აჭარისაღმართის მეცხოველეობის ახალი ფერმის მშენებლობა. საარქივო ჩანაწერში ვკითხულობთ: ”ბოსლის ადგილობრივი ქვით აშენება გაჭიანურდება, ამიტომ საჭიროა აშენდეს მოჭრილი ქვით, ბეტონით. გამონახულ იქნეს ქვის ოსტატი. ფერმის მშენებლობაზე ბრიგადირად დაინიშნოს ხულუს არიფის ძე ნაგერვაძე, რათა გაკონტროლდეს დასაქმებული მუშახელის საქმიანობა. ფერმის მშენებლობაზე ყოველდღიურად ოსტატების გარეშე გამოყოფილ იქნას 10 მუშახელი ***(ფურც. 31-33).*** 1957 წლის მარტიდან დაიწყო სოფ. ქვ. ჩხუტუნეთში მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა ***(აცსა, ფ.რ-704, საქ.48, ფურც.5).***

კოლმეურნეობებს ემსახურებოდა „ზის 151“ ტიპის ავტომობილი, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული ავტომობილი ჩაანაცვლეს „გაზ 51“ ტიპის მომცრო ავტომობილით, რადგანაც „ზის 151“-ს დიდი გაბარიტების გამო მოუხერხებელი აღმოჩნდა მაჭახლის ვიწრო გზებისათვის ***(ფურც. 6-7).***

1960-იან წლებამდე მაჭახლის ხეობის კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითადი წყარო მეთამბაქოეობა იყო. შემდგომ მეჩაიეობის განვითარებამ თანდათანობით შეცვალა საკოლმეურნეო შემოსავალში თანაფარდობა და მოკლე დროში წამყვანი ადგილი დაიკავა. მეთამბაქოეობამ კი მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მაგალითად სოფ. ქედქედში მეჩაიეობამ მთლიანად ჩაანაცვლა მეთამბაქოეობა. 1970 წლისათვის ქედქედს საერთოდ აღარ ჰქონდა თამბაქოს გეგმა, ხოლო ჩაით მიღებული შემოსავალი საერთო შემოსავლის ნახევარზე მეტს შეადგენდა. ხეობის სხვა კოლმეურნეობებშიც გაიზარდა მეჩაიეობით მიღებული შემოსავალი. მეჩაიეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა.

მაჭახლის ხეობაში ძველად მხოლოდ მაღლარი ვენახის გაშენებას მისდევდნენ. დაბლარი ვენახის გაშენება კოლექტივიზაციის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. დაბლარი ვენახის (ცოლიკაურის) ზვრები აქ 1939 წელს გაშენდა. ამ წელს ვენახი დაირგო ქედქედისა და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებში. შემდეგ ვენახი გააშენეს 1940-1941 წლებში ზ. ჩხუტუნეთისა და ქვ. ჩხუტუნეთის კოლმეურნეობებმა. 1946 წელს - აჭარისაღმართის კოლმეურნეობამ.

ადგილობრივ მოსახლეობას თავიდან არ გააჩნდა დაბლარი ვენახის მოვლის სათანადო ცოდნა-გამოცდილება, ამიტომ პირველ ეტაპზე ვენახის გაშენების

ორგანიზაციასა და მოვლა-პატრონობას ადგილზე მოვლინებული სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. მოგვიანებით ვენახის მოვლა-მოყვანის საქმეს ადგილობრივი კადრებიც დაეუფლნენ და სათანადო გამოცდილებაც შეიძინეს.

დაბლარი ვენახის პლანტაციებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩიქუნეთი. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩიქუნეთს ზვრებისათვის ხელსაყრელი რელიეფი და სათანადო ნიადაგი გააჩნია. აქ მოყვანილი ყურძენი ტკბილია, ღვინოც სურნელოვანი და დასალევად სასიამოვნო.

როცა მაჭახლის ხეობისა და ზოგადად აჭარაში მევენახეობაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ ღვინის დაყენებას და მისი მოხმარების საკითხებს არა მარტო კოლმეურნეობებში, არამედ ოჯახებშიც. ვენახის მოყვანამ, ღვინის დაყენებამ და მისი რეალიზაცია-მიღებამ ადგილობრივი მოსახლეობას დაუბრუნა ის ადათ წესები, რომელიც ისლამის ბატონობის პერიოდში აკრძალული იყო. მევენახეობა-მეღვინეობის საქმეშე ერთად ჩაება კაციცა და ქალიც, კოლმეურნეობებში აგებულ იქნა სპეციალური ღვინის საწყობები, მიწაში იქნა ჩაცემენტებული საღვინე ჭურები. სოფ. ზ. ჩხუტუნეთში საღვინედ გამოიყენეს ის ჭურებიც, რომელსიც წინაპრები აყენებდნენ ღვინოს საუკუნეების წინ (ასეთი ჭურები მიწიდან იქნა ამოღებული და დანიშნულების ადგილას მიტანილი) ***(ბახიძე, 1974:87-88).***

მეთამბაქოეობის განვითარებას აჭარის მთიანი ზონის სოფლებში ისევე, როგორც საერთოდ მეთამბაქოეობის ძველ რაიონებში. ხელს უწყობდა ერთი მხრივ მეურნეობის ამ დარგის წინანდელი საწარმოო ტრადიციები და ხალხური აგროტექნიკური ცოდნა, მეორე მხრივ, სამეურნეო ხასიათის ახალი ღონისძიებების გატარება.

კოლექტივიზაციაზე გადასვლამდე ამ სამეურნეო ღონისძიებათა შორის პირველ ყოვლისა დიდი მოთხოვნილება ენიჭებოდა ღარიბ გლეხობაში თამბაქოს კულტურის აგროტექნიკური ცოდნის გავრცელებას. ამ მიზანს ემსახურებოდა აჭარის სოფლებში დაარსებული სასოფლო-სამეურნეო წრეები, რომლებიც გლეხობას აცნობდა და ასწავლიდა თამბაქოს კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკას (ჩითილების გამოყვანა, დატგვა, პლანტაციების გათოხნა, შეტექვა-ანემსვა, გაშრობა,

დახარისხება, ცალებად შეკვრა და სხვ). 1928 წელს ერთ-ერთი ასეთი წრე არსებობდა აჭარისაღმართის თემის ცენტრში, რომელმაც თამბაქოს დარგის რამდენიმე სპეციალისტინ მოამზადა *(იქვე).*

აჭარისაღმართის თემში შემავალი ახლად ჩამოყალიბებული მიწის ერთობლივი დამმუშავებელი ამხანაგობები („ტოზები“) ძირითადად მეთამბაქოეობის კოლექტივები იყო და მასში განსაზოგადებელ მიწებზეც პირველად ძირითადად თამბაქო მოჰყავდათ. ტოზის პირობებში მომზადდა ნიადაგი, რათა აქაურ პირობებში თამბაქო წამყვან საკოლმეურნეო კულტურად გადაქცეულიყო. ამას ხელს უწყობდა საბჭოთა მთავრობა, გასცემდა ფინანსურ დახმარებას, ამზადებდა სათანადო კადრებს. თანდათან მოსახლეობამ თავადაც შეიძინა სათანადო ცოდნა და გამოცდილება და მეათამბაქოეობა წამყვან დარგად აქცია. აიგო სანერგეები, სადაც გამოჰყავდათ ჩითილები, აგებულ იქნა ფარდულები, სადაც ხდებოდა აკემსილი თამბაქოს გამოშრობა და შემდეგ გადატანა თამბაქოს მიმღებ პუნქტებში, სადაც ახარისხებდნენ თამბაქოს და სხვ.

მეთამბაქოეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარელი ქალის ჩართულობაში. მეთამბაქოეობამ ხელი შეუწყო ქალი სრულფასოვნად ჩართულიყო კოლექტიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გ. ელექტროფიკაცია და საფოსტო მომსახურება.

XX ს-ის 40-იანი წლების ბოლოსათვის მაჭახლის ხეობაში, პირველად სოფ. აჭარისაღმართში მოხდა მოსახლეობის ელ. ენერგიით უზრუნველყოფა. ელ. ენერგია მიღებული იქნა სკურდიდის ღელეზე განთავსებული მცირე გესის სიმძლავრის გამოყენება, რომელიც ელ. ენერგიით უზრუნველყოფდა იქვე ახლოს მდებარე სამხედრო თავდაცვით ნაგებობას - ბუნკერს. ელექტრო სადგურს ხელმძღვანელობდა ხარუნ მორთულაძე.

1951 წლის 23 თებერვლის მონაცემებით ელექტრო ენერგიას სარგებლობდა აჭარისაღმართის 53 კომლი, სულ 211 ლამპა. I ბრიგადა - 32 ლამპა, II ბრიგადა - 45 ლამპა, III ბრიგადა - 39 ლამპა, დანარჩენი წარმოება დაწესებულებებში და ფერმაში.

სულ 141 ცალი ფასიანი და 70 უფასო ლამპა. თითო ლამპაზე გადასახადი იყო 5 მანეთი. უფასო განათებით სარგებლობდნენ წითელი არმიის ოჯახები *(აცსა, ფ.რ-660, საქ.50, ფურც.7).*

პირველ ეტაპზე ელექტრო სადენები დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, რადგანაც ოჯახებში მიყვანილ სადენებს დამცველები არ გააჩნდა. ამასთან დაკავშირებით სახანძრო რაზმის ხელმძღვანელი ხამუდ ნაგერვაძე მოუწოდებდა ელ. სადგურის ხელმძღვანელობას დროულად შეეძინა ელ. დამცველები და დაეყენებინა, რათა დროულად აეცილებინათ თავიდან ხანძრის გაჩენის საფრთხეები. დამცველები დროულად იქნა შეძენილი და დამონტაჟებული *(ფურც.16),* დამატებით, ზამთარობით ელექტრო სადგურის გამართულად მუშაობისათვის შეძენილ იქნა 500 კგ. მავთული, 200 ცალი იზოლატორი, ამავდროულად 7 კომლთან გაიყვანეს სინათლე *(ფურც.60).*

1951 წლის ივლისში დაიწყო მდინარე მაჭახელაზე 1,5 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობა, რომელიც ელ. ენერგიით უზრუნველყოფდა არა მარტო მაჭახლის ხეობას, არამედ მახლობელ თემებსაც. კოლმეურნეობებს დაევალათ გამოეყოთ მუშახელი ჰესის მშენებლობისათვის *(ფურც, 31, 54).*

1957 წელს ექსპლუატაციაში შევიდა მაჭახელას ჰიდროელექტრო სადგური, რომელმაც ხეობაში დამატებითი სამუშაო ადგილები შექმნა. სპეციალურად გადაამზადეს ადგილობრივი კადრები, რომლებიც სმენებად გაანაწილეს ჰესში სამუშაოდ.

1960 წლიდან ხეობაში, სოფ. აჭარისაღმართში შემოდის ხაზის რადიო, რისთვისაც წინასწარ იქნა გამზადებული ბოძები. სოფლის რადიოფიკაციასთან დაკავშირებით სოფ. აჭარისაღმართის კოლმეურნეობის ბრიგადებს მიეცათ გეგმა თითოეულ ბრიგადას 30-30 ცალი, სულ 120 ცალი ბოძი იქნა დამზადებული *(აცსა, ფ. რ-660, საქ.50, გვ.15).*

მაჭახლის ხეობაში, სოფ. აჭარისაღმართში საფოსტო განყოფილება XX ს-ის 30-იან წლებში გახსნილა. ფოსტის გამგედ დაუნიშნავთ მულთუზ აბესლამიძე *(აცსა, ფ.რ-221, საქ.11, ფურც. 12),* რომელმაც 1937 წლის 27 ივნისამდე იმუშავა. შემდგომში იგი შეცვალა უზეირ ქოქოლაძემ *(საქ.14, ფურც.20).*

60-იანი წლებიდან ხელვაჩაურის რაიონში 10 საფოსტო განყოფილება არსებობდა, მათგან ერთ-ერთი სოფ. აჭარისაღმართში იყო. ამ პერიოდიდან ფოსტის გამგედ, საფოსტო განყოფილების ლიკვიდაციამდე მუშაობდა იაშა ნიკოლოზის ძე ფარტენაძე. საფოსტო გზავნილების დამტარებლად ალექსანდრე ხასანის ძე ფარტენაძე, თევრათ ხუსიას ძე ქონდარიძე, მოგვიანებით მცირედი ხნით, განყოფილების ლიკვიდაციამდე, თენგიზ ილიასის ძე ფარტენაძე. სოფ. ქედქედს საფოსტო განყოფილებიდან ემსახურებოდა მამუდ შალიკაძე, მოგვიანებით გივი მსხალაძე. სოფ. ჩხუტუნეთს - ბილალ მალაყმაძე და დურსუნ მალაყმაძე. ჩიქუნეთში - მურად მალაყმაძე. 2007 წლიდან საფოსტო განყოფილებებმა ლიკვიდაცია განიცადა, საფოსტო გზავნილების დანაწილება-დარიგება ხელვაჩაურის საფოსტო-საკურიერო სამსახურის ხელსი გადავიდა.

დ. მედ. პუნქტები და საავადმყოფო.

1924 წლისათვის აჭარისწყლის მაზრაში სამი საექიმო პუნქტი არსებობდა:აჭარისწყალზე, აჭარისაღმართში და ბაბუჩოღლებში. აქედან აჭარისწყლის საექიმო პუნქტი წითელი ნახევართვარის ხარჯზე იყო, დანარჩენი ორი კი სახალხო კომისარიატის ხარჯზე *(აცსა, ფ.რ-4, საქ.88, ფურც.4, ფ.რ-19, საქ.4, ფურც.34).*

მაზრისა და თემის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა სათანადო ყურადღება მიექცია სამედიცინო პუნქტებისათვის. თავდაპირველად პუნქტებისათვის არ არსებობდა საჭირო შენობა, არ იყო ექიმი და მის მოვალეობას ექთანი ასრულებდა. მოგვიანებით დაიწყო მომარაგება მედიკამენტებითა და სათანადო ინვენტარით, დაიწყო კვალიფიციური კადრების გამოგზავნა. 1924 წლისათვის აჭარისაღმართის საექიმო პუნქტის გამგედ მოვლინებულ იქნა ექიმი ტიტე წილოსანი *(აცსა, ფ.რ-19, საქ.6, ფურც.22-24, 43).*

1925 წლის მარტიდან საექიმო პუნქტის გამგედ მუშაობდა გრიგოლ მიქაძე. ხეობაში სამუშაოდ მოვლენილ ექიმებს ძალიან უჭირდათ მუშაობა. არ არსებობდა სათანადო ინფრასტრუქტურა, სიძნელეებს ქმნიდა ხეობის რელიეფი, გაფანტული დასახლებები. მოსახლეობასთან მისასვლელი გზები მოუწესრიგებელი და ძნელად სავალი იყო. გვიანდებოდა მოსახლეობასთან ვიზიტი, რისთვისაც მოსახლეობა

ხშირად უჩიოდა და საყვედურობდა ექიმებს. როგორც ჩანს ექიმებს იმდენად გაუსაძლის ვითარებაში უხდებოდათ მოღვაწეობა, რომ ხშირად თვითნებურად ტოვებდნენ სამსახურს *(საქ.5, ფურც.132)* ამას მოწმობს ხეობაში განაწილებულ ექიმთა ხშირი ცვლილება. 1925 წლის ივნის-ივლისში პუნქტი ექიმად მუშაობდა ბენია ტარასაშვილი *(საქ.7, ფურც.111),* აგვისტოდან სექტემბრამდე დროებით, პუნქტის ექიმად მუშაობდა ვერა მახარაძე, რომელიც საკუთარი თხოვნის საფუძველზე 5 სექტემბრიდან დათხოვნილ იქნა *(საქ.7, ფურც.23),* 1926 წლის ოქტომბრიდან - პრონიში *(საქ.11, ფურც.48),* ნ. ცინციბაძე *(საქ.21, ფურც.60).*

აჭარისაღმართის მედ. პუნქტში ბებია ქალის თანამდებობაზე მუშაობდნენ ნინო კონსტანტინეს ასული მენაღარიშვილი *(საქ.7, ფურც.101),* ვერა კაკრიაშვილი *(საქ.21, ფურც.31).*

სამედიცინო პუნქტს პერსონალისათვის არ გააჩნდა საერთო საცხოვრებელი, მედ. პერსონალი იქვე ახლოს მდებარე ხამუდ ნაგერვაძის სახლში ცხოვრობდნენ *(საქ.3, ფურც.66).*

1928 წლის აპრილის თვეში საექიმო დახმარება გაეწია 165, ხოლო 1929 წელს კი მთლიანად 1649 კაცს *(აცსა, ფ.რ-18, საქ.9, ფურც.46).*

1937 წლის დასაწყისისათვის საექიმო პუნქტის გამგედ მუშაობდა ტიტე ჩხიკვიშვილი *(აცსა, ფ.რ-221, საქ.11, ფურც.4),* იმავე წლის 26 აპრილიდან გამგედ დაინიშნა პარმენ ხურცილავა *(ფურც.14).* ამბულატორიის ექთნად მუშაობდა დ. დიასამიძე, ხოლო დეზინფექტორად ზელიხე ფარტენაძე *(საქ.62, ფურც.32).*

საბჭოთა წყობილების პირველ ეტაპზე მაზრისა და თემის სამედიცინო პერსონალს მრავალ ეპიდემიურ დაავადებასთან უწევდა გამკვლავება. აქაურ მოსახლეობას პირდაპირ მუსრს ავლებდა სხვადასხვა ინფექციური დაავადებანი: ტიფი, ყვავილი, წითელა, შავი ჭირი, ხოლერა, მალარია და სხვ *(აცსა, ფ.რ-19, საქ.11, ფურც.60, 67. კომახიძე, 2003:448).*

1965 წელს სოფ. აჭარისაღმართში გაიხსნა 15 საწოლზე გათვლილი საავადმყოფო *(კომახიძე, 2003:451).* ექიმად დაინიშნა გია სოსელია.

მოგვიანებით საავადმყოფოს ექიმებად მუშაობდნენ: სულიკო ლორთქიფანიძე, მცირე ხნით ლილი ქობულაძე და მისი მეუღლე, სტომატოლოგი ზივერ გაბუნია. ნოდარ ბერიძე, ილია ბერიძე, არჩილ ბერიძე, ნუგზარ კახიძე, სერგო ბოლქვაძე.

ექთნებად მუშაობდნენ: ნერმინე ქოქოლაძე, ფადიკო ნაგერვაძე, გულნარა ლორთქიფანიძე, ჟუჟუნა ფარტენაძე, მედეა ფარტენაძე, ნაზი ცინცაძე, სულეიმან მსხალაძე, დარეჯან ვანიძე, ნაზი ლორთქიფანიძე, ნადია ნაგერვაძე, ნარგიზ ჭანიძე, ვარდო შაშიკაძე, მაყვალა ხარატი, მერი ქობულაძე, ნათელა მჭედლიშვილი, გუგული კახიძე.

სანიტრებად მუშაობდნენ: ნუნუ ნაგერვაძე, ეთერ ნაგერვაძე, ქსენია ნაგერვაძე, მინერე მორთულაძე, ბეიჯე მორთულაძე, ზექიე კახიძე, ნაზიკო კახიძე, ნაზიკო კირკიტაძე-კახიძისა, ნათელა მორთულაძე, ხატიჯე დემურაძე, ვარდო ნაგერვაძე.

აჭარისაღმართის საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილს გამაგებდნენ: აიშე აფხაზავა, ქაზიმ მორთულაძე, ამირან ნაგერვაძე.

საავადმყოფოს სასადილოს განაგებდა ნიგარი მორთულაძე, შემდგომ ხურიე მორთულაძე და გულიკო მორთულაძე.

საავადმყოფოს ემსახურებიდა „გაზ 52“ტიპის ავტომობილი. რომლითაც ხდებოდა მედიკამენტების, სხვადასხვა აღჭურვილობისა ,თუ საკვები პროდუქტების მიწოდება საავადმყოფოზე. მძღოლებად მუშაობდნენ: სულიკო დემურაძე და მოგვიანებით ოთარ მოფინაძე.

1992 წლიდან საავადმყოფო გვერდით დაიწყო ექიმებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, 1993 წლიდან საავადმყოფოს გადაეცა ავტომობილი „ნივა“, მძღოლად დაინიშნა მალხაზ ნაგერვაძე.

1995 წელს რაიონში სამედიცინო სფეროში გატარდა ორგანიზებული ღონისზიებები, დაიწყო ნაკლებეფექტური, დაუტვირთავი საავადმყოფოების გაუქმება. აღნიშნული რეორგანიზაციის საფუზველზე გაუქმდა აჭარისაღმართის საავადმყოფო, იგი გადაკეთდა ამბულატორიად, რომელსაც ემსახურებოდა ერთი ექიმი და სამი ექთანი.

1960-იანი წლების ბოლოსათვის მაჭახლის ხეობაში შემავალი სკოლები და დაწესებულებები 70-80%-ე ადგილობრივი კადრებით იყო დაკომპლექტებული. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ეკონომიკური აღმასვლა და მშენებლობა. ამ პერიოდში აიგო ორი პურის საცხობი სოფ. აჭარისაღმართში და ქვ. ჩხუტუნეთში, რომლებიც პურით ამარაგებდნენ მთელ ხეობას *(კახიძე, 1974:93),* სოფლების ცენტრებში აშენდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

ძველი საცხოვრებელი ნაგებობა იშვიათად იყო ორსართულიანი ან საქონლის სადგომს მოცილებული. ეს უკანასკნელი ფაქტიურად საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს წარმოადგენდა.ბევრი სახლისთვის დამახასიათებელი იყო მიწური იატაკი შუაცეცხლით, ვიწრო, უმინო ფანჯრებით. ხის ძველ ახორიან სახლებს ახალი ტიპის ორსართულიანი ოდა-სახლები ცვლის. ხის სახლების გვერდით შენდება ქვის სახლებიც. კოლმეურნეებს შეღავათიან ფასებში ეძლეოდათ ხე-ტყე, ცემენტი, სახურავი და ღებულობენ მოკლევადიან კრედიტებს. წინათ თუ სამშენებლო მასალა ხელით (თრევით) მოჰქონდათ, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ტყის მასივებში გაყვანილი იქნა სამანქანო გზა, რომელმაც მოსახლეობას მისცა საშუალება ხე მასალა მიეტანა მანქანითა და ტრაქტორით. ადრე სამშენებლო მასალა (ფიცარი და სხვ.) ხელით („ლაფერა ხერხით“ და „დოლაბა ხერხით“) თუ იხერხებოდა, ამ პერიოდისათვის ეს სამუშაო ჩაანაცვლა სახერხმა ქარხნებმა, რომელიც ყოველ კოლმეურნეობაში იყო მოწყობილი. სოფლად მკვიდრდება ელექტროენერგიაზე მომუშავე სახელოსნო დაზგები *(კახიძე, 1974:91).*

მშენებლობაში სხვა ახალი ელემენტებიც შევიდა. ყავარს თუ კრამიტს შიფერის ან თუნუქის სახურავი ცვლის, სახლებს უკეთდება შუშაბანდიანი აივნები, მაღალი და განიერი ფანჯრები. ყურადღებას იქცევს თვით საცხოვრებელი ბინის შინაგანი მორთულობა. ოთახებში „სექვები“, რომლებიც ძირითადად დასაწოლად, აგრეთვე დასაჯდომად იყო განკუთვნილი, იცვლება გემოვნებით შერჩეული ავეჯით *(იქვე).*

საბჭოთა პერიოდში მატერიალური შესაძლებლობების ზრდამ მოსახლეობას საშუალება მისცა ეზრუნა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. წინათ მაჭახლის ხეობის მოსახლეობისათვის ფაბრიკული ნაწარმის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იშვიათობას წარმოადგენდა. იგი ერთეული პირებისათვის თუ იყო

ხელმისაწვდომი. ტანსაცმელი სელ-კანაფის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან იქსოვებოდა და იკერებოდა ადგილობრივი წესით. ახლა უკვე მიეცა მოსახლეობას საშუალება თავისი გემოვნების მიხედვით შეეძინა ტანისამოსი თავისი სოფლის თუ ქალაქისა და ქვეყნის სხვადასხვა მაღაზიებში *(იქვე).*

მუსლიმანური სარწმუნოება სასტიკად კრძალავდა ღვინისა და არყის დამზადებასა და ხმარებას. მას შემდეგ რაც კოლმეურნეობებში დაიწყეს დაბლარი და მაღლარი ყურძნისაგან ღვინის დაყენება და ხილისაგან არყის გამოხდა, მოსახლეობამ ამ საქმეს ოჯახებშიც მოკიდეს ხელი.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა საქორწინო ურთიერთობაში. საბჭოთა ეპოქამ შეცვალა ის მანკიერი წესები და ბარიერები (ფულადი და ნატურით გადასახადი სასიძოს ოჯახის მხრიდან საცოლეს ოჯახის სასარგებლოდ, ნათესავებს შორის ქორწინება), რაც ქორწინების მუსლიმანური ადათებითა და წეს-ჩვეულებებით იყო განპირობებული *(ჯახიძე, 1974:95).*

ამრიგად, საბჭოთა წყობილების დამყარებამ, კოლექტივიზაციის ჩამოყალიბებამ ძირფესვიანი გარდატეხა მოახდინა მაჭახლის ხეობის განვითარებაში. საკოლმეურნეო წყობილებამ, ისტორიულად მოკლე დროში პირველად დაამკვიდრა სოფლად ახალი წარმოებითი ურთიერთობა, ახალი ყოფა და კულტურა. სოფლის საწარმოო ძალების ზრდამ და კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებამ, ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის აღმავლობასა და ყოფა-ცხოვრების გაუბჯობესებას. მაჭახლის ხეობაში ეკონომიკურმა აღმავლობამ და სოციალურ-კულტურულმა გაუმჯობესებმა დასაბამი დაუდო სოფლად ადგილობრივი ინტელიგენციის შექმნას.

4. მაჭახლის ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მიღწევები განათლების მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.

ქართული განათლებისა და კულტურის აკვანი, დიდი წარსულის მოწმეები: ოპიზა, ხანძთა, ხახული, ტბეთი და მათთან არსებული სასწავლო კერები დიდ როლს

თამაშობდა მომავალი თაობის სულის განმტკიცებისა და სწავლა-აღზრდის საქმეში. ქართული ანბანის დახვეწილობა და სისადავე, ფაზისის, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, ტაო-კლარჯეთის, პალესტინისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე არსებული სასწავლო საგანმანათლებლო ცენტრები, პეტრე იბერისა და გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მთაწმინდელისა და არსენ იყალთოელის, შოთა რუსთაველისა და ტბელ აბუსერისძის სახელები თავისთავად მიგვანიშნებენ ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს მდიდარი კულტურული წარსულის, მისი განათლების მაღალ დონეზე. სწორედ ამ დიდი ნიჭიერების თანაზიარია მაჭახლის ხეობა.

განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდნენ. ეკლესია-მონასტრებთან ყოველთვის არსებობდა სკოლები, რომლებიც მომავალი თაობის წიგნიერებას ემსახურებოდა. მაჭახლის ხეობაში ევფრატისა და ხერთვისის დიდი ტაძრების გარდა მცირე ეკლესიებიც არსებობდა, რომელთა შესახებ ტოპონიმი „ნაქილისევი“ მიგვითითებს. ზუსტად ეს ეკლესიები და ტაძრები უნდა ყოფილიყო მაჭახლის ხეობაში სწავლა-განათლების პირველი კერები.

XVI საუკუნეში რადიკალურად იცვლება საერთაშორისო ვითარება. 1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. საქართველო მოწყდა ქრისტიანულ სამყაროს და მაჰმადიანური სამფლობელოების ირანისა და ოსმალეთის გარემოცვაში აღმოჩნდა. ამას დაერთო ისიც, რომ 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. ერთიანი ქართული სამეფოს ნაცვლად, სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ერთ სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო) დაყოფილი ქვეყანა მივიღეთ, რომელნიც ერთმანეთს ისე უსწორდებოდნენ, როგორც მომხდურ მტერს. შიდაპოლიტიკურმა გათიშულობამ და არსებულმა არეულობამ ირანსა და ოსმალეთს გაუადვილა თავიანთი გავლენის სფეროდ ექციათ ქართული სამეფო-სამთავროები.

1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლითაც მათ საქართველო გაინაწილეს, აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, ხოლო დასავლეთი — ოსმალეთს. 1595 წელს ოსმალებმა აღწერეს მთელი სამცხე-საათაბაგოს 1160

სოფელი, შეიქმნა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ოსმალებმა ყველა სტრუქტურა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. ყოველივე ამან გამოიწვია განვითარების შეფერხება თითქმის ყველა სფეროში. განსაკუთრებული საფრთხე შეექმნა ქართულ განათლებასა და კულტურას. ეკლესია-მონასტრების რბევა-განადგურებამ მოსპო სწავლა-განათლების კერები.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია აჩვენოს ის პირობები, რამაც განსაზღვრა კულტურისა და განათლების შეფერხება. თვითმხილველთა მონათხრობით აჩვენოს მაჭახლის ხეობის მოსახლეობის სწრაფვა კულტურისა და განათლების აღორძინებისათვის და ის დიდი ძვრები ამ მიმართულებით, ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე რომ განხორციელდა. ნაშრომის აქტუალობასაც სწორედ ეს განსაზღვრავს. ნაშრომის დაწერისას გამოვიყენეთ ამ საკითხთან დაკავშირებული საარქივო მასალები, სამეცნიერო ლიტერატურა, თვითმხილველთა მოგონებები და სკოლის ხელნაწერი მატიანეები.

ა. პირველი მედრესეები და სწავლება-სწავლის ფორმები ოსმალთა ბატონობის პერიოდის მაჭახლის ხეობაში.

განათლებისაკენ სწრაფვა არასოდეს ყოფილა უცხო მაჭახლელი კაცისათვის, შრომობდა თუ იბრძოდა ყოველთვის ისწრაფოდა სწავლა-განათლებისა თუ კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისაკენ, რამდენადაც ამის პირობები და საშუალება უწყობდა ხელს. იყო აღმასვლები, ეკონომიკური დაწინაურება, კულტურული განვითარება, რომელსაც დაღმასვლა ენაცვლებოდა, დაღმასვლას ისევ აღმასვლა ცვლიდა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მძიმე პერიოდი დადგა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, ლაზეთი, აჭარა-მაჭახელი. მიტაცებული ტერიტორიები ოსმალებმა სანჯაყებად (ოლქებად), სანჯაყები კი ყაზებად (მაზრებად) და ნაჰიებად (თემებად) დაყეს. დაპყრობილი ქართული მიწები გურჯისტანის ვილაიეთში (გუბერნიაში) გაერთიანდა.

ოსმალთა მიერ მაჭახლის ხეობის დაპყრობა შეიძლება 1550 წლით დავათარიღოთ, რასაც წინ უსწრებდა ბრძოლები მაშინდელ მაჭახლელ აზნაურებსა და ტრაპიზონის ფაშას მუსტაფას შორის *(შაშიკაძე, 2007:27-29).* არსებობს 1573 წლის 26 ივლისით დათარიღებული ცნობა, რომლის მიხედვითაც მაჭახელი უკვე ოსმალეთის სანჯაყად მოიხსენიება. 1576 წლის ცნობით კი მაჭახელი არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაშია. თუმცაღა ხშირი იყო ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ წარმოებული აჯანყებები, მაჭახელი ადვილად არ თმობდა თავისუფლებას.

XVII საუკუნის 30-იან წლებში მაჭახლის სანჯაყი ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაშია, რომელიც 1579 წელს დაარსდა. მისი პირველი ბეგლარბეგი იყო გამაჰმადიანებული მანუჩარი (სამცხის მთავარი მანუჩარ ჯაყელი), იგივე მუსტაფა ფაშა. თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელების (1611-1683) ცნობით, XVII საუკუნის 40-იან წლებშიც მაჭახელი სანჯაყად იწოდებოდა და ადმინისტრაციულად ისევ ჩილდირის (ახალციხის) საფაშოში შედიოდა. საფაშო სამცხე-საათაბაგოს ძირითად ტერიტორიას მოიცავდა *(კახიძე, 2005:34. დავითაძე, 1990:150).*

სამხრეთ საქართველოში ქართული კულტურის განვითარებას თურქთა ბატონობამ ბოლო მოუღო. კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა ჩაკვდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ სამხრეთის ქართველები ადრე იყვნენ „ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა“. ქართული წიგნი და დამწერლობა მხოლოდ აქა-იქ შემორჩა. სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა იმ დროს ნაწილობრივ იყო გამაჰმადიანებული. ქრისტიანობა სხვადასხვა მხარეში მეტ-ნაკლებად შემორჩა: მაგალითად აჭარასა და შავშეთში.

იყო შემთხვევები, როცა თურქები ანგრევდნენე ქართულ ეკლესიებს, მაგალითად XVIII საუკუნის 30-იან წლებში ახალციხეში დაანგრიეს ყოვლადწმინდის ეკლესია. ოსმალობის პერიოდში განადგურდა მაჭახლის დედა ეკლესია, ეფრატის, იგივე ევფრატის ეკლესია *(დიასამიძე, 2017:25-32),* რომლის ნაშთებიც XIX საუკუნის ბოლომდე ყოფილა შემორჩენილი. ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, სოფლის ხანდაზმული ქალები ქრისტიანული დღესასწაულების დროს ამ დრომდე ასრულებდნენ სათანადო რიტუალებს.

ოსმალებმა ხელი მიყვეს დაპყრობილი მოსახლეობის იძულებით გამაჰმადიანებას, რაც პირველ რიგში ეკლესია-მონასტრების მეჩეთებად გადაკეთებაში აისახა. მონასტრების მეჩეთებად გადაკეთების წინ მათ მონასტრებში კოცონები დაანთეს და შემდეგ წვერმოლესილი იარაღებით გულმოდგინედ ფხეკდნენ ფრესკებს *(ჩიტაძე, 1974:37)*.

აჭარაში თურქ-ოსმალთა ბატონობამ თანდათანობით გააჩანაგა ქართული განათლება და კულტურა. დაიხურა სკოლები, საფრთხე შეექმნა ქართულ მწერლობასა და საერთოდ ქართულ ენას.

ოსმალთა მიერ ჩვენი მხარის ძალით დაპყრობის შემდეგ მიღებულ იქნა ოსმალური მმართველობის წესები. მთელ სამხრეთ საქართველოში — სამცხე-საათაბაგოში, აჭარასა და ლაზეთში, მთელი ეს ტერიტორია დაყოფილ იქნა 24 სანჯაყად: პარხალი, ხახული, ერუშეთი, თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი, ახალციხე, ოცხი, ჩილდირი, შავშეთი, ართვინი, ოლთისი, ყარსი, თორთუმი, აჭარა, მაჭახელი, ლიგანის ხევი (ლივანა), ლაზისტანი, კოლა, გონია, ბათუმი და სხვა. აღნიშნულ მხარეში ოთხი ფაშა იჯდა: ახალციხის, კოლას, ოლთისის და ლაზისტანის. ამ ფაშების უფროსად ითვლებოდა ახალციხის ფაშა, რომელიც არზრუმის სერასკერს (მთავარსარდალს) ექვემდებარებოდა *(ახვლედიანი, 1956:27-28)*.

თავისი მიზნების მიღწევისათვის ოსმალეთი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. მან დაპყრობილ ტერიტორიაზე მრავალი აგენტი გაიჩინა. ქრთამზე იცვლებოდა რაინდობა, სამშობლოს სიყვარული, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მოღალატეთა უმრავლესობა ფეოდალური კლასიდან იყო.

პირველი ჯამეები აშენდა თუ არა მათთან ერთად დაარსდა თურქული მედრესე (სასწავლებელი), სადაც თვით უსწავლელი მოლები აჭარლების ბავშვებს ჯოხის ცემითა და ყვირილით არაბულს ასწავლიდნენ. მასწავლებელ მოლებს საპედაგოგო მოღვაწეობისათვის ყურანის კითხვისა და რამდენიმე არაბული ლოცვის ზეპირად ცოდნის მეტი არაფერი მოეთხოვებოდათ. თ. სახოკია აღნიშნავს „მოლა იმის ცდაშია, შიშითა და ბრძოლით შეათვისებინოს თავის მოწაფეს ის „სიბრძნე“, რაც თვითონ ვაინაჩრობით შეუძენია. ცემა ხელით, ჯოხით და საზოგადოდ ყოველგვარი ხორციელი სასჯელი — საუკეთესო საშუალებად მიაჩნია სწავლების დროს. ცალ ხელში ჯოხი

უჭირავს ამართილი და იმავე დროს ბავშვებს ათასჯერ ამეორებინებს გაუგებარ არაბულ სიტყვებს. ამ შემთხვევაში სრული ჰარმონიაა მასწავლებელსა და ბავშვის მშობელთა შეხედულებას შორის. მშობელი იმ აზრს შეეზარდა, რომ ბავშვს, თუ არ ცემით, ისე სწავლას ვერ შეაყვარებო. ამგვარი აზრით წათამამებული უვიცი მოლა სრულად მხეცდება და თავს არ იზოგავს. რაც უფრო დაუზარელია ცემაში, მეტი ფასი და სახელი აქვს მშობლებს შორის. რამდენიმე წლის ტანჯვის შემდეგ საცოდავი ბავშვი თუ სულ არ გამოტვინდა თავისებური მასწავლებლის ხელში და გაუძლო მთელ პედაგოგიურ ინკვიზიციას, შეიძლება ზეპირად ისწავლოს არაბული ყურანის წაკითხვა, რამდენიმე არაბული ლოცვა ზეპირად, რომლის შინაარსი, რასაკვირველია არ გაეგება, და ოსმალური წერა. უმრავლესობა ამას ვერ სწავლობს და სასწავლებელს თავს ანებებს.

წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად მოლა-პედაგოგი თავის შეგირდს გულში უნერგავს სიძულვილს ყველა იმ ერის მიმართ, ვინც მაჰმადის მიმდევარნი არ არიან. მათთან კავშირის დაჭერა — ცოდვა და მაჰმადის საწყენი საქმე იქნებაო. აი, ასეთი მოლები იყვნენ აჭარლების მასწავლებლები და დღესაც ისინივე დარჩნენ აქაური სკოლების სვე-ბედის გამგეებად“ ***(სახოკია, 1985:233)***.

თურქული ენისა და ისლამის სწრაფად გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა ჯამეებისა და მედრესეების გახსნამ თითქმის ყველა სოფელში. ეს ე.წ. სკოლები თურქების ხელში ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილების საჭირო იარაღი იყო.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში ჯამეებისა და მედრესეების გახსნა საკმაოდ გვიან დაიწყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობთა მიერ გამუსლიმანების პოლიტიკის განხორციელებას. არსებული წყაროების მიხედვით აჭარაში პირველი მეჩეთი და მასთანავე მედრესე აგებულ იქნა ზემო აჭარაში შერიფ ბეგის მამის, ჩილდირის ვილაიეთის ბეგლარბეგის ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის მიერ 1829-1836 წლებში ***(ჩიტაძე, 1974:35)***.

მაჭახლის ხეობაში ამ დროისათვის 29 ჯამე და 32 მედრესე იყო ***(გუგუნავა, 2003:37),*** მეჩეთები და მედრესეები თურქი ბარბაროსების საიმედო დასაყრდენი და ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებული დენაციონალიზაციის ყველაზე უფრო ქმედითი დაწესებულება იყო. მედრესეებში ბავშვები სწავლობდნენ არა მარტო

თურქულ ენას, არამედ ისლამსა და მის დოგმებს. მედრესეებში მოკალათებული ხოჯა-მოლები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ახალგაზრდა ქართველი ქალ-ვაჟებისათვის ჩაენერგათ მუსლიმანური რელიგიისადმი ფანატიკურად განწყობილების იდეა, აღმოეფხვრათ მათში ქართული კულტურის ნასახიც კი, დაევიწყებინათ დედაენა, გადაჩვეოდნენ ქართულ ადათ-წესებს.

მაჭახლის ხეობაში მედრესეთა ასეთი რაოდენობა გვაფიქრებინებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთის ხელისუფლებისათვის საწავლების ისლამური წესის დანერგვა დაპყრობილი, ძალით გამაჰმადიანებული მოსახლეობისათვის. ისლამური დოგმების შესწავლა პირდაპირ ითვალისწინებდა მომავალი თაობის ისლამური წესით აღზრდას და მათ გათურქებას.

მაჭახლის ხეობაში რომ ოსმალური სწავლა-სწავლების საკითხი მაღალ დონეზე იდგა იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ბათუმში 1881 წელს პირველი სკოლის გახსნისას ისლამური საღვთო სჯულის მასწავლებლად მაჭახლიდან მოუწვევიათ სულეიმან-ეფენდი მეჰმედ-ზადე.

საიტერესო ცნობებს გვაწვდის თედო სახოკია აჭარაში მედრესეების შესახებ:

„საანგარიშო წელს, მთელს აჭარაში 68 მედრესე (სკოლა) იყო (ზემო აჭარაში-31, ქვემო აჭარაში-37), შიგა სწავლობდა 1117 ყმაწვილი (ზემო აჭარაში-320, ქვემო აჭარაში-857). ამათგან სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა 26 მოსწავლე, ხოლო დანარჩენი ერისკაცთა შვილები იყვნენ. ამ უკანასკნელთა შორის 16 ყმაწვილი ბეგებისა იყო, ხოლო დანარჩენი სოფლელთა. თუ გავიხსენებთ, რომ მთელს აჭარაში 32 448 სულია, 1117 მოსწავლე მაიცა და მაინც ბევრად არ მოგვეჩვენება: 100 კაცში 4-იც არ სწავლობს!... გარდა ყველა ნაკლოვანებისა, რომელიც თან ახლავს აქაური იმამების პედაგოგიურ მოღვაწეობას, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მედრესეებში სამოსწავლო წელიწადი 2-3 თვე თუ გასტანს, ისიც ზამთარში, როცა დიდი თოვლისა და სიცივეების გამო სასწავლებელში სიარული თითქმის შეუძლებელი ხდება ხოლმე, და როცა აქაურ ფიცრულ მედრესეებში 2-3 გრადუსის მეტი იშვიათად არის ხოლმე სითბო!... დანარჩენ დროს ბავშვები მშობლებს ეხმარებიან ხოლმე მუშაობაში“ ***(სახოკია, 1985:233-234)***.

მედრესეს პროგრამა ძირითადად დაფუძნებული იყო არაბული ენის შესწავლასთან, რა ენაზეც დაწერილია მუსლიმანური რელიგიური წიგნები.

მედრესეებში მასწავლებლის როლს ასრულებდნენ მოლები და ხოჯები. მედრესე მუსლიმანურ სამყაროში ითვლებოდა უმაღლეს სკოლად, იგი შედგებოდა სამი საფეხურისაგან, თითოეულში მოსწავლეები (15 დან 40 წლამდე) სწავლობდნენ 3-4 წელს.

აჭარლებისთვის არაბული ენა გაუგებარი იყო, ამიტომ მოსწავლეები მედრესეებში ლოცვის თავებს ზეპირად სწავლობდნენ, მათ შინაარსს კი ვერ ფლობდნენ.

ბევრჯერ ეცადნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი დახმარების ხელი გაეწოდებინათ აჭარლებისათვის, მაგრამ ამის საშუალებას ოსმალეთის ხელისუფლება არ იძლეოდა. ამის დასტურია ზაქარია ჭიჭინაძის მოგონება:

„ვიდრე ოსმალოს საქართველო შემოგვიერთდებოდა, ბევრს ქართველს სტკიოდა გული მისთვის, უნდოდა მისი ავ-კარგის გაგება, მისი ჭირისა და ლხინის გაზიარება. 1874-1875 წლებში თბილისიდან ბევრნი ვაპირებდით ოსმალოს საქართველოში წასვლას და თან ქართული წიგნების წაღებას, რისთვისაც ფულიც შეკრიბეს, მაგრამ ჩვენ დიდად გვაშინებდა ის მაგალითი, რომ 1873 წელს განსვენებული დ. ბაქრაძე 12 დღით დაჭერილი იქნა ბათუმის ფაშისაგან“ ***(ჭიჭინაძე, 1913:57)***.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა შესაძლებელი გახადა აჭარის დაბრუნება. 1878 წლის 25 მარტს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა რუსეთის ფლოტი, რომელმაც 101 ზალპით მოსახლეობას ამცნო ოსმალთა ბატონობის დასასრული ***(დიასამიძე, კახიძე, 2008:14-19)***.

1878 წლის 2 სექტემბერს აჭარის, მაჭახლისა და ლივანას გავლენიანმა პირებმა (ბეგებმა) ახლადგანთავისუფლებულ ბათუმში რუსეთის ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ფიცი დადეს.

საყურადღებოა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში გაიზარდა მედრესეების რიცხვი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ 1880-იანი წლებისათვის მაჭახლის ხეობაში 32 მედრესე იყო.

ბ. პირველი ქართული წიგნები და სკოლები მაჭახლის ხეობაში.

ახლადშემოერთებულ აჭარაში განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეროვნული განათლების პრობლემა. რუს და თურქ მოხელეთაგან ქართული ენის დევნას თან ერთვოდა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი სირთულეებიც. მკვეთრად ისახებოდა ორი გზა: ქართული ეროვნულობის დავიწყება, ან განათლების სისტემის ქართულ ენაზე დაფუძნება და სულიერი ერთობა. ეს უკანასკნელი მთელ რიგ სიძნელეებს აწყდებოდა. თურქეთის სამასწლოვანმა ბატონობამ და რელიგიურმა ფანატიზმმა მოსახლეობის ეროვნულ ცნობიერებას გარკვეული დაღი დაასვა. ყოველ ნაბიჯს ქართული ეროვნულობის აღდგენის გზაზე შინაური თუ გარეშე მტრები რელიგიურ ფაქტორს უპირისპირებდნენ. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ მოღვაწეთა ეროვნულ ორიენტაციას, მათს თავდადებულ ბრძოლას ეროვნული მთლიანობისათვის.

ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული შიშის, ძრწოლისა და ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ასევე ფანატიკოსი მუსლიმანი მორწმუნეების — ხოჯების, მოლებისა და მათი მიმდევრების მიერ ხალხში გავრცელებული ბოროტი აგიტაციის გასაფანტავად, ბათუმის ოლქის გუბერნატორმა — კონსტანტინე კომაროვმა გამოსცა ბრძანება, რომელიც გაზეთ „დროების“ 1880 წლის N165-ში დაიბეჭდა.

ამ ბრძანების მე-6 მუხლში სკითხულობთ:

„მეჩეთებთან და ჯამეებთან მედრესეები უნდა გაიმართოს და იმამებმა ყმაწვილებს მუსლიმანის სჯული და წერა-კითხვა უნდა ასწავლონ, როგორც ოსმალეთის დროს ყოფილა. რუსის მთავრობა მედრესეებს შეეწევა და თავის მფარველობას არ მოაკლებს. რუსის მთავრობაც გამართავს თავის შკოლებს, მაგრამ ძალით არავის არ წაიყვანს ამ შკოლაში. და თუ ვინმე მუსლიმანმა ისურვა თავისი შვილის მიყვანა ამ შკოლაში ან ობლის, ეთიმის პატრონმა ობლის გაზრდა, იმათ უნდა სთხოვონ მთავრობას და ის ნებას მისცემს, რომ ყმაწვილები მიიღონ შკოლაში მუსლიმანის შვილები. ამისთანა შკოლებში ეყოლებათ თავისი იმამები, რომელნიც ასწავლიან იმათ მუსლიმანის სჯულზე წერა-კითხვას. მოლებს, მუფტებს და იმამებს იმედი უნდა ჰქონდესთ, რომ რუსის მთავრობა შეეწევა იმათ და თავის მოწყალებას არ

მოაკლებს, როგორც არ აკლებს სხვა სარწმუნოების სასულიერო წოდებას. რუსის მთავრობას უწინამც ჰყავდა ათი მილიონი მუსლიმანი, რომელთა მოლები, იმამები და მუფტები მთავრობის მოწყალებით ცხოვრობენ და კეთილდღეობაში არიან“ *(„დროება“, 1880: №165)*.

სწავლა-განათლების მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარება იყო მთიან აჭარაში. მიუხედავად მოსახლეობის მოთხოვნისა რუსეთის ხელისუფლება შეგნებულად აბრკოლებდა მთიან რეგიონში სკოლებისა და სასწავლებლების გახსნას. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან თედო სახოკია და ზაქარია ჭიჭინაძე.

თედო სახოკია მოგვითხრობს — „რაც შეეხება მთავრობას, აჭარაში სკოლის გახსნის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით სრულებით არაფერი გაუკეთებია. 1890 წელს ბათუმის სამისიონერო განყოფილების მინდობილობით და გურია-სამეგრელოს მაშინდელი ეპისკოპოსის გრიგოლის დავალებით აჭარა მოიარა ბატონმა იონა მეუნარგიამ, გაიცნო მცხოვრებთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა, მათი ყოფა-ცხოვრება, წარსული,და თავისი მოსაზრება წარადგინა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას“ აქეთკენ სწავლა განათლების გავრცელება და საზოგადოდ აღდგენა აწ დავიწყებული ქრისტიანობისაო. ეს მოხსენება მოხსენებად დარჩა და ბეჭდვაც კი არ ჰღირსებია, და აჭარა — უსკოლოდ. 1896 წელს „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორი ბატონი ევტიხი მამინაშვილი იყო აქეთკენ. მცხოვრებთ თხოვეს „საზოგადოების“ ხარჯით სკოლის გახსნა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, „საზოგადოებას“ „უსახსრობის“ გამო შესაძლებლად ვერ დაუნახავს აჭარლების თხოვნა დაეკმაყოფილებინა“... *(სახოკია, 1985:235)*.

როგორც თედო სახოკია მოგვითხრობს აჭარაში განათლების მხრივ მეფის მთავრობას არავითარი ზომები არ გაუტარებია. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მოსახლეობა დიდ წნეხს განიცდიდა ოსმალთა მხრიდან, როგორც სარწმუნოებაში ასევე ენასთან მიმართებაში, აქაურმა მოსახლეობამ მაინც კარგად შეინახა ქართული ენა და ადათ-წესები. ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს, რაც შეეხება წიგნის კითხვას ამ მხრივ ქალები გამოირჩევიან, განსაკუთრებით აქაური ბეგების დედები.

ახალგაზრდებს ძალიან აინტერესებთ და დიდი სურვილი აქვთ შეისწავლონ ქართული წერა-კითხვა.

ახალგაზრდობაში ქართული წიგნის მცოდნე ხულოსა და ქედაში თითო-ოროლა ყოფილა, სადაც სამმართველოებში ქრისტიანი ქართველები მოღვაწეობდნენ. ასევე ყოფილან აჭარელი ჩაფრები, რომელთაც ამ მოსამსახურე ქართველთაგან ქართული წერა-კითხვა უსწავლიათ. ქედაში აბდულ მიქელაძის მუხლჩაუხრელმა შრომამ თავისებური კვალი დატოვა ქართული წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. იგი გაზეთ „ივერიის“ საშუალებით ქართველ საზოგადოებას აჭარის ამბებს აწვდიდა.

1895 წლის ზაფხულში აჭარის გაცნობა და მცხოვრებთა შორის ქართული წიგნების გავრცელება განიზრახა ზაქარია ჭიჭინაძემ. ზაქარიამ თან წაიღო იაფფასიანი სახალხო წიგნები, განგებ საამისოდ აღბეჭდილი: „არსენას ლექსი“, „ქალ-ვაჟიანი“ და სახალხო ლექსები. ყოველ წიგნს შიგ ჩაურთო ქართული ანბანი და გაუდგა გზას. როგორც იმ ზაფხულს, ისე 1896 წლის ზაფხულს ზაქარია ჭიჭინაძემ მოიარა ზემო და ქვემო აჭარის სოფლები, ხალხს უსასყიდლოდ დაურიგა ქართული წიგნები, შეკრიბა მრავალი ამბები, ამ მხარის გამაჰმადიანების შესახებ ხალხში დარჩენილი, და „ივერიის“ საშუალებით მკითხველ საზოგადოებას გაუზიარა. ზაქარიას თავისი მოღვაწეობით აქაური მაცხოვრებლების გული მოუგია, ისინი დიდი სიყვარულით იხსენებდნენ „ზაქარია-ეფენდის“ — „კაი კაცია, გურჯული (ქართული) ქითაბები (წიგნები) დაგვირიგა და ჩვენთან ერთად ჩვენს ჯამეში ლოცულობდაო“ ***(სახოკია, 1985:239)***.

ზაქარია ჭიჭინაძე პირველი ქართველი მოგზაური-მკვლევარი იყო, რომელმაც მიზნად დაისახა მაჭახლის ხეობაში წერა-კითხვის გავრცელება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მიძინებულ-მივიწყებულ ქართულ გრძნობებს უღვიძებდა. 1892 წლის 16 ივლისს იგი ხერთვისის ჯამეში მუსლიმთა ლოცვასაც დასწრებია. შემდეგ კი ხალხში საუბარი გაუმართავს. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „მე ხალხს მათებური ლექსები წავუკითხე და „მოლა ნასრედინის“ ზღაპრები. ხალხს ძლიერ ესიამოვნა. მერე მათებური ლოცვები წავუკითხე და ამან უფრო გააკვირვა. ზოგიერთებს ანბანის კითხვაც დავაწყებინე“. მოგზაური ამავე დროს დიდად განიცდიდა იმ გარემოებას, რომ მისი მოგზაურობის დროს მაჭახლის ხეობაშე თითო-ოროლა თუ მოიპოვებოდა

ხანში შესულთაგან, რომლებიც ქართულს თანაუგრძნობდნენ. ასეთებს იგი ასახელებს ეფრატის მამასახლისს ოსმან-აღა ტყიბორიძეს და ახმედ-აღა მისილოღლის (კახიძე), რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ზ. ჭიჭინაძეს მაჭახელში მოგზაურობის დროს. მისივე გადმოცემით ქართული ენისადმი ინტერესს განსაკუთრებით ახალგაზრდები ამჟღავნებდნენ, განსაკუთრებით ბავშვები ითვისებდნენ სწრაფად ქართულ ანბანს (კახიძე, 1974:32).

ზაქარია ჭიჭინაძე მოგზაურობისას აღნიშნავდა, რომ იმ პერიოდისათვის მაჭახელი ყველაზე ყრუ და მიუვალ ადგილს წარმოადგენდა მთელს დასავლეთ საქართველოში. ერთი კაციც კი არ იყო ხეობაში ქართული წერა-კითხვის მცოდნე. ზაქარიამ რამოდენიმე ბავშვს ანბანის კითხვა დააწყებინა, მათ ისე მოეწონათ, რომ ბავშვებს უთხოვიათ აქედან აღარ გაგიშვებთო. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონებიათ „დედა-ენა“ და ვ. აღნიაშვილის ანბანი, რომელიც დასურათებული ყოფილა და თან ანდაზებიც ჰქონია დატანებული.

ზაქარია აღწერს: — „ერთმა მაჰმადიანმა ბავშვმა დაუწყო თავის ამხანაგებს ყვირილი: — უსუფა, მამედა, ერთი შეხედეთ რა ლამაზი ქითაბია, გურჯიჯა (ქართული). ბავშვებმა ჩახედეს და თვალებიდან კინაღამ ცრემლები წამოცვივდათ. ყვირიან: — შენი ჭირიმე, გვიჩვენე ეგ ქითაბები, გვასწავლე ალიფ ბეი და სხვანი“. ხერთვისისა და ეფრატის მამასახლისებს უთხოვიათ ზაქარია ჭიჭინაძისათვის გამოეგზავნათ ისეთი ვინმე, ვინც მათ ქართულ წერა-კითხვას შეასწავლიდა. ეფრატის მამასახლისს ზ. ჭიჭინაძისათვის უთქვამს 1892 წელს : „შარშან თქვენ აჭარაში წიგნები ამოგეტანათ და ხალხისათვის დაგერიგებინათ და ანბანის კითხვა გესწავლებინათ. ჩვენ რომ შევიტყვეთ ეს ამბავი ძლიერ გვეწყინა და გული გვეტკინა, რომ...მაჭახელში არ ამოხვედით. ახლა ძლიერ გამეხარდა მე და დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენ აქაც ამოხვედით. იმედია რომ დღეის შემდეგ ხშირად გნახავთ და ქართულ წერა-კითხვას გვასწავლით. ეს ჩვენთვის უფრო საჭიროა, ვიდრე თათრული“ ***(ჭიჭინაძე, 1913:190-191)***.

ქართული წერა-კითხვის შესწავლისადმი ასეთი ინტერესი იმან განაპირობა, რომ თურქეთის ბატონობამ მაჭახლისა და საერთოდ აჭარის მოსახლეობაში ვერ მოსპო ქართული სალაპარაკო ენა, იგი ძირითად სალაპარაკო ენად რჩებოდა გასული

საუკუნის 50-იან წლებამდე, როდესაც თურქულად აჭარაში ძალზე მცირე რიცხვი ლაპარაკობდა. თუმცა ვერც თანზიმათის (1839-1876 წწ.) შემდეგ შეძლო თურქულმა ენამ მოეხდინა ჩანაცვლება. უფრო მეტიც, თურქული ენა მამაკაცებმა თუ იცოდნენ, რომლებიც შინ ისევ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ზ. ჭიჭინაძე მაჭახლის ხეობის მაგალითზე შენიშნავდა, რომ „ქალებმა სულ არ იციან თათრული ენა. აქ ესენი ყოველთვის ქართულად ლაპარაკობენ“.

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ხასიათის ღონისძიებების გატარება მაჭახლის ხეობაში (ქვ. მაჭახელი) ანუ, იგივე, აჭარისაღმართის თემში გვიან დაიწყო. აღნიშნული ღონისძიებების ძირითადი მიზანი იყო პირველ რიგში ოსმალთა ბატონობის პერიოდში მივიწყებული ქართულ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სოფლის კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა. მართალია მაჭახლის ხეობა ერთიან ქართულ სივრცეს 1878 წელს დაუბრუნდა, მაგრამ კულტურულ საგანმანათლებლო ხასიათის ცვლილებები აქ შედარებით გვიან დაიწყო, განსხვავებით ზემო და ქვემო აჭარისაგან, სადაც XIX ს-ის 80-იანი წლებიდან სხვადასხვა სახის სკოლები და სასწავლებლები გაიხსნა.

პირველი სკოლა მაჭახლის ხეობაში 1916 წლის 10 მარტს გაიხსნა. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე აპოლონ წულაძე: „გულის ფანცქალით შევედით მაჭახლის ხეობაში. მარტია, მაგრამ მაისის ცხრათვალა მზეა. ცხელა. ატეხილი ბზის ბუჩქნარი ყვავილშია, მისი საამური სურნელება გვათრობს, ბუნების სიკეკლუცე გვხიბლავს. მივდივართ, აქეთ იქით ვიცქირებით, ვერ ვძღებით ჭვრეტით. „ნეტამც თუ იყოს ღვთისა ქმნილება, გვჭვრეტდეს, არ იგრძნოს მან ნეტარება“, მაგონდება მგოსნის სიტყვები. ჩემთან არიან ხამები, რომელთაც არ უნახავთ ჯერ ეს ხეობა. ესენი არიან საქველმოქმედო ქართული საზოგადოების რწმუნებულები დამსახურებული მასწავლებლები ბატონები იერ. გულისაშვილი და არს. წითლიძე, თან გვახლავს ახალგაზრდა მასწავლებელი ნიკო ქამუშაძე. ჩვენი მიზანია ამ ხეობაში, სოფ. ჩხუტუნეთში, სკოლა გავხსნათ და იქ დავტოვოთ ოცნებით გატაცებული ახალგაზრდა. ცხადია, როცა მე, რომელმაც აქაური თითოეული ბუჩქი ვიცი და მაინც ვერ ვძღები ცქერით, ადვილი წარმოსადგენია თუ ხარბად ჭვრეტენ ჩემი თამანგზავრები“ ***(წულაძე, 2017:41-42)***. ჩხუტუნეთში მიმავალ მგზავრებს გზად გადამწვარი ნასახლარები ხვდებოდათ (1914 წელს I მსოფლიო ომის

დროს ხეობის სოფლები სოფელ ჩხუტუნეთამდე მეფის რუსეთის ჯარისკაცების მიერ იქნა გადამწვარი), სოფელ სინდიეთში შესულთ აღარც „ყავახანა“ დახვდათ და არც „ყავეჯის“ სახლი ორთავე დამწვარიყო. გაღმა მხარეს, სადაც სოფელი ქედქედია მხოლოდ ნასოფლარიღა დარჩენილიყო, აქა-იქ მოჩანდა სასიმინდეების ბოძები და ყორით ნაშენი სახლების ქვედა სართული. სოფლის თავიდან სადაც ქოჩორა ნაძვები და კაკლის ხეები იდგა აღარ ჩანდა ერთ დროს დიდებული კოხტა მეჩეთი. მეფის რუსეთის ჯარს ასევე გადაუწვავს სოფელი აჭარისაღმართი და ცხემლარა, აჭარისაღმართი მაჭახლის ხეობაში ხერთვისის გარდა ყველაზე დიდი სოფელი იყო, ზოგს ამ სოფელში სამსართულიანი წაბლის სახლები ჰქონდა, ზოგი მათგანის ფასი, როგორც აპოლონ წულაძე ამბობს – „ათი ათას მანეთად ღირდა“. ბუხრები და ქვა-ღორღია მხოლოდ მოწმე იმის, რომ აქ ოდესღაც მოსახლეობა იყო, სიცოცხლე სდუღდა.

მგზავრები სოფელ ჩხუტუნეთში მევლუდ-აღა მალაყმაძის ოჯახში დაბინავებულან. მევლუდ-აღა დიდად სტუმართმოყვარე კაცი ყოფილა. აპოლონ წულაძე მოგვითხრობს: „დაღლილებს დარბაზში შესვლისთანავე ყავა მოგვართვეს და თან გვანუგეშეს, რომ „ხეფსიც“ (დასანაყრებელი) მალე იქნება; მართლაც, ადრე მოგვართვეს მშვენიერი ვახშამი და ზედ ჩაიც მოაყოლეს. გავაბით მუსაიფი. სკოლის გახსნის ხელმძღვანელები უამბობდნენ მასპინძლებს თავიანთი მოსვლის მიზეზს. ისინიც სიამოვნებით ეგებებიან სკოლის გახსნას. გვპირდებიან მეორე დღეს მოგველაპარაკონ, როგორც ჩხუტუნეთლებს, ისე მახლობელ სოფლელებს ჩიქუნეთლებს. ზოგი იმასაც კი გვირჩევს სკოლა გავხსნათ ჩხუტუნეთში კი არა, ჩიქუნეთში, რადგან ის უფრო დიდი და გავლენიანი სოფელია. ზოგი იმ აზრის არის, რომ ამ ხეობაში ეს პირველი სკოლა გაიხსნას ხერთვისში, რადგან იქ არის დიდი ჯამე, იქ იყრის თავს ყველა სოფელი და თუ ხერთვისელები გახსნიან სკოლას, მერე ყველა სოფელი მას მიჰბაძავს. ვიდრე დავწვებოდით კიდევ ბევრ რამეს შევეხეთ, ბევრი რამე გავიგე, რის გამომჟღავნება დღეს მოუხერხებელია. როგორც ჩვეულნი არიან ჩვენმა მასპინძელმა იმ ღამეს ექვსივე სტუმარი სუფთა ქვეშაგებში სათითაოდ მოგვასვენა. ჩემს თანამგზავრთ გაუკვირდათ ქვეშაგებლების რაოდენობა და თან მასპინძელი შეიცოდვეს – დედაკაცის საქმესაც თვითონ აკეთებსო (სტუმრებს აჭარელი კაცი ლოგინსაც უშლის და სუფრაზედაც „დიასახლისობს“)“ ***(წულაძე, 2017:42-44)***.

რამდენადაც საინტერესო ცნობებს შეიცავს მაჭახელში პირველი სკოლის დაარსების შესახებ აპოლონ წულაძის მიერ მოყვანილი ცნობები გადავწყვიტე სრულად გადმოგცეთ აღნიშნული წყარო.

„ჯუმა“ დღე იყო. დილითჩვენთან მოვიდნენ ჩხუტუნრთისა და ჩიქუნეთის ხოჯები, პირველი ახალგაზრდა კაცია: ბათომში ნამყოფი, სხვადასხვა საქმეში გამოჭახრაკებული, ის აქ სოფელ ქედიდან არის. ენით დიდი მადლიერია, ქართველების საქებ-სადიდებლად ოსმალურ ენაზე „მანიფესტიც“ კი გამოუცია, რომელსაც ავრცელებს და რომელშიც, როგორც გადმომცეს, ქართველების დიდი მაქებარია.

ჩიქუნეთის ხოჯა ადგილობრივი მცხოვრებია, მოხუცი ძალიან გულუბრყვილოსა გავს და როგორც გადმოგვცეს, მრევლის სიყვარული აქვს დამსახურებული. ხოჯები ერთიმეორეს ამბორის ყოფით მიესალმნენ, მაგრამ ცხადად ეტყობოდათ, რომ ეს ალერსი აღმოსავლეთური იყო. სკოლის გახსნა ორივეს ესიამოვნა. უმცროსმა ხოჯამ, მოლექსემ, რომელიც სოფელს წლიურად თორმეტ თუმნად ემსახურება, ჩვენთან დიდი გაუმაძღრობა გამოიჩინა და კატეგორიულად განაცხადა: თუ მე ვიქნები თქვენს კლასში რჯულის მასწავლებლად თვეში 4 თუმანი მომეცითო ... და ლოცვის შემდეგ თვითონაც მოყვებოდა და ხალხსაც მოიყვანდა ჩიქუნეთის ჯამესთან. გავედით ჩიქუნეთში. ლოცვის შემდეგ შეკრებილ ხალხს ხელმძღვანელებმა გააცნეს სკოლის საჭიროება და უთხრეს, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით ამ ორი სოფლისათვის უნდა გაიხსნას სკოლა. ხალხს ძლიერ ესიამოვნა, ყველამ დიდი მადლობით მოიხსენა ქართველები, მაგრამ სკოლის გახსნის შესახებ მაინც ყოყმანი დაიწყეს. ზოგმა აქაც სურვილი გამოთქვა, რომ პირველად სკოლა გახსნილიყო სოფელ ხერთვისში. ცხადად ეტყობა, რომ ამ ხეობაში ბატონობენ ხერთვისელები და იქაური დიდი ხოჯები, მაშასადამე თუ იქ დათანხმდებიან, სჩანს საჭიროც ყოფილა. რამოდენიმე სიტყვის შემდეგ ხალხმა ჩვენ დაგვავალა აგვერჩია სასკოლო ადგილი... ბევრი ველოდეთ ჩხუტუნეთლებს, მაგრამ არც მათი ხოჯა და არც ხალხი არ მოვიდა. მეტი გზა არ იყო, საღამო ჟამს ჩვენ თვითონ ვეახელით ზემო ჩხუტუნეთს, რომლის ჯამეზედაც დაგვიხვდა ოცამდე კაცი. ხოჯამ ცბიერული თავის მართლება დაიწყო, ვაპირებდით და შეგვაგვიანდაო, მაგრამ ყველაფრით სჩანდა, რომ თაღლითობდა. აქაც ავუხსენით ხალხს სკოლის საჭიროება

და ვუთხარით, რომ დროებით სკოლა გაიხსნება ქვედა ჩხუტუნეთში, სასოფლო სამმართველოსთან, შემდეგ კი სადაც ხალხი ამჯობინებს და სკოლისათვის მიწას შეგვასყიდინებს, იქ ავაშენებთ. ხალხი კმაყოფილი დარჩა. აქ ხოჯამ უტიფრად განაცხადა, რომ თუ ის იქნება რჯულის მასწავლებლად და თვეში სამ თუმანს მისცემენ, მაშინ იმ სკოლაში გადაიყვანს თავის მედრესეს 40-50 მოწაფეს. აქ ვეღარ მოვითმინე და ხოჯას ასე მოვახსენე:

– ხოჯავ შენი სიტყვიდან ასე სჩანს, რომ თუ შენ სამ თუმანს მოგცემენ, მაშინ ხალხს ეტყვი სკოლა კარგია, შვილები მიაბარეთ შიგ და თუ არა მაშინ სკოლა ცუდი იქნება. ამ შენიშვნაზე ხალხმა გაიცინა და იქვე განაცხადეს, რომ ჩვენ რამდენიც უნდა გვითხრას ხოჯამ სკოლა არ ვარგა, ჩვენ ქართველებს მაინც დიდად ვენდობით, ვიცით, რომ ჩვენთვის კარგი გინდათ და სულიც თქვენგან გვიდგიაო.

საღამოს ისევ ჩვენს მასპინძელთან (მევლუდ-აღა მალაყმაძე, ზ.ნ.) დავბრუნდით. მეორე დღეს გამოვეთხოვეთ ყველას. იქაური სკოლის მოწესრიგება და ხოჯის არჩევა მიანდვეს იქ დანიშნულ მასწავლებელს ნიკო ქამუშაძეს.

სკოლის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ მეორე სკოლის გახსნა იშუამდგომლონ ხერთვისში. მაჭახლის ხეობის გაცნობამ ბატონი ხელმძღვანელები ღრმად დაარწმუნა, რომ მთელი ეს ხეობა ხეხილის ბაღისთვის შეუდარებელია, ამიტომ სასურვლად სცნეს აქაურ სკოლებთან იყოლიონ პრაქტიკოსი მებაღეები და გამართონ ნამყენ-ხეხილის საჩქოლეები. მაჭახელი მართლაც რომ იშვიათი სახეხილე ადგილია. აქ არ იცის ქარი, მოწვა, სითბოც მუდამ ზომიერია. გარდა ხეხილისა, მშვენივრად იხეირებს აგრეთვე ვაზიც. მაგრამ ყოველივე ამის განვითარებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ საეტლო გზა არ გადი მაჭახელში და ეს მშვენიერი კუთხე ყველასაგან მივიწყებულია. მართალია აჭარაში მოქმედებს სამეურნეო დახმარების სადგურები (პუნქტები), მაგრამ მაჭახელში ჯერ არც ერთ მეურნეს არ გაუვლია“ ***(„საქართველო“, 1916:3, წულაძე, 2017:44-45)***.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ 1916 წლის 10 მარტს მაჭახლის ხეობაში, სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში დაარსებული სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ნიკოლოზ ქამუშაძე. როგორც ირკვევა ნიკო ქამუშაძეს მხოლოდ ორი თვე უმუშავია ამ ახლად დაარსებულ სკოლაში, ის რაღაც მიზეზების გამო დაუთხოვიათ სკოლიდან. ნიკო

ქამუშაძის შემცვლელად კი გამოუგზავნიათ დები ვერა და ანეტა მგალობლიშვილები, რომელთა შესახებაც ჩვენ ვგებულობთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წლიური ანგარიშიდან:

„ბათომის ახალციხის გზატკეცილით გაივლით სად. აჭარისწყლამდე 16 ვერსტს, იქიდგან ართვინის გზით კიდევ 4 ვერსტს და მიადგებით მაჭახლის ხიდს. აქედან შეუხვევთ მარცხნივ სამხრეთისკენ და დაადგებით მაჭახლის ხეობას, რომელიც სიგრძით 30 ვერსზე ცოტა მეტია და აყვება სოფელ ხერთვისის ცოტა ზევით კარჩხლის მთის ძირში. თვით ჩხუტუნეთამდე კი სადაც დღეს სკოლაა დაარსებული იქნება 18 ვერსი. სკოლა აქაც მარტის პირველ რიცხვებსი გავხსენით. მასწავლებლად დავნიშნეთ ვინმე ქამუშაძე, მალე ოცამდე შეგირდი მოგროვდა, მაგრამ ბ. ქამუშაძე მაისის პირველ რიცხვებში ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო ადმინისტრაციამ რაღაც ძველი ცოდვების გამო სამოსწავლო უწყების თხოვნით სულ გააძევა ბათომის ოლქიდგან. დარჩა სკოლა უმასწავლებლოდ. მალე მცხოვრებნიც იალაღზედ აიბარგნენ, ასე რომ სკოლაში სწავლა განვაახლეთ მხოლოდ ენკენისთვის პირველ რიცხვებიდგან. დღეს ჩხუტუნეთის სკოლაში მოღვაწეობენ ორი და მგალობლიშვილები. უმცროსი, ქ-ნი ვერა, საგნების მასწავლებელი და უფროსი, ჟღენტის ქვრივი, ქ-ნი ანეტა, ქალი გამოცდილი, იშვიათი მეოჯახე და უნარიანი, ხელსაქმის მასწავლებელი, ოცის დრის უკან დავხედე ჩვენს გაგზავნილს მუშაკებს, შორიდგანვე გული სიამით აღმევსო, საღამოს ჟამი იყო, როდესაც სკოლის ეზოში შევედი. ეზოსი და პატარა სკოლის კიბის მოედანზე ხალხს მრავლად მოეყარა თავი. უკანა კარებიდგან რიდე ახვეული ქალებიც დავინახე. მასწავლებელი ქალები მხიარულად მომეგებნენ. მოსულს მეზობლებს ყველას სახელით მიმართავდნენ, ყველასთან დაშინაურებულიყვნენ, თითქოს წლობით უცხოვრიათო, რაღაც სამედიატორო საქმეშიაც ჩარეულიყვნენ ჩვენი ქალები. არიგებდნენ ორ გადაკიდებულ ოჯახს, რომელთაც ქალის თაობაზედ მოსვლიათ დიდი უსიამოვნება. აქ მათ დიპლომატიას ჯერ არ გაეჭრა. აი რა გამოირკვა მათი ოცი დღის აქ ცხოვრებიდგან; სკოლა შედარებით უხერხულ პირობებშია. იგი ემსახურება ორ სოფელს, გაღმა ჩიკუნეთს, რომელიც კარგა მოზრდილი აღმართ-დაღმართით არის დაშორებული სკოლის ბინას და გამოღმა ჩხუტუნეთს, რომელიც დაშორებულია სკოლას სამი ვერსით. რომ სკოლას ორივე სოფელი მოსწვდომოდა, ამისთვის მის ბინად ავირჩიეთ შუა ადგილი.

ამ უხერხულობას მხოლოდ ასე მოუარეთ; რადგან ზამთარი აქ დიდ თოვლიანი იცის და ბავშვებს ცუდ ამინდში შორიდგან გაუჭირდებათ სიარული, ამისთვის, ამისთანა შემთხვევისათვის სკოლასთან ვიქონიოთ თავშესაფარი, ზევით სართულში მასწავლებელთა ბინის გარდა კიდევ რჩება ოთხი ოთახი, სადაც ცუდ ამინდებში ბავშვები თავს ადვილად შეაფარებენ, რომ მეცადინეობას არ მოსცდნენ, ხოლო სანოვაგეს უფროსები მოაწვდიან, მასწავლებელი ქალები კიდევ იკისრებენ ბავშვების ყურადღებას. გარდა ამისა თვით მასწავლებლებიც ხშირად ივლიან კარგს ამინდში ხან ერთს სოფელში, ხან მეორეში, მეტადრე ხელსაქმის მასწავლებელი, სადაც მას შეუძლიან ნაყოფიერი მუშაობა. ეს სოფლები რაღაც სასწაულით გადაწვას გადაურჩნენ და უნდა მოგახსენოთ, კარგა შეძლებულებიც არიან.

ადგილობრივმა ქალებმა გაიგეს რა, რომ ერთი მათგანი ჭრა-კერვის მცოდნეა, აღარ ასვენებენ, აჩქარებენ მალე დაიწყონ სწავლე ხელობისა. დაქირავებულს სკოლას გარშემო აქვს შემოღობილი 12 ქცევამდე ეზო, კარგი ნოყიერი მიწა, აქეთ რაღაც მიზეზით ინდაურის მოშენება არა სცოდნიათ, მათ მომრავლებასაც აპირებენ. აპირებენ აგრედვე აბრეშუმის ჭიის მოშენებასაც.

ამავე ქალების თაოსნობით არსდება ჩხუტუნეთში ფურნე, რასაც დიდი მოთხოვნილებაა. ესენივე აპირებენ მოიყვანონ მოკლე დროში გურიიდგან ხარაზი; თორემ ბათომში ტყავს გვაძრობენო, ჩივიან მკვიდრნი. იმედია ამ ხელობის შემსწავლელნიც ბევრი გამოჩნდებიან. სკოლასთან, როგორც მოგახსენეთ 12 ქცევამდე, ჩვენებურათ 4 დესეტინამდე, კარგი ნოყიერი მიწა გვაქვს ჩვენს განკარგულებაში. ჩემის აზრით ძალიან კარგი იქნება აქ ერთი კარგი პრაქტიკი საქმის მოყვარე მეურნე; მან უნდა გააკეთოს სკოლის ადგილში სანერგე საუკეთესო ჯიშის ხეხილისა და ბოსტანი. წერა-კითხვის და პრაქტიკული სკოლა აქ ხელი-ხელ გადაჭდული უნდა მიდიოდნენ ერთად, თუ მართლა ნამდვილი სკოლა გვწადიან ამ ხალხისთვის. ეხლაც გვაკვირვებს აქაური ხილის ღირსება, რაოდენობა *(გულისაშვილი, 1916:3)*.

ერთი წლის შემდეგ 1917 წლის პირველი სექტემბრიდან მუშაობას იწყებს ვაჟა-ფშაველას ძმის, მწერალ თედო რაზიკაშვილის ქალიშვილი ეთერ რაზიკაშვილი *(„ჩვენი სკოლა“, I., 2010:425)* . სკოლაში ასწავლიდნენ როგორც წერა-კითხვას, ასევე

პრაქტიკულ საქმიანობას, უმთავრესად ჭრა-კერვას. სკოლაში პირველ ხანებში 20 მოსწავლე სწავლობდა.

ეთერ რაზიკაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდასა და სწავლა განათლებას მიუძღვნა. მას ოჯახი არ შეუქმნია. იგი მუხლჩაუხრელად იღწვოდა საქართველოში განათლების დონის ამაღლებისათვის. დაიბადა 1898 წლის თებერვალში, გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში ღარიბი მასწავლებლის თედო რაზიკაშვილის ოჯახში. 1915 წელს დაამთავრა გორის ქალთა გიმნაზია. 1917 წლის პირველი სექტემბრიდან 19 წლის ეთერ რაზიკაშვილი მუშაობას იწყებს მასწავლებლად მაჭახლის ხეობაში, სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის სკოლაში ნიკოლოზ ქამუშაძესთან ერთად.

აჭარაში მიმდინარე ისტორიული მოვლენების გამო ქვედა ჩხუტუნეთის სკოლა 1918 წლის ბოლოს დაიხურა. ეთერ რაზიკაშვილი სამუშაოდ გადავიდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის დაწყებით სკოლაში, ხოლო მოგვიანებით ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანის დაწყებით სკოლაში. 1919 წლის სექტემბრიდან იგი მუშაობას იწყებს ხაშურის რკინიგზის დაწყებით სკოლაში. 1921 წლის სექტემბრიდან თბილისის მე-4 ე.წ. რკინიგზის სკოლაში. 1923 წლიდან თბილისის რკინიგზის საბავშვო ბაღის აღმზრდელია, ხოლო 1935 წლიდან ამავე ბაღის გამგედ ინიშნება და მუშაობას აგრძელებს პენსიაში გასვლამდე. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. გარდაიცვალა 1983 წლის ივნისში, თბილისში.

მაჭახლის, ისე როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეების, ისტორიული ბედი, კვლავ სხვაგვარად წარიმართა 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში თურქებმა მიიტაცეს მაჭახლის ხეობის ზედა ნაწილი (ზედა მაჭახელი) 6 სოფლით (ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ქვაბითავი, ზედვაკე, ეფრატი). ხეობის ქვედა ნაწილში (ქვედა მაჭახელი), რომლებშიც შევიდა სოფლები: საფუტკრეთი, გორგაძეთი, ქავთარეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარისაღმართი, ქედქედი, ჭანივრი, სინდიეთი დამყარდა საბჭოთა წყობილება და ახალი ადმინისტრაციული დაყოფით გაერთიანდა აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოში (ყოფილი ბათუმის, ახლა ხელვაჩაურის რაიონი).

გ. სწავლა-განათლება საბჭოთა წყობილების დროს.

1921 წლის 18 მარტს ბათუმის ციხიდან განთავისუფლებულმა ბოლშევიკებმა შექმნეს დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში. აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაცია მთელი ერთი წლის მანძილზე აღადგენდა, ადგილებზე ქმნიდა პარტიის დასაყრდენს, მის ძირეულ ორგანიზაციებს — პარტიულ უჯრედებს მსხვილ ობიექტებთან, სოფლებთან, საწარმო-დაწესებულებებთან.

პარტიული უჯრედები იმთავითვე ჩაებნენ ფართო პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობაში. 1921 წლისათვის რაიონის პოლიტიკურ და პარტიულ ორგანიზაციულ მუშაობას სათავეში ედგნენ რევოლუციური კომიტეტები.

1921 წლის 24 მარტი. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიმართვა ბათუმისა და მისი ოლქის რევკომისადმი განათლების სახალხო კომისარიატზე და სამაზრო რევკომებზე სკოლების დაქვემდებარების შესახებ:

„თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის ცირკულარული განკარგულებისა, 21 მარტის N1347, მიმდინარე სასწავლო წლებში დღემდე არსებული პროგრამები და მართვა-გამგეობის წესი რჩება უცვლელად. საშუალო სასწავლებლები უშუალოდ ექვემდებარებიან სახალხო განათლების ცენტრალურ ორგანოს — კომისარიატს, ხოლო დაბალი სკოლები (დაწყებითი და უმაღლესი დაწყებითი) ნაცვლად ქალაქის თვითმმართველობისა, გადადიან ქალაქებისა და სამაზრო რევკომების გამგეობაში, რომელთაც ექნებათ დამოკიდებულება განათლების კომისარიატთან“ ***(აცსა, ფ.რ-14, საქ.18, ფურც.29)***.

საგანმანათლებლო საქმიანობა მაჭახლის ხეობაში ფართოდ გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აჭარის მაღალმთიან სოფლებში მასიურად იხსნება წერა-კითხვის შემსწავლელი შრომის სკოლები, ქოხსამკითხველოები. მოსახლეობის სწავლა-განათლების დონე ძალზე დაბალი იყო. 1923 წლის აღწერის მიხედვით აჭარისაღმართის თემის მცხოვრებთა შორის (8წლიდან 59 წლამდე) წერა-კითხვა იცოდა მხოლოდ 29 კაცმა (მათ შორის არც ერთი ქალი არ იყო) ***(სსსა, I,,1926)***.

პირველი საბჭოთა სკოლები ოთხწლიანი შრომითი სკოლებისა და წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების სახით მაჭახლის ხეობაში 1924 წელს გაიხსნა აჭარისაღმართსა და ჩიქუნეთში, ცოტა მოგვიანებით ქედქედში ზედა ჩხუტუნეთსა და გორგაძეთში მანამდე მთელ აჭარისწყლის მაზრაში მხოლოდ სამი სკოლა იყო (აჭარისწყალზე, მახუნცეთში, ქვედა მარადიდში) ***(აცსა, ფ.რ-19, საქ.4, ფურც.34)***.

აჭარისაღმართის სკოლა დროებით განთავსდა სოფლის მეჩეთის ქვემო სართულში ***(საქ.3, ფურც.6),*** 1925 წლის 1 თებერვალს შრომის სკოლის გამგედ დაინიშნა გიორგი ნაჭყებია ***(ფურც.11, 212),*** სკოლაში თურქულს ასწავლიდა დაუდ მალაყმაძე ***(ფურც.11, საქ.7, ფურც.378).*** აჭარისაღმართის სკოლაში 1924 წლის დეკემბრის ანგარიშით ირიცხებოდა 20 მოსწავლე ***(ფურც.378),*** ჩიქუნეთის სკოლაში - 29 მოსწავლე ***(ფურც.354).***

გიორგი ნაჭყებია დიდად ზრუნავდა ადგილობრივი მაცხოვრებლების სწავლა-განათლებაზე, მის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა დადებითი შედეგი გამოიღო ადგილობრივების სასწავლო პროცესში ჩართულობაში:

„აჭარისწყლის მაზრის აღმასკომის თავ-რეს: 19.03.1925 წელი

ამით გაცნობებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ შრ. სკოლა, რომელიც დაშორებული იყო ადგილობრივი მეჩეთიდან, სადაც მოწაფეობა დილაობით მეცადინეობს, როგორც მოწაფეთათვის, ისე წ/კ მსმენელთათვის უხერხულ (მოუხერხებელ) ადგილას იმყოფებოდა, ამიტომ ვსთხოვე ადგილობრივ აღმასკომს სკოლა გადაეტანა სადმე მეჩეთის ახლოს, რომელმაც თავის მხრიდან გაგვიწია დახმარება და სკოლა გადაგვიტანა აღმასკომის შენობის ერთ-ერთ ოთახში დღეის რიცხვიდან. ვინაიდან ნახსენებ ადგილას საღამოობით დიდძალი ხალხი იყრის თავს, და შესაძლებელია წ/კ სკოლაში ხალხის ჩათრევა, ამისათვის საჭიროა გასცეთ განკარგულება და გამომიგზავნოთ შემდეგი სასწავლო ნივთები:

1. ქართული წიგნი „სინათლისაკენ“ 10 ცალი
2. რვეულები - 20 ცალი
3. ფარქრები - 10 ცალი

აჭარისაღმართის შრომის სკოლის გამგე: გიორგი ნაჭყებია ***(ფურც.248).***

1925 წლის 1 აპრილიდან გიორგი ნაჭყებია განთავისუფლებულ იქნა სკოლის გამგის თანამდებობიდან *(ფურც.255).*

ამ პერიოდისათვის ჩიქუნეთში მოღვაწეობდნენ ნიკო და ივანე ორაგველიძეები (ივანე ორაგველიძე სკოლის გამგედ) *(ფურც. 239, 262-263).*

1924 წლის ნოემბრიდან დაიწყო ზრუნვა ჩხუტუნეთში სკოლის გახსნაზე. ამის შესახებ აჭარისტანის სახალხო განათლების კომისარიატი მიმართავდა აჭარისწყლის მაზრის აღმასკომს, რათა ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ სოფ. ჩხუტუნეთის სკოლის გამგე ამხანაგ ორაგველიძესათვის სკოლის გახსნისა და საერთოდ მოწყობის საქმეში *(ფურც.403).*

1925 წლის დასაწყისისათვის აჭარისწყლის მაზრის აღმასკომმა გაითვალისწინა სოფ. ქედქედის მოსახლეობის მოთხოვნა და გახსნა სკოლა *(აცსა, ფ.რ-19, საქ.3. ფურც.21).* ამავე წელს აჭარისაღმართის სკოლისათვის 1200 მანეთად შეძენილ იქნა ოთხოთახიანი ხის შენობა *(ფურც.47).*

სოფლად სკოლების გახსნაზე, სკოლის ახალი შენობების აგებაზე, მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტებაზე, სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმაზე და სკოლების ნორმალურ მუშაობაზე დიდად ზრუნავდნენ აჭარისწყლის სამაზრო და აჭარისაღმართის თემის აღმასრულებელი კომიტეტები, პარტიული და კომკავშირული უჯრედები. სამაზრო აღმასკომმა 1927 წელს გეგმაში შეიტანა ჩიქუნეთის ახალი სკოლის მშენებლობა, ხოლო თემის აღმასკომმა 1925-1926 წლებისათვის აჭარისაღმართის და ჩიქუნეთის შრომის სკოლებისათვის გამოჰყო 2361 მანეთი და 90 კაპ. წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლებისათვის კი 334 მანეთი და 25 კაპ. აჭარისაღმართის პ/დ სკოლის შესაძენად გამოიყო 2000 მან, ხოლო ჩიქუნეთის, ქედქედისა და ზ. ჩხუტუნეთის პ/დ სკოლის შენობების შესაძენად 4000-4000 მანეთი *(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.156. საქ.7, ფურც.118, 155).*

ქედქედის სკოლა ოსმან მსხალაძის კერძო სახლში ყოფილა განთავსებული, ჩიქუნეთის სკოლა კი ხასან ხუსეინის ძე ხინკილაძის კერძო სახლში. აჭარისაღმართისათვის სკოლისათვის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ახალი შენობა შეუძენიათ და განუთავსებიათ ყოფილი კანტორის შენობასთან ახლოს.

1925 წლის აპრილის შუა რიცხვებამდე აჭარისაღმართის პ/დ სკოლის გამგედ მუშაობდა შალვა ჩხაიძე. მის შესახებ ვკითხულობთ:

აჭარისტანის განსახკომს 29. 04. 1925 წელი

როგორც ჩემამდე მოაღწია, აჭარისაღმართის პ/დ სკოლის გამგე შალვა ჩხაიძე გადაყვანილი ყოფილა და მის ადგილზე დანიშნულია ამხანაგი კონსტანტინე მიმინოშვილი, რომელიც არ გამოცხადებულა სკოლაში. ამასთანავე დავძენ, რომ ამხანაგი ჩხაიძე გამოირჩევა თავისი დაუზარელი და ენერგიული შრომით, რომელსაც ის დღიდან აჭარისაღმართის პ/დ სკოლაში დანიშვნიდან აწარმოებდა. ამასთანავე ამხანაგი ჩხაიძე განირჩევა ფაქიზი ყოფაქცევით, რისთვისაც ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, რათა ამხანაგი ჩხაიძე დატოვებულ იქნას თავის ადგილზე აჭარისაღმართის სკოლის გამგედ, რომლის გადაყვანა, ჩემის აზრით დასწევს იმავე სკოლის დონეს, რომელზედაც, მან, ჩხაიძემ იგი აიყვანა.

აჭარისწყლის მაზრის აღმასკომის თავ-რე: ხ. ვერძაძე

საქმისმწარმოებელი: ლ. კალამდაძე *(ფურც.204).*

1925 წლის მაისის ბოლოს აჭარისაღმართის პ/დ სკოლის გამგე კონსტანტინე მიმინოშვილის ანგარიში საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სკოლის მდგომარეობისა და მოსწავლეთა პირველი ნაკადის შესახებ:

აჭარისწყლის სამაზრო აღმასკომს 1925 წლის მაისის მოხსენება

თანახმად თქვენი მომართვისა თარიღით 10 მაისი (N1453-სა მოგახსენებთ შემდეგს: ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელში ძველი სიის თანახმად ითვლება 19 მოწაფე (ყველა ვაჟებია). მეცადინეობა სასწავლებელში ფაქტიურად შეწყვეტილია, თუ არ მივიღებთ მხედველობასი 2-3 მოწაფის სიარულს. მეცადინეობის შეწყვეტის მიზეზად ჩაითვლება სოფლად გაჩაღებული მუშაობა, რის გამოც მოწაფეებს არ აქვთ საშუალება. სკოლის დარბაზი, რომელიც მოთავსებულია აღმასკომთან ერთად ვიწროა და მოუხერხებელი მეცადინეობისათვის. მით უმეტეს მომავალი წლისა, სადაც იქმნება ორი ჯგუფი. 19 მოსწავლიდან 7 თავი დანებებული აქვს სასწავლებელზე.

სასწავლებლის ინტერესები მოითხოვს სკოლის ახალ შენობას.

აჭარისაღმართის პ/დ სკოლის გამგე: კონსტანტინე მიმინოშვილი.

მოწაფეების სია:

აბესლამიზე მულთუზ, აფხაზოღლი იზეთ, აფხაზოღლი ქაზიმ, თავდგირიძე ხუსეინ, თავდგირიზე ხასან, მელიქოღლი ოსმან, ნაგერვაძე ხულუს, ნაგერვაძე მუხამედ, სალვარიძე სანი, ქოქოლაძე შუქრი, ფარტენაძე დაუდ, ბახტაძე ხუსეინ, ნაგერვაძე შუქრი, ფარტენაძე მუსტაფ, შინალოღლი ხუსეინ, ნაგერვაძე შერბან, კახიძე ახმედ, ქონდარიძე ხუსეინ, ლაზოღლი რემზი *(ფურც.162-163).*

1926 წლის 10 მარტის მონაცემებით მაჭახლის თემში სწავლა-აღზრდის საქმეს განაგებდნენ შემდეგი ამხანაგები:

ჭავჭავაძე ვარლამ - გამგე - ქედქედი

მალაყმაძე დაუთ - თურქ. ენის მასწ. - ქედქედი

დოლიძე დიმიტი (ჭიჭიკო) - გამგე - აჭარისაღმართი

წითელაძე მუსტაფი - თურქ. ენის მასწ. - აჭარისაღმართი

კონტრიძე კასიანე - გამგე - ჩიქუნეთი

ხინკილაძე ხასან - თურქ. ენის მასწ. - ჩიქუნეთი *(აცსა, ფ.რ-19, საქ.11, ფურც.23).*

1926 წლისათვის სოფ. გორგაძეთშიც გაიხსნა სკოლა, რომლის გამგედაც მუშაობდა მარიამ ორაგველიძე *(საქ.21, ფურც.32).*

1927 წლისათვის ჩიქუნეთის შრომის სკოლაში სულ სწავლობდა 29 მოწაფე, ყველა ვაჟი. ამათგან: 6 წლის - 2, 7 წლის - 1, 8 წლის - 5, 9 წლის - 6, 10 წლის - 3, 11 წლის - 7, 12 წლის - 2, 13 წლის - 1, 14 წლის - 1, 17 წლის - 1 *(ფურც.74).* ჩიქუნეთის შრომის სკოლის გამგედ მუშაობდა შოთა სიხარულიძე *(ფურც.72).*

სოფ. ზ. ჩხუტუნეთის სკოლის მატიანეში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ ზ. ჩხუტუნეთის სოფლის ახალგაზრდობა აჭარისაღმართისა და ჩიქუნეთის სკოლებში დადიოდა წერა-კითხვის შესასწავლად. ამიტომ სოფლის აქტივმა დასვა საკითხი, რომ სოფელ ზედა ჩხუტუნეთშიც ყოფილიყო სკოლა. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ხალილ ოსმანის ძე კახიძე, აბდულ იუსუფის ძე კახიძე, მემედ ომერის ძე კახიძე, მემედ

ფერათის ძე კახიძე, მისი შვილი ბექირ მემედის ძე კახიძე, ჯევად ეშრეფის ძე ნაგერვაძე. ხალილ ოსმანის ზე კახიძე განათლებული კაცი ყოფილა, ის ქ. ბათუმში იყო გაზრდილი, იცოდა სწავლის ფასი და მოუწოდებდა თანასოფლელებს ეთხოვათ მთავრობისათვის სკოლის გახსნა. ხალილ კახიძემ ზემოთ ჩამოთვლილი თანასოფლელები ამოიყენა გვერდით და მოამზადეს პირობები სოფელში სკოლის გასახსნელად, რომელიც 1928-1929 სასწავლო წელს გაიხსნა *(ზედა ჩხუტუნეთის რვაწლიანი სკოლის ისტორია, ხელნაწერი, გვ. 2)*.

აჭარის თავისებური ისტორიული წარსულის გამო განათლების სისტემაში აუცილებელი იყო ზოგიერთი გამონაკლისის დაშვება. ნებადართული იყო მაჰმადის სჯულისა და თურქული ენის სწავლებაც. ბავშვები ერთდროულად მედრესეშიც და სკოლაშიც დადიოდნენ. ზოგიერთ სკოლაში ხოჯებიც კი იყვნენ მიწვეულნი. ეს პროცესი 1931 წლამდე გაგრძელდა.

სკოლების დაარსების დროს (1924წ) აჭარისაღმართის შრომის სკოლაში სწავლობდა 20 ვაჟი, წერა-კითხვის შემსწავლელ სკოლაში — 15 კაცი, ხოლო ჩიქუნეთის შრომის სკოლაში 29 ვაჟი, წერა-კითხვის შემსწავლელ სკოლაში — 33 კაცი*(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.25)*. მომდევნო წლებში შრომის სკოლები გაიხსნა: ქედქედში, სედა ჩხუტუნეთსა და გორგაძეთში. 1929 წელს გორგაძეთის სკოლაში 33 ბავშვი სწავლობდა *(„ფუხარა“. 1926 №4)*.

გლეხობა ყოველმხრივ მიისწრაფოდა რათა მომავალი თაობისათვის მიეცათ სათანადო სწავლა-განათლება, ამისათვის ისინი ცდილობდნენ მასობრივად გაეგზავნათ თავიანთი შვილები შრომის სკოლებში. სოფელ გორგაძეთის სკოლის მოსწავლეები ერთ-ერთი პირველები იყვნენ ვინც ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხს გამოეხმაურნენ, კოლექტიურად შეიძინეს სესხის ობლიგაციები და იმავე მიზნით გამოიწვიეს ჩიქუნეთის, აჭარისაღმართის, ჩხუტუნეთის, ქედქედის, აგრეთვე კირნათის, მარადიდის, აჭარისწყლის, დოლოგნის და უჩხითის შრომის სკოლები*(„საბჭოთა აჭარისტანი“, 1929, № 265)*.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში სოფლად სკოლებისათვის ცალკე შენობები არ არსებობდა და სწავლება კერძო პირებისაგან დაქირავებულ

ბინებში წარმოებდა. სკოლებში მოსწავლეთა, განსაკუთრებით გოგონათა, ჩაბმის მხრივაც ერთგვარი სიძნელეები არსებობდა.

სოფლად სკოლების და მასწავლებელთა მცირერიცხოვნობის გამო ძნელდებოდა მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარება. ამიტომ, აჭარისაღმართის, ქედქედისა და ჩიქუნეთის სკოლის გამგე-მასწავლებლებმა მოითხოვეს ამ მიზნით ერთად შეკრებილიყო აჭარისწყლის მაზრის მთელი მასწავლებლობა. აჭარისწყლის მაზრას ჰქონდა ცალკე განათლების განყოფილება, მაგრამ მასწავლებელთა დანიშვნა, გადაყვანა-გადმოყვანა და მოხსნა შეეძლო მხოლოდ აჭარის განათლების სახალხო კომისარიატს *(ჯახოძე, 2008:20)*.

აჭარის ცაკმა და სახკომსაბჭომ შეიმუშავეს და 1929 წლის 30 იანვარს გამოსცეს დეკრეტი აჭარაში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ. დეკრეტით 1928-1929 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან აჭარის მთელ ტერიტორიაზე ორივე სქესის ბავშვებისათვის 8 დან 14 წლის ასაკამდე უნდა შემოეღოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლება. იკრძალებოდა ბავშვების აღზრდა და სწავლა საბჭოთა სკოლის გარეშე, ე.ი. მედრესეებსა და მექთებეებში. მართალია, იზრდებოდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ სკოლების მშენებლობის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას. 1928-1929 სასწავლო წელს სკოლები ძლიერ გადაიტვირთა. ბათუმის ბევრი სკოლა ორ და სამ ცვლად მუშაობდა.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება მთიან აჭარაში სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობის გამო შეუძლებელი გახდა. სოფლად სასკოლო შენობების ნაკლებობის გამო ამ კანონის განხორციელება ფერხდებოდა. 1930 წლის მარტისათვის აჭარის რაიონებში საკუთარი შენობა 69 სკოლას ჰქონდა, დანარჩენი 129 მოთავსებული იყო დაქირავებულ ბინებსა და მედრესეებში. სოფლად საყოველთაო სავალდებულო განათლების განხორციელება 1934-1935 სასწავლო წლიდან დაიწყო *(გუგუნავა, 2003:111)*.

სოფლად სასკოლო შენობების აგების, მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტების, სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმის და საერთოდ სკოლების ნორმალური მუშაობისათვის დიდად ზრუნავდნენ აჭარისწყლის სამაზრო და

აჭარისაღმართის თემის აღმასრულებელი კომიტეტები, პარტიული და კომკავშირული უჯრედები. სამაზრო აღმასკომმა 1927 წელს გეგმაში შეიტანა ჩიქუნეთის ახალი სკოლის მშენებლობა, ხოლო თემის აღმასკომმა 1925-1926 წლებისათვის აჭარისაღმართის და ჩიქუნეთის შრომის სკოლებისათვის გამოჰყო 2261 მანეთი და 90 კაპიკი. წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლებისათვის კი 334 მანეთი და 25 კაპიკი *(აცსა, ფ.რ-19, საქ.5, ფურც.156)*.

სკოლების გახსნისა და ადგილობრივი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში მაჭახლის ხეობაში, ისე, როგორც საერთოდ აჭარაში, დიდი მუშაობა გასწია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოწოდების პასუხად მოსულმა ინტელიგენციამ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბატონების, ვლადიმერ ჯაველიძისა და ლევან საღარაძის მოღვაწეობა.

ვლადიმერ ჯაველიძემ დაამთავრა თუ არა ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებელი, იმავე წელს, 1930 წლის ნოემბერში მასწავლებლად გამოამგზავრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. განაწილების შედეგად ის მოხვდა გონიოს თემის ახალსოფლის (იმხანად ყიზილთოფრახი) დაწყებით სკოლაში. შემდეგში იგი არჩეულ იქნა გონიოს კომკავშირის უჯრედის მდივნად.

მომდევნო წელს ვლადიმერ ჯაველიძე გადაყვანილ იქნა კირნათის დაწყებითი სკოლის გამგედ, სადაც 1932 წლის თებერვლამდე დარჩა. კირნათიდან სამუშაოდ გადაიყვანეს აჭარისაღმართში (მაჭახელში) რაისკოლის გამგედ. ბათუმის რაიონში იმ ხანებში ასეთი სასკოლო თანამდებობა იყო — რაისკოლა, რომელიც აერთიანებდა თემის ყველა სკოლას *(ჯაველიძე, 2012-2013:10-11)*.

1932 წელს ასეთი რაისკოლები იყო მახინჯაურში (გამგე ფოკა ცქვიტინიძე), ორთაბათუმში (კ. ფანცულაია), აჭარისწყალზე (პ. რუხაძე), მახოში (ვ. სიხარულიძე), ერგეში (ო. ხალვაში), მახუნცეთში (გ. შენგელია), გონიოში (ა. მამულაშვილი), აჭარისაღმართში (ვ. ჯაველიძე), განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა ს. მეგრელიძე, ინსპექტორად დ. ბეჟანიძე.

იმ დროისათვის აჭარისაღმართის თემი ყველაზე დიდი იყო ტერიტორიით. 1931-1932 წლებში ამ თემში შედიოდა ქედქედი, აჭარისაღმართი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, გორგაძეთი 4 კლასიანი სკოლებით, ცხემლარა სკურდიდი 2-2 კლასით. ამას

გარდა, გორგაძეთსა და ჩხუტუნეთში იყო ქალთა ჭრა-კერვის სკოლები, სადაც გოგონები წერა-კითხვასთან ერთად ჭრა-კერვასაც სწავლობდნენ, ხოლო ისეთ პატარა სოფლებში, როგორიცაა საფუტკრეთი, ქოქოლეთი, ქავთარეთი, მაშინ სკოლები არ არსებობდა.

ვლადიმერ ჯაველიძე მოსახლეობას გულთბილ და სტუმართმოყვარე ხალხად ახასიათებს, ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ მას განათლების განვითარებაში. თავის მოგონებებში განსაკუთრებულად გულთბილად მოიხსენიებს აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ჯასიმ ქოქოლაძის დახასიათებას: *(ჯაველიძე, 2012-2013:12).*

ლევან საღარაძემ, რომელიც მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მოღვაწეობდა მაჭახლის ხეობაში *(ქოქოლაძე, კახიძე, მხეიძე, ნიჟარაძე)* და შემდეგ მრავალფეროვანი, საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება გაიარა, არ შეუშინდა სიძნელეებს და შეძლო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება. ბატონი ლევანის ცხოვრება არის მაგალითი მიზანდასახული ადამიანისა, რომელიც მიზნის მისაღწევად ყოველ ბარიერს ლახავს, მის ხასიათსა და თვისებებში კარგადაა შერწყმული შრომისმოყვარეობა, სამშობლოსადმი სიყვარული, მოყვასის სიყვარული, ქველმოქმედება და ყველა ის დადებითი თვისება, რაც ადამიანს სხვებისაგან გამორჩეულს ხდის. სამაგალითო მეუღლე, სამი შვილისა და ხუთი შვილიშვილის მოსიყვარულე მამა და პაპა. ეს არის კაცი, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი უცხოეთში (სირია) გაატარა, მაგრამ არც გვარი გამოიცვალა და არც რჯული, არც აზროვნების წესი, სულითა და ხორცით, ვაჟკაცობითა და პატიოსნებით ქართველი დარჩა და მამულის სიყვარული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გულით ატარა.

ლევან საღარაძე იყო სირიის მოქალაქე, ამ ქვეყნის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირისა და სირიის ერთობლივი ეკონომიკური პროექტების მონაწილე, დამასკოს ტრადიციულ საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის ერთ-ერთი მუდმივი ორგანიზატორი.

ლევანი იყო საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი, ელეგანტური, მოხდენილი, ჭაღარა ქოჩრით, მუდამ მომღიმარე, ცოცხალი მეტყველი თვალებით, ძარღვიანი ქართულით მოუბარი, ქუთაისური აქცენტით *[ჯაფარიძე, 1989:39-48].*

ლევან საღარაძის მის მიერ საქართველოსა და ზოგადად ქართველი ერის მიმართ გაწეულ ქველმოქმედებას კარგად ასახავს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, რომელთაგან სამი — გიორგი ჩიქოვანს ეკუთვნის და ერთი — გოჩა ჯაფარიძეს.

სტატია იტყობინება, რომ: „საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა სირიაში მცხოვრები ბიზნესმენი და ქართული კულტურის მეცენატი ლევან საღარაძე. მან ჩამოიტანა თავისი ხარჯებით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ არაბულ ენაზე თარგმნილი ნიზარ ხალილის მიერ.

ქართველ მეცნიერებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან ლ. საღარაძის შეხვედრისას აღინიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა სირიისა და ლიბანის ჟურნალ-გაზეთებში“ ***[ჩიქოვანი, №37, 1985:4].***

მეორე სტატიაში აღნიშნულია, რომ: „სირიაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ არაბული თარგმანი, შესრულებული ნიზარ ხალილის მიერ. წიგნი გამოიცა დამასკოში მცხოვრები ქართველის – ლევან საღარაძის ხარჯით. მანვე შეიძინა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა არაბულ ენაზე. წიგნები საჩუქრად გამოგზავნა თბილისში, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

ნ. ხალილმა არაბულად თარგმნა აგრეთვე ნ. ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“ ***[ჩიქოვანი, №13, 1985:4].***

შემდგომი სტატია იუწყება, რომ: „წერილში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ არაბულ ენაზე თარგმნის ისტორია, რომელიც თხუთმეტ წელზე მეტხანს გრძელდებოდა. მთარგმნელს, სირიელ პოეტს – ნიზარ ხალილს კონსულტაციას უწევდნენ ქართველი ფილოლოგები: რ. მირიანაშვილი, გ. ჩიქოვანი, ლ. რუხაძე, ნ. ფურცელაძე. თარგმანი დაიბეჭდა 1984 წელს სირიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის – ლევან საღარაძის ფინანსური დახმარებით, რასაც კეთილგანწყობილი, გულთბილი გამოხმაურება მოჰყვა სირიისა და ლიბანის ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში ***[ჩიქოვანი, №34, 1985:14-15].***

ბოლო სტატია უშუალოდ ლევან საღარაძის მოღვაწეობას ასახავს: „როგორც ავტორი წერს, ლ. საღარაძე იყო ჭეშმარიტი ქველმოქმედი. 1970-1980 იან წლებში მან დიდი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას და ფართოდ გაიტანა ქართული კულტურა სირიაში. მან შეიძინა არაბულ ენაზე დაბეჭდილი სხვადასხვა დარგის ლიტერატურა და 1983-1985 წლებში გამოგზავნა თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ლ. საღარაძის მიერ ნაჩუქარი წიგნების ფონდი მოიცავს 200-ზე მეტ არაბულ ავტორის 400-მდე ტომს. მასში წარმოდგენილია განმარტებითი და დარგობრივი ლექსიკონები, გეოგრაფიული, ენათმეცნიერული, ისტორიული, ფილოსოფიური, ასტრონომიული და სხვა დარგების აღწერილობა და ცნობები.

ლ. საღარაძის ფინანსური დახმარებით თარგმნა სირიელმა პოეტმა ნიზარ ხალილიმ „ვეფხისტყაოსანი“ არაბულ ენაზე, რომელიც ისევ საღარაძის ხარჯით დაიბეჭდა დამასკოში 1984 წელს. მანვე დააფინანსა 1987 წელს ილია ჭავჭავაძის პოეტური კრებულის „განდეგილის“ არაბულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ლ. საღარაძის მეცადინეობით მოეწყო ქართული გამოფენა 1988 წელს დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაზე, რის გამოც მან გადადო აუცილებელი მკურნალობა. ლ. საღარაძე გარდაიცვალა 1989 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში *[ჯაფარიძე, 1989:39-48].*

1934 წლიდან მაჭახლის თემის რაისკოლას სათავეში ედგა პეტრე მელია, რომელიც ზრუნავდა თემის სკოლების აღჭურვაზე, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაზე, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაზე *(აცსა, ფ.რ-221, საქ.1, ფურც.4-5, 8, 12).*

1936 წლისათვის მაჭახლის თემში 1 არასრული საშუალო და 10 დაწყებითი ტიპის სკოლა არსებობდა.

სკოლის დასახელება	ტიპი	მოსწ. რაოდ.	აქვს თუ არა სკოლას შენობა	მდგომარეობა	გამგე დირექტორი	განათ.	პარტ.	სტაჟი	დაბად.
ზ. ჩხუტუნეთი	არასრ. საშ.	80	კი	დამაკ.	ილია მიხეილის ძე ტყეშელიძე	უნ. 4 კურსი	უპარტიო	6	1907

სკურდიდი	დ/ს	30	არა	არ. დამ.	ახმედ დავითაძე	საშუალო	კ.პ.	2	1910
ქვ. ჩხუტუნეთი	დ/ს	35	არა	არ.დამ.	ივანე ვლადიმერისძე ნაჭყებია	საშუალო	კ.პ.	5	1909
აჭარისაღმართი	დ/ს	60	კი	დამაკ.	ესტატე ანდრიას ძე დანელია	საშუალო	უპარტიო	19	1892
საფუტკრეთი	დ/ს	18	არა	არ.დამ.	ილარიონ ალექსანდრეს ძე კვარაცხელია	საშუალო	კ.პ	4	1912
ცხემლარა	დ/ს	32	არა	არ. დამ.	აკაკი იაკინთეს ძე შუბლაძე	საშუალო	კ.პ	3	1910
გორგაძეთი	დ/ს	20	კი	დამაკ.	აბდულ მემედის ძე გვიანიძე	საშ.დაუმთ.	კ.პ	1	1914
ქედქედი	დ/ს	43	კი	დამაკ.	ევგენი მაქსიმეს ძე ნაჭყებია	საშუალო	უპარტიო	5	1901
სინდიეთი	დ/ს	21	არა	არ. დამ.	გრიგოლ ივანეს ძე ზაქარაძე	საშუალო	უპარტიო	1	1914
ჩიქუნეთი	დ/ს	68	კი	დამაკ.	ივანე ნიკიფორეს ძე ჩხაიძე	საშუალო	პარ. კანდ.	7	1902
ქოქოლეთი	დ/ს	35	არა	არ. დამ.	გიორგი ირაკლის ძე მდივანი	საშუალო	კ.პ	5	1911

(ფურც.59).

1937-1938 წლებში სოფ. ზ. ჩხუტუნეთის არასრულ საშუალო სკოლას დირექტორად მუშაობდა გრიგოლ გურგენიძე *(საქ.14, ფურც.40),* აჭარისაღმართის დაწყებითი სკოლის გამგედ - კლიმენტი ჯალაღონია *(ფურც.31),* სკურდიდის დაწყებითი სკოლის გამგედ - ა. დავითაძე *(საქ.11, ფურც.3),* ქედქედის დაწყებითი სკოლის გამგედ - ე. როყვა *(ფურც.14).* 1938 წლის 25 იანვარს სკურდიდის დაწყებით სკოლაში მუშაობა დაიწყო ნუნუ მალანიამ *(საქ.14, ფურც.36).*

1942-43 სასწავლო წლისათვის მაჭახლის ხეობაში ფუნქციონირებდა 8 დაწყებითი და 3 არასრული საშუალო სკოლა *(ფურც.15)* ხოლო 1943 წლის 5 დეკემბრის მონაცემებით - 8 დაწყებითი და 4 არასრული სასუალო სკოლა ფუნქციონირებდა *(საქ.18, ფურც.7).* ამავე პერიოდში ზ. ჩხუტუნეთის არასრული სასუალო სკოლის დირექტორად მუშაობა დაუწყია ხ. ცქვიტინიძეს, სინდიეთის დაწყებითი სკოლის გამგედ ვინმე ბენიძეს *(ფურც.14).*

1944 წლის მონაცემებით ქედქედის არასრულ საშუალო სკოლაში ირიცხებოდა 68, ხოლო აჭარისაღმართის არასრულ საშუალო სკოლაში 55 მოწაფე *(იქვე).*

დ. მაჭახლის ხეობის სკოლები.

სახალხო განათლებისა და სკოლებისათვის ზრუნვა სამამულო ომის დროსაც არ შეწყვეტილა. ომმა თავისებური გავლენა მოახდიანა სკოლების განვითარებაზე, კერძოდ ვერ მოხერხდა საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა.

1943 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება 7-დან 17 წლამდე ბავშვთა აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ და დაამტკიცა ინსტრუქცია. საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ. მასში აღნიშნული იყო, რომ ის მშობლები ან სხვა მზრუნველი პირები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით ბავშვს დროულად არ მიაბარებდნენ სკოლაში და არ უზრუნველყოფდნენ მეცადინეობაზე მის სისტემატურ დასწრებას, მიცემული იქნებოდნენ პასუხისმგებლობაში.

1969 წელს ბათუმის რაიონი გადაკეთდა ხელვაჩაურის რაიონად და მასთან დაკავშირებით რაიონული ადმინისტრაციული ცენტრი გადავიდა დაბა ხელვაჩაურში. რაიონის პარტიულ ორგანიზაციას კი ეწოდა ხელვაჩაურის რაიონული კომიტეტი, ანუ რაიკომი.

1970 წლისათვის, მაჭახლის ხეობაში უკვე ფუნქციონირებდა 1 საშუალო, 4 რვაწლიანი და 6 დაწყებითი სკოლა.

დღეისათვის მაჭახლის ხეობაში ფუნქციონირებს 3 საშუალო საფეხურის, 2 საბაზო საფეხურის და 5 დაწყებითი საფეხურის სკოლა. საერთო ჯამში აღნიშნულ სკოლებში სწავლობს 313 მოსწავლე, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს უძღვება 89 მასწავლებელი. აღნიშნული მასწავლებლებიდან 15-ს უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

1. **ნავანევის დაწყებითი სკოლა**

პირველი დაწყებითი სკოლა ნავანევის ზემოთ სოფელ სკურდიდში გაიხსნა 40-იანი წლებისათვის, სკოლა დღესდღეობით მცხოვრები მერკულაძეების სახლის მახლობლად მდებარეობდა, მოგვიანებით ხის შენობა აუგიათ სკოლისათვის დღესდღეობით მცხოვრებ მერკულაძეების ეზოს მახლობლად, პირველი პედაგოგები ვასილ კერძევაძე და მისი მეუღლე იყვნენ. ვასო, რადგან ომიანობის დროს ცხოვრება ჭირდა, სკოლის შემდეგ კოლმეურნეობაშიც მუშაობდა. შემდეგ ააგეს ახალი სკოლის შენობა ჯევად კახიძის ეზოს მახლობლად, სკოლა ერთსართულიანი იყო და დერეფნისა და ორი საკლასო ოთახისაგან შედგებოდა. სკურდიდის დაწყებით სკოლაში ასევე უმუშავია სულიკო (იაგო) ნაგერვაძეს, ჩიტო ასათიანს, ნუნუ მალანიას, საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული გასახლებების შედეგად სოფელი დაცლილა და სკოლაც დახურულა. შემდგომისათვის სკოლა გახსნილა ნავანევის გაღმა მხარეს ავჯანდრაში, მაგრამ ეს სკოლაც დღენაკლული აღმოჩნდა. 1951 წელს დაწყებითი სკოლა გაიხსნა სოფელ ნავანევში ქავთარაძეების სახლის მახლობლად, მოგვიანებით სკოლისათვის დაიწყო ახალი შენობის მშენებლობა იმ ადგილას სადაც ახლა მდებარეობს *(მოფინაძე)*. ნავანევის დაწყებითი სკოლის შენობა 1960 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. გამგე მასწავლებლად მუშაობდა თამარ ფერაძე. სკოლა სოფელ სკურდიდისა და ნავანევის ბავშვებს ემსახურებოდა, სადაც 15-მდე მოსწავლე ირიცხებოდა. 1989-1990 სასწავლო წლისათვის სოფელ ნავანევში აშენდა ახალი ქვის კაპიტალური შენობა, დერეფნითა და ორი საკლასო ოთახით. სკოლაში გამგე მასწავლებლებლებად მუშაობდნენ: ნარიკო მოფინაძე და ნაზი მოფინაძე.

2011 წელს სკოლის შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი.

დღეისათვის სკოლაში ირიცხება ორი მოსწავლე. სკოლის გამგე მასწავლებელია ხათუნა შარაძე.

2. **ცხემლარის დაწყებითი სკოლა**

პირველი სკოლა სოფელ ცხემლარაში გაიხსნა 1930 წელს შუქრი სალვარიძის კერძო სახლში. სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ქუთაისიდან მოვლენილი ლევან

საღარაძე, რომელმაც 1932 წელს მაჭახლის ხეობის სასაზღვრო ზოლიდან გადალახა საბჭოთა საზღვარი და ემიგრაციაში წავიდა *(ქოქოლაძე, კახიძე, მხეიძე)*.

1939 წელს დაწყებითი სკოლისათვის აშენდა ხის შენობა ორი საკლასო ოთახითა და დერეფნით, სადაც მასწავლებლად მუშაობა დაიწყო შალიკო ბოლქვაძემ მეუღლესთან, ქეთევანთან ერთად *(სალვარიძე)*.

1943 წელს მასწავლებლად მუშაობდა ნუნუ სურმანიძე, რომელიც შემდეგ მოღვაწეობდა სოფ. ზედა ჩხუტუნეთის შვიდწლიან სკოლაში, სადაც დაოჯახდა. ცოლად გაყვა ფიზკულტურის მასწავლებელ რემზი ნაგერვაძეს.

1946 წელს მასწავლებლად მუშაობდნენ გრიშა და თამარ ინაიშვილები ისინი აქვე, სკოლაში მუშაობის პერიოდში დაოჯახებულან.

1954 წელს სკოლის მასწავლებლად მუშაობას იწყებს ზულფიქრი მალაყმაძე, რომელიც 1964 წელს შალვა მალაყმაძემ შეცვალა. შალვა მალაყმაძესთან ერთად სკოლაში მუშაობდა ისმაილ კირკიტაძე.

1968 წელს სკოლისათვის აშენდა ახალი ქვის შენობა ორი საკლასო ოთახითა და დერეფნით. მასწავლებლად დაინიშნა ხასან ბასილაძე. სხვადასხვა დროს მასწავლებლებად მუშაობდნენ ჟუჟუნა მალაყმაძე, შოთა მალაყმაძე, ცირა კახიძე.

2014 წლის შემდეგ სკოლა მოსწავლეთა კონტიგენტის არყოლის გამო არ ფუნქციონირებს.

3. ქოქოლეთის დაწყებითი სკოლა

ქოქოლეთის დაწყებით სკოლას საკუთარი შენობა არ გააჩნია, იგი განთავსებულია ადგილობრივი მცხოვრების — გენო ქოქოლაძის საცხოვრებელ სახლში.

სკოლის ყოფილი შენობა 2000 წელს ქარიშხალმა დაანგრია. იგი გახლდათ ხის ერთსართულიანი შენობა, ორი საკლასო ოთახით (შენობა თავდაპირველად წარმოადგენდა საცხოვრებელ სახლს, რომელიც კოლმეურნეობამ შეიძინა

სკოლისათვის 1991 წელს, რომელსაც ერთი მასწავლებელი პეპელა ქოქოლაძე ემსახურებოდა.

დღეისათვის სკოლაში ირიცხება ორი მოსწავლე. სკოლის გამგე მასწავლებელია ქეთევან ფუტკარაძე, ინგლისურ ენას ასწავლის დიანა ფუტკარაძე.

4. **ქვ. ქოქოლეთის დაწყებითი სკოლა**

ქვ. ქოქოლეთის დაწყებითი სკოლა განთავსებულია სოფლის ყოფილი მეჩეთის შენობაში, შედგება ორი საკლასო ოთახისაგან. დღეისათვის სკოლაში ორი მოსწავლე სწავლობს. სკოლის გამგე მასწავლებელია თამაზ ქოქოლაძე.

5. **ვაკეს დაწყებითი სკოლა**

ვაკის უბანი სოფელ ჩიქუნეთის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოშორებულია ძირითადი სოფლიდან და საკმაოდ მაღლა მდებარეობს. ამ ფაქტორმა განაპირობა უბანში დაწყებითი სკოლის დაარსება.

სკოლა 2003 წელს დაარსდა. შედგება ორი საკლასო ოთახისა და დერეფნისაგან. დღეისათვის სკოლაში 5 მოსწავლე ირიცხება, რომელთა სწავლა-აღზრდას ორი მასწავლებელი — გულნარა ავალიძე და ლელა შუშანიძე ემსახურება.

6. **აჭარისაღმართის 9 წლიანი სკოლა**

საარქივო მონაცემებისა და სკოლის მატიანეში შემონახული ცნობების შედეგად დგინდება, რომ ბათუმის რაიონის სოფ. აჭარისაღმართის ოთხწლიანი სკოლა გახსნილა 1924 წელს. სკოლის გამგედ მუშაობა დაუწყია გიორგი ნაჭყებიას ***(აცსა, ფ.რ-19, საქ.3, ფურც.11, საქ.7, ფურც.248).*** შემდეგ სხვადასხვა დროს სკოლის გამგეებად უმუშავია შალვა ჩხაიძეს ***(ფურც.204),*** კონსტანტინე მიმინოშვილს ***(ფურც.162),*** დიმიტრი (ჭიჭიკო) დოლიძე ***(საქ.11, ფურც.23).*** გრიშა ნიკოლაიშვილს, იური

კალანდაძეს, ნინა მონიავას, კლიმენტი ჯალაღანიას *(აცსა, ფ.რ-221, საქ.14, ფურც.31)*და შალვა ბოლქვაძეს“.

1945 წელს ოთხწლიანი სკოლის ბაზაზე გახსნილა შვიდწლიანი სკოლა, რომლის პირველი დირექტორი ყოფილა ივანე ჩხაიძე. სკოლა მდებარეობდა დღევანდელი მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარის პირას. სკოლა ბოძებზე შემდგარ ერთსართულიან ხის შენობაში იყო განთავსებული.

1947 წელს სკოლის დირექტორად ინიშნება შოთა პავლეს ძე ელიაძე, რომელმაც 1954 წლამდე უხელმძღვანელა სკოლა *(საქ.31, ფურც.11).*

1945-1952 წლებში სკოლაში მასწავლებლად მუშაობდნენ: ლეილა ხალვაში, ლამარა თხილაიშვილი, ლიდა მეგრელიძე, ელეონორა კუტუბიძე, ენვერ ქავთარაძე, ნინა ბახტაძე, ქეთო ბარაბაძე, აგრაფინა ოჩიგავა, ზურქიფლი (ზულფიქრი ზ.ნ.) მალაყმაძე, მემედ გორგოშაძე, ჯემალ კვირიტიძე, ავთანდილ ბურჭულაძე.

1954 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა ნინა ბახტაძე. ამავე წელს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობა დაიწყო ივენე ესეს ძე ყარეგიშვილმა. 1955 წლის 20 აგვისტოდან ივენე ყარეგიშვილი დაინიშნა სკოლის დირექტორად.

1954-1965 წლებში სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმეს უძღვებოდნენ:

ალექსანდრა ათანასეს ასული ყურუა, ნუნუ იულონის ასული მალანია, შოთა მირონის ძე მექვაბიშვილი, თამარა საანიშვილი, ნუნუ ჩხარტიშვილი, რევაზ ომერის ძე აფხაზავა, გულნარა ახმედის ასული ფარტენაძე, ვალერი დაუთის ძე მალაყმაძე, აქვსენტი იაშვილი, სევერიან ხარუნის ძე მორთულაძე, ნორა ვლადიმერის ასული გიორგაძე, ცისანა ნიკოლოზის ასული ავალიანი, გიორგი ხუსეინის ძე ფარტენაძე, ვლადიმერ ხუსეინის ძე ბასილაძე, თამარა ნიკოლოზის ასული ჭყონია, ნოდარ ახმედის ძე გორგილაძე, ქეთო მახარაძე, გივი დურსუნის ძე ბერიძე, ოთარ ახმედის ძე ქოქოლაძე, ხუსეინ მემედის ძე ნაგერვაძე, რიზალ ცინცაძე, რაფიელ ფირცხალავა, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ორლოვი, ჯემალ ახმედის ძე ჯაფარიძე.

1961-1962 სასწავლო წლისათვის სკოლისათვის აშენდა ახალი შენობა. შენობა ერთსართულიანია, რომელიც ორმაგი ქვის ბლოკით არის ნაგები. მატიანეში ვკითხულობთ:

„სკოლის მატერიალური ბაზა ძირითადად აკმაყოფილებს 8 წლიანი სკოლის მოთხოვნებს. არის სკოლის ახალი შენობა, რომელიც აშენდა 1961-1962 წელს. სკოლას აქვს 8 საკლასო ოთახი, პიონერთა ოთახი და ოთახი სასკოლო ბიბლიოთეკისათვის, არის სამასწავლებლო და დირექტორის ოთახი, აქვს საერთო დარბაზი და კორიდორები მოსწავლეთა დასვენებისათვის. ცალკე შენობაში მოთავსებულია სკოლის სასწავლო სახელოსნო, საკლასო ოთახები მოწყობილია საჭირო სასწავლო ინვენტარით და საჭირო გაფორმებით. საკმაოდ გაფორმებულია დასასვენებელი ზალა და კორიდორები. ქიმიისა და ფიზიკის სწავლებისათვის გამოყოფილია ერთი საკლასო ოთახი, რომელიც საჭიროებს კარგად მოწყობას. კარგად არის მოწყობილი სამასწავლებლო ოთახი და დირექტორის კაბინეტი. სკოლას აქვს აკორდეონი, ფანდური და დოლი მხატვრული თვითშემოქმედებითი წრის მუშაობისათვის. აქვს კინო დანადგარი“.

1965-1970 წლებში სკოლაში მასწავლებლად მუშაობდნენ:

გულნარა ახმედის ასული ფარტენაძე, ცისანა ნიკოლოზის ასული ავალიანი, სევერიან ხარუნის ძე მორთულაძე, ავთანდილ პარმენის ძე ბურჭულაძე, გივი დურსუნის ძე ბერიძე, ივანე ესეს ძე ყარეგიშვილი (სკოლის დირექტორი ზ.ნ.), ქეთო ივანეს ასული მახარაძე, თამარა ნიკოლოზის ასული ჭყონია, გიორგი სულეიმანის ძე ფარტენაძე, ჯემალ ახმედის ძე ჯაფარიძე, სულეიმან მემედის ძე ნაგერვაძე, გულნარა იბრაიმის ასული ლორთქიფანიძე, ნადია შაქირის ასული გოგიტიძე, ზურქიფლი ხასანის ძე მალაყმაძე, ზია ხუსეინის ძე კირკიტაძე, რევაზ ხასანის ძე ქონდარიძე, ალექსანდრე ხასანის ძე ქონდარიძე.

1970 წლის 14 აპრილს კუჭის კიბოს დაავადებით გარდაიცვალა სკოლის დირექტორი, სკოლის მატიანეს ავტორი ივანე ესეს ძე ყარეგიშვილი.

1970 წლიდან დღემდე სკოლის დირექტორად მუშაობდნენ:

ვალერი დაუთის ძე მალაყმაძე, შოთა ახმედის ძე შაშიკაძე, ირაკლი ხუსეინის ძე კახიძე, ნიაზ ხუსეინის ძე ომერაძე, დომენტი რამიზის ძე პირპილაძე, ვალერი ჯემალის ძე შარაბიძე, ჟუჟუნა ოსმანის ასული ცინცაძე-სალვარიძე.

1970-1980 წლებში სკოლაში მასწავლებლად მუშაობდნენ:

შოთა ახმედის ძე შაშიკაძე, ზურაბ ხუსეინის ძე მალაყმაძე, ავთანდილ პარმენის ძე ბურჭულაძე, ზვიად სულეიმანის ძე კირკიტაძე, ცისანა ნიკოლოზის ასული ავალიანი, ლამარა ივანეს ასული მამაგულოვა, ნადია შაქირის ასული გოგიტიძე, გულნარა იბრაიმის ასული ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ხასანის ძე ქონდარიძე, რევაზ ხასანის ძე ქონდარიძე, რევაზ ომერის ძე აფხაზავა, ქეთო ივანეს ასული მახარაძე, ირაკლი ხუსეინის ძე კახიძე, დარიკო მუსტაფის ასული კახაბერიძე, თენგიზ ნიკოლოზის ძე ცეცხლაშვილი, ლევან პორფირეს ძე მურვანიძე, ავთანდილ ზურაბის ძე ჟორჟოლიანი, გურამ მუხამედის ძე ვანილიში, როზა დავითის ასული რუაძე, ვარდო ისმაილის ასული კახიძე, სერგო ალექსანდრეს ძე შაშიკაძე.

1965 წლამდე სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 115 მოსწავლეს არ აღემატებოდა 1965 წლიდან შეიმჩნევა მოსწავლეთა კონტიგენტის მნიშვნელოვანი მატება, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სკოლის ახალი შენობა საშუალებას იძლეოდა მახლობელი სოფლებისა და უბნების აღსაზრდელები მიეღო, მაგალითად სოფელ ცხემლარის აღსაზრდელები, რომლებიც ადრე სოფელ ჩხუტუნეთის სკოლაში ღებულობდნენ სწავლა-განათლებას არჩევანს უკვე აღმართის ახლადაშენებულ სკოლაზე აკეთებენ. ამას ემატება ისიც, რომ აჭარისაღმართის 8-წლიან სკოლას შეუერთეს სკურდიდის დაწყებითი სკოლა, რომელშიც დაახლოებით 15-20-ე აღსაზრდელი ღებულობდა დაწყებით განათლებას. 1975-1976 სასწავლო წლისათვის სკოლაში 168 მოსწავლე სწავლობდა.

1980-1990 წლებში აჭარისაღმართის 8 წლიან სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს უძღვებოდნენ შემდეგი მასწავლებლები:

ნიაზ ხუსეინის ძე ომერაძე, დომენტი რამიზის ძე პირპილაძე, ვარდო ისმაილის ასული კახიძე, დარიკო მუსტაფის ასული კახაბერიძე, ცისანა ნიკოლოზის ასული ავალიანი, როზა დავითის ასული რუაძე, ქეთევან თეიმურაზის ასული მჟავანაძე, ავთანდილ პარმენის ძე ბურჭულაძე, ჟუჟუნა ხასანის ასული მორთულაძე, მერაბ რევაზის ძე ჭანტურია, ჟუჟუნა ოსმანის ასული ცინცაძე, ენვერ ვეისელის ძე ნაგერვაძე, ლილი კოვალიოვა, მერაბ ვარშალომიძე, ნერიმან მიქელაძე (პიონერხელმძღვანელად), დოდო რევაზის ასული შუშანიძე, ვალენტინა ტერენტის ასული კოპალეიშვილი, ნაირა ალექსანდრეს ასული ფარტენაძე (პიონერხელმძღვანელი), დალი აბესალომის

ასული დათეშიძე, დავით მემედის ძე გაბაიძე, ემზარ იბრაიმის ძე ბაკურიძე, კობა ოსმანის ძე კახიძე, გალინა დიმიტრის ასული პენკოვა, ნოდარ ისმაილის ძე მორთულაძე, ნაირა მირიანის ასული სტამბოლიშვილი, ჯემალ ხუსეინის ძე შაშიკაძე, გენადი ხუსეინის ძე შაშიკაძე, მერაბ შოთას ძე დიასამიძე, ნანა ამირანის ასული ტიკარაძე, რამაზ კარლოს ძე სარჯველაძე, ნაირა ალექსანდრეს ასული დავითაძე, რევაზ რამიზის ძე შაშიკაძე, ომარ ხემიდის ძე ცინცაძე ***(ხელნაწერი, 1-21)***.

90-იანი წლებიდან მოყოლებული სკოლაში სხვადასხვა დროს მასწავლებლად მუშაობდნენ:

ცისანა ავალიანი, როზა რუაძე, დომენტი პირპილაძე, გენადი შაშიკაძე, ჟუჟუნა სალვარიძე, ქეთევან მჟავანაძე, გალინა პენკოვა, გურამ ფარტენაძე, თემურ მალაყმაძე, მალხაზ მსხალაძე, ვალერი შარაბიძე, ლამარა ნაგერვაძე, ვაჟა შარაბიძე, მალხაზ სალვარიძე, უმიან ქავთარაძე, ნატო მალაყმაძე, მზია გოგიტიძე, გურამ გამიშიძე, მედეა კახიძე, ნინო პირპილაძე, ნონა სალვარიძე, ქაზიმ ქონდარიძე, როინ მალაყმაძე, პეპელა ბასილაძე, როინ სალვარიძე, ზურაბ ნაგერვაძე, მერაბ ნაგერვაძე, თამარ ფარტენაძე, მაია სალვარიძე, ანა მორთულაძე.

2008 წელს სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, რემონტის შედეგად სკოლის დარბაზის ხარჯზე, სკოლას დაემატა საკლასო ოთახები. კეთილმოეწყო სკოლის ბიბლიოთეკა და კაბინეტები, სკოლის ბიუჯეტით სკოლა სრულად აღიჭურვა კომპიუტერული და მუსიკალური აპარატურებით. სკოლას სამწუხაროდ დღემდე არ გააჩნია სპორტული და სააქტო დარბაზები.

სკოლაში დღეისათვის სწავლობს 42 მოსწავლე, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 17 მასწავლებელი.

სკოლის დირექტორია ზურაბ ნაგერვაძე.

7. ზედა ჩხუტუნეთის 9 წლიანი სკოლა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე ოციანი წლებიდან მაჭახლის ხეობაში იწყება დაწყებითი საფეხურის სკოლების გახსნა. 1924 წელს ერთდროულად იხსნება სოფ. ქედქედის, აჭარისაღმართისა და ჩიქუნეთის სკოლები. სოფ. ჩხუტუნეთში როგორც

ზემოთ გითხარით 1927 წლისათვის გაიხსნა ხალილ კახიძისა და სოფლის აქტივის მოთხოვნით. სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ ვერა და ანეტა მგალობლიშვილები, დავით ჟოჟიკაშვილი და ელენე ჩახვაძე, ლანჩხუთის რაიონ სოფელ ჩიბათიდან. 1929 წელს მათ შეემატა გრიშა კვაჭაძე მეუღლესთან ერთად.

1930 წლიდან ზ. ჩხუტუნეთის სკოლაში მუშაობას იწყებს ვასილ სერაფიონის ძე ჭირაქაძე ქუთაისიდან, რომელმაც აქა მხოლოდ ერთი წელი იმუშავა, იგი შეცვალა შუშანა არჩილის ასულმა ჭყონიამ, ლანჩხუთის რაიონ სოფელ ჩიბათიდან, რომელმაც 1935 წლის 1 სექტემბრამდე იმუშავა და აქედან მწვანე კონცხის დაწყებით სკოლაში გადავიდა სამუშაოდ. 1937 წელს იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩადუნეთის სკოლაში. 1965 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

სოფელში ახალი სკოლის შენობის მშენებლობა დაიწყო 1933 წლის მეორე ნახევარში და დასრულდა 1934 წლის პირველი სექტემბრისათვის. ეს იყო ორსართულიანი შენობა ცხრა საკლასო და სამასწავლებლო ოთახით. სკოლის მშენებლობის საქმეთი განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ხალილ კახიძემ და სოფლის აქტივმა.

სკოლასთან გაიხსნა სასკოლო ინტერნატი, რომელშიც ჩარიცხულნი იყვნენ მაჭახლის ხეობის სოფლების: ქედქედის აჭარისარმართის, სკურდიდის, ჩიქუნეთის, ქვ. ჩხუტუნეთის, გორგაძეთის დაწყებითი სკოლის ოთხკლასდამთავრებულები. აქ ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინითა და კვებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო ხსირად ხდებოდა სკოლის დირექტორთა ცვლა: მაგალითად, 1927 წლიდან მოყოლებული 1935 წლამდე ამ სკოლაში დირექტორად მუშაობდნენ: ილია ტყეშელაძე, ელისო მექვაბიშვილი, გრიშა გურგენიძე, კოლია ტუღუში, შალვა ბოლქვაძე, ნორა ცქვიტინიძე, ვენერა (ვერა) კანდელაკი და სერგო ჯალაღონია.

1951 წლისათვის ზ. ჩხუტუნეთის 8 წლიანი სკოლა გადატანილ იქნა ქვ. ჩხუტუნეთის ახლად გახსნილ სკოლა-ინტერნატში. ხოლო ზ. ჩხუტუნეთში დარჩა დაწყებითი სკოლა.

1968 წელს ზ. ჩხუტუნეთში აშენდა სკოლის ქვის შენობა, რომელიც გათვლილი იყო 120 მოსწავლეზე. სკოლა დაწყებითი საფეხურიდან გადაკეთდა საბაზო (რვაწლიან) სკოლად.

სკოლაში დირექტორებად მუშაობდნენ მალვინა სირბილაძე და ჟუჟუნა კახიძე (*ხელნაწერი. გვ. 1-8)*.

2011 წელს განხორციელდა სკოლების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც გაუქმდა ზ. ჩხუტუნეთის საბაზო სკოლის ადმინისტრაცია და შეუერთდა ქვ. ჩხუტუნეთის საშუალო სკოლას.

2017 წლისათვის სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. აღიჭურვა ავეჯითა და სათანადო აღჭურვილობით.

დღეისათვის საბაზო სკოლაში სწავლობს 37 მოსწავლე, რომელთა სწავლა-აღზრდაზე ზრუნავს 11 მასწავლებელი.

8. ქედქედის 12 წლიანი სკოლა

სოფელ ქედქედში პირველად 1924 წელს გახსნილა დაწყებითი სკოლა ოსმან მსხალაძის კერძო სახლში. პირველ მასწავლებლად თბილისიდან მოუვლენიათ ვალიკო ჭიჭინაძე, რომელსაც 1934 წლამდე უმუშავია. 1934 წელს სოფელში სკლისათვის აუგიათ ხის შენობა, რომელსაც გააჩნდა ოთხი ოთახი. აღნიშნულ სკოლაში 1934-1939 წლებში უმუშავია ადგილობრივ მასწავლებელს ჯემალ ოსმანის ძე მსხალაძეს. 1939 წელს სკოლა 7 წლიანად გადაკეთებულა. 1957 წელს ექსპლუატაციაში შევიდა მაჭახელას ჰიდროელექტროსადგური, რის გამოც სკოლა 1958 წელს გადავიდა ჰიდროელექტროსადგურის საერთოსაცხოვრებლის შენობაში და გადაკეთდა 8 წლიანად. 1985 წელს კი 8 წლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალოდ.

40-იანი წლებიდან დაწყებითი საფეხურის საკოლა არსებობდა სოფელ სინდიეთშიც შერიფაძე ახმედის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე. მასწავლებელი იყო ალექსანდრა (საშა) ბენიძე. ასევე არსებობდა შრომის სკოლა ჯიგანაძე ისმაილის სახლში, სადაც კოლმეურნეები საღამოობით ღებულობდნენ განათლებას (ძირითადად სწავლობდნენ წერა-კითხვას), მასწავლებელი იყო დურსუნ

კვირიტიძე. ასეთივე სკოლა არსებობდა სოფელ ჭანივრში მამუდ ფუტკარაძის სახლში, სადაც მასწავლებელი იყო პატარაია, ქალბატონი, რომლის სახელი სამწუხაროდ ვერ გავიგეთ.

სხვადასხვა დროს ქედქედის სკოლაში დირექტორებად უმუშავიათ: ზინა კვანტრიშვილს, იური სიხარულიძეს, სერგო კობალაძეს, ვლადიმერ მოისწრაფიშვილს, ნიკოლოზ კალანდაძეს, ამირან კირკიტაძეს, ვალერი მალაყმაძეს, ფრიდონ მურადიშვილს, რევაზ ქონდარიძეს, ავთანდილ კახაბერიძეს, დომენტი პირპილაძეს.

1998 წლის მარტიდან სკოლის დირექტორია გენადი შაშიკაძე. მომავალი თაობის სწავლა-აღზრდი საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს პედაგოგებმა: ახმედ და გიორგი კვირიტიძეებმა, ქაზიმ, ისაკ, სერგო, შუქრი, ფატი, დიანა შაშიკაძეებმა, ვალერი და ვლადიმერ მალაყმაძეებმა, ციური და თემური მალაყმაძეებმა, კლარა ფირცხალაიშვილმა, ქეთო ბოლქვაძემ, ნუნუ მალანიამ, ლევან ზანაქიძემ, ისმაილ, ლილი და თენგიზ ლორთქიფანიძემ, მამუდ კახიძემ, ქაზიმ ქონდარიძემ, ნანული ფუტკარაძემ, ლენა ბუდანოვამ, რეზო შოთიძემ, ქაზიმ ქავთარაძემ, ჯუმბერ ირემაძემ, ტარიელ ჯინჭარაძემ, ვახტანგ შაშიკაძემ, იამზე ქონდარიძემ, ნაზი წითელაძემ, ნოდარ კოპინაძემ, ოქროპირ მსხალაძემ, რევაზ შაშიკაძემ, გული გალოგრემ, ნარგიზ ქონდარიძემ, ციური არჯევანიძემ, ციური მიქელაძემ, მალხაზ მსხალაძემ, ნაირა ღონიაძემ, ნინო ნაგერვაძემ, თემურ მალაყმაძე, როინ მალაყმაძემ, ნაირა შალიკაძემ, ნინო პირპილაძემ, გიული მუთიძემ და სხვებმა *(„ჩვენი სკოლა“ 2010:407-408. კომახიძე, 2003:128-129)*.

2011 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლის სრული კურსი მაგდანა ქონდარიძემ.

დღეისათვის სკოლაში სწავლობს 105 მოსწავლე, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 21 მასწავლებელი.

9. ქვ. ჩხუტუნეთის 12 წლიანი სკოლა

როგორც ზემოთ მოგახსენეთ ერთ-ერთი პირველი სკოლა ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ ჩხუტუნეთში (ქვ. ჩხუტუნეთი, მაშინ სოფელი გაყოფილი არ იყო)

გაიხსნა 1916 წელს. მასწავლებელი, რომელიც დაარსებიდანვე ამ სკოლას ხელმძღვანელობდა, გახლდათ ნიკოლოზ ქამუშაძე. 1917 წელს, ამ სკოლაში მასთან ერთად მუშაობას იწყებს ეთერ რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას ძმის თედო რაზიკაშვილის ქალიშვილი).

ამ პიროვნებამ დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო სკოლას, მოსწავლეთა სწავლის საქმეს, ამიტომაც მასზე ცოტათი უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

ეთერ რაზიკაშვილი როგორც ეს უკვე ზემოთ ვახსენეთ, ვაჟა-ფშაველას ძმის — მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო რაზიკაშვილის ქალიშვილი გახლდათ. იგი დაიბადა 1898 წლის თებერვალში გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში. 1915 წელს მან წარმატებით დაამთავრა გორის ქალთა გიმნაზია და სამუშაოდ აჭარაში ჩამოვიდა. 1917 წელს ეთერ რაზიკაშვილი სოფ. ჩხუტუნეთის ახლადდაარსებულ სკოლაში იწყებს მუშაობას. როგორც ზემოთ ვახსენეთ აჭარაში განვითარებული რიგი მოვლენების გამო ჩხუტუნეთის სკოლა დღენაკლული აღმოჩნდა და 1918 წელის ბოლოს დაიხურა. ეთერ რაზიკაშვილი აქედან სამუშაოდ ლანჩხუთში, სოფელ შუხუთის დაწყებით სკოლაში გადავიდა, იქიდან კი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანში. 1919 წლის სექტემბრიდან — ხაშურის რკინიგზის სკოლაშია. 1921 წლის სექტემბრიდან — ქალაქ თბილისის მეოთხე (რკინიგზის) სკოლაში იწყებს მოღვაწეობას. 1923 წელს რკინიგზის ბავშვთა ბაღის მასწავლებელია, 1935 წლიდან — ამავე ბაღის გამგეა. მას მიღებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება და მრავალი ჯილდო. გარდაიცვალა 1983 წელს ქალაქ თბილისში.

სკოლაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პედაგოგები: თამარ ნაჭყებია, ნაზი მაისაია, მარო სიორდია, ცაცა ელიაშვილი და ვლადიმერ კახიძე.

ამათ შორის მარო სიორდია მთელი 18 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ამ სკოლაში. სოფელ ქვ. ჩხუტუნეთის კაპიტალური სკოლის მშენებლობა 1952 წელს დაიწყო, რომელიც 1 სექტემბრისთვის დამთავრდა. სკოლას ჰქონდა 12 საკლასო ოთახი. სკოლა აშენდა სოფლის მოსახლეობის შრომითი საქმიანობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ კირკიტაძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ კახიძე. ძირითადად შენობა დამკვრელური ტემპით ხუთ თვეზე აშენდა, სასკოლო ინტერნატის სათავსოებთან

ერთად. იმავე 1952 წელს სოფ. ზ. ჩხუტუნეთიდან 8 წლიანი სკოლა გადმოტანილი იქნა ქვ. ჩხუტუნეთში, ხოლო ზედა ჩხუტუნეთში დარჩა დაწყებითი სკოლა. სკოლას თან გადმოყვა დირექტორი სერგო ჯალაღონია პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობით.

1952-1953 სასწავლო წელს დირექტორად დაინიშნა ვალიკო დობორჯგინიძე, ხოლო 1953-1954 სასწავლო წელს — დიმიტრი მურვანიძე.

1954-1955 სასწავლო წელს 8 წლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად, 1954 წლის აგვისტოდან 1959 წლის 20 აგვისტომდე სკოლია დირექტორად მუშაობდა მირიან ისმაილის ძე სტამბოლიშვილი.

საშუალო სკოლის პირველი გამოშვება მოეწყო 1957 წელს.

1959 წლის 20 აგვისტოდან 2006 წლის სექტემბრამდე სკოლის დირექტორად მუშაობდა სულხან სულეიმანის ძე კახიძე.

სკოლის დირექტორი სულხან კახიძე 1963 წელს დაჯილდოვდა „ სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

1970 წელს___ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

1972 წელს___ „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის“ მედლით.

1978 წელს მიენიჭა „აჭარის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება.

1982 წელს მიენიჭა „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება.

1996 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

1959-1960 წლებში აშენდა სასკოლო ინტერნატის სასადილოსთვის კაპიტალური შენობა, 1962 წელს ინტერნატის მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, 1964 წელს მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელი.

1975 წელს აშენდა სკოლის ტიპიური შენობა, რომელიც გათვლილია 320 მოსწავლეზე. სკოლა დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიციური კადრებით. მასწავლებელთა შემადგენლობა მთლიანად ადგილობრივია.

2006 წლიდან 2011 წლამდე სკოლის დირექტორად მოღვაწეობდა თამაზ სულხანის ძე კახიძე.

2008 წლისათვის სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი.

სკოლაში დღეისათვის ირიცხება 63 მოსწავლე, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს უძღვება 26 მასწავლებელი.

2011 წლიდან სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია ნაირა ღონიაძე.

10. ჩიქუნეთის 12 წლიანი სკოლა

სოფ. ჩიქუნეთში პირველი სკოლა გაიხსნა 1924 წელს. სკოლა იყო ოთხწლიანი, არ გააჩნდა საკუთარი შენობა და მოთავსებული იყო ხუსეინ ხასანის ძე ხინკილაძის სახლში. სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა ორაგველიძე კოკოშა, დაბადებული 1900 წელს. აღნიშნულ სკოლაში მან იმუშავა მხოლოდ ერთი წელი. 1925 წელს სკოლაში მასწავლებლად მუშაობა დაუწყია კასიანე კონტრიძეს, რომელსაც მხოლოდ ერთი წელი უმუშავია. ამ დროისათვის სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობამ 20-ს მიაღწია.

1926 წელს სკოლა გადატანილ იქნა მემედ სერვანის ძე მალაყმაძის სახლში. 1928 წელს ამ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა შოთა სიხარულიძე და შურა შენგელია.

1928 წელს სკოლა გადატანილ იქნა იუსუფ ალის ძე გორაძის სახლში. პედაგოგიურ მოღვაწეობას აქაც განაგრძობდნენ შოთა სიხარულიძე და შურა შენგელია. ამავე პერიოდში მათ შეუერთდა ვანო თოხაძე. აღნიშნული პედაგოგები სკოლაში 1929 წლამდე მოღვაწეობდნენ.

1929 წელს სკოლაში პედაგოგიურ მუშაობას იწყებენ მასწავლებლები: მონასე დარჩია და ვენერა ამბროლაძე. იუსუფ გორაძის სახლში სკოლა არსებობდა 1933 წლამდე. ქართულ და რუსულ ენებთან ერთად ისწავლებოდა ლათინური ენაც. პარალელურად მოსწავლეები დადიოდნენ ჯამეში (მედრესეში) სამეცადინოდ.

1933 წელს სკოლისათვის აშენდა სპეციალური შენობა, რომელიც შედგებოდა 6 ოთახისაგან. ამ ახალ სკოლაში გამგე-მასწავლებლად მუშაობდა ანტუშა ბურჭულაძე,

მასწავლებლად, მისი მეუღლე ლიზა ბურჭულაძე. ანტუშა ბურჭულაძის შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა კაკო შავდია. სკოლამ ჯამესთან ერთად იარსება 1938 წლამდე.

1938 წელს სკოლა დაშალეს და გადმოიტანეს სოფლის ცენტრში, იქ სადაც, ამჟამად ფუნქციონირებს სკოლა. 1938 სასწავლო წლისათვის გაიხსნა 7 წლიანი სკოლა. ამ დროს სკოლის დირექტორად მუშაობდა ვანო ჩხაიძე, მასთან ერთად მუშაობდა მისი მეუღლე ოლია აფხაზავა, ვარლამ ჩხარტიშვილი და ვასო კერძევაძე.

1940-1970 წლებში სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: იური კალანდაძე, შალიკო გიორგის ძე ბოლქვაძე, სერგო ჯალაღონია, ვალიკო დობორჯგინიძე, ისმაილ ხინკილაძე, ამირან იუსუფის ძე კირკიტაძე.

1970 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა სერგო ხუსეინის ძე მალაყმაძე, ხოლო დირექტორის მოადგილედ სასწავლო აღმზრდელობით დარგში კარლო ხუსეინის ძე მალაყმაძე. სკოლის შენობა იყო ხის, მოძველებული და იქ მუშაობა ძალზე ძნელი იყო. საკლასო ოთახები ვერ იტევდა მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში მოსწავლეთა ჭარბი რაოდენობის გამო გადაადგილება ჭირდა. ვერაფერს შველოდა მიმდინარე რემონტის ჩატარება. ამ დროისათვის უკვე პედაგოგიური კადრების მეტი ნაწილი ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო: ა. ბასილაძე, ო. ქოქოლაძე, ი. კირკირაძე, ვ. შარაბიძე, ს. მალაყმაძე, რ. მალაყმაძე, ჩამოსული მასწავლებლები: ვ. მაისურაძე, შ. ბოლქვაძე, მ. სორდია, ა. სამსონია. ასე რომ, ძველი ხის შენობაში მუშაობა ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით, ზემდგომ ორგანოებში გაიგზავნა მოთხოვნა, რომ სოფელში აგებულიყო თანამედროვე, კაპიტალური შენობა, რომელიც დააკმაყოფილებდა ყოველგვარ სტანდარტებს.

1976 წელს აღნიშნული მოთხოვნა მოხსენებითი ბარათით გააცნეს იმჟამინდელ განათლების მინისტრს თ. ლაშქარაშვილს. მინისტრმა გაითვალისწინა სკოლის პედაგოგებისა და სოფლის მოსახლეობის თხოვნა და წერილობით აცნობა სკოლის დირექტორს, რომ მათი მოთხოვნა გათვალისწინებული იქნებოდა და უახლოეს მომავალში — 1978 წელს სოფელში დაიწყებოდა ახალი ქვის კაპიტალური შენობის მშენებლობა.

1977 წელს ხის ძველი შენობა დაშლილ იქნა, რათა ადგილი განთავისუფლებულიყო და მომზადებულიყო ახალი შენობის მშენებლობისათვის. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მუშაობა უხდებოდათ სასწავლებლად გამოყოფილ სხვადასხვა შენობაში. ასე გაგრძელდა 1981 წლამდე.

1981 წელს აშენდა სკოლის ახალი შენობა, გათვლილი 320 მოსწავლეზე. მშენებლობის ინჟინერი იყო ტიტე წივწივაძე, ხოლო ბრიგადირი ზექერია გორაძე.

1981 წლის 1 სექტემბერს სწავლა დაიწყო ახალ კაპიტალურ შენობაში. სკოლის გახსნას ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დიასამიძე, ხელვაჩაურის რაიონის კომპარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი ს. ინაიშვილი და განათლების განყოფილების გამგე ილია კილაძე.

1984 წელს რვაწლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად, რომლი პირველ დირექტორად დაინიშნა სერგო მალაყმაძე.

1988 წელს სკოლის დირექტორად მუშაობას იწყებს ნოდარი მალაყმაძე, მოადგილედ სასწავლო აღმზრდელობით დარგში ალიოშა ბასილაძე.

1994 წლიდან დღემდე სკოლის დირექტორია ალიოშა ბასილაძე.

სკოლას 2014 წელს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა საჭირო აპარატურით.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 66 მოსწავლე, რომლის სწავლასა და აღზრდაზე ზრუნავს 25 მასწავლებელი.

ე. მეცნიერება.

ფაზისის, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიების, სვეტიცხოვლის, ალავერდისა და ნიკორწმინდის, ვარძიისა და უფლისციხის, „ქართლის ცხოვრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედ ქართველ ხალხს სრული უფლება აქვს იამაყოს იმით, რაც მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების საგანძურში აქვს შეტანილი. დიდი ილია ამბობდა: „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვეღარ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმაღლე.

განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს“.ყოველივე ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის სამხრეთ საქართველოს, სამცხე-საათაბაგოს. XVI საუკუნემდე, ვიდრე ოსმალთა ბატონობა დამყარდებოდა სამცხე-საათაბაგოში ყვაოდა კულტურა, ხელოვნება, განათლება. ასევე ვითარდებოდა ცხოვრება მის ერთ ნაწილში – აჭარაში. იგებოდა ტაძრები, ციხეები და ხიდები, გაჰყავდათ გზები, იწერებოდა მხატვრული და სამეცნიერო წიგნები. აქ შექმნა ფასდაუდებელი თხზულებანი აბუსერისძე ტბელმა, აქ დაიწერა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი „ტბეთის სულთა მატიანე“. ძნელბედობის ჟამს აქ აფარებდნენ თავს მომხდურ მტერთაგან აწიოკებული და დევნილი სხვა კუთხის შვილები და თვით მეფენიც. მაგრამ ეს ყოველივე წარსულში დარჩა, XVI საუკუნის შემდეგ თითქმის სამი საუკუნის მანძილზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ოსმალთა ბატონობამ სრულიად მოშალა ქართული სწავლა-განათლება, მეცნიერება და სხვა კულტურული განვითარება. ამასთან დაკავშირებით ცნობილი სამხედრო პირი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ყაზბეგი აჭარას ასე ასახავდა: „ახლა აჭარაში ქართული წერა-კითხვის მცოდნე თითზე ჩამოსათვლელია, თვით ბეგების ოჯახების გამოუკლებლივ... სკოლები, ცოდნის წყარო თურქეთის საქართველოში არ არის. მედრესეში მხოლოდ ყურანს და მაჰმადიანურ საეკლესიო დისციპლინას ასწავლიან მექანიკურად“.

ამის შედეგი იყო, რომ XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს აჭარაში სულ სამი უმაღლესდამთავრებული იყო (რეჯებ ნიჟარაძე, ხასან ლორთქიფანიძე, ყადირ შერვაშიძე), ხოლო პირველი აჭარელი, ვინც უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, სულეიმან დიასამიძე იყო.

გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობა იყო მთიან აჭარაში, მის ცალკეულ რაიონებში, კერძოდ მაჭახლის ხეობაში. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ამ ხეობაში საგანმანათლებლო და კულტურული განვითარება საერთოდ ჩაკვდა. ხეობაში არსებული ტაძარ-ეკლესიები, რომლებიც განათლების კერებს წარმოადგენდა განადგურდა. მაჭახლის ხეობა მიყრუებული და მიუვალი გახდა. აღნიშნული ვითარება კარგად აქვს აღწერილი ზაქარია ჭიჭინაძეს: „ბათუმიდამ მაჭახლის უკანასკნელ სოფელს ეფრატამდე სამოცდაათი ვერსი ითვლება, ოცდაათი ვერსი ცხენით სავლელი და დანარჩენი ფეხით, რადგანაც გზა ძლიერ ვიწრო კლდიან ალაგას გადის, ამიტომ ერთ კაცსაც უჭირს გავლა. ასეთი ვიწრო გზებია, საშინელი ადგილები,

საშიშარი ტყეები და გადასავარდნ დასაღუპი ხევები. აქეთ გზები არც ოსმალოს დროს ყოფილა გაკეთებული და, მგონი, რომ არც ეხლა გაკეთდეს, რადგანაც მაჭახლის მდგომარეობა ისეთნაირად იფარგლ-ისაზღვრება, რომ კაცი იქ თუ განგებ არ წავიდა, უიმისოდ აქ არავინ მოხვდება *(ჭიჭინაძე, 1913:187)*. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მაჭახლის ხეობაც იტყოდა თავის სიტყვას ქართულ მეცნიერებაში და ეყოლებოდა მეცნიერებათა კანდიდატები და მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

პირველი ვინც მაჭახლელთაგან დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა სოფელ ჭანივრის მკვიდრი ნევრესტან შაშიკაშვილი იყო. შემდეგ, დოქტორის ხარისხი მფლობელები გახდნენ ისტორიკოსები ამირან კახიძე და ნოდარ კახიძე. სულ მაჭახლის ხეობიდან 4 მეცნიერებათა დოქტორი და 5 მეცნიერებათა კანდიდატია (ნევრესტან შაშიკაშვილი, ალექსანდრე მსხალაძე, ამირან კახიძე, ნოდარ კახიძე, რევაზ კახიძე, ზაურ გამიშიძე, ემზარ კახიძე, ზაზა შაშიკაძე, როინ მალაყმაძე).

ვ. ქოხ-სამკითხველოები და ბიბლიოთეკები.

საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე სოფლის მოსახლეობაში დიდი კულტურულ-მასობრივი მუშაობა გააჩაღეს ქოხ-სამკითხველოებმა. ამ დაწესებულებებს, როგორც პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის პირველად ფორმებს სოფლად ბოლშევუკური ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც სოფლის პირობებსი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო ცენტრებს, რომელთა საშუალებითაც სოფლის გლეხობა რეგულარულად რებულობდა ინფორმაციას პვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ (გაზეთების მიწოდება, მათი ზეპირი კითხვა, საუბრები და ა.შ.). პარტიის გადაწყვეტილებით აუცილებელი იყო თემზე სულ ცოტა ერთი ქოხ-სამკითხველო მაინც შექმნილიყო. მათი მუშაობა მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებს და გლეხის ყოველდღიურ საჭიროებას.

აჭარისწყლის მაზრაში 1924 წელს დაარსებული 4 სამკითხველოდან ერთ-ერთი აჭარისაღმართის ქოხ-სამკითხველო იყო. სამკითხველოში თავს იყრიდა სოფლის მოსახლეობა და წითელარმიელები, რომლებიც ეცნობოდნენ გაზეთებს. გაზეთები

სამკითხველოს მიეწოდებოდა როგორც ქართულ, ასევე თურქულ და რუსულ ენებზე *(აცსა, ფ.რ-19, საქ.3, ფურც.15).* 1924 წლის 23 დეკემბრის მონაცემებით ქოხ-სამკითხველოს გამგედ უმუშავია ს. თავდგირიძეს *(საქ.7, ფურც.342).* ცოტა მოგვიანებით სამკითხველო გაიხსნა სოფ. გორგაძეთში *(ჯახიძე, 1974:71).*

ქოხ-სამკითხველოების მეშვეობით მოსახლეობაში ვრცელდებოდა ჟურნალ-გაზეთები, ეწყობოდა მისი ხმამაღალი კითხვა, მოხალისენი ყოველდღიურად ერთობოდნენ სხვადასხვა სპორტული თამაშით (ჭადრაკი, შაში), იმართებოდა უფასო წარმოდგენები. მაგალითად საზღვრისპირა სოფ. გორგაძეთის ქოხ-სამკითხველო ადგილობრივი ძალების მონაწილეობით ასეთ წარმოდგენებს თვეში 2-3 ჯერ მართავდა *(იქვე).* წარმოდგენებს მეზობელი სოფლებიდანაც ესწრებოდნენ.

ს. თავდგირიძის შემდეგ აჭარისაღმართის ქოხ-სამკითხველოს გამგედ 1925 წლის 6 ივლისიდან 1925 წლის 1 სექტემბრამდე უმუშავია აპოლონ ალანიას, რომელიც 1 სექტემბრიდან ამ თანამდებობაზე შეცვალა ხალილ დიდმანიძემ *(აცსა, ფ.რ-19, საქ.7, ფურც.48).*

აჭარისაღმართის ქოხ-სამკითხველოს გამგის დავით სიგუას 1927 წლის 19 იანვრის ანგარიშით სამკითხველოს ინვენტარს შეადგენდა:

წიგნები ქართული სხვადასხვა - 130, ქართული ჟურნალები - 24, გაზეთი სხვადასხვა სულ - 100, წიგნების გასატარებელი ჟურნალი - 1, ცირკულარები მაზრის - 35, მაგიდა გრძელი - 1, გრძელი სკამი - 2, პლაკატები სხვადასხვა - 8, სურათები ბელადების - 3, ლამპა შუშით - 1, კლუბის საწევრო წიგნაკები - 10, წიგნაკები - 10, რვეულები უწერი - 7, გასული-შემოსული ქაღალდის რვეული - 4 *(საქ.21, ფურც.53-54).*

პირველ ეტაპზე, როგორც ჩანს სამკითხველოები არ იყვნენ არჭურვილი სათანადო ინვენტარით, სამკითხველოს ოთახები საწიროებდა რემონტს. ამის გამო 1934 წლისათვის აჭარისაღმართის ქოხ-სამკითხველოს გამგეს შ. ცაცხლაძეს, თხოვნით მიუმართავს ბათუმის რაიარმასკომისათვის, რათა სამკითხველოს რემონტისათვის გამოეყო 1 500 მანეთი *(საქ.1, ფურც.4, 12).* მოგვიანებით შ.ცეცხლაზე, ამ თანამდებობაზე სეცვალა სანი სალვარიძემ *(საქ.14, ფურც.31).*

1937 წლის ანგარიშში, რომელიც ქოხ-სამკითხველოთა მგომარეობას ეხება ვკითხულობთ:

”აჭარისაღმართს აქვს საკუთარი ბინა - 1 ოთახი. ბინა გამოუსადეგარია, არ გააჩნია სათანადო ინვენტარი. წიგნების რაოდენობა 425 ცალი. გააჩნია რადიო, არ აქვს ტელეფონი. დროგამოშვებით ღებულობს 6 დასახელების გაზეთს. გამგეა იზეთ აფხაზოღლი. დამთავრებული აქვს პარტიული სკოლა. არის კომ. პარტიის წევრი. აქვს მუშაობის 1 წლის სტაჟი.

გორგაძეთს აქვს საკუთარი შენობა - 1 ოთახი, რომელიც გამოუსადეგარია. არ აქვს ინვენტარი. წიგნების რაოდენობა შეადგენს 420 ცალს. აქვს რადიო, არ აქვს ტელეფონი. დროგამოშვებით ღებულობს 6 დასახელების გაზეთს. გამგეა ახმედ გორგაძე. დამთავრებული აქვს პარტიული სკოლა. არის კომ. პარტიის წევრი. აქვს მუშაობის 1 წლის სტაჟი.

განათლების განყოფილების გამგე: დ. სარიშვილი.” ***(აცსა, ფ.რ-4, საქ.905, ფურც.56).***

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ძალით გაიშალა განათლებისა და კულტურის აღმავლობის მიმართულებით ბრძოლა. ქოხ-სამკითხველოების ნაცვლად დაიწყო ბიბლიოთეკების დაარსება. პირველი ბიბლიოთეკა დაარსდა სოფ. აჭარისაღმართში 1948 წელს.

მკითხველს ვთავაზობთ მაჭახლის ხეობაში მანამდე არსებული ბიბლიოთეკების განთავსების, დაარსების თარიღის, წიგნადი ფონდის, დაკავებული ფართის ცხრილს, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბიბლიოთეკების შესახებ:

N	ბიბლიოთეკის დასახელება	დაარსების წელი	ფონდი 1990 წ.	ფონდი 1997 წ.	ფართობი კვ.მ.
1	2	3	4	5	6
1	აჭარისაღმართის სოფლის	1948	6385	5900	30
2	ზ. ჩხუტუნეთის სოფლის	1967	5286	4994	22

3	ჩიქუნეთის სოფლის	1968	5143	4739	28
4	ქვ. ჩხუტუნეთის სოფლის	1970	5510	4443	15
5	ქედქედის სოფლის	1972	4272	3583	20

(კომახიძე, 2003:371).

მაჭახლის ხეობის ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკები და წიგნადი ფონდი 2001 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით

N	დაწესებულების დასახელება	ვის ბალანსზეა	დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა	წიგნადი ფონდი
1	2	3	4	5
1	აჭარისაღმართის სოფლის	მაჭახლის თემის საკრებულო	1	5813
2	ზ. ჩხუტუნეთის სოფლის	მაჭახლის თემის საკრებულო	0,5	5116
3	ჩიქუნეთის სოფლის	მაჭახლის თემის საკრებულო	0,5	4676
4	ქვ. ჩხუტუნეთის სოფლის	მაჭახლის თემის საკრებულო	0,5	4433
5	ქედქედის სოფლის	მაჭახლის თემის საკრებულო	0,5	3709

(კომახიძე, 2003:431).

მოგვიანებით ბიბლიოთეკარად მუშაობდა ზინა ქაზიმის ასული თავდგირიძე, რომელიც მისი აჭარისაღმართის აღმასკომის თავ-რედ დააწინაურების შემდეგ შეცვალა მერი ფარტენაძემ.

1998 წლის 12 იანვარს აჭარისაღმართის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ნ. დუმბაძის წიგნის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ განხილვა.

მიმდინარე წლის 5 თებერვალს ამავე ბიბლიოთეკამ ჩაატარა წიგნის - ხუტა ბერულავას „ბიჭი, რომელსაც ჩიტის გული აქვს“ - განხილვა. 3 მარტს - დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო „ვუმღეროთ დედას“ *(კომახიძე, 2003:426).*

აჭარისაღმართის თემის საკრებულოს ბიბლიოთეკაში მერი ფარტენაძემ 1976 წლიდან ბიბლიოთეკის გაუქმებამდე საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. 2008 წელს ბიბლიოთეკამ, საკრებულოს ლიკვიდაციასთან ერთად შეწყვიტა არსებობა. ბიბლიოთეკის საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი გადაეცა აჭარისაღმართის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას.

ზ. კლუბები.

ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაურის) რაიონში კულტურის განყოფილება 1946 წელს დაფუძნდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. ტუღუში, შემდეგ იგი ო. გოგეშვილმა შეცვალა. იმავე წელს ამ თანამდებობაზე დაინიშნა უ. ხალვაში. 1964 წლიდან 1970 წლამდე ამ განყოფილება ხელმძღვანელობდა ო. ფაღავა, შემდგომ, 1986 წლიდან - რ. წულუკიძე.

1953 წლიდან რაიონში ფუნქციონირებდა 15 კლუბი, 10 კინოდანადგარი და ამდენივე მოძრავი კინო, რომლებიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ რაიონის მოსახლეობას *(კომახიძე, 2003:351)*

1947 წელს სასოფლო კლუბი გაიხსნა სოფელ აჭარისაღმართში, რომლის გამგედაც დაინიშნა სულიკო ნაგერვაძე. 1948 წელს კლუბი გაიხსნა სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, გამგე - ხუსეინ კახიძე *(გვ.352)*

წლების განმავლობაში კლუბის გამგეებად მუშაობდნენ მერი ფარტენაძე, გურამ ფარტენაძე, ახმედ ბერიძე, ლამარა ნაგერვაძე, მაია ნაგერვაძე, ნინო ბერიძე, ემზარ აბესლამიძე.

კლუბებში მოწწყობილი იყო ოთახი კინოპროექტორისათვის, საღამოობით ეწყობოდა კინოჩვენება. წლების განმავლობაში კინომექანიკოსად მუშაობდა ხასან

ნაგერვაძე. კინო ლენტების დასატარებლად და ხეობის სოფლებში ტრანსპორტირებისათვის მას გამოყოფილი ჰქონდა ”иж“-ის ტიპის გვერდითი სავარძლიანი, ე.წ. „კალიასკიანი“ მოტოციკლი.

1990 წლის მონაცემებით მაჭახლის ხეობაში საკლუბო დაწესებულებებთან ჩამოყალიბებული იყო და აქტიურად ფუნქციონირებდა შემდეგი მხატვრულ-თვითმოქმედი კოლექტივები:

1. ქედქედის სასოფლო კლუბთან არსებული ვოკალური ტრიო, ხელმძღვანელი -ვლადიმერ არჯევანიძე.
2. ზედა ჩხუტუნეთის სასოფლო კლუბთან არსებული გოგონათა ტრიო, ხელმძღვანელი - ზ. ნაგერვაძე.
3. ქვედა ჩხუტუნეთის სასოფლო კლუბთან არსებული ვოკალური ჯგუფი - 5 მონაწილით, ხელმძღვანელი - მ. კირკიტაძე.
4. ჩიქუნეთის სასოფლო კლუბთან არსებული ვოკალური ჯგუფი. ჯგუფი სედგებოდა 8 წევრისაგან, ხელმზღვანელი - შ. კირკიტაძე ***(გვ.355).***

1997 წლის 20 ივნისს ჩატარდა საკლუბო დაწესებულებებში შექმნილი თვითმოქმედიმხატვრული კოლექტივების რაიონული ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქედქედის სასოფლო კლუბის ვოკალურმა ჯგუფმა - 6 მონაწილე, ხელმზღვანელი ვლადიმერ არჯევანიძე ***(გვ.359)***

დღესდღეობით მაჭახლის საკრებულოში ხუთი საკლუბო დაწესებულებაა:

აჭარისაღმართი - კლუბის გამგე მზია გოგიტიძე

ქედქედი - კლუბის გამგე მზექალა არჯევანიძე

ქვ. ჩხუტუნეთი - კლუბის გამგეგე ავთო კირკიტაძე

ზ. ჩხუტუნეთი - კლუბის გამგე მალხაზ ნაგერვაძე

ჩიქუნეთი - კლუბის გამგე შოთა კირკიტაძე

თ. მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა 1984 წლის 9 ივნისს. იგი განთავსდა სოფლის ყოფილი მეჩეთის შენობაში, რომელიც თავის მხრივ, თავისი ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, თავადაა სამუზეუმო ექსპონატი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა კულტურისა, ესაა ნამდვილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ამჟამად აჭარის სახელმწიფო სამუზეუმო გაერთიანებას ექვემდებარება.

მუზეუმი დააფუძნა ამ ხეობის მკვიდრმა ზურაბ ნაგერვაძემ.

ზურაბ ნაგერვაძე სოფელ ზედა ჩხუტუნეთიდან იყო, მთელი ცხოვრება კულტურისა და ხელოვნების განვითარებას შეალია. სათავეში ედგა ხალხურ თვითმოქმედ კოლექტივებს, ჩხუტუნეთის მუზეუმი სწორედ მისი თაოსნობით გაიხსნა. დიდია მისი წვლილი სოფლის კლუბის მშენებლობაში, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა სხვადასხვა წრე, ფოტოსტუდია, პირველი დოკუმენტური სურათი ამ ხეობაზე სწორედ მას ეკუთვნის. ზურაბ ნაგერვაძე ლექსებსაც წერდა. სამწუხაროდ სიცოცხლესი ვერ ეღირსა მათ გამოქვეყნებას.

დღეისათვის მუზეუმში განთავსებულია 700-ზე მეტი ექსპონატი.

მუზეუმი ეწევა ნაყოფიერ მოპოვება-შეგროვებით, სამეცნიერო-კვლევითსა და საგანმანათლებლო მუშაობას.

მუზეუმს მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს ქართველ თუ უცხოელ ვიზიტორთა სახით.

დღეისათვის მუზეუმს უძღვება აწგარდაცვლილი ზურაბ ნაგერვაძის ვაჟი - მალხაზ ნაგერვაძე.

IV. მაჭახლის ხეობა XX ს-ის ბოლოს

1. საბჭოთა წყობილების რღვევის პროცესი

1965 წლიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეუდგა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. რეფორმები პირველ რიგში სოფლის მეურნეობას შეეხო. რეფორმები მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის დაგეგმარებისა და მართვის ეკონომიკური ბერკეტების სრულყოფასა და ამოქმედებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების დაგეგმვა კვლავ მოსკოვიდან ხდებოდა. მოსკოვი კი ყურადღებას არ აქცევდა ისტორიული, ტრადიციული დარგების განვითარებას. მისთვის მთავარი იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარება. საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 95% ქართულ ჩაიზე მოდიოდა. კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყაროდ პირადი, საკარმიდამო მეურნეობა რჩებოდა. სოფლის მოსახლეობა თანდათან მცირდებოდა, რასაც ხელს უწყობდა სოფლად არსებული გლეხთა სიდუხჭირე და აუტანელი მდგომარეობა და მეორე, მოსახლეობის ჩასახლება რაიონებში არსებულ დიდ მეურნეობებში. მსგავსი პროცესი დიდ დარტყმას აყენებდა მაჭახლის ხეობის სოფლებს, აცლიდა მშრომელ ძალას. ასე იქნა დაცლილი სოფლები, გორგაძეთი და საფუტკრეთ-ქავთარეთი (რომლებიც, პირველ ეტაპზე დაიცალა როგორც, საზღვრისპირა სოფლები, ხოლო მოგვიანებით რაც მოსახლეობა იყო დარჩენილი ჩაასახლეს ახალსოფლისა და ჭარნალის მეურნეობაში), სოფ. სკურდიდი, რომლის მოსახლეობის ნაწილი, ჩაისუბნის, ჩაქვისა და ქობულეთის მეურნეობებში იქნა ჩასახლებული. 3-4 კომლი მაჭახლის ხეობის თითქმის ყველა სოფლიდან იქნა ჩასახლებული სხვადასხვა მეურნეობაში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა ითვალისწინებდა დიდი მეურნეობების განვითარებას და მუშახელით გაძლიერებას, მაგრამ ასუსტებდა სოფელს, საფრთხე ექმნებოდა სოფლად არსებულ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელიც ასეთი როტაციით კარგავდა გამოცდილ კადრებს.

XX ს-ის 60-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაწყებული ეკონომიკური რეფორმები ვერ განხორციელდა. სოფლის მოსახლეობის შემცირებამ ნელ-ნელა გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიმცირე.

უკეთესი ვითარება არც მრეწველობაში იყო. რეფორმებმა შედეგი ვერ გამოიღო. სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი წამგებიანი რჩებოდა.

საქართველოს ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში დაწყებულ რღვევის პროცესს ვერც 70-იან წლებში განხორციელებულმა საკადრო ცვლილებებმა უშველა. ახალ ხელმძღვანელობამ დაიწყო არსებული ვითარებიდან გამოსავლის ძიება. ერთ-ერთ ასეთ უპირველეს გზად ხელისუფლებამ მასებში კომუნისტური მუშაობის გაძლიარება მიიჩნია. მეორე უმნიშვნელოვანეს გზად მიაჩნდა „გადამწყვეტი“ ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ე.წ. ნეგატიურ მოვლენებთან - ტრადიციულ მავნე ჩვევებთან. XX ს-ის 70-80-იან წწ-ში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ უზარმაზარი ფიზიკური და სულიერი ძალები შეიწირა, შედეგი კი საწინააღმდეგო მოჰყვა ***(გურული, 2011:196).***

1965-1985 წწ-ბი „უძრაობის“ პერიოდის სახელითაა ცნობილი. საბჭოთა ხელისუფლების მცდელობამ - ეკონომიკური რეფორმებით მიეღწია სახალხო მეურნეობის სტაბილური განვითარებისა და აღმავლობისათვის, მარცხი განიცადა. შენელდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების ტემპები. პრობლემებმა ყველა სფეროში იჩინა თვი. ყოველივე ამის გამო მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა.

ანალოგიური ვითარება იდგა მაჭახლის ხეობაშიც, რომელიც ერთიანი სისტემის განუყოფელი რგოლი იყო. სოფლებში არსებულ კოლმეურნეობებსაც შეეხო საერთო კრიზისი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მაჭახლის ხეობაში ჩამოყალიბებული კოლმეურნეობების შენახვა დიდ ხარჯებთან და რესურსებთან იყო დაკავშირებული. შემუშავებული გეგმები ფურცელზე სრულდებოდა, არ იქმნებოდა დოვლათი, მეცხოველეობის ფერმები ვერ იძლეოდნენ იმ რაოდენობის ნამატსა და რძის ნაწარმს, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. რენტაბელურად რომ დავაჯამოთ, კოლმეურნეობებისა და მეცხოველეობის ფერმების შენახვის ხარჯები დიდად აღემატებოდა მიღებულ შემოსავალს. გეგმების გადახდა ხშირად სოფლის მაღაზიებსა და დუქნებში შეძენილი პროდუქციით ხდებოდა. მაღაზიებშიც თანდათან იკლო პროდუქციის რაოდენობამ, შექმნილმა კრიზისმა ადგილი დაუთმო „დახლქვეშა“ ვაჭრობას - კარგი, ხარისხიანი დეფიციტური საქონელი ერთეულების კუთვნილებად

იქცა. გამეფებული კორუფცია, სახელმწიფო ქონების ძარცვა და ყვლეფა კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში აგდებდა ისედაც დაღმასვლისაკენ წასულ ეკონომიკას.

საქართველოში არსებული გიგანტი ფაბრიკა-ქარხნების მუშაობაც რუსეთიდან შემოტანილი ნედლეულით ხორციელდებოდა. მათი შემოტანა-ტრანსპორტირებაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მეტალურგიული, მანქანათმშენებელ-გემთმშენებელი თუ ქიმიური ქარხნების შენახვა ბოლო პერიოდისათვის დიდ ტვირთად აწვა პატარა ქვეყანას.

საბჭოთა კავშირი მძიმე პოლიტიკური კრიზისის წინაშე იდგა. ეს ერთი მხრივ იმაში გამოიხატა, რომ ხელისუფლება სრულიად უძლური აღმოჩნდა ქვეყნის წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მეორე მხრივ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ფეხი მოიკიდა კორუფციამ და სიყალბემ. არნახულ დონეს მიაღწია ბიუროკრატიზმმა ცენტრსა და ადგილებზე. უმაღლეს თანამდებობებზე ნათესაობისა და ახლობლობის მიხედვით ინიშნებოდნენ.

გაუარესდა საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობაც. XX ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას უაღრესად არასასურველი შედეგი მოჰყვა. გაძლიერდა დაძაბულობა დასავლეთთან, პირველ რიგში კი აშშ-სთან. განახლდა ატომური და ტექნოლოგიური უპირატესობისათვის შეჯიბრი. ეს მოითხოვდა უზარმაზარ სახსრებს. საბჭოთა კავშირში ყველაფერი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ხმარდებოდა *(იქვე).*

დაინგრა მითი საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობის შესახებ. 1979 წელს ავღანეთში განხორციელებმა სამხედრო კამპანიამ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა კავშირის ნამდვილი სახე. ომმა შთანთქა ქვეყნის მატერიალური რესურსები და შეიწირა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე. ავღანეთის ომმა მრავალი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. მაჭახლის ხეობიდან სამხედრო სამსახურში წარგზავნილმა 10-15 მდე წვევამდელმა მიიღო მონაწილეობა ავღანეთის სამხედრო კამპანიაში.

საბჭოთა კავშირს უძრავად ყოფნა აღარ შეეძლო. დაილია ნავთობდოლარები (მსოფლიოში ნავთობზე ფასი დაეცა, დასავლეთ ციმბირის საბადოები კი გამოიფიტა). ქვეყანა ვეღარ უძლებდა უზარმაზარ სამხედრო ხარჯებს. ავღანეთში წარმოებულმა

ომმა გამანადგურებელი შედეგი იქონია ქვეყანაზე, უზარმაზარი რესურსები და ხარჯები შეიწირა, გამოფიტა ისედაც დაუძლურებული ქვეყნის ეკონომიკა. მოსახლეობის ცხოვრების დონე ეცემოდა. მისი შენარჩუნება მხოლოდ ეკონომიკის მოწესრიგებით შეიძლებოდა. ერთპარტიული დიქტატურისა და ძლიერი რეპრესიული აპარატის არსებობის შემთხვევაში კი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც სახელმწიფოს სჭირდებოდა, მხოლოდ „ზემოდან“ შეიძლებოდა დაწყებულიყო, თანაც იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოვიდოდნენ შედარებით ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომლებიც ძველი სტერეოტიპების გადასინჯვას შეძლებდნენ.

1985 წელს საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივნად დაინიშნა მიხეილ გორბაჩოვი, რომელმაც მიზნად გაისახა ახალი რეფორმების გატარება, რომელიც ისტორიაში „პერესტროიკის“ - გარდაქმნის სახელით შევიდა. გარდაქმნა ითვალისწინებდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციას. ახალმა ხელისუფლებამ თავიდანვე ჩამოაყალიბა მომავალი რეფორმების ძირითადი ლოზუნგები - „ახალი პოლიტიკური აზროვნება“, „გარდაქმნა“, „საჯაროობა“, „ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია“.

მ. გორბაჩოვის პირველ ნაბიჯად იქცა უარის თქმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებაზე, რომელიც პაქტიურად „ცივი ომის“ დასრულებას ნიშნავდა. ამან საბჭოთა კავშირი საერთაშორისო იზოლაციიდან გამოიყვანა. 1987 წლიდან დაიწყო ტოტალიტარული სახელმწიფოს დემონტაჟი, იანვარში ქვეყანაში გამოცხადდა „საჯაროობა“, ანუ მწვავე ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების საჯაროდ განხილვა. ცენზურა შესუსტდა, მაგრამ თანდათანობით „საჯაროობის“ მართვა გართულდა. საბჭოური სისტემის საერთო კრიზისის მიზეზების კვლევამ დაადასტურა, რომ ქვეყნის არსებული მდგომარეობა გარდაქმნას საჭიროებდა. ნათელი გახდა, რომ მეურნეობის თითქმის ყველა დარგი უაღრესად სავალალო მდგომარეობაში იყო. დაირღვა კომუნისტური პარტიის ერთიანობა. 1988 წლის ივნისში მიღებულ იქნა რეზოლუცია საბჭოების პირველი ალტერნატიული არჩევნების შესახებ. 1989 წლის გაზაფხულზე დაიწყო პირველი მასობრივი , სკკპ-საგან დამოუკიდებელი და მისი ოპოზიციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბება ***(მოლაშვილი, 2010:377).*** ქვეყნის ისტორიაში

პირველად საბჭოების ყრილობის სხდომებზე დაიწყეს განსხვავებული, არასტანდარტული აზრის გამოთქმა, რაც ხშირად შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას აწყდებოდა. ამავე ყრილობაზე შექმნილი დეპუტატთა ჯგუფებით საფუძველი ჩაეყარა მომავალ მრავალპარტიულობას.

„საჯაროობამ“, სიტყვის თავისუფლად გამოხატვის უფლებამ, კომუნისტური იდეოლოგიური წნეხის მოხსნამ, პარტოკრატიის ბატონობის შესუსტებამ ბიძგი მისცა ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევას. ეროვნულმა საკითხმა მალე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა და საბოლოო ჯამში, დღის წესრიგში ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი დააყენა.

ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1988 წლიდან. 1989 წლის გაზაფხულზე ვითარება დაძაბა აფხაზი სეპარატისტების გააქტიურებამ. 1989 წლის მარტში აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ლიხანში გამართულ მრავალათასიან ყრილობაზე მიიღეს მიმართვა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ. აფხაზი სეპარატისტების მოთხოვნამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საქართველოში. 1989 წლის 4 აპრილსს მთავრობის სახლის წინ უწყვეტი მიტინგები დაიწყო. მომიტინგეები მოითხოვდნენ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას. ეს იყო რეაქცია აფხაზი სეპარატისტების ანტიქართულ ქმედებებზე. ნელ-ნელა აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და მას ჩაენაცვლა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. მიტინგი ხალხმრავალ მანიფესტაციად გადაიქცა. რამდენიმე ათეულმა მომიტინგემ შიმშილობა დაიწყო.

პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაციამ ეროვნული მოძრაობისა და ხელისუფლების სრული დაპირისპირება გამოიწვია. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მიტინგის დასაშლელად მკაცრი ზომები მიეღო. 1989 წლის 9 აპრილს გამთენიის 4 საათზე სასტიკი ზომების გამოყენებით იქნა დაშლილი რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე მიტინგი. ადგილზე მოკლულ იქნა 19 ადამიანი, აქედან 16 ქალი. უამრავი მომიტინგე დაიჭრა. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა. თბილისსი შემოღებულ იქნა საგანგებო ზომები.

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა იმპერიალიზმის სახე. აღნიშნულ მოვლენებს, ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია და შეუქცევადი გახადა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი, რომელიც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმიდან გამომდინარე, ამავე წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა.

1991 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. საქართველოს ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, რომელიც სირთულეებით აღსავსე აღმოჩნდა.

2. 90-იანი წლების დასაწყისი, გარდამავალი პერიოდის სირთულეები.

XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოსათვის მაჭახლის ხეობაში ფუნქციონირებდა აჭარისაღმართის თემის აღმასკომი თავისი აპარატით, 5 კოლმეურნეობა (სოფ. ქედქედში, აჭარისაღმართში, ჩიქუნეთში, ქვ. ჩხუტუნეთსა და ზ. ჩხუტუნეთში) - 15 საწოლზე გათვლილი საავადმყოფო. ყოველ დიდ სოფელში არსებობდა მაღაზია და სასადილო. სოფლის ცენტრებში არსებობდა სხვადასხვა დანიშნულების საწყობები და პუნქტები, რომლებიც ემსახურებოდა ადგილობრივი კოლმეურნეობების მოსავლის მიღებასა და დასაწყობება დახასისხებას. სოფ. ქედქედში, აჭარისაღმართსა და ზ. ჩხუტუნეთში ფუნქციონირებდა პურის საცხობი ფურნეები. ხეობაში სწავლა-აღზრდის საქმეს უძღვებოდა 3 საშუალო 2 არასრული საშუალო და 5 დაწყებითი ტიპის სკოლა. სოფლებს ემსახურებოდა კლუბები და ბიბლიოთეკები, სადაც ჩამოყალიბებული იყო და მუშაობას ეწეოდნენ სიმღერის, ცეკვისა თუ მხატვრული კითხვის შემოქმედებითი ჯგუფები.

1987 წელს სოფ. აჭარისაღმართში დასრულდა თემის აღმასკომის ახალი შენობის მშენებლობა.

შენობის პირველი სართული დაეთმო კლუბის სააქტო დარბაზსა და ბიბლიოთეკას. კლუბისათვის განკუთვნილი ფართი შედგებოდა ერთი დარბაზისა და

უკან მიშენებული პატარა ოთახისაგან, სადაც მოთავსებული იყო კინოლენტების გასაშვები პროექტორი. ბიბლიოთეკას დაეთმო ორი ოთახი, ერთში მოწყობილი იყო მკითხველთა მიმღები ოთახი, ხოლო მეორეში განთავსებული იყო წიგნსაცავი.

მეორე სართულზე განლაგებული იყო 5 ოთახი. ერთ ოთახი გადაეცა საფოსტო განყოფილებას, სადაც მოეწყო ატს-ი (80-იანი წლების ბოლოსათვის მოსახლეობაში გაყვანილ იქნა სატელეფონო კავშირი), სამი ოთახი თემის აღმასკომს გადაეცა, ხოლო ბოლო, მოზრდილ ოთახში განთავსდა ახლადგახსნილი შემნახველი სალარო.

შემნახველი სალარო 1988 წელს გაიხსნა სოფ. აჭარისაღმართში. გახსნის ინიციატორი ხელვაჩაურის რ-ნის საბანკო ფილიალის ხელმძღვანელობა იყო. სალაროს გახსნა რაიონის მაშინდელ ხელისუფლებასთან შეთანხმებით განხორციელდა. რაიონის მაშინდელი მდივნის ირაკლი კახიძის ბრძანების საფუძველზე აჭარისაღმართის სალარო-ფილიალისათვის საბჭოს აღმასკომის ახლადდაარსებულ შენობაში გამოყოფილ იქნა ოთახი, რომელიც სათანადოდ იქნა მოწყობილი და აღჭურვილი გისოსებით სიგნალიზაციითა და ცეცხლგამძლე კარადით. სალარო-ფილიალის მოლარე-მმართველად დაინიშნა ლამარა ჯემალის ასული ნაგერვაძე, რომელმაც ფილიალის გაუქმებამდე იმუშავა. სალარო გაუქმდა 1994 წელს.

XX ს-ის 90-იანი წლები გარდამავალ პერიოდად ითვლება არა მარტო მაჭახლის ხეობისათვის, არამედ მთელი საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლამ, სახელმწიფო სტრუქტურების რღვევამ მთელი რიგი პრობლემები შექმნა ქვეყანაში, რამაც გამოიწვია ყველა სტრუქტურული ერთეულების პარალიზება, გაჩერდა წარმოება-დაწესებულებები, ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა თუ კოლექტიური მეურნეობები. ყოველივე ამან უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფო და მოსახლეობა.

1991 წელს გაუქმდა აჭარისაღმართის საბჭოს აღმასკომი და შეიქმნა აჭარისაღმართის თემის საკრებულო. თემის საკრებულოს თავ-რედ არჩეულ იქნა გენად შაშიკაძე, ხოლო გამგებლად ნოდარ მორთულაძე. მოგვიანებით ეს ორი თანამდებობა გაერთიანდა და ერთი პიროვნება - ნოდარ მორთულაძე უძღვებოდა. შეიქმნა დიდი სტრუქტურული აპარატი, თემის საკრებულოს აპარატის გარდა,

თითოეულ სოფელს ჰყავდა თავისი გამგებელი, მოადგილე და ორგანიზატორი, რომელთა ძირითად საზრუნავად იჯარით გაცემული მიწების გადასახადების შეგროვება იქცა.

ერთ ხანს კოლექტიური მეურნეობები ცდილობდნენ არსებულ ვითარებაში თავი ეხსნათ გარდაუვალი ლიკვიდაციისაგან, მაგრამ ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს არ გააჩნდა იმის რესურსები, რომ ერჩინა კოლექტიური მეურნეობები. ამას დაერთო ის პროცესებიც, რომ საბჭოთა წყობილების დაშლამ კვლავ სცნო კერძო საკუთრების უპირატესობა, ამან კი სოფლის მოსახლეობას მისცა შესაძლებლობა მამაპაპისეული მიწების დაბრუნებისა. კოლექტივის თავ-რეები ყოველნაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მიწის ნაკვეთები, მოსახლეობას დიდი წინააღმდეგობის ფასად უწევდა დაებრულებინა მამაპაპისეული მამული. კოლექტივსა და მოსახლეობას შორის გამართულ ბრძოლაში ხელისუფლება ჩარევისაგან თავს იკავებდა, უკიდურეს შემთხვევაში მომრიგებლის როლში გამოდიოდა, ანალოგიურად მოქმედებდნენ სამართალდამცავი ორგანოები, ხშირ შემთხვევაში ისინი მოსახლეობის მხარეს იჭერდნენ. საბოლოოდ აშკარა გახდა, რომ კოლექტიური მეურნეობების ლიკვიდაცია გარდაუვალი იყო.

კოლექტიური მეურნეობების გაუქმებამ, მართალია მოსახლეობას მისცა შესაძლებლობა დაებრუნებინა მამაპაპისეული მიწები, მაგრამ შექმნა სამუშაო ადგილების კრიზისი, მოსახლეობა უმუშევარი დარჩა. ამას დაერთო ყველასათვის კარგად ნაცნობი საბანკო ტრიუკი, რომელიც მოსახლეობის ანაბრების მიტაცებას უკავშირდება. მოტყუებულმა მოსახლეობამ მყარი ვალუტის ნაცვლად კუპონი მიიღო, რომელსაც არანაირი ძალა არ გააჩნდა. ყოველივე ამან მოსახლეობა გაღარიბებამდე მიიყვანა და იძულებული გახადა არსებული გაჭირვებიდან გამოსავალი ეძებნა - დაიწყო გაჩერებულ წარმოება-დაწესებულებებში მიტოვებული ქონების მიტაცება და ახლადგახსნილ სარფის საბაჟოდან თურქეთში გატანა და გასაღება. გაიძარცვა და განადგურდა მიტოვებული ფაბრიკა-ქარხნები, რომელთა ქონებაც ჩალის ფასად გაიყიდა.

სოფლად სხვა პრობლემებიც მრავლად იყო. სულს ღაფავდა საკლუბო დაწესებულება, 1994 წლიდან დავიწყებას მიეცა კინოჩვენებები. გაუქმდა ატს-ი და

ხაზის ტელეფონებმა შეწყვიტეს არსებობა. მაჭახელში დავიწყებას მიეცა ტელეგადაცემები, ტელევიზორი ოჯახში უმოქმედო ატრიბუტად იქცა. დაიხურა მაღაზიები, პურის საცხობი ფურნეები, საავადმყოფო, სხვადასხვა პუნქტები და დაწესებულებები. სოფლის მოსახლეობისათვის ერთადერთ გასართობად და განტვირთვის საგნად ბიბლიოთეკა რჩებოდა. აჭარისაღმართის სოფლის ბიბლიოთეკა, რომელსაც საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი გააჩნდა არსებულ სიბნელეში ერთადერთი ნათელი წერტილი იყო. ასეთ რთულ პერიოდში გმირული შრომის ფასად დიდი მუშაობა გასწიეს სოფლის სკოლების მასწავლებლებმა, რომლებიც წლების განმავლობაში მართლაც რომ ენთუზმით მუშაობდნენ და თავიანთი გმირული შრომით შეინარჩუნეს სკოლები.

საერთო უმუშევრობამ და კრიზისმა ხეობის ბუნებასაც შეუქმნა პრობლემები. საფრთხე დაემუქრა მაჭახლის ხეობის უნიკალურ ბუნებას. უმუშევრად დარჩენილი, სიღარიბეში მყოფი მოსახლეობისათვის ერთადერთ შემოსავლის წყაროდ ხე-ტყის დამზადება და საშეშე მერქნის გაყიდვა გახდა. ბარბაროსულად იქნა გაჩეხილი და განადგურებული ხის უნიკალური ჯიშები: წაბლი, წიფელი, ნაძვი. 400-500 წლოვანი წიფლები იქნა გაჩეხილი სკურდიდის ტყეში. არსებულმა ვითარებამ დიდი დაღი დაასვა მაჭახლის ბუნებას.

პარალელურად საფრთხის ქვეშ დადგა მდ. მაჭახელასა და მის აუზში შემავალ ღელეებში არსებული თევზის ფონდის არსებობის საკითხი. უკანონო თევზჭერამ განადგურებამდე მიიყვანა მდინარეში მყოფი თევზის ჯიშების - კალმახის, მურწას, წვერას, ღორჯოს, ქაშაყის არსებობა. რაც 90-იან წლებში ხდებოდა ამას თევზჭერას ვერ დავარქმევთ, ეს იყო პირდაპირ თევზის მასიური განადგურება: იწამლებოდა მდინარე და ღელეები, დენის გამოყენებით ხდებოდა თევზჭერა, რაც იწვევდა თევზებსა და ლიფსიტებში გამრავლების უნარის დაკარგვას. ყოველივე ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ მდინარეში, სადაც უწინ თევზი მრავლად ირეოდა, დღესდღეობით თევზის ნასახი აღარაა და კამკამა წყალში მხოლოდ სიპი ქვები ჩანს.

ხე-ტყის უკანონო ჭრამ მრავალი პრობლემა შექმნა ხეობაში. გაშიშვლდა ფერდობები, რამაც გამოიწვია მიწის ეროზიები, საფრთხე შეექმნა მოსახლეობის

საცხოვრებელ სახლებსა და საყოფაცხოვრებო ნაგებობებს. არსებულმა ვითარებამ საჭირო გახადა საცხოვრებელი ადგილების მონაცვლეობა.

ბუნებასთან დაკავშირებული პრობლემების წინააღმდეგ ფართოდ გაიშალა ბრძოლა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. დამცველად გამოვიდა ხეობის პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობა. არსებული პრობლემებით დაინტერესდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები (**USAID, CENN, WINROCK INTERNATIONAL).** შესწავლილ იქნა პრობლემები, შემუშავებულ იქნა გეგმები, გაკეთდა პროექტები. აღნიშნულ მუშაობაში დიდი წვლილი მიუძღვის ისტორიკოსს როინ მალაყმაძეს, რომლის დიდი შრომის შედეგადაც გახდა შესაძლებელი მაჭახლის ხეობაში ჩამოყალიბებულიყო მაჭახელას ეროვნული პარკი.

არსებულ ურთულეს ვითარებაში სოფლის მოსახლეობისათვის ერთადერთ თავის სარჩენ საშუალებად რჩებოდა საკარმიდამო ნაკვეთებში მოყვანილი მოსავალი - სიმინდი, ლობიო, კეჟერა ფხალი, გოგრა, მცირედი სახით ბოსტნეული კულტურები და კომლზე 2-3 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძროხა). წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (თხა, ცხვარი) მოშენებას ხეობაში რამოდენიმე ოჯახი - 3-4 მოსახლე თუ ეწეოდა. ხეობის მოსახლეობაში საკარმიდამო ნაკვეთებიც არათანაბრად იყო განაწილებული. კომლზე საკარმიდამო ნაკვეთად მაქსიმუმ 5000 მ.კვ. მიწის ფართის მოზომვა შეიძლებოდა, ასეთი კომლების რაოდენობა კი მცირე იყო. უმრავლესობას საკარმიდამო ნაკვეთად 2000 დან - 2500 კვ. მ-ე მიწის ნაკვეთი ჰქონდა მოზომილი, ასეთ ფართობზე მოყვანილი მოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ წლიდან წლამდე თავი ძლივს გაჰქონდა მოსახლეობას.

მაჭახლის ხეობის მოსახლეობის ფინანსურ შემოსავალს მოწეული მოსავლის ნაწილის ბაზარზე რეალიზაცია და ასაკოვანი ოჯახის წევრების მიზერული პენსია წარმოადგენდა, რომელსაც არსებული ეკონომიკიდან გამომდინარე 3-4 თვეში ერთხელ თუ ღებულობდნენ.

ასე ეგებებოდა მაჭახლის ხეობა XXI-ე საუკუნის დადგომას.

3. მაჭახელი XXI-ე საუკუნის გარიჟრაჟზე.

XXI-ე საუკუნის დასაწყის მაჭახლის ხეობისათვის აღმშენებლობის ხანად ითვლებ. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დიდი ცვლილებები განხორციელდა ხეობაში, რომელმაც ბიძგი მისცა ხეობის აღმშენებლობასა და განვითარებასა.

შეიცვალა საკრებულოს სტრუქტურა, აჭარისაღმართის თემის საკრებულო, მაჭახლის თემის საკრებულოთი შეიცვალა. საკრებულოს შემადგენლობა შემდეგი იყო: გამგებელი, მდივანი, საქმისწარმოებელი, სამხედრო აღრიცხვის მთავარი სპეციალისტი, სტატისტიკოსი, ახალგაზრდულ საქმეთა სპეციალისტი და სოფლის გამგებლები. 2007 წლის ბოლოს რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მაჭახლის თემის საკრებულო და მის ადგილას ჩამოყალიბდა რწმუნებულის აპარატი თემის რწმუნებულით და სოფლის რწმუნებულებით.

ხეობაში დაიწყო მიწების რეგისტრაცია, მოსახლეობას მიეცა საშუალება მამაპაპისეული ნაკვეთები საკუთარ მფლობელობაში დაერეგისტრირებინა. რეგისტრაცია მფლობელს საშუალებას აძლევდა საკუთრებაში არსებული მიწა სურვილისამებრ განეკარგა.

2007-2015 წლებში მაჭახლის ხეობაში მნიშვნელოვანი საგზაო სამუშაოები განხორციელდა. მოასფალტდა მაჭახლის ძირითადი გზა, როგორც ზ.ჩხუტუნეთის, ასევე ჩიქუნეთის მიმართულებით. კაპიტალურად შეკეთდა ხიდები, ბეტონის საფარით მოეწყო შიდა სასოფლო გზები, კაპიტალურად მოეწყო სანიაღვრე არხები და დამცავი წინაღობები.

გარკვეული წინსვლა განიცადა განათლებამაც. კაპიტალურად გარემონტდა და სათანადო ინვენტარით აღიჭურვა ხეობის სკოლები (2008 წელს აჭარისაღმართისა და ქვ. ჩხუტუნეთის, 2014 წელს ჩიქუნეთის, ხოლო 2015 წელს ზ. ჩხუტუნეთის სკოლები). მიმდინარეობს ქედქედის საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა. ხეობაში გაიხსნა ორი საბავშვო, ბაღი ერთი სოფ. ქედქედში და მეორე სოფ. ჩიქუნეთში. კაპიტალურად გარემონტდა სოფ. აჭარისაღმართის კლუბი.

2007 წელს სოფ. აჭარისაღმართში ძველი საავადმყოფოს ადგილას აშენდა ევრო სტანდარტების ტიპის ამბულატორია, რომელიც სათანადოდ აღიჭურვა. ამბულატორიას გადაეცა ახალი ავტომობილი „ნივა“. ამბულატორიას ემსახურება 2 ექიმი და 3 ექთანი.

2012 წელს ხეობის პროგრესულად მოაზროვნე მოსახლეობის დიდი ძალისხმევის შედეგად დაარსდა მაჭახელას ეროვნული პარკი, რომელმაც წერტილი დაუსვა ხეტყის უკანონო ჭრასა და ბრაკონიერობას. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია განთავსდა საკრებულოს შენობის მეორე სართულზე. მოგვიანებით მოხდა შენობის რეაბილიტაცია, შენობა კაპიტალურად იქნა გადაკეთებული და სათანადოდ მოწყობილი და აღჭურვილი, რომელიც პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს. სათანადოდ იქნა მოწყობილი ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ეზოც.

მიმდინარეობს მუშაობა მაჭახლის ხეობის დაცულ ლანდშაპტურ ზონად გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც უფრო გაზრდის მაჭახელის, როგორც ტურისტული ზონის პოტენციალს.

ამ ეტაპზე მაჭახლის ხეობას დიდი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის თვალსაზრისით. ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს მაჭახლის ხეობის კულტურისა და ფოლკლორის ცნობადობის გაზრდას, გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ და ფინანსურ შემოსავალს.

მაჭახლის ხეობაში ტურიზმის პოტენციალმა ბიძგი მისცა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. დაიყო მდინარისპირას რესტორნებისა და კაფე-ბარების მშენებლობა, რომელმაც დამატებითი სამუშაოები და შემოსავალი შექმნა. სოფელს დაუბრუნდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ გასული საუკუნის 90-იან წლებში. დაიწყო საოჯახო სასტუმროების მშენებლობა. ხეობაში დაიდგა ანძები, რომლებიც უზრუნველყოფენ მობილურ სატელეფონო და ინტერნეტის უწყვეტ კავშირს. ინტერნეტკავშირმა ხელი შეუწყო ტურისტული სერვისის განვითარებას, წინასწარ ხდება ტურებისა და სასტუმრო ნომრების დაჯავშვნა. მაჭახელს დღესდღეობით ევროპისა და აზიის არაერთი

ქვეყნიდან ჰყავს მნახველები და დამსვენებლები, რომლებიც კმაყოფილებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავენ ხეობაში სტუმრობით.

ასე, რომ მაჭახლის ხეობაში კვლავ გრძელდება აღმშენებლობითი საქმიანობა, ხეობის პოტენციალი იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწყებული ტემპი არ შეჩერდეს და გაგრძელდეს ინფრასტრუქტურული საქმიანობა. მოსახლეობა იმედის თვალით შეჰყურებს ხეობაში წამოწყებულ ყოველ სიახლეს, ყოველ ახალ მშენებლობას და იმედოვნებს, რომ ყოველი სიახლე, ყოველი დადებული აგური ხეობის კეთილდღეობას მოხმარდება და მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება.

დასკვნა

1. მაჭახლის ხეობის მეცნიერულ დონეზე შესწავლა ისტორიული თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია. საბჭოთა პერიოდში ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ხეობის გმირული ისტორიული წარსული ყველასათვის მივიწყებული იყო, დეტალურ შესწავლას საჭიროებდა ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, წერილობითი წყაროები თუ საარქივო მასალები. არ იყო სათანადოდ შეფასებული და შესწავლილი ხეობის ეკონომიკური პოტენციალი.
2. მაჭახლის ხეობის შესწავლა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში განახორციელა ხეობის ადგილობრივმა მკვიდრმა, პროფესორმა ნოდარ კახიძემ. მოგვიანებით ხეობის ისტორიული წარსულის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ, რომელმაც სტამბულის სახელმწიფო არქივში მუშაობისას არაერთი მნიშვნელოვანი წყარო მოიპოვა ხეობის წარსულის შესახებ.
3. მაჭახლის ხეობა, თავისი ისტორიული წარსულით, თვითმყოფადი კულტურითა და ტრადიციით, მატერიალური კულტურის ძეგლებით უძველესი დროიდან ითვლება „ქუეყანა აჭარის“ შემადგენელ ნაწილად ***(დიასამიძე, 2017:53)*** და წარმოადგენდა კოლხური კულტურის მძლავრ კერას. მართალია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მაჭახელი განსხვავებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთიანდებოდა, მაგრამ ის თავისი

კულტურით, ტრადიციებით, ხასიათით უფრო ახლოს დგას ქვემო აჭარასთან, ვიდრე სხვა რომელიმე მხარესთან.

4. ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მეოცე საუკუნეს, თუმცა, გარკვეული ადგილი უჭირავს მაჭახლის ხეობის ისტორიულ წარსულის შესწავლას - XVI-XIX სს, ფლორასა და ფაუნას, ისტორიულ საზღვრებს, მეზობელ მხარეებს, მტერიალური კულტურის ძეგლებს, ხეობის სოფლებსა და გვარებს, ტოპონიმებს, რადგანაც ასე დეტალურად ერთიან კონტექსტში აქამდე გაშუქებული არ ყოფილა.
5. მაჭახლის ხეობის ისტორიაში მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრძოლას თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ. მაჭახლელთა თავგანწირვა და ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ქრისტიანული რელიგიისათვის მრავლად აისახა წყაროებსა თუ ხალხურ გადმოცემებში. მაჭახლელთა ბრძოლისუნარიანობისა და დაუმორჩილებელი ბუნების გამო ამ ხეობაში ოსმალთა ბატონობა ისეთი მკაცრი არ ყოფილა, როგორც სხვა მხარეში. მაჭახლელთა ვალდებულებას, თავიანთი უნარებიდან გამომდინარე, მხოლოდ სამხედრო ბეგარა წარმოადგენდა. მაჭახლის ხეობის რელიეფმა, მისმა მიუვალმა ადგილმდებარეობამ გარკვეული როლი ითამაშა ოსმალეთთან ბრძოლის დროს.
6. XIX ს-ის ბოლო და XXს-ის დასაწყისი არის პერიოდი როდესაც ჩნდება საგაზეთო სტატიები მაჭახლის ხეობის შესახებ. გაზდეთები - „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „საქართველო“ „кавкази“ გვაწვდის საინტერესო ცნობებს ხეობის სოფლებისა და მოსახლეობის შესახებ. იწყება მაჭახლის ხეობის, როგორც სამოგზაურო თვალსაზრისით საინტერესო ხეობის გაშუქება. აქვე შუქდება ის მტკივნეული საკითხები, რომელიც იმ დროის მაჭახლში საკმაოდ მრავლად იყო.
7. XX ს-ის დასაწყისი სირთულეებით აღსავსე პერიოდია მაჭახლის ისტორიაში, მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, უგზოობა, განათლების პრობლემა. ამას დაემატა ის დიდი უბედურება, რაც I მსოფლიო ომმა გამოიწვია - გადაიწვა სოფლები, განადგურდა წლობით ნაკოწიწები დოვლათი, ადგილობრივი მოსახლეობა ლტოლვილად იქცა. წლები დასჭირდა, რომ მაჭახლის ხეობა ჩვეულ ცხოვრებისეულ რიტმს დაბრუნებოდა.

8. საბჭოთა წყობილების დამყარება მაჭახლის ხეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. ხეობაში იწყება აღმშენებლობის პერიოდი - გაჰყავთ გზები, იგება ახალი ხიდები, შენდება სამხედრო დასახლებები, თავდაცვითი ნაგებობები, მაჭახლის ხეობა განსაკუთრებულ სასაზღვრო ზონად ცხადდება. ხეობაში იხსნება სკოლები, შრომისა და სალიკვიდაციო სკოლები, კლუბები ბიბლიოთეკები, აშენდა საავადმყოფო, გაიხსნა მაღაზიები, სასადილოები, შენდება ჰესი, იწყება სოფლების ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია, რაიონთან მყარდება სატელეფონო კავშირი. კოლექტივიზაციის დამყარებამ მაჭახელში მეურნეობის ახალი დარგების გაჩენა გამოიწვია, საფუძველი ეყრება მეთამბაქოეობასა და მეჩაიეობას, დაბლარ მევენახეობას, იქმნება მეცხოველეობის ფერმები, სათბურები, ფარდულები, საწყობები და კოლექტიური მეურნეობებისათვის საჭირო სხვა შენობა-ნაგებობები. ხეობაში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობის ხანა, ხის სახლები ქვის სახლებმა შეცვალა, შეიცვალა მოსახლეობის ცხოვრების დონე. მაჭახლის ხეობამ თანდათანობით კულტურულად და ეკონომიკურად იწყო მოძლიერება.
9. საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესმა მაჭახლის ხეობაში ყველა იმ სტრუქტურის მოშლა გამოიწვია რაც კი შექმნილი იყო საბჭოთა წყობილების დროს. ლიკვიდაცია განიცადა კოლექტიურმა მეურნეობებმა, ფერმებმა, გაჩერდა წარმოება დაწესებულებები, გაუქმდა საავადმყოფო, შეჩერდა დაგეგმილი პროექტები, მოიშალა კომუნიკაციის საშუალებები - რადიო, ტელევიზია, სატელეფონი კავშირი. განადგურდა უპატრონოდ მიტოვებული სახელმწიფო ქონება. დედა ბუნებასაც დიდი ზარალი მიადგა - უკანონო ჭრის შედეგად გაიჩეხა ხის უნიკალური ჯიშები, ბარბაროსული ხერხებით წარმოებულმა უკანონო თევზჭერამ საფრთხე შეუქმნა მდინარეში თევზის ფონდს, საფრთხის წინაშე დადგა მდინარის კალმახის არსებობის საკითხი. XX საუკუნის 90-იანი წლები ზოგადად საქართველოს ისტორიაში უკუსვლასთან და სიბნელესთან ასოცირდება. ეს იყო საყოველთაო გაჭირვების პერიოდი, რომელმაც იმ პერიოდის თაობას მძიმე დაღი დაასვა - 9 აპრილი და სიმწრით მოპოვებული დამოუკიდებლობა, ლეგიტიმური ხელისუფლების მარცხი და სამოქალაქო ომი, უკანონო სამხედრო ფორმირებების თუ ბანდ-ფორმირებების

ბოგინი და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, გამეფებული კორუფცია მძიმე ვითარებაში აგდებდა ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველივე მაჭახლის ხეობას უშუალოდ არ განუცდია, ყოველივე ეს გარკვეულწილად მაინც თავისებურ გავლენას ახდენდა ხეობაზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე.

10. ვარდების რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა ვითარება მაჭახლის ხეობაში. ხეობა კვლავ დაუბრუნდა მშენებლობის პერიოდს, მოასფალტდა გზები, ყურადღება მიექცა განათლებასა და კულტურას, კაპიტალურად გარემონტდა სკოლები, კლუბები, აშენდა საბავშვო ბაღები, საოჯახო სასტუმროები, ტურიზმი ხეობის წამყვან ეკონომიკურ დარგად იქცა. შეიქმნა ეროვნული პარკი, რომელმაც წერტილი დაუსვა მოსახლეობის ბრაკონიერულ ქმედებებს. მაჭახლის ხეობა თუ აქამდე საზოგადოებისათვის უცნობი იყო, თავისი ტურისტული პოტენციალით ცნობად ხეობად გადაიქცა, სადაც არაერთი ახალი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. ინფრასტრუქტურის განვითარებამ მაჭახლის ხეობა ტურისტებისა თუ ვიზიტორებისათვის უფრო მიმზიდველ ხეობად აქცია.

და ბოლოს - *ჩემს მიერ წარმოებული კვლევა მაჭახლის ხეობის, როგორს ისტორიული საკვლევი ობიექტისა, მხოლოდ დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. მეცნიერული კვლევა-ძიების თვალსაზრისით მაჭახლის ხეობა ამოუწურავია. კვლევის პერიოდში სულ ახალ-ახალ წყაროებს ვაწყდებოდი. პირველყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მკვლევარისათვის ერთობ საინტერესო იყო პროფესორ ნოდარ კახიძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „მაჭახლის ხეობა“, წიგნი, რომელიც ნაშრომზე მუშაობის დროს, ჩემთვის სახელმძღვანელოდ იქცა. ნაშრომზე მუშაობის დროს, მართალია 120-მდე ავტორის სხვადასხვა წიგნი, ნაშრომი თუ საგაზეთო სტატია იქნა დამუშავებული, მაგრამ ყოველივე ეს არ კმაროდა სადისერტაციო ნაშრომის სრულყოფილად ჩასათვლელად. ნაშრომი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი რომ ყოფილიყო ახალ, აქამდე უცნობი წყაროების მოძიებას საჭიროებდა. ამისათვის საჭირო იყო რამოდენიმე თვე საარქივო დოკუმენტებთან მემუშავა. არქივში მუშაობისას*

მაჭახლის ხეობაზე საკმაოდ ბევრი, აქამდე უცნობი ინფორმაცია შევაგროვე, რომლებიც მალე იხილავენ მზის სინათლეს.

ნაშრომზე მუშაობისას მნიშვნელოვანი ყურადღება მაქვს გამახვილებული საბჭოთა პერიოდზე, ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ არეალს XX საუკუნე წარმოადგენს და ძირითად ნაწილს საბჭოთა მმართველობის პერიოდი მოიცავს. თუმცა თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ საბჭოთა პერიოდი მაჭახლის ხეობასთან მიმართებაში მეტ-ნაკლებად კარგად მაქვს დახასიათებული, როგორც აღმშენებლობისა და აღმავლობა-განვითარების პერიოდი. აქედან გამომდინარე არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს საბჭოთა ეპოქას მივსტირი, ან და კარგად ვახასიათებ. უბრალოდ, რეალურად ვაფასებ იმ გარემოებას, რომ მაჭახლის ხეობაში ნათელი წერტილი მხოლოდ საბჭოთა მმართველობის დამყარებიდან ჩნდება და ხეობის სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული განვითარება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. სწორედ საბჭოთა პერიოდში განხორციელდა ის სასიკეთო ცვლილებები, რომელმაც შემდგომში სათანადო შედეგები გამოიღო. ამავდროულად უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის დასრულებასთან ერთად მაჭახლის ხეობაშიც დასრულდა მშენებლობის ეპოქა და დაახლოებით 12 წლით წყვდიადი ჩამოწვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მინდა, რომ ყოველივეს თავისი სახელი დავარქვა - რაც კარგია სათანადოდ შევაფასო და რაც ცუდია არც ის დარჩეს გაუშუქებელი. მე ვთვლი, რომ ეს ყველა მკვლევარის ვალდებულებაა.

და ბოლოსთვის მინდა დავსძინო, რომ მაჭახლის ხეობას ისტორიულ-ეთნოგრაფიულად და არქეოლოგიურად იმდენად დიდი პოტენციალი გააჩნია, რომ კვლევა ძიების თვალსაზრისით მკვლევართა მხრიდან მუდამ დარჩება ერთობ საინტერესო ხეობად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესლამიძე -** მთხრობელი ვლადიმერ აბესლამიძე 62 წლის, სოფ. აჭარისაღმართი.
2. **აბუსერისძე ტბელი: 1941: -** აბუსერისძე ტბელი. „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, თბილისი.
3. **ანგარიში, 2016:** - 2016 წლის 27-28 ივლისს მაჭახლის ხეობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტირუტის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში.
4. **ანგარიში, 2018:** - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო., 2018 წელს გვარას ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.
5. **ანგარიში, 2019:** - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო., 2019 წელს გვარას ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.
6. **ასლანიშვილი-ბავრელი, 1879: -** ასლანიშვილი-ბავრელი ს., საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“ N2 ტფილისი.
7. **ა.ს.მ.ხ.ფ. ს-216:** - აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე 216.
8. **ა.ქ.ს.ს. 1916:** - ანგარიში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წ., თბილისი.
9. **აცსა., ფ. ი-1:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე 159, საქმე 222.
10. **აცსა., ფ. ი-3:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-3, ანაწერი 1, საქმე 16.
11. **აცსა., ფ. ი-22:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-22, ანაწერი 1, საქმე 62.
12. **აცსა., ფ. ი-82: -** აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-82, ანაწერი 1, საქმე 4.
13. **აცსა., ფ. რ-4:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-4, ანაწერი1, საქმე 88, საქმე 879, საქმე 889, საქმე 905, საქმე 976, საქმე 991, საქმე 1055, საქმე 1062.

14. **აცსა., ფ. რ-11:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-11, ანაწერი1, საქმე 31, საქმე 34.
15. **აცსა., ფ. რ-12:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-12, ანაწერი1, საქმე 8, საქმე 9.
16. **აცსა., ფ. რ-14:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-14, ანაწერი1, საქმე 18.
17. **აცსა., ფ. რ-17:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-17, ანაწერი1, საქმე 139.
18. **აცსა., ფ. რ-18:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-18, ანაწერ1, საქმე 64.
19. **აცსა., ფ. რ-19:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-19, ანაწერი1, საქმე 1, საქმე 3, საქმე 4, საქმე 5, საქმე 6, საქმე 7, საქმე 11, საქმე 12, საქმე 15, საქმე 17, საქმე 20, საქმე 21.
20. **აცსა., ფ. რ-221:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 221, ანაწერი1, საქმე 1, საქმე 11, საქმე 14, საქმე 17, საქმე 18, საქმე 31, საქმე 52, საქმე 62.
21. **აცსა., ფ. რ-660:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-660, ანაწერი1. საქმე 8, საქმე 21, საქმე 43, საქმე 50.
22. **აცსა., ფ. რ-704:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-704, ანაწერი1, საქმე 38, საქმე 48.
23. **აცსა., ფ. რ-883:** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-883, ანაწერი1, საქმე 27, საქმე 34.
24. **ახვლედიანი, 1956:** - ახვლედიანი ხ., სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი.
25. **ახვლედიანი, 1978:** - ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი.
26. **ბერიძე, 1975:** - ბერიძე კ., მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
27. **ბერძენიშვილი, 1964:** - ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბილისი.
28. **„გეორგიკა“, 1941:** - „გეორგიკა“, ტ. IV.

29. **გივიაშვილი, 2012:** - გივიაშვილი ი., irinegiviashvili.blogspot.com. 18. V.

30. **გორგაძე, 1902:** - გორგაძე ს., გაზ. „ივერია“ N76.

31. **გუგუნავა, 2003:** - გუგუნავა ნ., მემედ აბაშიძე განმანათლებელი, ბათუმი.

32. **გურული, 2011:** - გურული ვ, ზოსიძე ნ, ალექსაია ს., საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, თბილისი 2011 წ.

33. **დავითაძე, 1990:** ემენ დავითაძე, „სოფლის აღმაშენებელი“, წიგნი I, თბილისი 1990 წელი.

34. **დიასამიძე, 2017:** - დიასამიძე ბ., სამი ისტორიული მხარე ერთი თანამედროვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ბათუმი.

35. **დიასამიძე, 2017:** - დიასამიძე ბ., ქრისტიანობა მაჭახლის ხეობაში (ევფრატის ეპარქია), სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“ N8.

36. **დიასამიძე, კახიძე, 2008** - დიასამიძე ბ, კახიძე ნ., რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და აჭარა, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“ N2.

37. **„დროება“ 1875 –** გაზეთი „დროება“ N145

38. **„დროება“ 1879 –** გაზეთი „დროება“ N120

39. **„დროება“, 1880 –** გაზეთი„დროება“ N116

40. **„დროება“, 1880 –** გაზეთი„დროება“ N214

41. **დუმბაძე, 1983:** - ს. დუმბაძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის წლებში (1941-1945). ბათუმი, 1983 წ.

42. **დუმბაძე, 1996*:*** - ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცელი. ბათუმი, 1996 წ.

43. **დუმბაძე, 2005:** -ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რეპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945). ბათუმი, 2005 წ.

44. **ევლია ჩელები, 1971:** ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ I, თბილისი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ.

45. **ევლია ჩელები, 1973:** ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ II, თბილისი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ.

46. **ვარდმანიძე, 2013:** - ვარდმანიძე ჯ., მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

47. **ვარშალომიძე, -** პროფ. ჯემალ ვარშალომიძე.

48. **ვარშანიძე, 1979:** - ვარშანიძე შ., გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში, ბათუმი.

49. **ვახუშტი, 1973:** - ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფისა საქართველოსა“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბილისი.

50. **„თანამედროვე აზრი“ 1915:** - გაზეთი „თანამედროვე აზრი“ N36-39.

51. **„თანამედროვე აზრი“ 1915:** - გაზეთი „თანამედროვე აზრი“ N195.

52. **ივერია, 1879:** - გაზეთი „ივერია“ N2.

53. **ივერია, 1893:** - გაზეთი „ივერია“ N158.

54. **ივერია, 1901:** - გაზეთი „ივერია“ N177.

55. **ივერია, 1902:** - გაზეთი „ივერია“ N140.

56. **ინგოროყვა, 1954: -** ინგოროყვა პ., „გიორგი მერჩულე“ თბილისი.

57. **კახიძე, 2007:** - კახიძე ა., „ბრინჯაოს ცული სოფელ გვარადან“, ჟურნალი „მაჭახელი“ ბათუმი.

58. **კახიძე, 2008:** - კახიძე ა., „ბრინჯაოს ცული ჩალეწილიდან“, ჟურნალი „მაჭახელი“ ბათუმი.

59. **კახიძე, 1974: -** კახიძე ნ., „მაჭახლის ხეობა“, ბათუმი.

60. **კახიძე, 2005:** - კახიძე ნ., მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ხერთვისი“ N1.

61. **კახიძე, 2007: -** კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა (უძველესი დროიდან 1921 წლამდე), სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“ N1.

62. **კახიძე, მალაყმაძე, 2011:** - კახიძე ნ, მალაყმაძე რ, მატერიალური კულტურის ძეგლები ზედა მაჭახელში, სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო ჟურნალი „მაჭახელი“ N5.

63. **კახიძე, მამულაძე, 2016:** - აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

64. **კახიძე, 2017:** - კახიძე ნ., აჭარა მაჭახელი პირველი მსოფლიო ომის წლებში, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“ N8.

65. კახიძე, - მთხრობელი ნოდარ კახიძე, 40 წლის, სოფ. აჭარისაღმართი.

66. კახიძე, - მთხრობელი ლეილა კახიძე, 50 წლის, სოფ. ზ. ჩხუტუნეთი.

67. "კვალი", 1898: - გაზეთი „კვალი" N36.

68. კლდიაშვილი, 1981: - კლდიაშვილი დ., მემუარები, თხზ. ტ. 2, თბილისი.

69. კომახიძე, 2003 – კომახიძე თ., ს.ს. „გამომცემლობა აჭარა" ბათუმი.

70. ლისოვსკი, 2015: - ლისოვსკი ვ., ჭოროხის მხარე, თარგმნა და ავტორის ბიოგრაფია, კომენტარები, შენიშვნები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

71. მალაყმაძე, - მთხრობელი ნატო მალაყმაძე, 50 წლის, სოფ. ცხამლარა.

72. მამულაძე, 2009: - გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი.

73. „მაჭახლელი მუჰაჯირები", 2017: - „მაჭახლელი მიჰაჯირები", ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში, წიგნი I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი.

74. ***მაჭახელი, 2009-2010:*** - ჟურნალი „მაჭახელი" N 3-4, ბათუმი.

75. მეპ, - მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა.

76. მესხი, 1878: - მესხი ს., საქართველო, „სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის", გაზეთი „დროება" N239.

77. მიქელაძე, 1982: - მიქელაძე ჯ., საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი.

78. მოლაშვილი, 2010: - მოლაშვილი ნ., ისტორია, თბილისი 2010 წ.

79. მოფინაძე, - მთხრობელი გრიგოლ მოფინაძე 81 წლის, სოფ. სკურდიდი.

80. მხეიძე, პროფ. თინა მხეიძის მონათხრობი.

81. ნაგერვაძე ჯ, - მთხრობელი ჯემალ ნაგერვაძე, გარდაიცვალა 2012 წელს 80 წლის ასაკში, სოფ. აჭარისაღმართი.

82. ნაგერვაძე ნ, - მთხრობელი ნუნუ ნაგერვაძე, 84 წლის, სოფ. აჭარისაღმართი.

83. ნიკოლეიშვილი, 2011: - ნიკოლეიშვილი ა., დავით წერეთელი და ოსმალოს საქართველო, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი" N5.

84. ნიჟარაძე, 2012: – Tbiliselebi.ge/index.php?newsid=268436083, ქალბატონ ლიზი საღარაძის ინტერვიუ, თამუნა ნიჟარაძე, ჟურნალი „თბილისელები“.

85. პალგრევი, 2012: - პალგრები ვ. ჯ., ტრაპიზონის პროვინცია ლაზისტანის სანჯაყი, თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, ბიოგრაფია, კომენტარები და საზიებელი დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

86. ჟანენი, 1996: - ჟანენი რ., საქართველო, კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტ. VI, ნაწილი I, პარიზი 1924 წ., ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი.

87. „საბჭოთა აჭარისტანი“ 1929, № 265: - გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ 1929, № 265.

88. სალვარიძე, - მთხრობელი ნური სალვარიძე 78 წლის, სოფ. ცხემლარა.

89. საქართველო, 1915: - გაზეთი „საქართველო“, N38.

90. საქართველო, 1916: - გაზეთი „საქართველო“, N6.

91. საქართველო, 1916: - გაზეთი „საქართველო“, N7.

92. საქართველო, 1916: - გაზეთი „საქართველო“, N72.

93. საქართველო, 1916: - გაზეთი „საქართველო“, N109.

94. საქართველო, 1916: - გაზეთი „საქართველო“, N233.

95. სსსა, I., 1926: - „საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა“, ნაწ. I, თბ., 1926.

96. ***საქართველოს ისტორია XX საუკუნე 2003:*** - საქართველოს ისტორია XX საუკუნე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი. 2003წ.

97. საქართველოს ისტორიის ატლასი 2016 წელი.

98. სახოკია, 1950: - სახოკია თ., „მოგზაურობანი“, თბილისი.

99. სახოკია, 1985: - სახოკია თ., „მოგზაურობანი“, თბილისი.

100.სდსინ, 2007: - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. I, ბათუმი.

101.სდსინ, 2009: - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. II, ბათუმი.

102.სდსინ, 2008: - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. III, ბათუმი.

103.სდსინ, 2012: - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. IV, ბათუმი.

104.სიხარულიძე, 1958: - სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ბათუმი.

105.სურმანიძე, 2008: - სურმანიძე რ., გავლენიანი გვარები მაჭახლის ხეობაში (წულუკიძეები და სხვები), სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“ N2.

106.სურმანიძე, 2013: - სურმანიძე რ., ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმიკა და ძველი საეკლესიო მოღვაწენი, ბათუმი.

107.სურგულაძე, 1994: - სურგულაძე ა., ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათუმი.

108.ტსმ, 1978: - ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ. თბილისი.

109.„უწყებები“ 1921: - გაზეთი „უწყებები“ N3, 22.03.

110.„უწყებები“ 1921: - გაზეთი „უწყებები“ N64, 08.06.

111.„ფუხარა“ 1929, № 4: - გაზეთი „ფუხარა“, 1929 № 4.

112.ქ,ც., 1897: - ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტფილისი.

113.ქ.ც., 2008: - ქართლის ცხოვრება. თბილისი.

114.ქოქოლაძე, - მთხრობელი ბიძინა ქოქოლაძე, 70 წლის, სოფ. ქვ. ჩხუტუნეთი.

115.ქოქოლაძე, - მთხრობელი თამაზ ქოქოლაძე, 46 წლის, სოფ ქვ ქოქოლეთი.

116.ყაზბეგი, 1995: - გიორგი ყაზბეგი, „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, ბათუმი.

117.შაშიკაძე, 2007: - შაშიკაძე ზ., მაჭახლის ხეობის ოსმალთა მიერ დაპყრობის თარიღისათვის, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“, N1.

118.შაშიკაძე, მახარაძე, 2011: - შაშიკაძე ზ, მახარაძე მ., აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი.

119.შედეგები, 2019: - მაჭახლის ხეობის ფერადი მეტალურგიის უძველესი კერების საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები.

120.„ჩვენი სკოლა“, I., 2010: - „ჩვენი სკოლა“, წიგნი მეორე (აჭარა), ნაწილი I, თბილისი 2010 წელი.

121.ჩიტაძე, 1974: ზურაბ ჩიტაძე, „დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი 1974 წელი.

122.ჩიქოვანი, №13, 1985: – გიორგი ჩიქოვანი, გაზ. „კომუნისტი“, №13.

123.ჩიქოვანი, №37, 1985: – გიორგი ჩიქოვანი, გაზ. „კომუნისტი“, №37.

124.ჩიქოვანი, №34, 1985: – გიორგი ჩიქოვანი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №34.

125. წერეთელი, 1878: - წერეთელი დ., მაჭახელა (ერთი თვალის გადავლებით), გაზეთი „ივერია“ N47.

126.წერეთელი, 1878: - წერეთელი დ., მაჭახელა, გაზეთი „დროება“, N237.

127.წერეთელი, 1879: - წერეთელი დ., მაჭახელა, გაზეთი „დროება“, N2.

128.წულაძე, 1916: - წულაძე აპ., აჭარაში მოგზაურთა საყურადღებოდ, გაზეთი „საქართველო“, N109.

129.წულაძე, 1991: - წულაძე აპ., „ძმური სიტყვა“, ბათუმი.

130.წულაძე, 2017: - წულაძე აპ., წერილები აჭარიდან (მაჭახლის ხეობა), სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“ N8.

131.ჭიჭინაძე, 1893: - ჭიჭინაძე ზ., წერილი მაჭახლიდან, გაზეთი „ივერია“ N158.

132.ჭიჭინაძე, 1893: - ჭიჭინაძე ზ., წერილი მაჭახლიდან, გაზეთი „ივერია“ N160.

133.ჭიჭინაძე, 1913: - ჭიჭინაძე ზ., მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები, ტფილისი.

134.ხელნაწერი, 1-21. - აჭარისაღმართის რვაწლიანი სკოლის მატიანე, ხელნაწერი, გვ. 1-21.

135.ხელნაწერი, 1-8. - ზედა ჩხუტუნეთის რვაწლიანი სკოლის ისტორია, ხელნაწერი, გვ. 1-8.

136.ჯაველიძე, 1990: - ჯაველიძე ნ., ცნობა XVI საუკუნის საქართველოს შესახებ, „მაცნე“, ისტორიის სერია N2, თბილისი.

137.ჯანაშვილი, 1902: - ჯანაშვილი მ., ეფრატი, გაზეთი „ივერია“ N140.

138.ჯაფარიძე, 1989: – გოჩა ჯაფარიძე „ქველმოქმედი“ ალმანახი „მწიგნობარი“ თბილისი.

139.„Кавказский календар“, 1884: - Главное управление главноначальствующего гражданскою частью на Кавказе, Кавказский статистический комитет, Тифлись.

140.Лисовский, 1887: - Лисовский В.Я., Чорохский край, Тифлись.

141.Пипиа, 1978: - Пипиа Г.В., Германский империализм в Закавказье 1910-1918 гг., Москва.

142.Френкель, 1879: - френкель А.,Чурук-су и Батуми, Тифлись.

143.GENN, - რესურსების ინტედრირებული მართვა, 2008წ.